საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ქრისტინე ომაძე

თანამედროვე ცვლილებები საკრედიტო ბაზრისა და კრედიტების მენეჯმენტის განვითარებაში

(საქართველოს საბანკო და მიკროსაფინანსო ინსტიტუტების მაგალითზე)

სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადამიური ხარისხის მისაღებად

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

მიხეილ თოქმაზიშვილი,

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თბილისი

2015

შინაარსი

ანოტაცია (ქართულ ენაზე).....3

ანოტაცია (ინგლისურ ენაზე).....6

შესავალი.....9

თავი I - საკრედიტო ბაზრის ფორმირებისა და ფუნქციონირების თეორიულ - მეთოდოლოგიური საფუძვლები.....18

1.1 კრედიტისა და საკრედიტო ბაზრის ფორმირების ისტორიული და თანამედროვე თეორიები.....18

1.2 თანამედროვე ლიტერატურის მიმოხილვა.....32

1.3 საკრედიტო ბაზარი და ინსტიტუტები.....45

თავი II - საკრედიტო პორტფელის ფორმირება და საკრედიტო ბაზრის განვითარება: საერთაშორისო გამოცდილება.....71

2.1 ბანკების საკრედიტო პორთფელი და მისი შეფასების კრიტერიუმები.....71

2.2 საკრედიტო ბაზრის ფორმირებისა და განვითარების საერთაშორისო გამოცდილება 90

თავი III - საკრედიტო ბაზრის მართვის საკითხები საქართველოს კომერციულ ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში (სტატის ტიკური ანალიზი და სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები).....115

3.1 საქართველოს საკრედიტო ბაზრის მიმოხილვა.....115

3.2 კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის ცვლილებები.....124

3.3 საკრედიტო ბაზრის ცვლელებების შესახებ მენეჯერების აღქმა.....141

3.3.1 კვლევის მეთოდოლოგია 141

3.3.2 სესხებზე სტრუქტურის ცვლილება საფინანსო და მიკროსაფინანსო ინსტიტუტებში.....143

3.3.3 საქართველოს საკრედიტო ბაზრის ინსტიტუტების განვითარება და პერსპექტივები.....157

დასკვნა 163

გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია 169

სასარგებლო ბმულები 176

დანართი.....177

ანოტაცია

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია, საქართველოში საკრედიტო ბაზრისა და მისი ინსტიტუტების მართვაში არსებული პრობლემების გამოვლენა და მისი გადაჭრისთვის რეკომენდაციების მომზადება.

პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების უკეთ გაგებისა და ანალიზის მიზნით ჩვენს მიერ გაანალიზებულ იქნა საბანკო და არასაბანკო სექტორში არსებული სიტუაცია.

ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს საკრედიტო ბაზრის საფინანსო ინსტიტუტები და ასახულია მათი ფუნქცია საბაზრო ეკონომიკის პირობებში. საკრედიტო ურთიერობები მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა თანამედროვე მსოფლიოში. მსოფლიო მეურნეობის გაფართოების, ინტერნაციონალიზაციის და გლობალიზაციის პროცესებმა, არსებითი გავლენა მოახდინა საქონლის, მომსახურების, განსაკუთრებით კი კაპიტალისა და კრედიტის ნაკადების გაზრდაზე, ხოლო ეკონომიკურ ურთიერთობათა რეალიზაციის ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა კი საკრედიტო ბაზარზე და მათი მონაწილეების ქმედებებზე.

საფინანსო ინსტიტუტები და მათი ინფრასტრუქტურის განვითარება შეუცვლელი ინსტრუმენტია ნებისმიერი ქვეყნის ფინანსური ბაზრის განვითარების საქმეში.

საკრედიტო ბაზრის ფუნქციონირების თანამედროვე თეორიული მიდგომებისა და შეხედულებების გაანალიზებამ თვალნათლივ დაგვანახა, რომ თავისი განვითარების მანძილზე იგი თანდათან იხვეწება და სრულყოფილი ხდება. ამასთან, საკრედიტო ურთიერთობების ბუნების შესახებ კონცეფციები ფართოვდება და მას უფრო მრავალფეროვანი შინაარსი ეძლევა, ვიდრე ეს იყო ისტორიულ წარსულში, რაც განპირობებულია კრედიტის და საფინანსო ბაზრების როლის, მისი ბერკეტების გაფართოებით.

უკანასკნელ პერიოდში ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებიდან ნათლად ჩანს, რომ საკრედიტო ბაზრის ტრანსფორმაციის შესწავლას და საბანკო მენეჯმენტის ცვლილებების გამოვლენას მხოლოდ თეორიულ ემპირიული ხასიათი აქვს. გამომდინარე აქედან ჩვენი

სადისერტაციო ნაშრომი მივუძღვენით საკრედიტო ბაზრის ფუნქციონირებასა და მისი ინსტიტუტების ცვლილებებს ბოლო პერიოდის განმავლობაში.

ნაშრომში სპეციალური საბანკო და არასაბანკო საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობის გაცნობა-გაანალიზებამ დაგვანახა, რომ ისინი თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებში საკრედიტო ბაზრის აქტიური სტრუქტურული ელემენტები არიან და მნიშვნელოვნად განაპირობებენ საკრედიტო ბაზრების ინსტიტუციონალური სტრუქტურის ჩამოყალიბებას და მათ გამართულ ფუნქციონირებას. ასევე, ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაში - განსაკუთრებით ფინანსური კრიზისების პერიოდში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების შესაბამისად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განახორციელა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები. დაამტკიცა „კომერციული ბანკების ლიცენზირების წესი“, ცვლილებები შეიტანა „კომერციული ბანკების გარე აუდიტორული შემოწმების ჩატარების წესში“, დაამტკიცა „ინტერესთა კომფლიქტის მართვის დებულება“, რომელმაც უზრუნველყო ბანკებში კონტროლის სისიტემის დანერგვა ინტერესთა კონფლიქტის მაქსიმალურად თავიდან აცილებისთვის. ასევე, საზედამხედველო ჩარჩოს განვითარებასთან ერთად საქართველოს ეროვნული ბანკისთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი მისიის მიერ განხორციელებული „ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამა (FSAP)“ განხორციელება.

ნაშრომში ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევისას მსოფლიოს განვითარებულ საკრედიტო ბაზრებზე გამოვლენილ ძირითად საკრედიტო ურთიერთობათა ფუნქციონირების ტენდენციებს განეკუთვნება შემდეგი:

1. კორპორაციული სავალო ინსტრუმენტების სეგმენტის ზრდა საკრედიტო ბაზრებზე;

2. მსხვილი ინვესტორების (საპაიო და საპენსიო ფონდების, სახელმწიფო საინვესტიციო ფონდების) როლის გადიდება;

3. აქტივების სეკიურიტიზაციის და კრედიტების გაყიდვების ზრდა ანუ კრედიტების მეორადი ბაზრის ფორმირება;

4. მოსახლეობისთვის გამოყოფილი სამომხმარებლო კრედიტების წილის მნიშვნელოვანი ამაღლება;

5. საკრედიტო ბაზრის მონაწილეთა ლტოლვა საქმიანობის უნივერსალიზაციისკენ, საკრედიტო, საინვესტიციო და საგადასახადო მომსახურებების სრული უზრუნველყოფის მიზნით.

დღეისათვის მსოფლიოში სახეზე გვაქვს ყველა საფინანსო ბაზრების ინტეგრაცია მათზე საკრედიტო ურთიერთობათა წამყვანი პოზიციის შენარჩუნებით, ამავე დროს, საფინანსო-საკრედიტო ინოვაციების გავლენით ტრანსფორმირება განიცადა თვით საკრედიტო ბაზრის სტრუქტურამ.

საქართველოს ოთხი მაპროფილირებელი კომერციული ბანკის საკრედიტო პორტფელის გაანალიზების შედეგად შესაძლებელია გავაკეთოთ დასკვნა, რომ გაცემული სესხების მოცულობები იზრდება, ამასთან ერთად, საკრედირო პორტფელის სტრუქტურაში ყველაზე დიდი ხვედრითი წილით წარმოდგენილია **იპოთეკური** და **სამომხმარებლო კრედიტები,** რაც შეეხება ეკონომიკის სექტორების მიხედვით გაცემული კრედიტების სტრუქტურას, აქ ლიდეროზს ფიზიკურ პირებზე გაცემული კრედიტები. შემდგომ მოდის ვაჭრობასა და მომსახურებაზე გაცემული კრედიტების ხვედრითი წილი. კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის სტრუქტურაში მართალია მცირდება უიმედო და ჩამოწერილი სესხების მოცულობა, მაგრამ კვლავ გარკვეული ხვედრითი წილითაა წარმოდგენილი.

ჩატარებული სოციოლოგიური კვლევით დასტურდება, რომ საბანკო კრედიტის პირობების გამკაცრების განეიტრალება უნდა მოხდეს საბანკო დაკრედიტების პირობების ლიბერალიზაციით, რომელიც მოიცავს მეწარმეთათვის კრედიტების პერიოდის გადიდებას, საპროცენტო განაკვეთის დაწევას,, საკრედიტო მომსახურების პირობების გაუმჯობესებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე უაღრესად მნიშვნელოვანია იმ მექანიზმების შექმნა და ამოქმედება, რომელიც დაარეგულირებს არსებულ შეუსაბამობას, ინტერესებს და შექმნის წინაპირობებს ქვეყნის საკრედიტო ბაზრის განვითარებისა და მისი ინსტიუტების გაჯანსაღებისთვის. მოცემული სადისერტაციო ნაშრომი სწორედ აღნიშნული საკითხებისა და მექანიზმების დადგენასა და კვლევას ეძღვნება.

Annotation

Thesis aims to Georgia in the credit market and its institutions, management and resolution of the problems in finding and recommendations.

For better understanding and analysis of problems and their solutions were analyzed by the bank and not the situation in the banking sector.

The paper analyzes the credit market of financial institutions and their function is reflected in the market economy. Credit relations with an important driving force of the modern world. The world economy continues to expand, internationalization and globalization processes, a substantial impact on the goods, services, capital and credit flows increased especially in the economic relations between the realization of technological change in the credit markets and their participants actions.

Financial institutions and their infrastructure indispensable tool in any of the country's financial market development.

The credit market functioning in the theoretical approaches and opinions Analysis revealed that its development it is gradually being improved and becomes perfect. The concepts of the nature of the credit relationship is expanding and it is given a more varied content, rather than it was in the historical past, the role of which is determined by the credit and financial markets, the expansion of its levers.

Recently published scientific papers of leading economists is clear from the study of the transformation of the credit market and the bank's management to be brought only in the theoretical empirical nature. Therefore our thesis is devoted to the functioning of the credit market and its institutions, changes in the recent period.

The special banking and non-banking institutions to introduce credit-Analysis showed that they are a modern developed countries active in the credit market and the structural elements are significantly contributing to the institutional structure and functioning of the credit markets. They also play an important role especially in the country's macroeconomic stabilization of the financial crisis.

The International Monetary Fund and the World Bank in accordance with the recommendations of the National Bank carried out a number of legislative changes.

Approved the "Rules for licensing of commercial banks", amended the "commercial banks to external audit rules", approved the "conflict of interest in accordance with the Regulations," which has provided the banks with the introduction of a control system to avoid possible conflicts of interest. As well as the regulatory framework for the development of the National Bank of Georgia is very important for the International Monetary Fund and World Bank joint mission carried out by the "Financial Sector Assessment Program (FSAP)" exercise.

The research carried out by us in the developed financial markets revealed major credit relations operation, the following trends:

1. The increase in corporate debt instruments segment in the credit markets;

2. Large investors (pension funds and unit, the investment Fong) Increase the role;

3. assets securitization and credit growth in the sales of loans in the secondary market;

4. The share of the population of the significant increase in the consumer loans;

5. The financial market participants to urge universal activities, credit, investment and tax services as the purpose.

In today's world we are faced with the integration of all financial markets, including the credit relations, maintaining a leading position at the same time the influence of financial innovation transformed the structure of the credit market.

Four Major commercial bank credit portfolio analysis of possible to suggest that the volume of loans is growing, along with the credit portfolio structure, the biggest share of the mortgage and consumer loans, as for the economic sector of the credits structure here is leading to individuals loans and Then comes the trade and services in the share of credits. Although the structure of the credit portfolio of commercial banks reduced or written off bad loans, but still presented some specific tsilitaa.

The sociological research prove that the tightening of bank credit conditions are having a negative impact on economic growth, therefore it should be neutralized liberalization of bank lending, which includes loans for entrepreneurs to increase the grace period, the interest rate reduction ,, credit service conditions.

Due to this highly important to create and activate the mechanisms that regulate the contradiction, the interests and the creation of financial market development and its

institutions are prerequasites for recovery. The arrangements and mechanisms to identify and research dedicated to the thesis.

შესავალი

თემის აქტუალობა. სადისერტაციო თემის აქტუალობას განსაზღვრავს მისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. თემის აქტუალობა დაკავშირებულია საქართველოში საკრედიტო ბაზრის ელემენტების განვითარებისა და რეგულირების სრულყოფის აუცილებლობასთან. საკრედიტო ბაზრის განვითარება პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფასა და საერთო ჯამში მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებასთან. მისი შემდგომი განვითარება დამოკიდებულია საკრედიტო ბაზრის ინფრასტრუქტურისა და მისი ინსტიტუტების მენეჯმენტის განვითარებასთან. თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებში საკრედიტო ბაზრის ინსტიტუტები აქტიური სტრუქტურული ელემენტები არიან და მნიშვნელოვნად განაპირობებენ საკრედიტო ბაზრების ინსტიტუციონალური სტრუქტურის ჩამოყალიბებას და მათ გამართულ ფუნქციონირებას. ამასთან, ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაში - განსაკუთრებით ფინანსური კრიზისების პერიოდში.

საქართველოს საკრედიტო ბაზარი განსხვავდება მსოფლიოს წამყვანი ბაზრებისგან, უპირველესად საკრედიტო ინსტიტუტების განვითარების დონით. ინსტიტუტების განვითარება ამცირებს საკრედიტო რისკის დონეს და ხელს უწყობს სტაბილური და თანმიმდევრული ეკონომიკური ზრდის მიღწევას. საქართველოს საკრედიტო ბაზარზე წარმოდგენილი კომერციული ბანკები და არასაბანკო საკრედიტო ინსტიტუტები გვევლინებიან ძირითად მოთამაშეებად, რომელთა საკრედიტო პორტფელის ცვლილებებზე ზემოქმედებს როგორც მაკროეკონომიკური ფაქტორები, ასევე, ამ ინსტიტუტების მენეჯმენტის ცვლილებები.

ბანკების, მსესხებელთა და ემიტენტთა რეიტინგულ საკრედიტო შეფასებას ახორციელებენ დასავლეთის თანამედროვე სარეიტინგო სააგენტოები. მიუხედავად იმისა, რომ 2005 წელს საქართველოს კომერციული ბანკებისთვის დამუშავდა და მიღებული იქნა **„კორპორაციული მართვის კოდექსი“**, 2006 წლის 23 მაისს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის #145 ბრძანებით, დამტკიცდა **„კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის წესი“**, რომლის მიხედვითაც დაზუსტდა ეკონომიკური მაჩვენებლები და დამტკიცდა მათი გაანგარიშების წესი. ეს

მაჩვენებლები წარმოაჩენენ აქტივების სტრუქტურას, მათში ნეგატიურად კლასიფიცირებული სესხების ხარისხსა და მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპს. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2014 წლის 17 ივნისის #48/04 ბრძანებით დამტკიცდა დებულება **„კომერციულ ბანკებში რისკების მართვის შესახებ“,** რომლის თანახმადაც, საბანკო მენეჯმენტს დაეკისრა საკრედიტო რისკების მართვასთან დაკავშირებით უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა.

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ფინანსური გლობალიზაციისა და საბანკო სექტორის ინტერნაციონალიზაციის პროცესებმა მოითხოვა საბანკო სექტორის გაძღოლის საერთაშორისო დონეზე უნიფიცირების საკითხი. ამ მიზნით ბაზელის კომიტეტის ძალისხმევა მიმართულია საბანკო საქმიანობის ხარისხისა და მართვის შემდგომი განვითარებისკენ.

თანამედროვე ეტაპზე ბაზელის კომიტეტის აქტიური მოქმედებით ხორციელდება კომერციული საბანკო სექტორის საკრედიტო პორთფელის, საკრედიტო რისკების, რეზერვების შექმნისა და მოცულობების სიდიდის გადახედვა. 2014 წლიდან საქართველოს ეროვნული ბანკი ბაზელის საბანკო ზედამხედველობის ჯგუფის (Basel Consultative Group, BCG) წევრი გახდა და ამოქმედდა ბაზელ II/III-ზე დაფუძნებული კაპიტალის ადექვატურობის ჩარჩოს 1-ლი და მე-2 პილარის კომპონენტები. მოქმედი საერთაშორისო შეფასებებით საქართველოს საბანკო სექტორი მდგრადია მშპ-ის ზრდის ტემპის შემცირების, გაცვლითი კურსის გაუფასურებისა და საექსპორტო ბაზრებზე მოთხოვნათა ვარდნის მიმართ.

თემის აქტუალობა განსაკუთრებით იზრდება მსოფლიოში ფინანსური კრიზისების გამო. საკრედიტო ბაზრების სტაბილურობა და საკრედიტო ბაზრების ინსტიტუტების გამართული ფუნქციონირება ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. მასზეა დამოკიდებული ის, თუ საბანკო სექტორი რამდენად შეძლებს ქვეყნის ეკონომიკის დაკრედიტებას.

საქართველოში საკრედიტო ბაზრის განვითარებისა და მართვის, საკრედიტო ურთიერთობების პრობლემების კვლევა განპირობებულია ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში საკრედიტო ბაზრის საკითხებზე კვლევების ნაკლებობით. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სისტემური გამოკვლევა საკრედიტო ბაზრის

შესაძლებლობებისა და განვითარების კუთხით არ ჩატარებულა. სწორედ ამ ხარვეზის შევსების ერთ-ერთი ცდაა აღნიშნული სადისერტაციო თემის დამუშავებაც.

საქართველოს ეკონომიკას დღეისათვის ესაჭიროება მთელი რიგი ეროვნული პროექტების რეალიზაცია, საწარმოო ფონდების განახლება, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება. ამ ამოცანების გადაჭრა შეუძლებელია ქვეყნის საკრედიტო ბაზრის განვითარების გარეშე. ამიტომ, მეტად მნიშვნელოვანია უცხოური გამოცდილების შესწავლისა და მოწინავე ტენდენციების დანერგვის გზით უზრუნველვყოთ საკრედიტო ბაზრის ინსტიტუტების განვითარება.

აღნიშნულის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია საკრედიტო ბაზრის ინსტიტუტების მართვის გაუმობესება, რომლებიც შექმნის მყარ საფუძველს საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქვეყნის საკრედიტო ბაზრის ინფრასტრუქტურის ნორმალური ფუნქციონირებისთვის, რომლის მეცნიერულ კვლევასაც ეძღვნება წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი.

კვლევის ობიექტი და საგანი - სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ობიექტია საკრდიტო ბაზრის ფუნქციონირების სტრუქტურული ინსტიტუტების მართვა. კვლევის საგანს წარმოადგენს საკრედიტო ბაზრის ინსტიტუტების მართვის გავითარებისა და ცვლილებების ფაქტორების, მეთოდების და მექანიზმების კვლევა, რომლებიც უზრუნველყოფენ საკრედიტო ურთიერთობების პროცესში დაკრედიტების რისკის შემცირებას, საკრედიტო ინსტიტუტების კრედიტუნარიანობის საიმედო შეფასებას, დავალიანების პრობლემის ლიკვიდაციას, საკრედიტო ოპერაციების გამჭვირვალობის მიღწევას, საერთაშორისო და ეროვნული ფინასური სტანდარტებით დადგენილი წესების დაცვას.

კვლევის მიზანი და ამოცანები. წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია თანამედროვე საკრედიტო ურთიერთობების ანალიზის საფუძველზე, საქართველოში საკრედიტო ინსტიტუტების მართვაში არსებული პრობლემების გამოვლენა და მისი გადაჭრისთვის რეკომენდაციების მომზადება.

აღნიშნული მიზნის მიღწევისთვის დასახული იქნა შემდეგი ამოცანები:

- საკრედიტო ბაზრისადმი ძირითადი მიდგომების განხილვა;
- საკრედიტო ბაზრის შემადგენელი ინსტიტუტების ეკონომიკური ბუნების გაანალიზება ფუნქციონალური და ინსტიტუციონალური თვალთახედვით;

- განვითარებული ქვეყნების საკრედიტო ბაზრის შესწავლა
- საკრედიტო ინსტიტუტების მართვის ეფექტური ინსტიტუციონალური მექანიზმის ფორმირება, რომელიც უზრუნველყოფს საკრედიტო ურთიერთობათა განვითარებას საქართველოს საკრედიტო ბაზარზე;
- საკრედიტო ბაზრის ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობის მართვის ანალიზი;
- მსოფლიო საკრედიტო ურთიერთობათა განზოგადების საფუძველზე საქართველოს საკრედიტო ბაზრის განვითარების სრულყოფისთვის წინადადებების მომზადება.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირთადი შედეგები

საკრედიტო ბაზრისა და მისი ინსტიტუტების საქმიანობის ანალიზის საფუძველზე ნაშრომში კვლევის მეცნიერულ სიახლეს განეკუთვნება შემდეგი:

1) შესწავლილია განვითარებული ქვეყნების საკრედიტო ბაზრები საკრედიტო ოპერაციების მართვის გამოცდილება და შედარებულია სახვადასხვა ქვეყნების თავისებურებები.
2) გაანალიზებულია ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა კვლევის მიმართულებები და გამოყოფილია კვლევის ოთხი ასპექტი: კერძოდ 1. ეკონომიკური ზრდის დს ფისკალური პოლიტიკის ანალიზი, 2. საკრედიტო ბაზრის ანალიზი ფინანსური კრიზისის პერიოდში, 3.საბანკო სისტემის ფორმირებისა და განვითარების ტენდენციების გამოვლენა, 4.საკრედიტო პორტფელის ცვლილებები და საკრედიტო რისკები.
3) გამოვლენილია საქართველოს საკრედიტო ბაზრის მართვის ცვლილებები და გაანალიზებულია საერთაშორისო გამოცდილება. ამასთან, შემოთავაზებულია საკრედიტო ბაზარზე საფინანსო ინსტიტუტების საკრედიტო ოპერაციების ორგანიზაციის რეგულირების ინსტრუმენტები
4) შესწავლილია საქართველოს საკრედიტო ბაზარზე მოქმედი საფინანსო ინსტიტუტების საკრედიტო სტანდარტებზე მოქმედი ფაქტორების ზეგავლენა.
5) გამოვლენილია, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ქვეყანაში საბანკო სექტორში მნიშვნელოვნდ გაუმჯობესდა საკრედიტო პროდუქტის

სტრუქტურა, გაიზარდა გაცემული კრედიტების მოცულობები ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში.

6) კვლევით დადგინდა, რომ საბანკო კრედიტის პირობები გამკაცრდა, არადა მისი განეიტრალება უნდა მოხდეს საბანკო დაკრედიტების პირობების ლიბერალიზაციით.
7) დისერტანტის მიერ, სოციოლოგიური კვლევის პროცესში შესწავლილი კომერციული ბანკების მიერ ბიზნესის წარმომადგენლებზე სესხების გაცემისა და დამტკიცების პროცედურების გაანალიზების შედეგად ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სამართლიანად შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ პირობები ძირითადში რამდენადმე გამკაცრდა. რაც შეეხება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, მათი მონაცემების გაანალიზებიდან კი ნათელი ხდება, რომ ბიზნესის წარმომადგენლებზე მათ მიერ გაცემული და დამტკიცებული სესხების პირობები ბოლო ხუთ წლის განმავლობაში ძირითადში რამდენადმე შემსუბუქდა.
8) ჩატარებული კვლევის შედეგად ნათელი გახდა, რომ ბაზრის პორიბები მკაცრდება რამოდენიმე მიზეზით: კერძოდ მოთხოვნა უფრო სწრაფად იზრდება კრედიტებზე, ვიდრე საბანკო და არასაბანკო ინსტიტუტები ახდენენ ფულის აკუმულუაციას და მოზიდვას. მეორე მხრივ მას თან ახლავს რისკების ზრდა. ხოლო მიმდინარე ფინანსურმა კრიზისებმა და მსოფლიოში შექმნილმა ვითარებამ კიდევ უფრი მეტად დაამძიმა ბიზნეს-გარემო, რის გამოც ბანკები იძულებულნი არიან საპასუხოდ გაზარდონ მოთხოვნები სესხებზე.
9) ქვეყნის საკრედიტო ბაზრის საფინანსო ინსტიტუტებში სოციოლოგიური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მიკროსაფინანსო სექტორში საბანკო სექტორისგან გასხვავებით კრედიტების გაცემის და მასზე მომქმედი ფაქტორების პირობები საკვლევ პერიოდში რამდენადმე შემსუბუქდა და არის რეალური პირობები იმისა, რომ პერსპექტივაში ისინი მნიშვნელოვნად შემსუბუქდეს. საქართველოს საკრედიტო ბაზარზე მიკროსაფინანსო ორგანიზაციები სიცოცხლისუნარიან და განვითარების დიდი პერსპექტივის მქონე ორგანიზაციებად მოგვევლინენ.

10) დისერტანტი გვთავაზობს, რომ ქვეყნის საკრედიტო ბაზრის საფინანსო ინსტიტუტების მიერ საკრედიტო რესურსების დაგეგმვის, მათი სტაბილურობის გაზრდის, რისკების შემცირებისა და ბიზნესისათვის კრედიტებზე წვდომის გამარტივებისათვის, ხელსუფლებამ უნდა დააჩქაროს რეფორმების განხორციელება საბანკო სექტორში.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველია საბაზრო ეკონომიკის ფუძემდებლური დებულებები, კლასიკური და თანამედროვე ფინანსების თეორიები, ქართველ და უცხოელ მეცნიერ-ეკონომისტთა ნაშრომები საკრედიტო ბაზრის შესახებ.

კვლევის ნორმატიულ - სამართლებრივ ბაზას წარმოადგენს ოფიციალური დოკუმენტები, საქართველოს საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები, საქართველოს კანონმდებლობა, კანონქვემდებარე აქტები, ბრძანებები.

სადისერტაციო ნაშრომში დასახული ამოცანების, ფაქტობრივი მასალის ანალიზის პროცესში, კვლევის ზოგად მეცნიერულ მეთოდებთან (დაკვირვება, შედარება, ანალიზი და სინთეზი) ერთად, გამოყენებულია ემპირიულ მონაცემთა სისტემატიზაცია, მიღებული შედეგების, ზოგად დასკვნებსა და კანონზომიერებებს შორის ურთიერთკავშირის ფორმალურ - ლოგიკური აღწერა, სტატისტიკური კვლევის მეთოდები, კლასიფიკაციის მეთოდი, სტრუქტურული ანალიზის, სისტემური მიდგომის, ანალოგიების, სტატისტიკური მონაცემების შედარებითი ანალიზი, განზოგადებისა და სისტემატიზაციის მეთოდები. გამოყენებულ იქნა სოციოლოგიური კვლევის მეთოდები და ჩატარდა გამოკითხვა რესპონდენტებთან სტრუქტურიზებული კითხვარის საშუალებით.

ნაშრომის თეორიული ღირებულება

ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში საკმაოდ მწირია ლიტერატურა საქართველოს საკრედიტო ბაზრის შესახებ და ფრაგმენტულადაა შესწავლილი საქართველოს

საკრედიტო ინსტიტუტების პრობლემები. აქედან გამომდინარე, ნაშრომის მნიშვნელობა იზრდება როგორც თეორიული-პრაქტიკული, ასევე შემეცნებითი კუთხით.

ნაშრომი ავსებს არსებული თეორიული მასალის დანაკლისს ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში, მასში მოცემულია საქართველოს საკრედიტო ბაზრის ინსტიტუტების მართვის პრობლემების აღქმა მენეჯერების მიერ.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

კვლევის შედეგების თეორიული და პრაქტიკული რეკომენდაციების გამოყენება შესაძლებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და ეროვნული ბანკის მიერ ფულად- საკრედიტო პოლიტიკის შემუშავების დროს. იგი ასევე დიდ დახმარებას გაუწევს ამ საკითხების კვლევით დაინტერესებულ პირებს, კვლევის ცენტრებსა და უნივერსიტეტებს.

ნაშრომი შეიძლება გამოყენებულ იქნას სასწავლო უნივერსიტეტების შესაბამისი ფაკულტეტის ბაკალავრების, მაგისტრების და დოქტორანტების სპეციალური სალექციო კურსების სწავლების პროცესში. ნაშრომში მოცემული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე დასკვნა, წინადადება და რეკომენდაცია გარკვეულ დახმარებას გაუწევს ამ სფეროში ჩართულ მეცნიერებსა და მკვლევარებსაც.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა შეადგენს 175 (ასსამოცდათხუთმეტი) გვერდს და შედგება ანოტაციის, შესავლის, სამი თავის, ცხრა ქვეთავისა და დასკვნისაგან. სადისერტაციო ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართი.

დისერტაციის თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციების ნუსხა:

სადოქტორო დისერტაციის ძირითადი დებულებები და დასკვნები ავტორის მიერ წარდგენილ და გამოქვეყნებულ იქნა 7 (შვიდი) სამეცნიერო ნაშრომში. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები წარდგენილ იქნა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ორ ქოლოქვიუმზე (2013 და 2014 წწ), სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციებსა, საერთაშორისო რეცენზირებად და რეფერირებად ჟურნალებში:

1. **ქრისტინე ომაძე, დავით ასლანიშვილი - „ეკონომიკური კრიზისის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე“** - თსუ, ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია 2013 წლის 28-29 ივნისი, გვ 502 - 508, თბილისი, საქართველო;
2. **ქრისტინე ომაძე, დავით ასლანიშვილი - „ეკონომიკური კრიზისის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე“** - კავკასიის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, გვ 35 – 45, თბილისი, 2013 წელი;
3. **ქრისტინე ომაძე - ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისების გავლენა საქართველოს ფინანსურ ბაზარზე** - თსუ, ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო - ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, 4-ე ნომერი, გვ 86 - 98, თბილისი, აგვისტო - სექტემბერი, 2013 წელი;
4. **ქრისტინე ომაძე - ეკონომიკური კრიზისი და საქართველოს საკრედიტო ბაზრის ტრანსფორმაცია** - თსუ, ეკონომიკის ინსტიტუტის, საერთაშორისო სამეცნიერო - ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, 3-ე ნომერი, გვ 102-107, თბილისი, მაისი-ივნისი 2014 წელი;
5. **ქრისტინე ომაძე - ბიზნესის შეფასების თანამედროვე მოდელი და ქართული სინამდვილე** - თსუ, ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენცია 2014 წლის 27-28 ივნისი, გვ 537 - 540, თბილისი;
6. **ქრისტინე ომაძე - „საკრედიტო ბაზრის არსი და თავისებურებები“**თსუ ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული (გვ., 390-393), 2014 წელი, თბილისი, საქართველო;

7. **ქრისტინე ომაძე - „იპოთეკური ბანკების როლი საკრედიტო ბაზრის განვითარების საქმეში“** - თსუ, ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენცია 2015 წლის 10-11 ივლისი, გვ 519 - 521, თბილისი

თავი I. საკრედიტო ბაზრის ფორმირებისა და ფუნქციონირების თეორიულ - მეთოდოლოგიური საფუძვლები

1.1. კრედიტისა და საკრედიტო ბაზრის ფორმირების ისტორიული და თანამედროვე თეორიები -

საკრედიტო ურთიერობები ერთ - ერთი მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა, თანამედროვე მსოფლიოში. მსოფლიო მეურნეობის გაფართოების, ინტერნაციონალიზაციის და გლობალიზაციის პროცესებმა, არსებითი გავლენა მოახდინა საქონლის, მომსახურების, განსაკუთრებით კი კაპიტალისა და კრედიტის ნაკადების გაზრდაზე, ხოლო ეკონომიკურ ურთიერთობათა რეალიზაციის ტექნოლოგიური ცვლილებები კი საკრედიტო ბაზარზე და მათი მონაწილეების ქმედებებზე.

როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში საკრედიტო ბაზარი მნიშვნელოვნად გაფართოვდა. იმავდროულად ტრანსფორმაცია განიცადა მისმა სტრუქტურულმა და ინფრასტრუქტურულმა ელემენტებმა, რომლებიც უკვე არსებით გავლენას ახდენენ საერთო ეკონომიკურ ზრდაზე. საკრედიტო ბაზარზე გაღრმავდა მომქმედი ინსტიტუტების სპეციალიზაცია, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ბაზრის ინფორმაციულობამ და ტრანსფარენტულობამ, რამდენადაც გაჩნდა რეალური ეკონომიკის მანიპულაციის პროცესები.

საკრედიტო ურთიერთობების თეორიული-მეთოდოლოგიური საფუძვლები დამუშავებულია მსოფლიო ეკონომიკურ ლიტერატურაში, კრედიტის თეორიების ძირითადი მიმართულებებიდან აღსანიშნავია, კრედიტის, როგორც კაპიტალის ფორმირების თეორია, რომლის ფუძემდებლად გვევლინება ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი **ჯონ ლო** (Jon Law). მისი აზრით, კრედიტი განსაკუთრებულ როლს ასრულებს ეკონომიკის განვითარებაში და ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში უკავია კვლავწარმოების პროცესისგან დამოუკიდებელი მდგომარეობა. ამ თეორიის მიხედვით, კრედიტი გაიგივებულია ფულთან და სიმდიდრესთან.

ჯონ ლოს მოსაზრებით, კრედიტს გააჩნია უნარი, რომ მობრაობაში მოიყვანოს ქვეყნის გამოუყენებელი საწარმოს შესაძლებლობები და შექმნას კაპიტალი და სიმდიდრე, თანაც იგი ბანკს მიაწერდა არა შუამავლის, არამედ კაპიტალის შემქმნელის როლს. სწორედ ამ ძირითად პოსტულატს ეყრდნობა კაპიტალის ფორმირების თეორიის არსი.

ჯ. ლოს ეკუთვნის საემისიო ბანკის ჩამოყალიბების იდეა, რომლითაც ქვეყანა საწარმოო ძალთა მობრაობაში მოყვანასა და სიმდიდრის ზრდას მიაღწევდა. მთლიანობაში **ჯ. ლოს** უტოპიურ იდეებს განხორციელება არ ეწერა. ამის ნათელი დასტურია, ის რომ ჯ.ლომ საფრანგეთის ფინანსთა მინისტრად მუშაობის პერიოდში (1720 წელს) საკუთარი კერძო ბანკი გადააკეთა სახელმწიფო სამეფო ბანკად, დაიწყო ბანკნოტების გამოშვება და მათი ვერცხლზე გადახურდავება. მაგრამ არაუზრუნველყოფილი ფულის გამოშვებამ, გამოიწვია ფულის გაუფასურება. მიუხედავად **ჯ. ლოს** იდეების კრახისა, მან სწორად იწინასწარმეტყველა საკრედიტო ურთიერთობათა ფართო განვითარება მომავალში (**Д. Риккардо 2000: 345**).

ჯ. ლოს იდეები განავითარა და კაპიტალის ფორმირების თეორია ახალ სიმაღლეზე აიყვანა ცნობილმა ინგლისელმა ეკონომისტმა **მ. მაკლეოდმა (Д. Риккардо, Классика экономической мысли, 2000: 357**). მასაც ფული და კრედიტი გაიგივებული ჰქონდა სიმდიდრესთან. იგი მიიჩნევდა, რომ კრედიტს მოაქვს მოგება, ამიტომ იგი მწარმოებლური კაპიტალია, ხოლო ბანკი კი წარმოადგენს კრედიტის მწარმოებელ საშუალებას ანუ ბანკი ქმნის კრედიტს და მისი საშუალებით ხდება კაპიტალის შექმნაც.

მ. მაკლეოდის თეორიის მიხედვით არასწორად იქნა კრედიტის არსი გაგებული, იმის გამო, რომ ფული, კრედიტი და კაპიტალი, გაიგივებულ კატეგორიებად წარმოგვიდგინა. ფულისა და კრედიტის გაიგივება არასწორი იყო, რადგან ფული თავის მხრივ იყოფა ქაღალდის და საკრედიტო ფულად. ხოლო ბანკი კაპიტალს ქმნის საკუთარი აქტიური ოპერაციებით (**რ. კაკულია, გედევან ხელაია ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია, 2000: 187**).

მე-18 საუკუნეში ვითარდება კრედიტის ნატურალისტური თეორია, რომლის ფუძემდებლებად გვევლინებიან ინგლისელი ეკონომისტები **ადამ სმიტი** და **დავიდ რიკარდო.** ამ თეორიის არსი მდგომარეობს იმაში, რომ კრედიტის ობიექტია

ნატურალური, ანუ ნივთობრივი ფასეულობა. მათი აზრით, სასესხო კაპიტალი გაიგივებული აქვთ რეალურთან ამიტომ სასესხო კაპიტალის დაგროვება არის ნამდვილი კაპიტალის დაგროვების გამოვლინება. კაპიტალის მოძრაობა ძირითადად საწარმოო კაპიტალის მოძრაობაა. იმის გამო, რომ კრედიტი ასრულებს პასიურ როლს, კომერციული ბანკები მხოლოდ მოკრძალებულ შუამავლებად გვევლინებიან.

როგორც პროფ. **რ. კაკულია** და **გ. ხელაია** აღნიშნავენ, კრედიტის ნატურალისტური თეორია არ იძლევა კრედიტის ნამდვილი არსის გაგების საშუალებას, რაც ძირითადად განპირობებულია სამრეწველო კაპიტალის წრებრუნვის არასწორი გაგებით. (**რ. კაკულია, გედევან ხელაია, ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია, 2000:187**)

ნატურალისტური თეორია შემდგომ გავრცობილი იქნა ისტორიული სკოლის მიერ **(ჟ. სეი, ფ. ბასტია). ფ. ბასტი** მოცემულ საზოგადოებაში კრედიტს განიხილავდა ნატურალური კეთილდღეობათა მოძრაობის ფორმით, როგორც წესს მატერიალურ ფასეულობათა გადანაწილებასა. ამ სკოლის წარმომადგენლებსაც სასესხო კაპიტალი გაიგივებული ჰქონდათ რეალურ კაპიტალთან, ხოლო კრედიტი ასრულებდა მეორეხარისხოვან ფუნქციას **(Сей Ж, -Б.//Трактат по политической экономики,2000:202).**

მე-20 საუკუნის დასაწყისში აშშ–ში ეკონომიკური თეორიის ნეოკლასიკური სკოლის ალტერნატივად ჩამოყალიბდა ინსტიტუციონალიზმი, რომლის ცნობილ წარმომადგენლებად მოგვევლინენ **ტორსტენ ვებლენი** (Veblen) და **უესლი მიჩელი** (Mitchelle).

ტ. ვებლენი, როგორც ფულადი ციკლების თეორიის წარმოადგენელი, ეკონომიკური ციკლების მოვლენებს ხსნიდა მიმოქცევაში ფულის მასისა და კრედიტის ემისიითა და მისი შეკუმშვის მონაცვლეობით. იგი ეკონომიკის განვითარების მამოძრავებელ ძალად მიიჩნევდა არსებულ წინააღმდეგობებს ფინანსურ ინსტიტუტებსა და გარემო პირობებს შორის.

ტ. ვებლენი ხაზს უსვამდა საკრედიტო ბაზრის მნიშვნელობას, რომელიც გახდა თანამედროვე ეკონომიკის დამახასიათებელი ასპექტი და ასახვა ჰპოვა „საკრედიტო ეკონომიკის“ მაღალ დონეში. ამგვარი „საკრედიტო ეკონომიკისათვის“ ბაზარი გახდა წყარო, რომლის საშუალებითაც ხდება ფულადი დანაზოგების და

კაპიტალის მიწოდება. ამ ბაზრებზე საკრედიტო ინსტიტუტები გახდა დანაზოგებისა და კაპიტალის მიწოდების დომინირებული ძალა. აღნიშნული თეორიის ფარგლებში „ინსტიტუტის“ ცნებამ მიიღო ორმაგი ფორმულირება: **პირველმა,** როგორც ნორმათა ერთობლიობამ, რომელიც არეგულირებს ადამიანთა საქმიანობას და **მეორემ,** როგორც მასთან დაკავშირებულმა გარკვეული ორგანიზაციული სტრუქტურისა, რომლის საშუალებითაც საზოგადოება აკონტროლებს მათ. მთავარია ვაღიაროთ, რომ კვლევის ობიექტები, ინსტიტუტები, მათ შორის, საკრედიტო ბაზრის ინსტიტუტები, არ იყოფიან პირველადად და მეორადად და წინააღმდეგობაში არ მოდიან ერთმანეთთან.

ვებლენმა თავის ნაშრომებში ახსნა ფინანსური სექტორის განცალკევება რეალურისგან და დამოუკიდებელ სფეროდ ჩამოყალიბება, რომელიც შემდგომ თანდათან გახდა ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო. საკრედიტო ურთიერთობათა შემდგომმა სრულყოფამ თანდათან მიგვიყვანა სააქციო კაპიტალის ტრანსფორმაციასთან და ფასიანი ქაღალდების ფართო გავრცელებასთან და ფაქტიურად ახალი სახის ფულის ჩამოყალიბებასთან, რომელიც წარმოადგენს შემოსავლის ღირებულების გაზომვის საშუალებას და უზრუნველყოფს დანაზოგთა მოზიდვასა და მოძრაობას ინვესტიციებში სპეციალიზებული ფინანსური ინსტიტუტებისა და ინსტრუმენტების საშუალებით.

კრედიტის კაპიტალშემქმნელი თეორიის მიმდევრებმა ფართო გაქანება ჰპოვეს მე-20 საუკუნეში, მათ შორის, აღსანიშნავია: **ი. შუმპეტერი** (Shumpeter) (ავსტრია), **ა. განი** (Hahn) (გერმანია) **ჯ. კეინსი** (Keynes) და **რ. ჰოუტრი** (Houtr) (დიდი ბრიტანეთი) და სხვები.

ი. შუმპეტერს და **ა. განს** ბანკი ყოვლისშემძლედ მიაჩნდათ და თვლიდნენ, რომ კრედიტი ქმნის დეპოზიტებს, მაშასადამე იგი კაპიტალის შემქმნელია. მათ კრედიტი მიაჩნდათ განუსაზღვრელად. ამიტომ, ი. შუმპეტერი თვლიდა, რომ შესაბამისად უსაზღვროა მის მიერ შექმნილი დეპოზიტები და კაპიტალი, რაც წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის საფუძველს, ხოლო საკრედიტო ბაზრის სტრუქტურის ელემენტები

– ბანკები კი, ეკონომიკის მამოძრავებელ ძალას და აქედან გამომდინარე მან მიიღო „კრედიტის ექსპანსიონისტური თეორიის“ (credit expansian theory) სახელწოდება. **(Шумпетер И. Теория экономического развития. 1982: 230)**

კრედიტის კაპიტალშემქმნელმა თეორიამ ვერ შეძლო ეკონომიკური პრობლემების დაძლევა. ეს ნათლად გამოვლინდა მე-20 საუკუნის 20–30 წლების კრიზისის დროს, ე.წ. „დიდი დეპრესიის“ პერიოდში.

ი. შუმპეტერის აღნიშნული თეორია შემდგომ გამოიყენა **ჯ. კეინსმა** და შექმნა ეკონომიკის საკრედიტო რეგულირების მოძღვრება, რომლის მიხედვითაც, კრედიტი განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკის ზრდას. მისი აზრით, იმისათვის, რომ მოვახდინოთ წარმოებისა და სამომხმარებლო ბაზრის სტიმულირება, საჭიროა ინვესტიციური ნაკადებისთვის ხელისშემწყობა სასესხო პროცენტის (რეგულირების) შემცირების გზით, რომლის დონეც განისაზღვრება მიმოქცევაში არსებული ფულის მასის რაოდენობით. რაც საბოლოოდ საწარმოო და სამომხმარებლო მოთხოვნის გადიდებას და უმუშევრობის შემცირებას იწვევს.(**Кеинс Д. 1999: 346**)

სწორად შენიშნავს პროფ. **რ. კაკულია,** როდესაც აღნიშნავს, რომ **„ჯ. კეინსმა სასესხო კაპიტალი ფულთან გაათანაბრა და პროცენტის დონე განსაზღვრა მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობით. ჯ. კეინსის აზრით ფული გავლენას ახდენს პროცენტზე, პროცენტი ინვესტიციებზე, ინვესტიციები – წარმოებაზე, წარმოება – შემოსავალზე, შემოსავალი – ფასებზე. ჯ. კეინსის ასეთი მოსაზრება მას ფულის რაოდენობრივი თეორიის აპოგელეტად წარმოსახავს“** (**რ. კაკულია, გ. ხელაია. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია. 2000: 186**).

ამრიგად მე–20 საუკუნის დასაწყისში არსებული კლასიკური და ნეოკლასიკური თეორიის მიმდევრებმა კვლევის ობიექტად აირჩიეს საკრედიტო ბაზრის მონაწილეები, ხოლო მსესხებელთა როლში განიხილავდნენ საწარმოებსა და მეწარმეებს, კრედიტორების როლში კი ძირითადად წარმოდგენილი იყვნენ კომერციული ბანკები. ამასთან ერთად, ანალიზი უკეთდებოდა იმ ორგანიზაციათა საქმიანობას, რომლებიც საკრედიტო ბაზარზე ასრულებდნენ რეგულაციის ფუნქციებს.

მე–20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, როგორც ინსტიტუციონალიზმის თეორიული მემკვიდრეები, სათავეს იღებს **ფინანსური შუამავლობის თეორია** (theory

of financial intermediation). ამ თეორიას საფუძველი დაუდო ეკონომიკაში 1981 წლის ნობელის პრემიის ლაურეატმა **ჯეიმს ტობინმა** (Tobin), ცნობილ ამერიკელ მეცნიერებთან **ჯონ გერლისთან** (Gurley) და **ედვარდ შოუსთან** (Shaw) ერთად.**(Gurley J. G. Financial Aspects of Economic Development 1955: 515-538; Gurley J. G. Financial Intermediaries and the Saving – Investment Process 1956: 257-276)** მათ საკუთარ შრომებში ეკონომიკური ზრდის მაკროეკონომიკური ასპექტების და რეალური ეკონომიკის ფინანსურ სექტორთან ურთიერთობის შესწავლის და სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე ჩამოაყალიბეს დებულება იმის შესახებ, რომ აშშ–ის ეკონომიკის წინმსწრები განვითარება დაკავშირებულია სხვადასხვა სახის ფასიანი ქაღალდების გამოშვების ზრდასთა და სხვა საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობის გაფართოებასთან. აღნიშნულის შედეგად ადგილი აქვს ეკონომიკურ სუბიექტებს შორის სასესხო კაპიტალის (loanable funds) მოძრაობის გაფართოებას და დივერსიფიკაციას. ამასთან, საკრედიტო ბაზრებზე მიმდინარე ცვლილებებს თან ახლდა „დანაზოგთა და ინვესტიციათა“ ინსტიტუციონალიზაცია (institutionalization of saving and investmens) და ამ ბაზრებზე ახალი ინსტიტუტების ჩამოყალიბება, რომელსაც თან მოჰყვა როგორც ამ ახალ ინსტიტუტებს შორის, ისე მასა და საბანკო სექტორს შორის კონკურენციის გაჩენა. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ ხელს უწყობს ბანკების ეკონომიკური მნიშვნელობის ზრდას და მათი საქმიანობის ტრანსფორმაციას. ძალზე მნიშვნელოვანია მათ მიერ ამ ნაშრომში გაკეთებული დასკვნა, რომ მიუხედავად ფორმებში განსხვავებისა, ყველა საკრედიტო შუამავლებს გააჩნიათ ფუნქციონალური ერთობა, რომელიც მდგომარეობს კაპიტალის მოძრაობის ორგანიზაციაში.

თანამედროვე საკრედიტო ბაზრებზე აქტივების ტრანსფორმაცია ხორციელდება სამი პარამეტრის საშუალებით:

– **დროითი (ფინანსური ინსტიტუტების მიერ გამოშვებული და შეძენილი, ფინანსური ინსტრემენტების დაფარვის ვადების მოქნილი სისტემის გამოყენება);**

– **რაოდენობრივი (ფინანსური შუამავლების აქტივების დივერსიფიკაციის გზით რისკების შემცირება);**

– **ხარისხობრივი (საკრედიტო ინსტიტუტების მიერ დანაწევრებული სესხების გამოშვება, რომლის საფუძველზეც ხდება რისკის შემცირება, მათი ინვესტორთა დიდი რაოდენობას შორის გადანაწილებით).**

ფინანსური შუამავლები ახორციელებენ კრედიტორებისა და მსესხებლების სხვადასხვა მოთხოვნების შეთავსებას. სწორედ ეს მიდგომა დაედო საფუძვლად შემდგომში რთული სტრუქტურული ინსტრუმენტების ფორმირებას. ნიშანდობლივია, რომ ფინანსურ შუამავალთა აქტივობის პრაქტიკულ მხარეზე პირველად ყურადღება გაამახვილეს **ჯ. გერლიმ** და **ე. შოუმ. ჯ. ტობინმა** ხაზი გაუსვა მათ აზრს და მოგვცა თავისი ფორმულირება, რომელშიც აღნიშნავს, რომ ფინანსურ შუამავალთა არსებით ფუნქციას წარმოადგენს კრედიტორებისა და მსესხებლებისთვის ერთდროულად პორტფელური უპირატესობების მინიჭების დაკმაყოფილება.(**Tobin J. Commercial Banks as Creator of "Money" 1963: 408-419**) აქტივების ტრანსფორმაციის მიზეზად ჯ. ტობინმა დაასახელა შემდეგი: **პირველი,** შუამავლების დაკრედიტების გამოცდილება და მასთან დაკავშირებული ხარჯების ეკონომია, **მეორე** – აქტივებისა და ვალდებულებების გაერთიანების შედეგად რისკის შემცირება, **მესამე** – ბაზრებზე ფინასური შუამავალთა საქმიანობის რეგულატორთა დასწრება და სახელმწიფო დაცვის სისტემის გარანტიის არსებობა.

თავდაპირველად ფინანსური შუამავლობის თეორია ასახავდა საკრედიტო ბაზრების მოდელების ახალ ფუნქციებს და მათი ინსტიტუციური სტრუქტურის ელემენტებს და განმარტავდა მათ არსებობას. მათ კვლევებში მოყვანილი დასკვნები და ფაქტები შესაძლებელია დავაჯგუფოთ სამი ძირითადი **მიმართულებით: 1. ტრანსაქციული (transaction cost approach), რომელიც შუამავლობის არსებობას ხსნის ტრანსაქციული, ანუ მიმოქცევის ხარჯების შემცირებით; 2. ინფორმაციული (information based approach); რომელიც ხაზს უსვამს ინფორმაციული ასიმეტრიის ლიკვიდაციის აუცილებლობას და 3. ურთიერთ შემავსებელი მიდგომა(Complimentary explanations of intermediation), რომელიც აერთიანებს ორივე წინამდებარე არგუმენტებს (Tobin J. Commercial Banks as Creator of "Money" 1963: 408-419).**

ტრანსაქციური მიდგომის არგუმენტები განხილულია **ჯორჯ ბენსტონის** (Benston) და **კლიფორდ სმიტის** (Smith) ნაშრომებში. მათი აზრით, ბაზარზე დანახარჯები წარმოიშობა საქონლისა და მომსახურების ყიდვა-გაყიდვის პროცესში.

ხარჯები უშუალოდ უკავშირდება საქონლის ფასისა და ხარისხის შესახებ მონაცემების მიღებას, პოტენციურ კონტრაქტორთა შერჩევას და შესაბამისად თანხვედრი ხელშეკრულებების გაფორმებას. ფინანსური გარიგებების განხორციელებისას ტრანსაქციულ (მიმოქცევის) ხარჯებს მიკუთვნება სასურველი პარტნიორის მოძიების, მისი სანდოობის მონიტორინგის პროცესში გაწეული დანახარჯები და სააღსრულებლო ხარჯები. კერძოდ, როდესაც კრედიტორს იძულებით უხდება მსესხებლის მხრიდან კრედიტორთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. საკრედიტო ბაზრების საფინანსო შუამავლები მომხმარებლების ფინანსურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ახორციელებენ შედარებით დაბალი დანახარჯების საშუალებით, განსაკუთრებული ფინანსური პროდუქტების და მომსახურების ხარჯზე (specific financial commodities), რომლებიც ეხმარებიან მათ მოთხოვნილი თანხების სასარგებლო დროით გარკვეული შემოსავლების მიღებით განთავსებაში. შუამავლები ასევე უზრუნველყოფენ განთავსებული სახსრების ლიკვიდურობას. ყოველივე ეს ნათლად მიუთითებს, რომ საკრედიტო მომსახურების მომხმარებლების ტრანსაქციული (მიმოქცევის) დანახარჯების შემცირება მიიღწევა ფინანსურ შუამავალთა პროფესიული საქმიანობით (სპეციალიზაციის ეფექტი) და მათი წარმოების ეკონომიის სახით (ეფექტი საქმიანობის გაშტაბებიდან გამომდინარე).

მომდევნო პერიოდში ფინანსური შუამავლობის თეორიის ინფორმაციული მიდგომა შემუშავებულ იქნა უფრო ღრმად. უკვე მე-20 საუკუნის დასაწყისში ინფორმაციას განიხილავდნენ, როგორც მონაცემების გადაცემას ერთი ადამიანიდან მეორეზე ან ადამიანთა ჯგუფზე ზეპირმეტყველებით, ან წერილობითი ფორმით, სპეციალური პირობითი ნიშნებით, გადამცემი და მიმღები ხელსაწყოების გამოყენებით. შემდგომში ინფორმაციის ცნება თანდათან იხვეწებოდა და დღეითვის ინფორმაციის გადაცემა გაიგივებულია გარკვეულ აუცილებელ ელემენტთა შერჩევასთან, რომლის დროსაც მხედველობაში მიიღება გარკვეული ცოდნა ობიექტის შესახებ.

ინფორმაციის გადაცემის განუსაზღვრელობის თანამედროვე გაგებასთან ერთ–ერთი პირველი მივიდა ამერიკელი მკვლევარი ფრენკ ნაიტი (knight) რომლის შესწავლის დროს მან მოგვცა ალბათობის ორი ტიპი: **„აპრიორული და ემპირიული“** -

აპრიორული, განისაზღვრება წინასწარ დასმული საერთო პრინციპებით **„აპრიორული ალბათობა – არის ერთგვაროვან მოვლენათა აბსოლუტური კლასიფიკაცია. მსგავსთა მთლიან ერთობლიობაში“,** ანუ მაგალითად კამათელის თამაშისას ალბათობა ნებისმიერი ციფრის მოსვლისა ტოლია ერთი მეექვსედის. **ემპირიული,** კი შესაძლებელია განისაზღვროს მხოლოდ ემპირიულად, კერძოდ: შემთხვევითი ფაქტორების გამორიცხვის შეუძლებლობით და სრული ერთგვაროვნების მიღწევით გამოყოფილი კლასის შიგნით, **„ალბათობის ხდომილობის ემპირიული შეფასება მტკიცებულებისა და არდამდგარი კომბინაციის მოხდენისა ტოლია ხდომილებათა ალტერნატივისა“ (Наит Ор. Понятие риска неопределенности. 1994: 21).**

მეცნიერულ–ტექნიკური რევოლუციის გავლენის შედეგად მე–20 საუკუნის შუა ხანებში განსაკუთრებით გაიზარდა ინფორმაციის გაცვლის როლი ეკონომიკურ ცხოვრებაში, მათ შორის, საკრედიტო ბაზარზე, ეს მოვლენა უყურადღებოდ არ დარჩენილა მეცნიერ-ეკონომისტთა მხრიდან. ფინანსური შუამავლობის თეორიაში ინფორმაციული მიდგომის ფუძემდებლებად გვევლინებიან: **ჯოზეფ სტიგლიცი** (Stiglitz), **ჯორჯ აკერლოფი** (Akerlof), და **მაიკლ სპენსა** (Spence), რომლებიც აღნიშნული თემატიკის კვლევისთვის 2001 წელს მოგვევლინენ ნობელის პრემიის ლაურეატებად ეკონომიკის დარგში. მათ საკუთარ ნაშრომებში **(Akerlof G. A. The Morket for “Lemons”: Qualitatie Uncertaint and the Marke Mechanism, 1970: 488-500; M. spencell Journal of Economic Theorx. 1974: 296-332; Stiglitz J. E. Information and Economic Analysis 1975: 27-52)** დაასაბუთეს საბაზრო ინფორმაციის ასიმეტრიულობის ფენომენის უნიკალური ხასიათი, ანუ სიტუაცია, რომლის დროსაც ბაზრის ერთი მონაწილე ინფორმირებულია სხვებზე უფრო მეტად საკრედიტო ბაზრის ინსტიტუტების გამოყენების კუთხით. ეს თემა დამუშავებული იქნა **ხეინე ლილენდის** (Leland) და **დევიდ ჰაილეს** მიერ **(H.E. Leland, D. H. Pylell Financial Intermediaries.1995: 247-263.).** ანალიზი შეეხებოდა ფინანსური შუამავლების საქმიანობის საინვესტიციო პროექტების დაფინანსებას ისეთ სიტუაციაში, რომლის დროსაც კრედიტორი სრულად არ ფლობს ინფორმაციას მეანაბრის ფინანსურ მდგმოარეობაზე ან მისი პროექტის ხარისხზე. აღნიშნულის შედეგად იქმნება არასასურველი არჩევანის სიტუაცია (advance selection).

არსებულ მომანტში წარმოადგენილი მონაცემებზე დაყრდნობით: ლილენდმა და ჰაეილმა მოგვცეს ორი უმნივშენლოვანესი დასკვნა. **პირველი,** საკრედიტო ბაზრებზე არსებულ ინფორმირებულ მომხმარებელთა შესაძლებლობებს შესახებ, რომლებსაც შესწევთ უნარი აწარმოონ და რეალიზაცია გაუკეთონ ინფორმაციულ პროდუქტებს. მაგალითად, მონაცემები რომელიც მოიცავენ ინფორმაციას აქტივების შესახებ, რომელიც ინტერესის საგანია ინვესტიციებისთვის. ასეთი საქმიანობა იქნებოდა რენტაბელური სპეციალიზაციის ეფექტის ხარჯზე და ხელს შეუწყობდა ფინანსური ნაკადების ზრდას და საკრედიტო ბაზრის განვითარებას მთლიანობაში.

მეორე მხრივ, მკვლევართა აზრით, ამ ინფორმაციულ შუამავალთა ეფექტური მუშაობისთვის აუცილებელი და სასურველია, რომ ისინი იყვნენ სრულუფლებიანი ფინანსური შუამავლები და იძლეოდენ ე.წ. „სიგნალს“ და საკუთარ ინფორმაციულ პროდუქტს იყენებდნენ აქტივების დამოუკიდებლად შესაძენად.

ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტის **დუგლას დაიმონდის** (Diamond) შრომებში ინფორმაციული მიდგომა განხილულია, როგორც მონიტორინგის დელეგირების კონცეფცია (delegatel monitoring). **(D.W. Diamond /Economic Quarterly. Federal Reserve Bank of Richmond, 1996: 65)** საკრედიტო ბაზრებზე შუამავლები მეანაბრის მდგომარეობის განსაზღვრიდან გამომდინარე ამცირებენ ხარჯებს მათი მორალური რისკის პრობლემების ლიკვიდაციის (moral hazand) მიზნით და მათ მოტივაციას კრედიტორის (incentive problem) ინტერესებიდან გამომდინარე. შუამავლის საქმიანობა, რომელიც აერთიანებს მრავალ მეანაბრეთა საინვესტიციო მისწრაფებებს, სასარგებლოა სწორედ მათთვის. სხვაგვარად პირდაპირი დაკრედიტებისას მოუწევდათ საკუთარ მონდომებათა დუბლირება, ანუ საკუთარ მისწრაფებებთან შეჯამება და ხარჯებისა და პასუხისმგებლობათა სხვა კრედიტორზე გადატანა (ეგრეთწოდებული უბილეთოს პრობლემა (tree-rider problem)). მაგრამ ერთის მხრივ იგი არ ხსნის აგენტის პრობლემას (agent problem), რომელიც ჩნდება მაშინ, როდესაც მეანაბრეებს არ გააჩნიათ საიმედო ინფორმაცია შუამავლის-აგენტის ფაქტიურ მოქმედებებზე, რასაც მივყავართ უშუალოდ შუამავლის მონიტორინგის აუცილებლობასთან და დელეგირებას ხარჯებთან (delegation costs). დ. დაიმონდის თანახმად, საკრედიტო ბაზარზე შუამავლების საქმიანობის ორგანიზება შესაძლებელია იმგვარად, რომ უზრუნველყოთ მეანაბრეთა უპირატესობის მიღწევა

ხარჯების მიმართ. ეს უკანასკნელი მიიღწევა საკრედიტო პორტფელის დივერსიფიკაციით და შუამავლების მიერ სავალდებულო სადეპოზიტო ხელშეკრულებაში ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც არ საჭიროებს შესაბამის ძვირადღირებულ მონიტორინგს. ფინანსური შუამავლები, მეანაბრეებს სთავაზობენ სახსრების განთავსებას „მოთხოვნამდე“ რეჟიმში, რომლიდანაც თვითონ ახორციელებენ ამა თუ იმ გრძელვადიან საინვესტიციო პროექტების დაფინანსებას და გვევლინებიან ეკონომიკური აგენტების როლში, რომლებიც უზრუნველყოფენ მის ლიკვიდობას.

ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტებმა **ჯონ ბოიდმა** (Boyd) და **ედვარდ პრესკოტმა** (Prescott) შეიმუშავეს ფინანსურ შუმავალთა მოდელი, (**Boyd J.H. Financial Intermediary-conlitions/S.H. Boyd E. C. Prescott // Sournal of Economic Theory. 1986. vol. 38. p. 211-232)** რომელიც ურთიერთქმედებს მრავალ მსესხებელსა და მეანაბრეს შორის და **დ. დაიმონდის** კონცეფციისგან განსხვავებით, ინფორმაციულ ასიმეტრიასთან შეხებაში მოდის ორჯერ: ხელშეკრულების გაფორმებამდე (ნეგატიური შერჩევის სიტუაციაში) და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ (დამატებითი შეფასებისას). მას მივყავართ შუამავალთა კოალიციის ჩამოყალიბებასთან (intemediary coalition)- ინსტიტუტების გაერთიანებასთან, რომლებიც ახორიცელებენ მაღალი კლასის პროექტებში განთავსებასათვის საკუთარი და ნასესხები სახსრების შეფასება - შერჩევას, რომელთა მფლობელებიც ვალდებულნი არიან მონაწილეობა მიღონ მათ დაფინანსებაში. ასეთი წესი ითვალისწინებს ეფექტური ინფორმაციის მიღებას მსესხებლისაგან და თავიდან გვაცილებს მათ ნეგატიურ შერჩევას პროექტის დასაწყისში.

ურთიერშემავსებელი მიდგომის მომხრები ტიმ კემბელი (Campbel) და ვილიამ კრეკოუ (Kracow) დაჟინებით მიგვითითებდნენ იმაზე, რომ ტრანსაქციური დანახარჯების შემცირება, ინფრმაციული პროდუქტის წარმოება და შუამავლობის სხვა სახეები საკრედიტო ბაზარზე წარმოადგენენ საქმიანობის კომპლემენტარულ სახეს. **(T. S. Campbell, W.A. Kracaw// Journal of Finance. 1980: 863-882)** შუამავლები ჩნდებიან იქ, სადაც მათ შესწევთ უნარი ეფექტურად შექმნან და რეალზაცია გაუკეთონ, როგორც იფნორმაციას, ისე მნიშვნელოვანი ფასეულობის მატარებელ პროდუქტებს და მომსახურებას. ამრიგად, ამ ავტორების იდეები პირდაპირ

გადაჯაჭვულია ფირმის თეორიასთან, რომლის ავტორადაც გვევლინება რ. კოუზი (Coase) (**R. H. Coase// Economica. 1937: 386-405)**, რომელიც ამტკიცებს, რომ ფირმა წარმოადგენს საბაზრო გარიგების ალტერნატივას, რამდენადაც პროცესები ეფექტურად არის ორგანიზებული „ბრძანებების“ საშუალებით (მაგალითად, ამოცანის დასმა, თანამშრომლებს შორის პასუხისმგებლობის გადანაწილება, სამუშაოთა კოორდინაცია), და არა საბაზრო ფასის მეშვეობით. ასეთ სიტუაციებში სასარგებლოა გამოყენებული იქნეს ორგანიზაციის სტრუქტურა, ვიდრე დავეყრდნოთ საბაზრო ძალებს. შემდგომში აღნიშნულ მეცნიერთა იდეები გამოყენებული იქნა სპეციალურ ორგანიზაციათა ფუნქციონირების დასაბუთებისათვის, რომლებიც საკრედიტო ბაზარზე ასრულებენ ინფრასტრუქტურულ ფუნქციებს.

ზემოთ აღნიშნული თეორიული კონცეფციებით სწავლობდნენ რა საკრედიტო ბაზრის მონაწილეთა საქმიანობას, დასაბუთებულ იქნა საკრედიტო ბაზარზე საშუამავლო ინსტიტუტების არსებობის აუცილებლობა. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური შუამავლობის თეორია ძირითადად იკვლევდა საკრედიტო ბაზრის სტრუქტურულ ელემენტებს, სადაც ბანკები და სხვა საფინანსო ინუტიტუტები განიხილებოდნენ როგორც შუამავლები, რომლებიც ემსახურებიან აქტივებში ლიკვიდურ ვალდებულებათა ტრანსფორმაციას, ტრანსაქციური (მიმოქცევის) დანახარჯების შემცირებას და ინფორმაციის ასიმეტრიის ლიკვიდაციას, ამ თეორიის დასკვნებმა შეასრულა უდიდესი როლი საკრედიტო ბაზრის სპეციალიზირებული ინფრასტრუქტურული ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში.

ამრიგად, მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში დასავლეთის ეკონომიკურ ლიტერატურაში ჩამოყილიბდა მყარი თეორიული სკოლები, რომლებიც საკრედიტო ბაზრების სტრუქტურული და ინფრასტრუქტურული ინსტიტუტების აღმოცენებას და არსებობას მიიჩნევდნენ, როგორც შუამავლობას უფრო ფართო საფინანსო ბაზრის საზღვრებში. ერთის მხრივ, უკანასკნელ პერიოდში თვით საფინანსო ბაზის ფუნქციონირების ფარგლებში მომხდარმა ცვლილებებმა მეცნიერები აიძულა მოეძებნათ ახსნა მიდგომების სრულყოფის ფარგლებში. მე-20 საუკუნის ბოლო

ათწლეულიდან დასაბამს იღებს ისეთი ეკონომიკური კონცეფციები, როგორიცაა: ლიკვიდობის უზრუნველყოფის კონცეფცია და რისკების მართვის კონცეფცია.

პირველი კონცეფციის არსი გადმოცემულია **კ. კალომირისის** (Calomiris) (**C. W. Calomiris, C. M. Kahn//American Economic Review. 1991: 497-513)**, კ. კანას (Kahn) და მ. ფლაინერის (**Flannery M. J. Debt Maturity and the Deadwwignt cost of heveragy, 1994: 320-331)** (Flannery). შრომებში, რომელიც შემდგომ განავითარა **რაგჰურ რაჯანმა** (Rajan) (**R.G. Kajan/Sournal of money credit and banking, 1998:. #3 (part 2)**. აღნიშნულმა ავტორებმა გამოიყენეს საკითხისადმი ინტეგრირებული მიდგომა, იხილავდნენ რა ერთობლიობაში საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობას და ფინანსური პროდუქტის ფორმებს, რომლის რეალიზებასაც ისინი ახდენდნენ. შუამავლობის არსებობის ძირითადად მიზეზად ისინი მიჩნევდნენ ბაზრის ყველა მონაწილეთა ლიკვიდობის მაღალი ხარისხით უზრუნველყოფას (provision of Riquidity on demand). ამასთან ერთად, რაჯანი მიუთითიებდა, რომ საკრედიტო ბაზარზე- „სწორი ინფრასტრუქტურის პირობებში ფინანსისტებს შეუძლიათ დაძლიონ გირაოს ბატონობა და კრედიტი გახადონ ღარიბებისთვისაც ხელმისაწვდომი“ (**Р. Г. Раджын. Л. Зингалес. 2004: 80)**.

მსესხებელთათვის ეს უკანასკნელი ნიშნავდა პრობლემის გადაჭრას მიმდინარე ლიკვიდობის უზრუნველყოფით ფინანსურ რესურსებთან ხელმისაწვდომობის გზით და სამომავლოდ ანალოგიურ მოთხოვნათა გადაჭრას გრძელვადიანი გარანტიებით. ბანკებისთვის იგი განსაკუთრებით თვალნათლივ ვლინდება საკრედიტო ხაზის გარანტიებისა და საკრედიტო ვალდებულების გაცემის დროს, ხოლო მეანაბრეთათვის ლიკვიდობის უზრუნველყოფა ხორციელდება განთავსებულ სახსრებზე სწრაფი ხელმისაწვდომობის საშუალებით. მსესხებელთა და მეანაბრეთა მოთხოვნების ერთდროული დაკმაყოფილების საშუალებით მიიღწევა ფულად ოპერაციათა მასშტაბის ეკონომია. ხოლო ლიკვიდურ აქტივებს, ნაღდი ფულს, ფასიან ქაღალდებს და არა ლიკვიდურ აქტივებს შორის რაციონალური თანაფარდობას დადგენა და მათი კონტროლის ქვეშ გამოყენება, იძლევა საშუალებას მიღწეულ იქნას ლიკვიდობის ურთიერთდაზღვევის ეფექტი.

მეორე თანამედროვე თეორიას განეკუთვნება **რისკების მართვის კონცეფცია,** რომელიც ჩამოყალიბებული იქნა ცნობილი ამერიკელი მეცნიერების: **ფ. ალენის**

(Allen), **დ. გეილის** (Gale) და **ე. სანტომერის** (Santomero) მიერ პენსილვანიის უნივერსიტეტიდან **(F. Allen, D. Gale// 1997: 523-546; F. Allen. A. Santomero 1997: 461-1485).**

მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში, როდესაც სახსრების განთავსებისთვის დაიწყეს მაღალშემოსავლიანი ინოვაციური საკრედიტო პროექტების გამოყენება, ინვესტორებმა საკუთარი რისკის მართვისთვის მიმართეს რისკის მართვის რთული ელემენტების გამოყენებას. ამასთან ერთად ტრადიციული საკრედიტო ინსტიტუტები განიცდიდნენ რა სახსრების გადინებას, იძულებულნი გახდნენ დაკავებულიყვნენ ანდერაიტინგით, დაზღვევით და აქტივების მართვით. ვარტონის სკოლის (Warton School) მეცნიერთა აზრით სიახლის გამოჩენის მოტივაციას წარმოადგენდა მონაწილეობის ხარჯების შემცირება. (participation costs), ამიტომ პრობლემის აღმოფხვრა შესაძლებელი იყო ამ ფუნქციებისა და თვით გადაწყვეტილების მიღების პროცესის გადაცემით ინფრასტრუქტურული საკრედიტო შუამავლებისთვის. აღნიშნულის შედეგად საკრედიტო ბაზრის მონაწილეებს შორის და თვით ბაზართან მიმართებაში ჩამოყალიბდა სიმბიოზური ურთიერთობა (Symbiotic relationship). ამრიგად, საკრედიტო ბაზარზე ინოვაციები ხდება თანამედროვე საზღვარგარეთული შუამავლობის თეორიის ძირითადი ამოსავალი პუნქტი.

დასავლეთ ევროპის მეცნიერთა გვერდით, ყოფილ საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში განიხილებოდა გამანაწილებელი საკრედიტო სისტემა, როგორც ერთობლიობა ელემენტებისა, რომლებიც ახასიათებდა საკრედიტო ურთიერთობებს და მათ გამოყენებას სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივი წარმოების მართვის პროცესში **(О. Н. Лаврушин. 1991: 15).** ამიტომ, თანამედროვე რუსული სკოლის მეცნიერები ტრადციულად საუბრობენ: **„საკრედიტო სისტემაზე"; „ფულად-საკრედიტო სისტემაზე"; „საბანკო სისტემაზე"** და ა.შ.

დღეს საკრედიტო ურთიერთობები ღებულობენ ახალ ფორმებს ფასიანი ქაღალდების გამოშვებით, როგორიცაა დიზინტერმედიაცია (disintermediation) და სეკიურიტიზაცია (securitization), რომლის შედეგად ძლიერდება კონკურენცია თვით ბანკებს, საბანკო და არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებებს შორის, ამ საკითხებზე რუსულ ეკონომიკურ ლიტერატურაში მხოლოდ ბოლო პერიოდში დაიწყო მსჯელობა.

ამრიგად, საკრედიტო ბაზრის ფუნქციონირების თანამედროვე თეორიული მიდგომებისა და შეხედულებების გაანალიზებამ თვალნათლივ დაგვანახა, რომ თავისი განვითარების მანძილზე იგი თანდათან იხვეწება და სრულყოფილი ხდება. ამასთან, საკრედიტო ურთიერთობების ბუნების შესახებ კონცეფციები ფართოვდება და მას უფრო მრავალფეროვანი შინაარსი ეძლევა, ვიდე ეს იყო ისტორიულ წარსულში, რაც განპირობებულია კრედიტის და საფინანსო ბაზრების როლისა და ბერკეტების გაფართოებით და იმ რისკებით, რომელიც მის გამოყენებას თან ახლავს.

1.2. თანამედროვე ლიტერატურის მიმოხილვა

დღეისათვის ეკონომიკურ ლიტერატურაში ფართოდ განიხილება საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელის და **საკრედიტო ბაზრების გამართული ფუნქციონირების გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.** აღნიშნული საკითხი აქტუალურია, როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნების მათ შორის საქართველოს ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისათვის. რადგან ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და დაჩქარებული ეკონომიკური ზრდის მიღწევისთვის მეტად მნიშვნელოვანია ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედი საკრედიტო ბაზრის ფაქტორების გამოვლენა, შესწავლა და ზემოქმედების მექანიზმის გაანალიზება.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა უცხოელ მეცნიერთა მიერ აღნიშნული პრობლემის შესწავლის დონის გაანალიზება. წარმოდგენილი პრობლემის შესწავლას ეხება ნიგერიის უნივერსიეტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის მკვლევარის **ორჯი ენტონის** ჩატარებული გამოკვლევა, თუ როგორ გავლენას ახდენს ნიგერიის ეკონომიკურ ზრდაზე 1970-2006 წლებში საბანკო დანაზოგები და საბანკო კრედიტები. კვლევის შედეგად მიღებულ იქნა ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედების ორი მოდელი. **პირველი** სპეციფიკაციის მოდელში ARDL-ECM რეგრესიისთვის წარმოდგენილია ისეთი სპეციფიკაციის ცვლადები, როგორიცაა: **ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი (PCY), საბანკო შიდა დანაზოგების თანაფარდობა მშპ-ის მიმართ საბაზრო ფასებით, მეორე მიზნის მიღწევისთვის შემუშავებული იქნა მეორე**

სპეციფიკური მოდელი, რომელშიც მთავარი აქცენტი გაკეთდა ნიგერიაში ეკონომიკურ ზრდაზე, კერძოდ, იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს საბანკო შიდა დანაზოგები, საბანკო კრედიტები და რეგრესიის სხვა ცვლადი მაჩვენებლები მშპ-თან მიმართებაში (**Orji Antbouny, Bank Savivings and Bank Credits in Nigeria: International of Economics and Financial 2012: 357-372. www. Econjournals.com**).

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ნიგერიის მთავრობას მიეცა რეკომენდაციები საკუთარი ძალისხმევა მიმართოს ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების გადიდებისკენ, უმუშევრობის დონის შემცირებისკენ და ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის დაჩქარების ხელ შემწყობი საბანკო კრედიტების და დანაზოგების ეფექტურად გამოყენებისთვის.

საქართველოსთვის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით მეტად აქტუალურია ელ-რეადში, საუდის არაბეთის ისლამური უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფის მიერ განხორიცელებული კვლევა: **კატარში ფინანსური განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხარისხის ამაღლებისთვის.** კვლევაში ემპირიულად შესწავლილი და დასაბუთებულია კატარში ფინანსურ განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის გრძელვადიანი მიზეზ- შედეგობრივი კავშირი 1990-2012 წლებში. ქვეყნის ფინანსური განვითარება გაზომილია სამი ალტერნატიული მაჩვენებლით: **ფართო ფულის (M2) დამოკიდებულებით მშპ-ის მიმართ, კერძო სექტორის საბანკო დაკრედიტების თანაფარდობით მშპ-თან და საბანკო სექტორის მიერ წარმოდგენილი შიდა კრედიტის თანაფარდობით მშპ-ის მიმართ.** ეკონომიკური ზრდი საზომად მიჩნეულია რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი. კვლევით მიღებულმა შედეგებმა დაგვანახა, რომ სამივე ფინანსურ ინდიკატორსა და მშპ-ის რეალური ზრდის ტემპს შორის არსებობს გრძელვადიანი დადებითი წონასწორობრივი კავშირი. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ფართო ფულის მასას (M2) და მშპ-ს შორის და ასევე მშპ-ის ზრდის ტემპს შორის არსებობს ორმხრივი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, ხოლო ცალმხრივი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არსებობს საბანკო სექტორის შიდა კრედიტების. მშპ-თან მიმართებაში და მშპ-ის ზრდის ტემპს შორის მოკლევადიან პერიოდში. ჩატარებული დაკვირვების შედეგებმა გვიჩვენა, ცალმხრივი მიზეზ შედეგობრივი კავშირი მშპ-ის ზრდის ტემპსა და საბანკო

სექტორის მიერ წარმოდგენილ შიდა კრედიტებს შორის.(**Waieed likhuzaim. Degree of Financial Development and Economics Growth un Qatar: 2014: 357-372. www. Econjournals.com)**

საბანკო კრედიტსა და ეკონომიკურ ზრდას შორის არსებულ ურთიერთობებს ეხება **მაკაოში ხო ნგან ვანის** შრომა, რომელშიც ავტორი აღიარებს, რომ ფინანსური განვითარება და სტრუქტურა მჭიდრო კავშირშია ეკონომიკურ ზრდასთან. თავის მხრივ, ქვეყნის ფინანსური განვითარება დადებით ზეგავლენას ახდენს ინვესტიციების მოზიდვის დონეზე, მაგრამ შედარებით დაბალ კორელაციურ კავშირშია წარმოების ზრდასთან. ემპირიულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ მთელი რიგი ფინანსური მაჩვენებლები მტკიცე და პოზიტიურ კორელაციაშია ეკონომიკურ ზრდასთან. მაკაიში დიდი ყურადღება ექცევა საბანკო სესხებზე ხელმისაწვდომობას და მას განიხილავენ წარმოების განვითარების ერთ-ერთ მამოძრავებელ ფაქტორად. (**Ho Ngai Wa. Bank Credit and Economic Growth in Macao. Monetary Authority of Macao, 2005.**)

მეტად საყურადღებოა საერთაშორის სავალუტო ფონდის მიერ ჩატარებული კვლევა: მაკრო ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკა: საკრედიტო ბუმთან და დაქვეითებასთან მუშაობის კუთხით. „საკრედიტო ბუმის“ - ეპიზოდები, რომელიც მოიცავს დაკრედიტების სწრაფ ზრდას, წარმოადგენს ქვეყნისათვის პოლიტიკურ დილემას. ფინანსებთან ხელმისაწვდომობის გაფართოება, ინვესტიციების მოზიდვის ფართო მხარდაჭერა და ეკონომიკური ზრდა **(Ho Ngai Wa. Bank Credit and Economic Growth in Macao. 2005)** ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ როდესაც გაფართოება ღებულობს მკვეთრად დაჩქარებულ ხასიათს მან შესაძლებელია მიიღოს შეტევითი ხასიათი, სუსტი დაკრედიტების სტანდარტების პირობებში, შესაძლებელია მივიღოთ საკრედიტო სახსრების უსაზღვრო გამოყენება და ფასების საშიში ბუშტი აქტივებზე. ჩვეულებრივ „საკრედიტო ბუმები“ დაკავშირებულია ფინანსურ კრიზისთან (**Waieed likhuzaim. 2014: 357-372. www. Econjournals.com**), „საკრედიტო ბუმები“ საუკეთესო სიტუაციაშიც საშიშია, ხოლო უარეს შემთხვევაში სახეზე გვაქვს კატასტროფა (გიურინშასი, ვალდესი და ლანდერმეტშე 2001, ბორიო და ლოუ 2002, ენოქსი და ქუტკეტ-როდე 2007). ამ საშიშროებებზე უახლოეს მსოფლიო კრიზისამდე ყურადღებას არ ამახვილებდნენ.

საკრედიტო ბუმების პრობლემატიკაზე საინტერესოა ინდოეთის და პოლონეთის ცენტრალური ბანკების მიდგომები, საკრედიტო ბუმის პირობებში

ძალზე ძნელია ჯანსაღი და არაჯანსაღი საკრედიტო ნაკადების ერთმანეთისგან გარჩევა, ამიტომ პოლიტიკა მიმართული უნდა იქნეს მიმართული შედეგების შეკავებისკენ. ამ მიზნით აუცილებელია განვლილი პერიოდის შედეგებზე მონიტორინგის და კონტროლის ეფექტური ინსტრუმენტების გამოყენება. უკვე დამუშავებულია ნორმატიული ბაზაც, მაგალითად ბაზელ III-მმა მოქმედებაში შემოიღო კაპიტალის ბუფერების მთელი რიგი, რომლის კორექტირება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზე გვაქვს კრედიტების ზღვარგადასული ზრდა. (საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი 2010). (**Giovanni Dell Aniccia, Deniz Ig, Lus Laeven, and Hui Tong, 2012.**)

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ამ დოკუმენტში განხილულია საკითხი, თუ როგორ და რა დოზით უნდა განვახორციელოთ ჩარევის პოლიტიკა საკრედიტო ბუმის, თუ საკრედიტო დაქვეითების პერიოდში.

კვლევაში ასევე გაანალიზებულია ის გეოგრაფიული რაიონები, მათი მდომარეობა და პრობლემები, სადაც უფრო მოსალოდნელია ბუმის ეფექტი. ავტორები ასეთ ქვეყნებად მიიჩნევენ აფრიკის სამხრეთის და ლათინური ამერიკის ქვეყნებს, ასევე ევროკავშირში, გაფართოების პროცესში შესული აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს.

ეკონომიკური ზრდის კუთხით ძალზე საინტერესოა სისტემური საბანკო კრიზისის დადგომის გამაფრთხილებელი ინდიკატორის დამუშავება. ამ მიზნით დღეისათვის აქტუალურია **მატიას დრემანის** სტატია, რომელიც ეძღვნება საბანკო კრიზისის წინაპერიოდის გამოვლენის ინდიკატორების დამუშავებას. ავტორი სტატიაში ყურადღებას ამახვილებს საბანკო კრიზისის ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა: **კერძო სექტორის საკრედიტო ბუმი, არასაკრედიტო დაკრედიტება, კრედიტების თანაფარდობა მშპ-თან მიმართებაში და სხვა.** ავტორი განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებს BIS-ის მონაცემთა ახალ ბაზარზე, რომელიც ცხადყოფს, რომ ბანკებს შეუძლიათ მოიცვან კერძო არასაფინანსო სექტორის დაკრედიტების 30%-ი. ავტორის ანალიზი მთლიანობაში ეყრდნობა BIS-სის ახალი ბაზის მონაცემებს, ბანკების და კერძო არასაფინანსო სექტორის დაკრედიტებას.

ავტორი სამოქმედო დოკუმენტში ყურადღებას ამახვილებს ორ მიზეზზე, რომლის დროსაც:

1. ბანკები შესაძლებელია დაზარალდნენ ჭარბი კრედიტების გაცემით;

2. კერძო საფინანსო სექტორის დაფინანსებით, რომელსაც შესაძლებელია მოჰყვეს გაუთვალისწინებელი შედეგები.

მატიას დრემანი ყურადღებას ამახვილებს ცაკეული სახის კრედიტების მშპ-თან თანაფარდობის შეფასებაზე, რომელიც შესაძლებელია მოგვევლინოს საბანკო კრიზისის დაწყების ერთ-ერთ ინდიკატორად. ამ თანაფართდობის პროცენტულმა მაჩვენებელმა შესაძლებელია მიგვანიშნონ ქვეყანაში საბანკო კრიზისის დაწყება.

საკრედიტო ბაზრის ფორმირების და განვითარების საკითხებს ეძღვნება ხორვატიიც ეროვნული ბანკის კვლევა, რომელიც მოიცავს ხორვატიაში კრედიტებზე მოთხოვნის შეფასების საპროექტო ვერსიას. პროექტის ავტორებია: **კატია გაუტინ-ტურკაჩი, იგორ ლუბაჩი, ანა მარტინი, მარკო მრკაჩი** (**Katja Gattin-Turkalj, Igor Ljubaj, Ana Martinis, Marko Mrkalj. 2007).**

კვლევა ეხება ფულად აგრეგატებს და კრედიტებზე მოთხოვნას, როლებიც ტრადიციულად წარმოადგენენ შუალედურ მიზანს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის, რომლის საშუალებითაც ცენტრალური ბანკები ცდილობენ ფასების სტაბილურობის მიღწევას ქვეყანაში. უკანასკნელ პერიოდში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში აქტუალური გახდა „საკრდიტო ბუმის“ დადგომისა და მისი პროგნოზირების საკითხები. აღნიშნულის გათვალისწინებით კრედიტზე მოთხოვნის სწორი პროგნოზირება, ხელს უწყობს ქვეყანაში ფინანსური სტაბილურობის მიღწევას და ეკონომიკური ზრდის აღმასვლობას, რომელიც დღეისათვის ასევე აქტუალურია ხორვატიისთვის.

ნაშრომში ავტორების მიერ სტანდარტულ კრედიტზე მოთხოვნის დე-ტერმინანტების გამოყენებით, უმცირესი კვადრატების მეთოდის გამოყენებით განსაზღვრულია ხორვატიაში კრედიტების საერთო მოცულობაზე მოთხოვნა.

კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ კრედიტების ქცევა, შესაძლებელია ავხსნათ რეალური მშპ-ის და კრედიტების რეალური საპროცენტო განაკვეთების საშუალებით. მშპ-ტი წარმოადგენს მნიშვნელოვან ძალას, რომელიც დგას კრედიტებზე მოთხოვნის ფორმირების უკან. სხვა ცვლადების გამოყენებით იყო მცდელობა საბაზო სპეციფიკაციის საიმედოობის შემოწმებისა. ამ ცვლადებს წარმოადგენდა: ინფლაცია, ევროს ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ. დოლარზე,

ხოლო ცვლადების პერიოდი მოიცავდა 90-იანი წლების ბოლოსა და 2006 წლამდე პერიოდს.

კვლევაში დიდი ყურადღება ეთმობა მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლას კრედიტებზე, რადგან, როგორც ეკონომიკური ლიტერატურის განხილვამ გვიჩვენა, კრედიტებზე მოთხოვნას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ფასები უძრავ ქონებაზე. ხოლო, როგორც კვლევა ადასტურებს, კრედიტების საპროცენტო განაკვეთების ზრდა უარყოფითად მოქმედებდა მოსახლეობის მხრიდან კრედიტებზე მოთხოვნაზე.

ასევე, კვლევით დადასტურდა მაღალი კორელაცია კრედიტებსა და მშპ-ს შორის, რომლის გამოყენების იდენტიფიკაცია წარმატებითაა შესაძლებელი გრძელვადიან პერიოდში.

მაკროეკონომისტებმა უკვე დიდი ხანია აღიარეს, რომ მათი საქმიანობა აკრძალულ ზღვარს იქით არასაიმედოა რეალური დროის რეჟიმის პირობებში და მან შესაძლებელია შეუქმნას სერიოზული სირთულეები ქვეყნის ეკონომიკური სტაბილიზაციის პოლიტიკას.

სტატიაში კრედიტების მშპ-თან თანაფართობის უკმარისობის ნომინალური კოეფიციენტების გამოყენება ათვლის წერტილად ითვლება კაპიტალის დაგროვების ანტიციკლური ბუფერისთვის. პრაქტიკულად გამოთვლილია შეფასებები კრედიტებისა და მშპ-ს შორის თანაფართობისა რეალური დროის პირობებში, კაპიტალის ანტიციკლური ბუფერის დადგომის დროს.

ფინანსური სისტემის განვითარების დეტერმინანტები და კერძო სექტორის ლიკვიდაციების საკითხებია განხილული ახლო აღმოსავლეთის ტექნიკური უნვიერსიტეტის **ერჟენ საიუტის** სამაგისტრო ნაშრომში. (**ERZEN SOGUT, THE DETERMINAANTS OF FINANSIAL DEVELOPMENT AND PRIVATE SECTOR CREDITS: 2008.)** კვლევის პერიოდი მოიცავს 1980-2006 წლებს. ნაშრომში გაკეთებულია დასკვნები, რომ სახელმწიფო სექტორში კრედიტების მოცულობის გადიდებას და სახელმწიფო ვალის ზრდას მივყავართ კრედიტების მოცულობის შემცირებასთან კერძოდ სექტორში დაბალი - შემოსავლების მქონე ქვეყნებში, ხოლო მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში კერძო სექტორის დაკრედიტება იზრდება სახელმწიფო სექტორის კრედიტებით და მცირდება ცენტრალური ხელისუფლების ვალის ზრდის

პარალელურად. ფინანსურ განვთიარებაზე უარყოფითად მომქედებს ინფლაცია, ხოლო დადებითად რეალური მშპ-ის ზრდა.

საკრედიტო ბაზრის ფუნქციონირების და ქვეყნის ეკონომიკის დაკრედიტებას საკითხები დღეისათვის ასევე აქტუალურია პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებშიც, რომელზეც ნათლად მიუთითიებს **ნ.ლ. მირონკიშის** და **მ.ვ. დემიდენკოს** სტატია ეკონომიკის დაკრედიტება: **ახალი პასუხები სტანდარტულ შეკითხვებზე (Mironchik N. L., Demidenko, M. V. 2012.)**. სტატიაში განხილულია ბელარუსიის რესპუბლიკის საბანკო სისტემის დინამიკის ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე. ნაშრომში წარმოადგენილია ქვეყნებს შორის შედარებები და მისი მოდელირების ეკონომეტრიკული მეთოდები, რომელზე დაყრდნობითაც სტატიის ავტორების მიერ გაკეთებულია დასკვნები. რომელიც ეხება რეალური დაკრედიტების ოპტიმალური ტემპის ზრდას, ბელორუსში კრედიტზე მოთხოვნა-მიწოდების ფაქტორებს შორის ხარვეზის აღმოფხვრას. ქვეყანაში საკრედიტო პროცესის მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესებას მაკრო დონეზე.

ამ კვლევის თანახმად, კრედიტის დინამიკის მოდელირებამ ბელარუსში 2002-2011 წლებში, გამოავლინა, რომ ბანკების რესურსული ბაზების, მშპ-ის, საპროცენტო განაკვეთის და ვალუტის საცვლელი კურსთან ერთად, აქტიურ ზემოქმედებას ახდენენ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: **ეკონომიკური აგენტების მოლოდინი დაკრედიტების ცვლილებებზე და ფასების ცვლილება უძრავ ქონებაზე.**

ქვეყანაში ეკონომიკის სტაბილურ განვითარებას მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს საბანკო სექტორის გამართული საქმიანობა, ამ კუთხით მეტად საინტერესოა **ტამაშ ბალასის** სტატია: **საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელის ხარისხის მაჩვენებლების შედარებითი აღწერა.** წარმოადგენილ სტატიაში ავტორი ასაბუთებს უკანასკნელ პერიოდში ფინანსური კრიზისების პროცესში საბანკო პორტფელის ხარისხობრივი მაჩვენელების ანალიზის მნიშვნელობის ზრდას. მის მიერ შემოთავაზებული PD (მიდეფოლის ალბათობის) მოდელის შეფასებისთვის წარმოდგენილია სხვა ex-post პორტფელის ხარისხის მაჩვენებლები, რომელთაგან ბევრ მათგანს გააჩნია შეზღუდული ზეგავლენა სესხების დანაკარგებზე. პრობლემის და ფაქტორთა არასწორი განსაზღვრის გამო, რომლებიც გავლენას ახდენენ საკრედიტო პორტფელის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, ხშირად მივყავართ არასწორ

დასკვნამდე საერთაშორისო შედარებებისას. მაგალითად, უნგრეთის პრაქტიკაში საშუალოდ კრედიტით დავალიანების ღირებულება ითვლება მნიშვნელოვან მაჩვენებლად, რადგან მას აქვს მყარი კავშირი სესხის დანაკარგებთან. შესაბამისად, იგი წარმოადგენს იმის მაჩვენებელს, რომელსაც ჩვენ ვაფასებდით პროგნოზებში მოდელის დახმარებით. **(Tamas Balas, 2009.)**

განვითარებადი ქვეყნებისთვის, მათ შორის, აფრიკაშიც მეტად მნიშვნელოვანია ეკონომიკური კავშირების არსებობა ფინანსურ განვთიარებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის. ამ კუთხით საინტერესოა, კენიის პოლიტიკური კვლევებისა და საზოგადოებრივ საქმეთა ანალიზის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევა: აფრიკაში ფინანსურ განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირის შესახებ. წარმოდგენილი კვლევა მოიცავს 50 აფრიკული ქვეყნის მონაცემებს, და მოიცავს 1980-2008 წლების პერიოდს. კვლევაში **(Rodgers A. Musamali, Esman M. Nyamongo, Eliud D. Moyi 2010: 189)** გამოიყენება ფინანსური განვითარების ორი მიმართულება: კერძო სექტორის კრედიტების თანაფართობა მშპ-ის მოცულობასთან და მეორე ფულადი მასის (M2) თანაფარდობა მშპ-ის მოცულობასთან.

კვლევის შედეგად დადგინდა დადებითი კორელაციური ურთიერკავშირები ფინანსურ განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის. თუმცა, გაცილებით უფრო მჭიდრო კავშირი არსებობს ფულის მიწოდებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ფინანსური და ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარების სტრატეგია აფრიკაში სწორედ ამ ფაქტორებზეა დამოკიდებული. კვლევის პროცესში გამოყენებული ეკონომიკურ რეგრესიათა მოდელიდან გამოიკვეთა ორმხრივი მიზან-შედეგობრივი კავშირი ფინანსურ განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის. მთლიანობაში არსებობს მკვეთრი პოზიციური დამოკიდებულება კერძო სექტორის დაკრედიტებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის აფრიკაში. ასევე შედარებით სუსტი პოზიტიური კავშირი გამოვლინდა ფულის მასასა (M2) და ეკონომიკურ ზრდას შორის, რომელიც უშუალოდ დამოკიდებულია ინფლაციურ ტენდენციებზე ქვეყნებში. ამასთან ერთად სუსტი კავშირურთიერთობის ინდიკატორი შეიძლება იყოს, ქვეყნის ფინანსური სექტორის სუსტი განვითარება. ამიტომ, აფრიკის ქვეყნებმა მნშვნელოვანი ღონისძიებები უნდა გაატარონ ადგილებზე კერძო სექტორის დაკრედიტების გადიდებისთვის. ამასთან, ერთად

აფრიკის ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ საკუთარი ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური განითარება, ამ მიზნით თავიდან უნდა იქნეს აცილებული კონფლიქტები და ომები ქვეყნებს შორის და მათ შიგნით, რათა მიმზიდველი გარემო შექმნან უცხოელი ინვესტორებისათვის, რაც შეეხება ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა: გაერო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ხელი უნდა შეუწყონ აფრიკის ქვეყნებში საფინანსო დაწესებულებების შექმნას, რათა გაუმჯობესდეს ადგილებზე კერძო სექტორის დაფინანსება. ხოლლო მათმა ეროვნულმა ბანკებმა ხელი უნდა შეუწყონ ეკონომკურ ზრდას,სწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გადარებას ხარჯზე, მაგრამ ამავე დროს აქტიურად ბრძოლა უნდა გამოუცხადონ ინფლაციას და ქვეყნებში მის უარყოფით შედეგებს.

განვითარებულ ქვეყნებში საბანკო სექტორის განვითარება სულ უფრო დიდი გავლენას ახდენს ეკონომკურ ზრდასა და მიმდინარე ინფლაციურ პროცესებზე. სწორედ აღნიშნული საკითხია განხილული სუნა კოკმაზის სტატიაში საბანკო კრედიტების გავლენა ეკონომკურ ზრდასა და ინფლაციაზე. წარმოადგენილი საკითხი შესწალილი იქნა ევროპის 10 ქვეყანაში, 2006-2012 წლების პერიოდის მონაცემებზე დაყრდნობით. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე ნათელი გახდა 10 ქვეყანაში სამამულო კრედიტები შექნილი ევროპის 10 ქვეყნის საბანკო სექტორის მიერ არ ახდენს გავლენას ინფლაციაზე, მაგრამ გავლენას ახდენს მათ ეკონომიკურ ზრდაზე. ბანკები ქვეყანის ეკონომიკაში ყალიბდებიან ძირითადად ფინანსური სერვისის მიმწოდებელ შუამავლებად (**Suna Korkmaz, Impact of Bank Credits on Economic and Inflation. 2015: 57-69.).**

ეკონომიკური თვალსაზრისით ბანკების ძირითადი ფუნქციაა დაკრედიტების ფონდის ზრდა, რათა გაიზარდოს ინვესტიციები ეკონომიკაში. ამდენად ქვეყნის განვითარება ეკონომიკური თვალსაზრისით დამოკიდებულია ინვესტიციების გადიდებაზე. ბანკებს შესწევთ უნარი მიგვიყვანონ ეკონომიკურ უძრაობამდე და ასევე მათ შეწევთ უნარი რესურსების ეფექტური განაწილებით დააჩქარონ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება.

ეკონომიკისათვის კიდევ ერთ რისკს წარმოადგენს ინფლაციაზე კონტროლის არ არსებობა. თუ ქვეყანაში ინფლაცია არ იმყოფება კონტროლის ქვეშ, ეფექტური ეკონომიკური სტრუქტურა ვერ ჩამოყალიბდება, ხოლო საბანკო სექტორის

განვითარება იქნება ყოველთვის დამუხრუჭებული და საბანკო კრედიტები ვერ უზრუნველყოფენ ინვესტირების გადიდებას. ამიტომ, ქვეყანაში გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგად ინფლაცია ყოველთვის უნდა იმყოფებოდეს კონტროლის ქვეშ. სტატიის ანალიზიდან შესაძლებელია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ქვეყნის ფინანსური ბაზრის განვითარება მნიშვნელოვნად განაპირობებს მის ეკონომიკურ სიძლიერეს. ამასთან, სამამულო კრედიტები და საბანკო სექტორი ზეგავლენას ვერ ახდენენ ინფლაციაზე, მაგრამ არსებით ზეგავლენას ახდენენ ეკონომიკურ ზრდაზე.

აღნიშნული საკითხის კვლევაში ფართოდ არიან ჩართული ქართველი ეკონომიკური სკოლის მეცნიერ-ეკონომისტები, რომელთა ნაშრომებში საკრედიტო ბაზრის ფორმირების ზეგავლენა ეკონომიკურ ზრდაზე რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობს.

1. ეკონომიკური ზრდისა და ფინანსური ბაზრის ანალიზი ქართველი ეკონომისტების ძირითადი ყურადღების ობიექტია. ვლადიმერ პაპავა თავის ნაშრომებში - განიხილავს ეგრეთწოდებული „მკვეთრი ზრდის ეფექტის გავლენას“ (**ვლადიმერ პაპავა, 2014).** ზოგიერთი ავტორის მიერ შეფასებულია საქართველოს საბანკო სისტემისთვის საკრედიტო რისკების დინამიკური მოდელი და გაანალიზებულია ძირითადი მაკროეკონომიკური ფაქტორების გავლენა საკრედიტო რისკზე. აქვე განხილულია მაკროეკონომიკური ფაქტორების (მშპ-ს, რეალური ზრდა, გაცვლითი კურსის გაუფასურება) გავლენა უმოქმედო სესხებზე ეკონომიკის ძირითადი სექტორების მიხედვით (**ზვიად ზვიადაძე,- 2013**). ავტორი აკეთებს დასკვნას, რომ მკვეთრი ზრდის ეფექტის პროპორციული გადაფარვის ჰიპოთეზის საფუძველზე აგებულ კორექტირებულ ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებში დაცულია ინვარიანტულობის პრინციპი. რომლის თანახმად, ეკონომიკური ზრდის კორექტირებული მაჩვენებლების შეფარდება არ არის დამოკიდებული ეკონომიკური ზრდისა და განვითარების დონის ბაზური მაჩვენებლების შერჩევაზე. ამ პრინციპის შესრულება იმაზე მეტყველებს, რომ მკვეთრი ზრდის ეფექტის ელიმინირების მოცემული მეთოდი არ არის წინააღმდეგობრივი, ადვილად შეიძლება იქნეს გამოყენებული პრაქტიკული მიზნისთვის, რასაც ადასტურებს პოსტკრიზისული ეკონომიკური ზრდის ანალიზი პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითზე. სხვები

ყურადღებას ამახვილებენ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისთვის საჭირო ქმედებების თეირიულ არგუმენტებზე და გამოვლენილი მიდგომების საქართველოში გამოყენების მოზანშეწონილობაზე (**ოთარ ნადარაია, ოთარ გორგოძე 2013**).

ასევე ახასიათებენ ეკონომიკურ ზრდაზე მომქმედ ფაქტორებს და მათი ზეგავლენით გამოწვეულ მოსალოდნელ ცვლილებებს, **(ნოდარ ხადური, 2010)** ეკონომიკური განვითარების ტრანსფორმაციის ეტაპებს, თავისებურებებს და მეთოდებს, რომელიც საფუძვლად უდევს ტრანსფორმაციას, **(მიხეილ ძაგანია, 2012**) ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ობიექტურ აუცილებლობას (**უშანგი სამადაშვილი, 2014:13-22)** და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკურ ზრდის შესახებ მრავალი ნაშრომია დაწერილი, ქართველი ეკონომისტების კვლევის ობიექტი - საკრედიტო ბაზრის ცვლილებების ზემოქმედება ეკონომიკურ ზრდაზე შემოიფარგლება მხოლოდ თეორიული ემპირიული მსჯელობით და აქცენტი გადატანილია მხოლოდ იმაზე, ეკონომიკის ზრდის ცვლილებები რამდენად არის გამოწვეული საბაზრო ფინანსური რისკებითა და გლობალური კრიზისებით.

2. დიდი ყურადღება ეთმობა საკრედიტო ბაზრის ანალიზს ფინანსური კრიზისების პერიოდში. ი. კოვზანაძე განიხილავს მსოფლიო ფინანსური კრიზისების თავისებურებებს, მისი დარეგულირების არსებულ მოდელებს და მათი გამოყენების თავისებურებებს. აქვე ავტორი გვთავაზობს ახალ მოდელს კრიზისების დარეგულირებისა და დანერგვის სპეციფიკას. (**И. Ковзанадзе - 2010) გ. ბაქრაძე** და **ი. მესხია (იაკობ მესხია, 2009: 10-28**) მიმოიხილავენ 2007-2008 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის ქრონოლოგიების მიმდინარეობის ეტაპებს და შედეგებს. აქვე ნაჩვენებია, თუ რა გავლენა მოხდინა კრიზისმა საართველოს ეკონომიკაზე (**გიორგი ბაქრაძე, 2014: 5-25). რ. ასათიანი** ყურადღებას ამახვილებს საქართველოს საბანკო სისტემაზე გლობალური კრიზისის პირობებში და განსაზღვრავს ფულად-საკრედიტო რეგულირების ისეთ მოდელს, რომელიც ქვეყნის ხელისუფლებას მისცემს საშუალებას, რაც შეიძლება ეფექტურად გამოიყენოს გლობალიზაციის პოზიტიური მხარეები **(რ. ასათიანი, 2009: 10-14). ირაკლი გეგეშიძე** განიხილავს გლობალური კრიზისის ფონზე საქართველოს საბანკო სექტორში განხორციელებულ რეფორმებს და მიღწეულ შედეგებს. ავტორი დადებით შეფასებას აძლევს

დაკრედიტების ლიბერალურ პოლიტიკას და აღიარებს, რომ სწორედ ამ პოლიტიკას უკავშირდება ბიზნესის წახალისება და გამოცოცხლება. **(ირაკლი გეგეშიძე 2012: 6-10)** პროფესორი თემურ ხომერიკი შეისწავლის საკრედიტო ბაზრის განვითარების თავისებურებებს არამდგრად გარემოში და ახასიათებს არამდგრად გარემოში საკრედიტო ურთიერთობების გამოვლენის და კომერციული ბანკების ქცევის ძირითად მიმართულებებს. **(თემურ ხომერიკი, 2010: 8-12)** კერძოდ, იპოთეკური ბაზრების კრიზისის ფონზე ჩქარდება ბანკების შერწყმა-გაერთიანების პროცესი; საბანკო მომახურების სრულყოფა სულ უფრო მეტად უკავშირდება თანამედროვე ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენებას; საბანკო ბიზნესში ტრადიციული საბანკო ოპერაციები ადგილს უთმობს ინოვაციურ პროდუქტებს; ინვესტიციური ბანკინგის, დაზღვევა-უსაფრთხოების და სხვა საფინანსო-საბანკო ბიზნესის განვითარებით ვითარდება საინვესტიციო-საბანკო ბიზნესი.

საკრედიტო ბაზრის მდგომარეობის ანალიზი და ფინანსური კრიზისის თავისებურებანი მოცემულია ჩვენს ნაშრომებში, კერძოდ განვიხილავთ გლობალური ეკონომიკური კრიზისის გავლენას ეკონომიკური აქტივობის დაქვეითებაზე და მის ფონზე ქართული კომრციული ბანკების საკრედიტო პორთფელში მომხდარ ცვლილებებს **(ქრისტინე ომაძე, 2014: 102-107; ქრისტინე ომაძე, 1991-2008, 2013: 86-97).**

მთლიანობაში ეს ასპექტი გამოირჩევა იმით, რომ ქართველი ეკონომისტების კვლევის ობიექტია საფინანსო კრიზისების წარმოშობის მიზეზები და შედეგები, რომლებიც აისახება ეკონომიკურ ზრდაზე, მაგრამ მათი ეფექტები საკრედიტო ბაზრის განვითარებაზე შემოიფარგლება მხოლოდ საბანკო სისტემის მდგომარეობის ანალიზით.

3. ქართული ეკონომიკური აზრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია საბანკო სისტემის ფორმირების და განვითარების ტენდენციების გამოვლენა. ამ კუთხით, **ი. კოვზანაძე** თავის ნაშრომში განიხილავს ეკონომიკის განვითარებისა და საბანკო სისტემის ფორმირების ტენდენციებს, საქართველოს საბანკო სექტორში 2008 წლის აგვისტომდე არსებულ პრობლემებს, გამოვლენის თავისებურებებს, მოქმედების სპეციფიკას, შედეგებს და სხვას. **(Kovzanadze Irakli. 2008: 257: ი. კოვზანაძე, 2001:312).** ამასთანავე, სხვა კვლევები ეხება ფულად - საკრედიტო სისტემის

თავისებურებებს. **(თ. ლაზარაშვილი, მ. მელაშვილი, 2014: 244-256)** ორ იარუსიანი საბანკო სისტემის დახასიათებას და შედარებას განვითარებულ ქვეყნებში მომქმედ საბანკო სისტემებთან და სხვა. **(ე. კაკულია, 2014: 244-256)**

კვლევების ეს ასპექტები გამოირჩევა იმით, რომ ქართველი ეკონომისტები ყურადღებას ამახვილებენ საბანკო სისტემის სრულყოფაზე და მისი ცალკეული ელემენტების განვითარებაზე. საბანკო სისტემის ზემოქმედება ეკონომიკურ ზრდაზე შედარებით მკრთალადაა ასახული.

4. მრავალი ნაშრომია დაწერილი საკრედიტო პორტფელის ცვლილებებსა და საკრედიტო რისკებზე. მათში ძირითადი აქცენტი გამახვილებულია კომერციული ბანკების საკრედიტო პორთფელის ფორმირების თავისებურებებზე, იმ ფაქტორებზე რომლებიც გავლენას ახდენენ მსესხებლის კრედიტუნარიანობაზე, ბანკების საპროცენტო განაკვეთების და საკრედიტო პოლიტიკის ურთიერთობებზე, **(გიორგი ხანთაძე 2014.)** სასესხო პორთფელის განაწილებაზე, სესხების გარანტიებზე. **(მაია ალადაშვილი 2014 : 91-98)**

ნინო გრიგალაშვილი ყურადღებას ამახვილებს მაკროეკონომიკის დონეზე საკრედიტო პოლიტიკის ფორმირებაზე. კომერციული ბანკების საკრედიტო პოტენციალზე, მათი გამოყენების სტაბილურობის მიღწევისა და საკრედიტო სისტემის მდგრადობისა და საიმედობის ხარისხის მიღწევის შესაძლებლობებზე **(ნინო გრიგალაშვილი, 2012: 17-22).**

მაია ალადაშვილი და **ნანა რინკიაშვილი** განიხილავენ საკრედიტო რისკების გავლენას საბანკო სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებაზე. დაკრედიტების პრინციპებიდან გამომდინარე ყურადღებას ამახვილებენ კრედიტების მიზნობრიობაზე, დაბრუნებადობაზე, ვადიანობასა და უზრუნველყოფობადობაზე **(მაია ალადაშვილი, 2012: 67-69)**.

ქართველი სწავლულები შედარებით უფრო ღრმად შეისწავლიან საკრედიტო რისკების თავისებურებებს საბანკო სექტორში და მიუთითებენ, რომ საკრედიტო პოლიტიკის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სესხზე გონივრული მაქსიმალური ვადები და რეალური სესხის გადახდის გრაფიკი **(მაია ალადაშვილი, ნანა რინკიაშვილი. 2014: 86-94).**

ამდენად, უკანასკნელ პერიოდში ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების მიხედვით ნათლად ჩანს, რომ ზემოთ აღნიშნული კვლევის ოთხი ასპექტი არის ქართული ეკონომიკური აზრის განვითარების ძირითადი მიმართულებები. სამწუხაროდ, მათ შრომებში საკრედიტო ბაზრის ტრანსფორმაციის შესწავლას და საბანკო მენეჯმენტის ცვლილებების გამოვლენას მხოლოდ თეორიულ-ემპირიული ხასიათი აქვს. გამომდინარე აქედან, ჩვენი სადისერტაციო ნაშრომი მივუძღვენით იმის გაანალიზებას, თუ რამდენად განხორციელდა საკრედიტო ბაზრისა და ინსტიტუტების ცვლილებები ბოლო წლების განმავლობაში.

1.3. საკრედიტო ბაზარი და ინსტიტუტები

თანამედროვე მსოფლიოში ფინანსური სისტემის ფუნქციონირების რეალიზაციის გაბატონებულ მექანიზმს წარმოადგენს საფინანსო ბაზარი, რომლი შემადგენელი ნაწილიცაა საკრედიტიო ბაზარი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბაზარი არის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი, რომელიც უზრუნველყოფს მყიდველთა და გამყიდველთა კონტაქტში შესვლას და გარიგების განხორციელებას **(Л. С. Тарасевич, П. И. Гредянинков. А. И. Леусский. 2003. 301.)**.

საფინანსო ბაზარი კი წარმოადგენს საფინანსო ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვის სისტემას. ყველაზე სრულ ინტერპრეტაციას „ფინანსური ბაზრის“ ცნების შესახებ იძლევა ოთხი სეგმენტის; **საფონდო ბაზრის, საკრედიტო ბაზრის, სავალუტო ბაზრის** და **ძვირფასი ლითონების ბაზრის** ერთობლიობა **(И. Ковзанадзе 2010).** ძვირფას ლითონებს გააჩნიათ საკუთარი შიდა ღირებულება და ატარებენ დაგროვების ობიექტის მნიშვნელობას, ისინი ფინანსურ აქტივებად გვევლინებიან მხოლოდ თავიანთი მაღალი ლიკვიდობის გამო და მათი ბაზარი ატარებს სპეციფიკულ ხასიათს, ამიტომ მკვლევარები ყველაზე ხშირად საუბრობენ რა საფინანსო ბაზარზე, განიხილავენ **ფულის ბაზარს, სასესხო კაპიტალის ბაზარს,**

საკრედიტო და ფასიანი ქაღალდების ბაზარს, რომელთა საზღვრებმა უკანსკნელ პერიოდში ფართო ტრანსფორმაცია განიცადეს.

ყველაზე ტიპიური თვალთახედვა შესაძლებელია დავაჯგუფოდ შემდეგნაირად: ფულადი ბაზარი ყველაზე ხშირად ასოცირდება საფინანსო ინსტრუმენტების ბაზართან მოკლევადიანი პერიოდით, ჩვეულებრივ ერთ წლამდე ვადით. ხოლო, სასესხო კაპიტალის ბაზარი აღიქმება, გრძელვადიანი ფინანსური ინსტრუმენტების ბაზრად, ავტორთა მთელი რიგი კატეგორია მასში მოიაზრებს ფასიანი ქაღალდების ბაზარსაც. **(И. Н. Еремеевы. 2004: 67)**

ამავე დროს, ეკონომისტთა გარკვეული კატეგორია ფასიანი ქაღალდების ბაზრის ქვეშ მოიაზრებს საკრედიტო ურთიერთობებს. იგი ხორციელდება ფასიანი ქაღალდების საშუალებით, რომელიც უფრო რეალობასთან მიახლოვებული განსაზღვრებაა. რუს მეცნიერ- ეკონომისტთა გარკვეული კატეგორია აიგივებს **„სასესხო კაპიტალის ბაზარს“ და „საკრედიტო ბაზარის ცნებებს“ (Авдеенко Т. В. 2004: 16).** ფუნქციონალური განსხვავებების და ძირითადი ნიშანთვისებების შედარებების საფუძველზე შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ საერთო და განმასხვავებელი ნიშანთვისებათა ერთობლიობა, რომელიც დამახასიათებელია აღნიშნული ფინანსური ბაზრებისთვის (იხ. ცხრილი1).

ცხრილი 1

ფინანსური ბაზრების ძირითადი სეგმენტების დახასიათება

ბაზარი	ფულადი ბაზარი	სასესხო კაპიატლის ბაზარი	კრედიტების მეორადი ბაზარი	ფასიანი ქაღალდების ბაზარი
1	2	3	4	5
ეკონომიკური არსი	საბრუნავ კაპიტალზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება	სასესხო კაპიტალის მოძრაობის მომსახურება და ზრდა.	გაცემული სესხების რეფინანსირება, მიწოდების გადიდებისთვის	ფონდების მოძრაობის მიმართულება

მოთხოვნა-მიწოდების ობიექტი	გადასახდელი სახსრები	ოპტიმალური ღირებულება	სეკიურიტი-ზირებული აქტივები და კრედიტები	ფასიანი ქაღალდები
ფასი	ჩვეულებრივ არ აღემატება ინფლაციის ტემპს	ჩვეულებრივ რეფინანსირების განაკვეთზე მაღლა	განისაზღვრება ვაჭრობის პროცესში	განისაზღვრება ვაჭრობის პროცესში
ვადა	ერთ წლამდე	ერთ წელზე ზემოთ	ერთ წელზე ზემოთ	განისაზღვრება გამოშვების პირობებით
საკუთრების უფლება	გადაეცემა მყიდველს	ინარჩუნებს კრედიტორი	გადაეცემა მყიდველს	რჩება ემიტენტთან

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ.

საკრედიტო ბაზარი თავის ფუნქციებს ასრულებს საკრედიტო ურთიერთობის საშუალებით, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს დაკრედიტების სპეციფიკურ ფორმებს, სახეებსა და მეთოდებს. საკრედიტო ურთიერთობათა ფუნქციონირება გარკვეული ხარისხით კავშირშია საფინანსო ბაზრის ყველა სეგმენტთან. შესაბამისად საკრედიტო ბაზარი შესაძლებელია განვიხილოთ როგორც ტრადიციული კვანძი სასესხო კაპიტალისა, სადაც მთავარ ინსტრუმენტად გვევლინება ფულადი კრედიტი და საკრედიტო ხელშეკრულება. საკრედიტო ბაზრის სივრცე მოიცავს **სასესხო კაპიტალს,** რომელიც თავისში აერთიანებს ანაბრებისა და დეპოზიტების ბაზარს, კრედიტების მეორად ბაზარს და ნაწილობრივ ფულად და საფონდო ბაზრებს.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელია კრედიტის ფულადი ფორმა, რადგან ფული წარმოადგენს საყოველთაო ექვივალენტს, მიმოქცევისა და გადახდის უნივერსალურ საშუალებას. კრედიტის ფულადი ფორმის გარეშე ქვეყანაში ნებისმიერი სამეწარმეო ფორმის ფუნქციონირება შეუძლებელი იქნებოდა.

თანამედროვე განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ ურთიერთობებში დომინირებს კრედიტის შერეული ფულად–საკრედიტო ფორმა, ქვეყანის შიგნით საქონლის რეალიზაციისას ფართოდ გამოიყენება საქონლის ნისიად გაყიდვა და მისი ღირებულების კრედიტის ფულადი ფორმით დაბრუნება. ქვეყნებს შორის საგარეო – ეკონომიკურ ურთიერთობებში საექსპორტო საქონლის ღირებულების ანაზღაურება წარმოებს კრედიტის ფულადი ფორმით.

საბაზრო ურთიერთობის პირობებში განასხვავებენ **კომერციულ, საბანკო, სახელმწიფო, სამოახმარებლო და საერთაშორისო კრედიტის ფორმებს.** კომერციული კრედიტი, კრედიტის ისეთი ფორმაა, რომელსაც მეწარმეები კველავწარმოების პროცესში აძლევენ ერთმანეთს. ამ დროს კრედიტორებად გვევლინებიან ფირმები, კომპანიები და ამ ფორმის კრედიტს ხშირად **სათამასუქო კრედიტს** უწოდებენ. კომერციული კრედიტის ობიექტია საქონელი, რომელიც უწყვეტ კავშირშია ყიდვა–გაყიდვასთან. ამ დროს გამყიდველი ყოველთვის კრედიტორია, ხოლო მყიდველი მსესხებელი.

საბანკო კრედიტი არის კრედიტის ძირითადი ფორმა, რომელიც გაიცემა უშუალოდ ბანკების მიერ დროებითი საჭიროებისთვის ფულადი ფორმით. **(რ. კაკულია, გ. ხელაია, 2000: 173)** საბანკო კრედიტის გაცემას ახორიცელებენ ბანკები, რომლებიც ახდენენ ერთის მხრივ, დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულირებას და მეორეს მხრივ, სესხად გასცემენ ამ სახსრებს. კრედიტის გამცემად გვევლინება უშუალოდ ბანკი და საბანკო კრედიტი ეძლევა როგორც საწარმოებს, ფირმებს, სახელმწიფოს, ასევე მოსახლეობას დანახარჯების დასაფარავად. საბანკო კრედიტი შესაძლებელია იყოს **მოკლევადიანი ერთ წლამდე, საშუალოვადიანი ხუთ წლამდე** და **გრძელვადიანი ხუთ წელზე მეტი** ვადით.

სამომხმარებლო კრედიტი განეკუთვნება კრედიტის ისეთ ფორმას, რომელიც გაიცემა სავაჭრო ფირმების მიერ ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებზე საქონლის სახით განვადების წესით, მათ ასევე მიეკუთვნება გაწეული მომსახურების განვადებით გადახდა. სამომხმარებლო კრედიტი დაფარვის ფორმის მიხედვით გვხვდება ერთჯერადი დაფარვის და განვადების წესით დაფარვის ფორმით. სამომხმარებლო კრედიტი სხვადასხვა ფორმით მომსახურეობას უწევს საცალო

საქონელბრუნვას და სულ უფრო იზრდება ბანკებისა და სხვა საკრედიტო დაწესებულებების როლი სამომხმარებლო კრედიტის გაცემაში.

სახელმწიფო კრედიტის დროს კი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები გვევლინებიან გამსესხებლის, ან მსესხებლის როლში. სახელმწიფო კრედიტი, როგორც ეკონომიკური კატეგორია, ფულად ურთიერთობათა ორი სახის – ფინანსების და კრედიტის მიჯნაზე უნდა იქნეს განხილული. როგორც ფინანსური ურთიერთობა იგი ხელს უწყობს და ავსებს ქვეყანის ცენტრალიზებულ ფულად ფონდებს, ხოლო როგორც საკრედიტო ურთიერთობა გადასახადებისგან განსხვავებით ნებაყოფილობითია **(Финансы, 1999: 1 184)**.

სახელმწიფო კრედიტი, როგორც ფინანსური კატეგორია, ორ ფუნქციას ასრულებს: **ფისკალურს** და **მარეგულირებელს.** ფისკალური ფუნქციის მეშვეობით სახელმწიფო კრედიტით წარმოებს სახელმწიფო ცენტრალიზებული ფულადი ფონდების ფორმირება, რომლითაც ის ახორციელებს გაწეული ხარჯების დაფინანსებას, ხოლო სახელმწიფო კრედიტის მარეგულირებელი ფუნქცია კი გამოიყენება ხელისუფლების მიერ ფულის მიმოქცევის რეგულირებისთვის... ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს და აფართოებს წარმოებას. **(რ. კაკულია, 2001: 265)**

სახელმწიფო კრედიტის კლასიკური ფორმას სახელმწიფო სესხების გამოშვება წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფოს ამოაქვს სასესხო კაპიტალის ბაზრის რესურსების ნახევარზე მეტი და როგორც წესი, სესხიდან მიღებული სახსრები არ მონაწილეობენ მატერიალური დოვლათის წარმოებაში.

სახელმწიფო კრედიტი ჩვეულებრივ პირობებში ორგვარ როლს ასრულებს: ერთის მხრივ, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვისა და სასესხო კაპიტალის ბაზრის რეგულირების ერთ–ერთი მეთოდია; მეორეს მხრივ, იგი ხელს უწყობს წარმოებით ურთიერთობათა კვლავწარმოებას, შრომისა და კაპიტალის განსაზოგადებას და ა.შ.

სახელმწიფოს მიერ კრედიტის აღება, ხორიცელდება სესხის გამოშვების გზით და მათი განთავსება ხორციელდება ბანკების მეშვეობით. ამდენად, სახელმწიფო კრედიტი ერთგვარად გადაჯაჭვულია საბანკო კრედიტთან. სახელმწიფო კრედიტის ზრდის მიზეზია სახელწიფო ბიუჯეტის დეფიციტი,

სახელმწიფო კრედიტის განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს განთავსების ადგილის მიხედვით შინაგანი და საგარეო სესხები. შინაგანი სესხის გამოშვება წარმოებს შიდა ბაზრისთვის, ხოლო მისი განთავსება ხდება ქვეყნის შიგნით ეროვნულ ვალუტაში. საგარეო სესხების განთავსება კი წარმოებს უცხოურ ფულად ბაზარზე ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში.

საკრედიტო ურთიერთობები ვითარდება არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ სახელმწიფოთა შორისაც, რომელიც ცნობილია საერთაშორისო კრედიტის სახელწოდებით. საერთაშორისო კრედიტი წარმოადგენს სასესხო კაპიტალის მოძრაობას საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სფეროში. უკანასკნელ პერიოდში ფართო გავრცელება ჰპოვა სახელმწიფო კრედიტის გამოყენებამ შერეული საკუთრების ფორმის საწარმოების კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად, რომელთა შორის უპირატესად წარმოდგენილია ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების დაქვემდებარებაში არსებული მუნიციპალური ინფორასტრუქტურის საწარმოები.

სახელმწიფო კრედიტის განსაკუთრებული ფორმაა **სახელმწიფო გრანტები.** აღნიშნული ფორმის თავისებურებებს განეკუთვნება ის, რომ ხელისუფლების მიერ გაცემული გრანტების მოცულობის ზრდა იწვევს სახელმწიფო ვალის გადიდებას. რაც შეეხება საერთაშორისო საკრედიტო ურთიერთობებს, აქ კრედიტორებისა და მსესხებლების სახით გვევლინებიან ცალკეული ბანკები, ფირმები, სახელმწიფო დაწესებულებები, მთავრობა და სავალუტო–საკრედიტო ორგანიზაციები. საერთაშორისო კრედიტი დაკავშირებულია ისეთ ეკონომიკურ კატეგორიებთან, როგორიცაა: **ფული, მოგება, ფასი, სავალუტო კურსი, საგადასახადო ბალანსი** და ა.შ. საერთაშორისო კრედიტი მჭიდრო კავშირშია საშინაო კრედიტებთან. საგარეო ვაჭრობის დაკრედიტება, ხორიცელდება როგორც საშინაო, ისე საგარეო სესხების ხარჯზე. საერთაშორისო კრედიტი იყოფა **მოკლევადიან კრედიტებად** 1-წლამდე ვადით, **საშუალოვადიანად** 1-დან 5 წლამდე და **გრძელვადიანად** 5-წელზე მეტი ვადით. საერთაშორისო კრედიტის მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს **მთავრობათაშორისო სესხები.**

დღეისათვის, როგორც საკრედიტო ბაზრის მომსახურების ანალიზი გვიჩვენებს, დაკრედიტების პერსპექტიულ სეგმენტებს განეკუთვნება:

- **ეკონომიკის არასაფინანსო სექტორის საკრედიტო ბაზარი;**
- **ტექნიკური საშუალებების და ტექნოლოგიური მოწყობილობების ლიზინგი;**
- **საფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო ბაზრები;**
- **სამომხმარებლო კრედიტების ბაზრები;**
- **სავალო ფასიანი ქაღალდების ბაზრები. (მ.შ. სახელმწიფო, მუნიციპალური და კორპორაციული ობლიგაციები, თამასუქები, სეკიურიტიზირებული და სტრუქტურირებული ვალდებულებები).**

თანამედროვე ეტაპზე ნებისმიერი კრედიტისთვის არსებით მახასიათებელს მისი უზრუნველყოფა წარმოადგენს, რომლის საფუძველზეც ფართო გავრცელება ჰპოვა პრობლემურ კრედიტებზე მომუშავე ორგანიზაციებმა. ყველა კრედიტი უზრუნველყოფის ხასიათის მიხედვით შესაძლებელია დავყოთ:

- **არა უზრუნველყოფილ კრედიტებად (ხასიათდებიან მაღალი რისკით და გამართლებულად ითვლება მაღალი საკრედიტო რეიტინგის პირობებში);**
- **უზრუნველყოფილი კრდიტებად (ხასიათდებიან შემცირებული რისკით, გირაოს ღირებულება განისაზღვრება** კრედიტის თანხის თანაფარდობით, ქონების საბაზრო ღირებულებასთან).

დაკრედიტების პრაქტიკაში უზრუნველყოფის სახით გემოიყენება: **ობლიგაციები, აქციები, მარტივი თამასუქები, კომერციული აქცეპტები, საბანკო აქცეპტები, კონოსამენტი, სადეპოზიტო სერთიფიკატები, საგირავნო უძრავი ქონება, საგირავნო მოძრავი ქონება, დებეტორული დავალიანება, მიმოქცევაში მყოფი სადაზღვევო პოლისი** და ა.შ. განვითარებულ საკრედიტო ბაზრებზე უზრუნველყოფა განიხილება, როგორც დამატებითი ვალდებულება (collateral)., როგორც გირაო ანუ გარანტია (security). თვითუზრუნველყოფა არ მიუთითებს კრედიტის მაღალ ხარისხზე არა უზრუნველყოფილ სესხთან შედარებით, მიღებული პრაქტიკის თანახმად, მისი რაოდენობა აღემატება სესხის მაქსიმალურ ლიმიტს, რომელიც შეიძლება გაიცეს ერთ მსესხებელზე. საზღვარგარეთულ ბაზრებზე საკრედიტო და საგირავნო ურთიერთობათა ყველა სტადიაზე მონაწილეთა უფლებების დაცვის (უზრუნველყოფის) მიზნით ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა სახის გირაო, მათ შორის, განახლებადი გირაო (rollover mortgage), მეორადი გირაო (second mortgage)

(**საბანკო კრედიტები გაიცემა პირველი გირავნობის ქვეშ, გამონაკლისი ენიჭებათ აშშ - ის მთელი რიგი შტატების კანონმდებლობით ადგილობრივ ბანკებს, სატრასტო კომპანიებს და ვალების გამო დაპატიმრების შემთხვევაში, როდესაც ბანკს ენიჭება უფლება გამოისყიდონ წინა ვალდებულებები.**).

ამრიგად, საკრედიტო ბაზარი თავისი განვითარების მანძილზე თანდათან იხვეწება და სრულყოფილი ხდება. 21-ე საუკუნის დასაწყისიდან ევროპის განვითარებულ ქვეყნებში კომერციულ საბანკო სექტორს არსებით კონკურენციას უწევს სპეციალური საბანკო და არასაბანკო ინსტიტუტები, რომელთაგან პრიორიტეტულია **არასაბანკო ორგანიზაციები.** ამ ქვეყნებში მოქმედებს სპეციალური საკანონმდებლო ბაზა, რომელიც არეგულირებს არასაბანკო და საბანკო დაწესებულებების ფუნქციონირების ფორმებსა და მეთოდებს. არასაბანკო დაწესებულებები კომერციული ბანკების მსგავსად ქვეყანის ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს დაკრედიტებას ახორციელებენ. ამასთან ერთად გარკვეულ შემთხვევაში ადგილი აქვს დანაზოგების და შემოსავლების აკუმულაციას და სასესხო კაპიტალად ტრანსფორმირებას. სპეციალურ საკრედიტო ინსტიტუტებს ვიწრო სპეციალიზაცია განასხვავებს კომერციული საბანკო სექტორისგან, რადგან კომერციული საბანკო სექტორი დღეისათვის უნივერსალურ საკრედიტო სფეროს განეკუთვნება ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში.

სპეციალური საკრედიტო ინსტიუტების ფუნქციები, მათი ოპერაციების სახეები, მოცულობა, ადგილი და როლი ქვეყნის ეკონომიკაში სახელმწიფო მხრიდან რეგულირებადია. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში სპეციალური საკრედიტო ინსტიტუტებს არაერთგვაროვანი ფუნქციები და როლი გააჩნიათ. დღეისათვის ქვეყნების უმრავლესობაში ფუნქციონირებს შემდეგი სახის საკრედიტო დაწესებულებები:

- **იპოთეკური ბანკები;**
- **საინვესტიციო ბანკები და საინვესტიციო კომპანიები;**
- **ურთიერთ შემნახველი ბანკები, სასესხო - შემნახველი ასოციაციები.**

სპეციალური საკრედიტო ინსტიტუტები ფუნქციონირებას იწყენებენ მე-19 საუკუნიდან და თავდაპირველად ისინი მოგვევლინენ კომერციული ბანკების დანამატად. ხოლო უკვე მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან განვითარებულ ქვეყნებში

სპეციალური საკრედიტო დაწესებულებების განვითარება დაჩქარებული ტემპით დაიწყო, რაც ძირითადად განპირობებული იყო კონკურენციის გამწვავებით, კერძოდ მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში დაზოგილი თავისუფალი სახსრების აკუმულაციასა და მის განთავსებას შორის. სწორედ ეს მოვლენა დაედო საფუძვლად საკრედიტო ბაზარზე საკრედიტო დაწესებულებათა დიფერენციაციას.

იპოთეკური ბანკები პირველად ჩამოყალიბდა გერმანიაში XXVIII საუკუნეში პირველი იპოთეკური ბანკი დაფუძნდა 1770 წელს სილეზიაში. იგი წარმოადგენდა სახელმწიფო ბანკს და ფინანსურ დახმარებას უწევდა მსხვილ მიწათმფლობელებს. სახსრების მოზიდვისთვის ბანკი უშვებდა იპოთეკურ ობლიგაციებს. მე-19 საუკუნიდან ბანკი ფინანსურ დახმარებას უწევდა წვრილ მემამულეთა მეურნეობებს, ხოლო შემდეგ კი დაიწყო გლეხური მეურნეობების დაფინანსებაც.

აშშ-ში 1916 წელს 12 ოლქში შეიქმნა სამიწათმოქმედო ფედერალური ბანკები, ფერმერებისთვის გრძელვადიანი სესხების მისაცემად, მათი მიწების გირაოს საფუძველზე. იპოთეკური ბანკები ძირითადად წარმოადგენილია წვრილი რეგიონალური მნიშვნელობის ფერმერული ბანკების სახით **(ვ. მოსიაშვილი, ფ. ლომიძე, ფ. ქოქოსაძე, 2009: 58).**

საფრანგეთში უმსხვილესი ბანკი (კრედი ფონსიე დე ფრანსი) და მისი ფილიალი მეწარმეთა კანტორა, გასცემს კრედიტებს მიწის მესაკუთრეებზე და სამშენებლო კომპანიებზე საცხოვრებელი და სამრეწველო მშენებლობებისთვის. იპოთეკური ოპერაციები დაკავშირებულია საშუალო და გრძელვადიან იპოთეკურ სესხებთან ძირითადად მსხვილ სამშენებლო კომპანიებთან და მიწათმფლობელებთან საშუალოდ 3-დან 20 წლამდე. დღეისათვის საფრანგეთში ფუნქციონირებს 30-ზე მეტი იპოთეკური ბანკი. **(ვ. მოსიაშვილი, ფ. ლომიძე, ფ. ქოქოსაძე, 2009: 71.)**

კანადაში იპოთეკური ბანკები განეკუთვნებიან ტრადიციულ საკრედიტო ინსტიტუტებს. (**ვ. მოსიაშვილი, ფ. ლომიძე. 2009: 82**) ისინი ძირითადში დაკავებულნი არიან უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციების და სახელმწიფო გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდების დაკრედიტებით. თავდაპირველად მათი დაკრედიტების ობიექტი იყო სოფლის მეურნეობა, მიწის გირაოს საშუალებით და სოფლად საცხოვრებელი ბინების მშენებლობა.

იპოთეკური ბანკები ასევე წარმატებით ფუნქციონირებენ განვთიარებად ქვეყნებში, (**Кособуж С. И., 1983: 41**) როგორიცაა: **არგენტინა, მექსიკა, ბრაზილია, ჩილი, კოლუმბია, აზიაში -ინდოეთი, თურქეთი, პაკისტანი, სამხრეთ კორეა, ტაილანდი**, რომლებიც თავისი სტრუქტურით თანდათან უახლოვდებიან წამყვან ევროპულ ბანკებს.

იპოთეკური ბანკის ტიპიური მაგალითია, საქათველოში 1875 წელს დაფუძნებული თბილისის **სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი,** რომელსაც 30 წლის განმავლობაში სათავეში ედგა **ილია ჭავჭავაძე (ი. ასათიანი, 1994: 26.).** „ბანკი მოქმედებდა თბილისის გუბერნიის ფარგლებში და სასესხო ოპერაციებს აწარმოებდა, როგორც ნაღდი ფულით, ისე საკრედიტო ნიშნებით, ანუ გირავნობის ფარგლებში. სესხი გაიცემოდა გრძელვადიანი 43 წლითა და 6 თვით სოფლის მამულებისათვის, ხოლო 27 წლით და 6 თვით ქალაქის უძრავი ქონებისათვის. მოკლევადიანი სესხი გაიცემოდა 1 წლიდან 3 წლამდე, ნაღდი ფულით. უძრავი ქონების გირავნობით, წლიური მოგებიდან, რომელიც ყველა ხარჯისა და ზარალის შემდეგ რჩებოდა“.

როგორც წესი, იპოთეკური ბანკები სესხებს გასცემენ უძრავი ქონების, მიწის ნაკვეთის, შენობის და სხვა გირაოთი. მსესხებლები უმთავრესად არიან ფერმერები და წვრილი გლეხური მეურნეობები. იპოთეკური კრედიტის საფუძველია მიწაზე კერძო საკუთრება და კომერციული კრედიტისაგან განსხვავებით იპოთეკური კრედიტი გრძელვადიანია.

საგირავნო ფურცელი ეს მისი თავდაპირველი სახელწოდებაა, დღეისათვის მრავალ ქვეყანაში იგი ცნობილია **იპოთეკური ობლიგაციების** სახელწოდებით.

გირავნობის ფურცელი, ისე როგორც სხვა ფასიანი ქაღალდები შესაძლებელია ნებისმიერ მომენტში გაიყიდოს საბირჟო კურსით. ბანკები ასევე მზად არიან გასცენ კრედიტი ფასიანი ქაღალდების გირაოთი. დაბალი საბირჟო კურსის პირობებში რეკომენდებულია ფასიანი ქაღალდების გირაოში ჩადება ბანკში, როდესაც არსებობს სახსრების საჭიროება და არა მათი გაყიდვა. გირავნობის ფურცელი უზრუვნელყოფილია ბანკების მიერ ერთობლიობაში გაცემული იპოთეკური კრედიტით. ყველა საგირავნო უფლება შეიტანება სპეციალურ რეგისტრში, რომლის კონტროლსაც ახორციელებს სახელმწიფოს ნდობით აღჭურვილი პირი და გირავნობის ფურცელზე საკუთარი ხელმოწერით ადასტურებს დაფარვის

აუცილებლობას. იპოთეკური ბანკის გაკოტრების შემთხვევაში გირავნობის ფურცლის მფლობელებს გააჩნიათ პრივილეგირებული უფლება ბანკის ყველა სხვა კრედიტორის მიმართ.

საგარანტიო ფურცლებში კაპიტალის განთავსების ძირითად მიზანს წარმოადგენს კაპიტალის საიმედო დაბანდება, რომელიც ეკუთვნის არასრულწლოვანებს - მათი მეურვეობის დახმარებით; სესხების მიღება სახელმწიფო სამიწათმოქმედო ბანკში გირავნობის ქვეშ და ა.შ.

პრაქტიკაში გვხვდება სხვადასხვა ღირსების მატარებელი გირავნობის ფურცლები. ჩვეულებრივ გირავნობის ფურცლებთან ერთად მიმოქცევაშია ეგრეთწოდებული საკუპონე წიგნაკი. იგი შედგება ცალკეული კუპონებისგან, რომელშიც აღნიშნულია გადასახდელი პროცენტის თანხა და გადახდის თარიღი. აქციის მფლობელს შეუძლია მიიღოს აღნიშნული პროცენტი კუპონის წარდგენისას. იმისათვის რომ მფლობელს არ გამორჩეს პროცენტის გადახდის თარიღი, რეკომენდებულია დეპონირებულ იქნას გირავნობის ფურცელი იპოთეკურ ან სხვა ბანკში, რომელიც თვალყურს მიადევნებს კუპონზე პროცენტის დროულ დარიცხვას.

კუპონის დროულ წარდგენას გასანაღდებლად აქვს არსებითი მნიშვნელობა, რადგან შესაბამისი პროცენტის გადახდიდან ორი წლის გასვლის შემდეგ მის მიღებაზე უფლება ძალადაკარგულად ითვლება.

დღეისათვის ბანკები უკვე გადადიან ემისიაზე ფასიანი ქაღალდების გამოშვების გარეშე. ამ დროს მყიდველი იღებს სადეპოზიტო სერტიფიკატს, რომელიც ადასტურებს მის უფლებას გლობალური სერთიფიკატის წილის საკუთრებაზე ბანკების ფასიან ქაღალდებში.

გირავნობის ფურცლის ღირებულების დაბრუნების უფლება მისი ვადის გასვლიდან შესაძლებელია 30 წლის შემდეგაც. ემისიის პირობები, როგორიცაა: **საპროცენტო განაკვეთი, მოქმედების ვადა** და **დაბრუნების თარიღი, მითითებული** უნდა იქნეს გირავნობის ფურცელზე.

გირავნობის ფურცლებს იპოთეური ბანკები, როგორც წესი უშვებენ თავისუფალ გაყიდვაში. ისინი შესაძლებელია იყიდებოდეს ბირჟებზე საბირჟო კურსით. ბანკი ასევე ზრუნავს იმაზე, რომ თავიდან იქნეს აცილებული კურსის

მკვეთრი რყევა. ამისთვის ბანკები პერიოდულად ახორციელებენ საკუთარი ფასიანი ქაღალდების ამოღებას საბირჟო ვაჭრობიდან.

იპოთეკური ბანკების სპეციფიკური საქმიანობა განაპირობებს მათი პასიური და აქტიური ოპერაციების ფორმირებას, რომლებიც არსებითად განსხვადებიან კომერციული, შემნახველი და საინვესტიციო ბანკების ოპერაიცებისგან (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2

სახელმწიფო და კერძო იპოთეკური ბანკების ბალანსის მოდელი

პასივები	აქტივები
1. კომუნალური ობლიგაციები	1. ნაღდი ფული და ანგარიშები საკრედიტო დაწესებულებებში
2. გრძელვადიანი სესხები	2. გრძელვადიანი სესხები
3. გარდამავალი კრედიტები	3. ფასიანი ქაღალდები
4. საკუთარი სახსრები	4. გარდამავალი კრედიტები
5. სხვა პასივები	5. სხვა აქტივები

Деньги, кредит, Банки., под ред. В. Ф. Жукова.2008: 385

პასიური ოპერაციების 50%-ზე მეტი მოდის გრძელვადიანი ობლიგაციების ემისიაზე, მომდევნო ადგილზეა თანხების მოზიდვა გრძელვადიანი სესხების და გარდამავალი კრედიტებისთვის, ასევე საკუთარი სახსრები, ჩართული აქციონერულ კაპიტალში, სარეზერვო ფონდში და გაუნაწილებელ მოგებაში. აქტივების ოპერაციათა თითქმის 85% მოდის გრძელვადიან კრედიტებზე, რომელიც გამოეყოფათ ცალკეულ კლიენტებს საცხოვრებელი ბინების და სამრეწველო ობიექტების მშენებლობისთვის, შემდგომ წარმოადგენილია გარდამავალი კრედიტები (სახელმწიფო სახსრები დაახლოებით 3%, ფასიანი ქაღალდები 0,5%, სხვა 1,5%).

გირავნობის გამოშვება ხორციელდება სხვადასხვა კუპიურებით 10-დან 25 - წლის ვადით. გირავნობა შესაძლებელია იყოს მოთხოვნამდე, ან სახელობითი.

პირველი წარმოადგენილია წვრილი კუპიურების ფასიანი ქაღალდებით, რომლებაც ყიდულობენ ბანკები.

უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა დაკრედიტების ტექნიკაში. უწინ ბანკები კრედიტებს გასცემდნენ იპოთეკის ქვეშ, გირავნობის რეალიზაციის მომენტამდე ანუ საკუთარი სახსრების ხარჯზე. დღეისათვის ბანკების მიერ საავანსო დაკრედიტება არ ხორციელდება, ამიტომ ისინი კრედიტს გასცემენ გირავნობის ემისიის რეალიზაციიდან მიღებული სახსრების საფუძველზე. ამასთან ერთად მთელრიგ ქვეყნებში იპოთეკური ბანკების პასიურ ოპერაციებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფო სახსრები, რომელიც ბალანსში ასახულია მუხლში **„გარდამავალი კრედიტები“.**

ბოლო წლებში იპოთეკურ, კომერციულ და სხვა საკრედიტო ინსტიტუტებს შორის გამწვავებული კონკურენციის პირობებში ფულადი რესურსების მიზიდვის მიზნით, იპოთეკური ბანკები ხშირად მიმართავენ არატრადიციულ ოპერაციებს საკუთარი შემოსავლების გადიდებისთვის, რომელიც გამოხატულებას პოულობს ფიზიკური პირების ანაბრების მოზიდვაში, კერძო ფასიან ქაღალდებში საკუთარი სახსრების განთავსებაში, ლიზინგური და ფაქტორინგულ ოპერაციების განხორციელებაში. იპოთეკური ბანკები ცდილობენ გააფართოვონ საკუთარი ოპერაციები დივერსიფიკაციის გზით, რადგან მათი თანამედროვე მდგომარეობა მჭიდრო კავშირშია ეკონომიკური კონიუნქტურის ცვლილებებთან. დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკაში უმნიშვნელო ჩავარდნები, განსაკუთრებით მშენებლობას და სოფლის მეურნეობაში, ნეგატიურად აისახება იპოთეკური ბანკების მდგომარეობაზე, რადგან იზრდება რისკი ვალის დაუბრუნებლობის ალბათობის.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების თანამედროვე საკრედიტო სისტემაში ფართო გავრცელება ჰპოვა საინვესტიციო ბანკებმა და საინვესტიციო კომპანიებმა. დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის, აშშ-ის, იაპონიის საინვესტიციო ბანკების საქმიანობამ თანამედროვე ეტაპზე მიგვიყვანა საკრედიტო სფეროში შრომის დანაწილებასა და სპეციალიზაციასთან.

აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, იაპონიის საინვესტიციო ბანკები აწარმოებენ გრძელვადიან სასესხო კაპიტალის მობილიზაციას და მათ გამოყენებას (მეწარმოების,

სახელმწიფოს) ობლიგაციების და სხვა სახის ვალდებულებების ემისიაში და გაყიდვებში.

საინვესტიციო ბანკები დასაქმებულნი არიან მსესხებელთა მოთხოვნის შესწავლით, სესხის პირობების შემუშავებით, ბაზრის მდგომარეობის შესწავლით და სასესხო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვის ვადის დადგენით. განვითარებულ ქვეყნებში დღეისათვის სახეზე გვაქვს ორი ტიპის საინვესტიციო ბანკები. პირველი ტიპის საინვესტიციო ბანკები დასაქმებულნი არიან კონკრეტულად ფასიანი ქაღალდების განთავსებით და ვაჭრობით. მეორე ტიპის საინვესტიციო ბანკები კი გრძელვადიანი დაკრებიტებით.

პირველი ტიპის ბანკები ჩამოყალიბდნენ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე ამხანაგობები მე-19 საუკუნის დასაწყისში. ხოლო უკვე XX საუკუნის დასწაყისიდან კერძო ბანკირებმა, საშუალო და მცირე საბანკო სახლებმა თანდათან ადგილი დაუთმეს მსხვილ საბანკო სახლებს და საემისიო ბანკებს, რომლებიც წარმატებით ახორციელებენ ემისიის სფეროს ათვისებას და ფასიანი ქაღალდების განთავსებას. განსაკუთრებით ფართო გავრცელება მათ ჰპოვეს მე-20 საუკუნის ოციან წლებში, ხოლო დიდი დეპრესიის პირობებში (1929-1933 წლებში) მრავალი მათგანი გაკოტრდა.

ამერიკული ბანკების დაყოფა კომერციულ და საინვესტიციო ბანკებად მომდინარეობს 1933 წლის საბანკო კანონიდან (გლასა-სტიგოლლას აქტი). მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში მიღებულმა დიდმა ზარალმა იმდროინდელი უნივერსალური ბანკები დააყენა ალტერნატივის წინაშე - განეხორციელებინათ ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით ან კომერციული ბანკების ტრადიციული ოპერაციები. აღნიშნული ალტერნატივის შედეგად ყველა ბანკები გაიყო ორ ჯგუფად: კომერციულ ბანკებად და საინვესტიციო ბანკებად, რომლებთანაც მჭიდროდ არის დაკავშირებული საბროკერო სახლები.

საინვესტიციო ბანკების ჩამოყალიბება XVIII საუკუნეში მჭიდროდ უკავშირდება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსებას. შემდგომ ორგანიზაციათა აქციონერული ფორმის გავრცელების შედეგად მათ დაიწყეს ფულადი სახსრების მობილიზება მსხვილი კომპანიების და კორპორაციებისთვის, მათი აქციების და ობლიგაციების განთავსებით, ასევე აქტიურად ჩაერთვნენ ახალი

კომპანიების შექმნაში, რეორგანიზაციასა და შერწყმაში, ფართოდ იქნენ დაკავებულნი ყველა დონის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსების ოპერციებში.

პირველი ტიპის საინვესტიციო ბანკები, როგორც წესი, გვევლინებიან ფასიანი ქაღალდების ემისიის ორგანიზატორებად და ახალ კომპანიათა დამფუძნებლების როლში და ასევე მათ გარანტებად, რომელიც მოქმედებენ საკომისიო მოსაკრებლების საფუძველზე ან უხდიან წინასწარ დადგენილ თანხას ამ უკანასკნელს აქციის ან ობლიგაციის შემდგომი განთავსების მიუხედავად. ისინი მოქმედებენ აგენტების სახით, რომლებიც იძენენ ფასიანი ქაღალდების გარკვეულ ნაწილს. ისინი არ არიან განთავსებულნი კომპანიონთა მიერ, ხოლო, როგორც ფასიანი ქაღალდების ფინანსური კონსულტანტები სავაჭრო, სამრეწველო და სატრასნპორტო კომპანიათა საქმიანობაში ჩართულნი არიან სხვა ასპექტით.

დღეისათვის პირველი ტიპის საინვესტიციო ბანკები, როგორც წესი ახორციელებენ ეკონომიკის კორპორაციული სექტორის ფასიანი ქაღალდების ოპერაციებს. ობლიგაციების და აქციების განთავსებით ისინი გვევლინებიან სამრეწველო, სატრანსპორტო და სავაჭრო საწარმოებისთვის შუამავლებად ფულადი სახსრების სტაბილური შემოსავლების მისაღებად.

ამასთან ერთად, აღნიშნული ბანკები ასრულებენ ასევე მთელ რიგ სხვა ფუნქციებს, რომლებიც დაკავშირებულია კაპიტალის მოზიდვასთან, ფასიანი ქაღალდების ბაზრის მომსახურებასთან, კერძოდ:

- **დაკავებულნი არიან აქციების და ობლიგაციების მეორდი განაწილებით;**
- **გვევლინებიან შუამავლებად საერთაშორისო ფასიანი ქაღალდების განთავსებისას (ევროობლიგაციები და ევრო აქციები) ევროვალუტის ბაზარზე;**
- **კონსულტაციას უწევენ კორპორაციებს ინვესტიციური სტრატეგიის საკითხებზე და ბუღალტრულ აღრიცხვა - ანგარიშგებაზე.**

თანამედროვე ეტაპზე პირველი ტიპის საინვესტიციო ბანკების მონაწილეობის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია ფასიანი ქაღალდების გაყიდვა და მათ გარეშე მრავალი კამპანიისთვის შეუძლებელია გრძელვადიანი ფულადი სახსრების მიღება.

მთელი რიგი ქვეყნების (აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია) კომპანიები ვერ შეძლებდნენ ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას, თუ ეს ბანკები არ

ჩაერთვებოდნენ მათი ფასიანი ქაღალდების განთავსებაში. ახალი კომპანიების დაფუძნება და ძველის ლიკვიდაციის პროცესი წარმოადგენს ნოყიერ ნიადაგს, რომელზეც წარმატებით ფუნქციონირებენ საინვესტიციო ბანკები. პირველი ტიპის საინვესტიციო ბანკების ფუნქციაში არ შედის დეპოზიტების მიღება, მაგრამ მას მაინც ახორციელებენ საქმიანობის დასაწყისში შეზღუდული მოცულობით. საკუთარი სახსრების შეზღუდულობა აიძულებს ბანკებს ფასიანი ქაღალდების მსხვილი ემისიის რეალიზაციისას შექმნან სინდიკატები და კონსორციუმები, რომლის დროსაც მათი როლი არაერთგვაროვანია. როგორც წესი, სინდიკატებში და კონსორციუმებში დომინირებს ერთი ან ხუთამდე ბანკი, ხოლო დანარჩენები გვევლინებიან შუამავლების როლში. მსხვილ ბანკებსა და ინვესტორებს შორის ძირითადად ფასიანი ქაღალდების მცირე პარტიების რეალიზაციისას.

პირველი ტიპის საინვესტიციო ბანკები მოქმედებენ ძირითადად ფასიანი ქაღალდების პირველად არასაბირჟო ბაზრებზე და ახორციელებენ შუამავლობას ფასიანი ქაღალდების რეალიზაციისას. უკანასკნელ წლებში კერძო აქციებისა და ობლიგაციების განთავსების შედარებით გავრცელებულ მეთოდებს, რომლებსაც იყენებენ საინვესტიციო ბანკები, განეკუთვნება: **ანდერაიტინგი** (underwriting) - რომლის დროსაც ხდება ობლიგაციური სესხის მთლიანი თანხის საკუთარ თავზე აღება ან აქციების ემისია და შემდგომ მისი გავრცელება ბაზარზე; **პირდაპირი განთავსება** (direct placement), ამ დროს ბანკები გვევლინებიან მხოლოდ კონსულტანტებად მყიდველსა და გამყიდველს შორის; **საჯარო განთავსება** (public offer) - **საინვესტიციო ბანკები ქმნიან ჯგუფს ბაზარზე ფასიანი ქაღალდების განთავსებისთვის** და ბოლოს, **კონკურენტული ვაჭრობა** (competitive bidding), როდესაც საინვესტიციო ბანკები იძენენ ფასიანი ქაღალდების თავდაპირველ პაკეტს კორპორაციისგან და შემდგომ აწყობენ აუქციონს პრინციპით „ვინ მეტს გადაიხდის“. ფასიანი ქაღალდების განთავსების ეს მეთოდები ფართოდაა გავრცელებული აშშ-ში, კანადასა და დიდ ბრიტანეთში. ხოლო კონტინენტალურ ევროპაში ძირითადად გამოიყენება საჯარო ვაჭრობის მეთოდი.

უკანასკნელ წლებში აშშ-ში საინვესტიციო ბანკები აკონტროლებენ პირველად ბირჟებზე ფასიანი ქაღალდების განთავსების ოპერაციათა დაახლოებით 70%-ს. **(Кураков В. Л. 2010: 85)** სინდიცირების მეთოდით საინვესტიციო ბანკებს შორის აშშ-ში

წამყვანი მდგმაორეობა უკავიათ შემდეგ ბანკებს: **„მორგან, სტენლი ენდ K“,** რომელიც სპეციალიზირებულია გადადმამუაშვებული მრეწველობის წამყვანი დარგების ფასიანი ქაღალდების განთავსებაზე; **„ფერსტ ბოსტონ კორპორაციონ“** დაკავებულია ძირითადად სარკინიგზო კომპანიების ფასიანი ქაღალდების განთავსებაზე **„მერილლინჩი“** და **„სმიტ ბარნი ენდ K“** დაკავებულნი არიან მრეწველობის, ტარსნპორტის, ვაჭრობის და საკომუნიკაციო მომსახურების სხვადასხვა დარგების ფასიანი ქაღალდების განვითარებით. აშშ-ში საინვესტიციო ბანკები წარმოადგენენ ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინსტიტუციონალურ საფუძველს, განსაკუთრებით პირველადის, რადგან ძირითადად ემსახურებიან ოპერაციებს, რომლებიც დაკავშირებულია ფასიანი ქაღალდების ემისიასთან და საბირჟო ვაჭრობასთან. დიდ ბრიტანეთში ამ სფეროში მოქმედებენ (ფუნქციონირებენ) საემისიო სახლები და საინვესტიციო ბანკები. დღემდე მათ შორის უმსხვილესია **„მორგან გრენფელი“.**

საინვესტიციო ბანკები ფასიანი ქაღალდების განთავსებისთვის მუშაობენ ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე (პირველად, მეორად საბირჟო და ქუჩის) რომელიც თავისებურ ხელწერას ტოვებს მათ პასიურ და აქტიურ ოპერაციებზე და თვალნათლივ აისახება საინვესტიციო ბანკის ბალანსში (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3

პირველი ტიპის საინვესტიციო ბანკის ბალანსი

პასიური ოპერაციები	აქტიური ოპერაციები
1. საკუთარი კაპიტალი (საპარტნიორო ან აქციონერული კაპიტალი), სარეზერვო ფონდი, გაუნაწილებელი მოგება	1. შემოსავლები საშუამავლო საქმიანობიდან ფასიანი ქაღალდების განთავსებიდან და კონსულტაციებიდან
2. კომერციული ბანკების კრედიტები	2. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები
3. სხვა საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტების კრედიტები	3. კერძო ფასიანი ქაღალდები აქციები, ობლიაგციები
4. სხვა ოპერაციები.	4.შენობები, მიწა, ოფისის მოწყობილობები.
	5. სხვა ოპერაციები

Деньги, кредит, Банки., под ред. В. Ф. Жукова.2008: 365

როგორც წარმოადგენილი ბალანსიდან ჩანს, პასიური ოპერაციები შედგება საკუთარი კაპიტალისგან, რომელიც მოიცავს პარტნიორთა შენატანებს, აქციონერულ კაპიტალს, სარეზერვო ფონდს და უშუალო მოგებას. პასიური ოპერაციების შემდეგი მნიშვნელოვანი მუხლია კრედიტები, გაცემული - კომერციული ბანკების მიერ. ისინი აუცილებელია საემისიო ბანკისთვის, კამპანიათა და ემიტენტ კორპორაციათა ფასიანი ქაღალდების ემისიის შესაძენად და განსათავსებლად სხვადასხვა ინვესტორთა შორის. საინვესტიციო ბანკები უკანასკნელ პერიოდში საკუთარი პასივების შევსებისთვის წარმატებით იყენებენ სხვა საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტების კრედიტებს (შემნახველი ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, საპენსიო ფონდების). აღნიშნული ქმედება გამოწვეულია იმით, რომ აქციათა და ობლიგაციათა მსხვილი პაკეტების შესაძენად საკმარისი არ არის მარტო კომერციული ბანკების სახსრები. საინვესტიციო ბანკების აქტიური ოპერაციები დაკავშირებულია ფასიანი ქაღალდების ოპერაციებთან. ბანკის აქტივებში პირველ ადგილს იკავებს დამფუძნებელთა საქმიანობიდან საკომისიო შენატანები ფასიანი ქაღალდების განთავსებით, ასევე შემოსავლები სამრეწველო, სატრანსპორტო და სავაჭრო კომპანიების კონსულტაციებიდან. აქტივების შემდგომ მუხლებს განეკუთვნება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებში განთავსებული სახსრები, რადგან სახელმწიფო ობლიგაციებს გააჩნიათ ლიკვიდობის მაღალი ხარისხი და ყველა ბანკი მას ხალისით იძენს. ბალანსის აქტივების მნიშვნელოვან მუხლს წარმოადგენს ფასიან ქაღალდებში კერძო კომპანიების მიერ დაბანდებული სახსრები, რომელიც განეკუფთვნება პორტფელს. იგი ბანკებს უყალიბდებათ ამ ქაღალდების შეძენით, ან ღებულობენ მათ გადასახადის სახით საშუამავლო მომსახურებისთვის. აღნიშნულ მუხლზე მოდის საინვესტიციო ბანკების აქტივების ოპერაციათა 70%-ზე მეტი. აქტივების მუხლი **„უძრავი ქონება“** მოიცავს უძრავი ქონების და მოწყობილობის შეძენას ბანკისთვის, ხოლო მუხლში **„სხვა აქტივები“** მოიცავს ბანკის ფინანსურ მომსახურებას.

მეორე ტიპის საინვესტიციო ბანკები არსებითად განსხვავდებიან პირველი ტიპის ბანკებისგან ორგანიზაციული სქტრუქტურით, ფუნქციებით და ოპერაციებით. მათ მთავარ ფუნქციას განეკუთვნება ეკონომიკის სხვადასხვა დარგების გრძელვადიანი და საშუალოვადიანი დაკრედიტება, სპეციალური მიზნობრივი

პროექტების დაფინანსება დაკავშირებული მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვასთან და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევების რეალიალიზაციასთან, როგორც წესი მეორე ტიპის ბანკები მჭიდროდ არიან დაკავშირებული სახელმწიფოსთან და უზრუნველყოფენ მათ გრძელვადიანი დაფინანსებით. შერეული და სახელმწიფო ტიპის საინვესტიციო ბანკები აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფო პროგრამების რეალიზაციაში. დღეისათვის ისინი ახორციელბენ სხვადასხვა ოპერაციებს. სასესხო კაპიტალის ბაზრებზე, კერძოდ: აკუმულირებას უკეთებენ იურიდიული და ფიზიკური პირების დანაზოგებს, ახორციელებენ საშუალო და გრძელვადიან დაკრედიტებას, დებენ სახსრებს კერძო და სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში, ავითარებენ სხვადასხვა ფინანსური მომსახურების ფორმებს. ქვეყნის საკრედიტო სისტემაში მათ უკავიათ მნიშვნელოვანი ადგილი, კომერციული ბანკების შემდეგ.

განვითარებად ქვეყნებში საინვესტიციო ბანკები ჩამობალიბებას იწყებენ ძირითადად მე-20 საუკუნის 60-იან წლებიდან, როდესაც აქ ქვეყნების უმრავლესობამ მოიპოვეს პოლიტიკური დამოუკიდებლობა. ამ ქვეყნებში საინვესტიციო ბანკების ჩამოყალიბების პროცესში აქტიური მონაწილეობა მიიღეს განვითარებული ქვეყნების კომერციულმა ბანკებმა. განვითარებადი ქვეყნების საინვესტიციო ბანკები ახორციელებენ გრძელვადიან დაკრედიტებას და ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებს, ამასთან ერთად უკანასკნელ პერიოდში მთელ რიგ ქვეყნებში ფუნქციონირებენ საინვესტიციო ბანკები, რომლებიც ითავსებენ პირველი და მეორე ტიპის საინვესტიციო ბანკების ფუნქციებს და ოპერაციებს.

აშშ-ში, კანადაში, დიდ ბრიტანეთში, მეორე ტიპის საინვესტიციო ბანკები არ არსებობენ, მათ ცვლიან სხვა საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფენ საშუალო და გრძელვადიან დაფინანსებას. გერმანიაში მეორე ტიპის საინვესტიციო ბანკების ფუნქციებს ასრულებენ ძირითადად მსხვილი კომერციული ბანკები. იაპონიაში დღეისათვის გრძელვადიანი დაკრედიტების სამი ბანკი ფუნქციონირებს: **„ინდუსტრიალ ბენკ ოფ ჯენენ“, „ლონგ-ტეომ კრედიტ ბენკ ოფ ჯენენ“** და **„ნიპონ კრედიტ ბენკი“**. ისინი დაფუძნებულები იქნენ 1952 წელს მიღებული სპეციალური კანონით. (**Деньги, кредит, Банки., под ред. В. Ф. Жукова.2008: 368**) პირველი ორი ბანკი საკუთარ საქმიანობას ახორციელებს მსხვილი საწარმოების

ბაზაზე, ხოლო **„ნიპონ კრედიტ ბენკი“** ითავსებს იპოთეკური და საინვესტიციო ბანკის ფუნქციებს და სპეციალიზირებულია საშუალო და მცირე კომპანიების დაკრედიტებაზე.

იაპონიის საკრედიტო ბაზარზე ფუნქციონირებენ სატრასტო ბანკები, რომლებიც თავდაპირველად შექმნილი იყვნენ ქონების მართვისთვის და მოგვიანებით გადაკეთდნენ ბანკებად. ისინი ახორციელებენ გრძელვადიან დაკრედიტებას და საკუთარ თავზე იღებენ ასევე საფინანსო მართვას.

საფრანგეთში ამ ტიპის ბანკები არსებობენ საქმიანი ბანკების სახით და საკუთარ თავზე იღებენ საშუალო და გრძელვადიან დაკრედიტებას.

იტალიაში საინვესტიციო ბანკები წარმოადგენილია ნახევრად სახელმწიფო და სახელმწიფო ბანკების სახით. მათ მიეკუთვნება: **„ინსტიტუტო მობილიარე იტალიანო“,** „მიდიბანკი“, „ეფიბანკი“, რომლებიც ახორციელებენ მრეწველობის საშუალო და გრძელვადიან დაკრედიტებას, ხოლო **„მედიოკრედიტო“** კი ახორციელებს მცირე და საშუალო ფირმების დაკრედიტებას.

ესპანეთში ფუნქციონირებს საინვესტიციო ბანკების მეორე ტიპის სისტემა, შვეიცარიაში ასეთი ტიპის ბანკები არ ფუნქციონირებენ და მათ ფუნქციებს ასრულებს კომერციული ბანკები.

თურქეთში ფუნქციონირებს ხუთი მეორე ტიპის საინვესტიციო ბანკი. აქედან სამი სახელმწიფოა, ხოლო ორი კერძო. სახელმწიფო საინვესტიციო ბანკები ძირითადად ახორციელებენ სახელმწიფო სექტორის საშუალო და გრძელვადიან დაფინანსებას. ტურიზმის ბანკი კი ახორციელებს გრძელვადიან დაკრედიტებას კერძო და სახელმწიფო ტურიზმისა და მისი ინფრასტრუქტურისა.

ავსტრიაში მოქმედებს შვიდი საინვესტიციო ბანკი სახელწოდებით **„საინვესტიციო კრედიტის ბანკი“** და ემსახურება კერძო სექტორს. ფინეთში საინვესტიციო ბანკის ფუნქციებს ასრულებენ კომერციული ბანკები.

მეორე ტიპის საინვესტიციო ბანკების პასიური და აქტიური ოპერაციები ფორმირდება მათი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე (იხ. ცხრილი 4).

ცხრილი 4

მეორე ტიპის საინვესტიციო ბანკების პასიური და აქტიური ოპერაციბის სტრუქტურა

პასიური ოპერაციები	აქტიური ოპერაიცები
1. სააქციო კაპიტალი	1. ფული სალაროში
2. სარეზერვო ფონდი	2. საშუალოვადიანი კრედიტი
3. მოზიდული დეპოზიტები	3. გრძელვადიანი კრედიტი
4. კრედიტები	4. დაბანდებები ფასიან ქაღალდებში სახელმწიფო და კერძო
	5. შენობა, მიწა, ოფისის მოწყობილობები

Деньги, кредит, Банки., под ред. В. Ф. Жукова.2008: 369

ამ ტიპის ბანკების პასივების ფორმირება ხორციელდება საკუთარი სახსრებით (სააქციო კაპიტალი და სარეზერვო ფონდი), დეპოზიტებით, კომერციული ბანკების და სხვა საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტების კრედიტებით. პასიური ოპერაციების დიდი ნაწილი შედგება იურიდიული, ფიზიკური პირების და ასევე მოზიდული კრედიტებისგან, რომლებსაც ძირითადში მათ აძლევენ კომერციული ბანკები.

აქტიური ოპერაციები შედგება საშუალო და გრძელვადიანი კრედიტებისგან 60-70%-ის ფარგლებში. დანარჩენი წილი კი მოდის ფასიან ქაღალდებში განთავსებულ სახსრებზე.

საქართველოში დღეისათვის სახეზე გვაქვს ორი საინვესტიციო ფონდი, რომლებიც ახორციელებენ ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა დარგების დაფინანსებას (ინვესტირებას). სს „საპარტნიორო ფონდი“ არის სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი, რომელიც დაფუძნდა 2011 წელს „საპარტნიორო ფონდი“ შეიქმნა სატრანსპორტო, ენერგეტიკის და ინფრასტრუქტურის სფეროში არსებული მსხვილი სახელმწიფო საწარმოების კონსოლიდაციის ბაზაზე, ფონდის მთავარი დანიშნულებაა ინვესტიციების წახალისება საინვესტიციო პროექტების საწყის ეტაპზე თანამონაწილეობის გზით (კაპიტალში თანაინვესტირება, სუბორდინირებული სესხი

და ა.შ.) „საპარტნიორო ფონდის“ საქმიანობა ხორციელდება ორი ძირითადი მიმართულებით:

1. აქტივების მართვა-ფონდის მართვაში არსებული აქტივების ჯამურმა ბრუნვამ 2012 წელს 750 მილიონ აშშ. დოლარს გადააჭარბა ფონდის აქტივების პორტფელი შედგება შემდეგი სტრატეგიული მნიშვნელობის კომპანიებისგან.

- საქართველოს რკინიგზა - 100% წილი.

- საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია - 100% წილი.

- საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა - 100% წილი

- ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი - 100% წილი

- სს „თელასი“ – 24,5% წილი.

2. საინვესტიციო საქმიანობა-ამჟამად ფონდის პორტფელშია რამდენიმე პროექტი ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში, რომელთა ჯამური ღირებულება აღემატება 1 მლრდ აშშ დოლარს. **(www.fund.ge)** ფონდი უფლებამოსილია განახორციელოს ინვესტირება მხოლოდ საქართველოში და მისი სტრატეგია მიმართულია კერძო ინვესტიციების მოზიდვასა და მხარდაჭერაზე, საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტულ სფეროებში, როგორიცაა: **ენერგეტიკა, აგრობიზნესი, წარმოება, უძრავი ქონება და ტურიზმი, ინფრასტრუქტურა და ლოგისტიკა.**

საქართველოში ასევე ფუნქციონირებს მეორე **„თანაინვესტირების ფონდი“** (GCF) **(www.gefund.ge)**, რომელიც დაფუძნდა 2013 წლის ნოემბერში და წარმოადგენს კერძო საინვესტიციო ფონდს. აღნიშნული სააქციო ფონდის მიზანს წარმოადგენს ფონდში თავმოყრილი ქონების 80%-ის მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტულ სფეროებში (ტურიზმი, ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა) ინვესტირების განხორციელება.

საქართველოსგან განსხვავებით დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში ფართოდ არის განვითარებული ისეთი სპეციალური საკრედიტო - საფინანსო ინსტიტუტი, როგორიცაა: **საბანკო სახლები.** იგი უძველესი საკრედიტო - საფინანსო ინსტიტუტია, რომელიც, როგორც წესი, წარმოადგენენ კერძო ბანკებს და ეკუთვნოდა ცალკეულ ბანკირებს ან ბანკირთა ჯგუფს, რომლებიც გაერთიანებულნი იყვნენ შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობებში. საწყის ეტაპზე საბანკო სახლები ასრულებდნენ სავაჭრო, საანგარიშსწორებო და საემისიო ფუნქციებს. თავისი არსით

ეს იყო თავდაპირველი საბანკო კრედიტის საორგანიზაციო ფორმა. ევროპაში XVIII-XIX საუკუნეებში საბანკო სახლების მთავარი ფუნქცია იყო სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსება. ამ სფეროში განსაკუთრებით აღსანიშნავია საბანკო სახლ **„როტშილდის“** საქმიანობა საფრანგეთში და მისი შვილობილი განშტოებების მოღვაწეობა გერმანიაში და დიდ ბრიტანეთში. XX საუკუნეში მრავალი საბანკო სახლი შთანთქა მსხვილმა კომერციულმა საინვესტიციო ბანკებმა. დაწყებული 80-იანი წლებიდან განხორციელდა საბანკო სახლების საქმიანობის დივერსიფიკაცია, მაგრამ დღეისათვის მათ მთავარ ფუნქციად რჩება **საემისიო - სადამფუძნებლო საქმინობა.** ისინი გვევლინებიან საერთაშორისო საკრედიტო ბაზრებზე ფასიანი ქაღალდების განმთავსებელ შუამავალთა როლში და წარმატებით აგრძელებენ საკუთარ საქმიანობას აშშ-ში, დიდი ბრიტანეთში, საფრანგეთსა და გერმანიაში.

სპეციალური საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტებიდან ასევე აღსანიშნავია შემნახველი დაწესებულებები, ისინი როგორც კერძო სტრუქტურები დიდი რაოდენობით ახდენენ წვრილი დანაზოგების და შემოსავლების მოზიდვას. ამ დაწესებულებების როლი განსაკუთრებით დიდია საკრედიტო ბაზრის სისტემაში. ისინი ხელს უწყობენ მოზიდული კაპიტალის ფართოდ გამოყენებას. დღეისათვის დასავლეთ ევროპის განვითარებულ ქვეყნებში არსებობს შემნახველ ორგანიზაციათა ორი ძირითადი სახე. პირველი შემნახველი ბანკები, რომლებიც ძირითადად ღებულობენ წვრილ ვადიან ანაბრებს. ამ ბანკების მიერ მოზიდული და დაბანდებული სახსრები წარიმართება სხვადასხვა ვალდებულებებში და ფასიან ქაღალდებში, განსაკუთრებით კი იპოთეკური ბანკების გირავნობის ფურცლებსა და სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების ობლიგაციებში განსათავსებლად.

მეორე სასესხო - შემნახველი ასოციაციები, რომლებიც ყალიბდებიან საპაიო საწყისებზე, მათი კაპიტალი იქმნება განსაკუთრებული სახის სერტიფიკატების კლიენტებზე მიყიდვის გზით. ამ სერტიფიკატების გამოსყიდვა ხორციელდება მათ მფლობელთა პირველივე მოთხოვნისთანავე, ნომინალური ღირებულების მიხედვით. ისინი საგრძნობ შემოსავალს იძლევიან სარგებლის სახით. სერტიფიკატები ვადიანი ანაბრების ანალოგიურია.

შემნახველი დაწესებულებების განვითარება აქტიურად მიმდინარეობს აშშ-ში და საკრედიტო საფინანსო დაწესებულებათა მთლიან აქტივებში მათი ხვედრითი წონა

20%-დე აღწევს და დღესაც ზრდის ტენდენციით ხასიათდება. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში შემნახველი დაწესებულებები წარმოადგენილია სხვადასხვა სახით. კერძოდ გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში და ესპანეთში გავრცელებულია შემნახველი სალაროები, დიდ ბრიტანეთში შემნახველი ბანკები, აშშ-ში ურთიერთშემნახველი ბანკები.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში საკრედიტო კაპიტალის ბაზრებზე ფართო განვითარება ჰპოვა სპეციალურმა არასაბანკო ინსტიტუტებმა. ასეთ დაწესებულებათა რიცხვს მიეკუთვნება სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო ფონდები, ფინანსური კომპანიები, საქველმოქმედო ფონდები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და ა.შ.

სპეციალური არასაბანკო დაწესებულებების გავლენის ზრდას ხელი შეუწყო ისეთმა ფაქტორებმა, როგორიცაა: განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის შემოსავლების ზრდა, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება და მოსახლეობისთვის ისეთი სპეციალური მომსახურების შეთავაზება, რომლის განხორციელების ძალა ბანკებს არ შესწევთ.

სპეციალური არასაბანკო ორგანიზაციების საქმიანობის ძირითადი ფორმაა საკრედიტო კაპიტალის ბაზარზე მოსახლეობის დანაზოგების აკუმულაცია, ობლიგაციური სესხების ფორმით კორპორაციებისა და სახელმწიფოსთვის კრედიტების გაცემა.

სადაზღვევო კომპანიების შემოსავლები იქმნება დაზღვევის პოლისების რეალიზაციის გზით. სადაზღვევო კომპანიები საკუთარ სახსრებს სამრეწველო კომპანიების აქციებში, ობლიგაციებსა და სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში ათავსებენ. სადაზღვევო კომპანიები დაზღვევის ობიექტის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფიან: **მოქალაქეთა სიცოცხლის დაზღვევა და ქონების დაზღვევა.** სადაზღვევო კომპანიების შემოსავლები ბევრად აღემატება პოლისის მფლობელთათვის გადახდილ გადასახადებს. ამიტომ, სადაზღვევო კომპანიებს საკმაოდ დიდი შემოსავლები გაანჩიათ და შესწევთ უნარი ყოველწლიურად გაზარდონ საკუთარი დაბანდებანი მაღალ შემოსავლიან გრძელვადიან აქტივებსა და ობლიგაციებში.

ბანკებისგან განსხვავებით, სადაზღვევო კომპანიებს გააჩნიათ უფრო ფართო ორგანიზაციული ფორმები. პირველი სახის ფორმა აგებულია აქციონერული

საზოგადოების საფუძველზე. მეორე ფორმის დროს პოლისის ყველა მფლობელი აქციონერული კომპანიის თანამფლობელია, მაგრამ არა აქციის ბაზაზე, არამედ სადაზღვევო პოლისის საფუძველზე. მესამე ფორმა აგებულია კოოპერაციულ საწყისებზე, ხოლო მეოთხე ფორმა, ანუ ლოიდის სისტემა, შედგება სინდიკატებისგან და როგორც წესი, მასში შედის მეპაიებად სადაზღვევო კომპანიები და საბროკერო სადაზღვევო ფირმები.

არასაბანკო საკრედიტო - საფინანსო ინტიტუტების ერთ-ერთი ფორმაა საპენსიო ფონდები, რომლებსაც ქმნიან კერძო კომპანიების და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეები მოხუცებულობის დროს პენსიებით უზრუნველყოფის მიზნით.

კერძო საპენსიო ფონდები იქმნება მუშა–მოსამსახურეთა და მეწარმეთა ფულადი შენატანების საფუძველზე, რომელსაც მოსამსახურეები ნაწილ – ნაწილ იხდიან ხელფასიდან, ხოლო მეწარმეები მოგებიდან ანარიცხების სახით. საპენსიო ფონდების აქტივების დაბანდება ძირითადად საწარმოებში ხორციელდება. საპენსიო ფონდებში კაპიტალის დაგროვების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მათი ფორმირება ძირითადად წარმოებს მეწარმეთა და მუშა – მოსამსახურეთა საწევრო შენატანებისგან. საპენსიო ფონდები ძირითადად ფლობენ გრძელვადიან ფულად სახსრებს და ამ სახსრებს აბანდებენ სახელმწიფო და კერძო ფასიან ქაღალდებში. მაგალითად, საპენსიო ფონდების აქტივების 80%–მდე შეადგენს კერძო კორპორაციების ფასიანი ქაღალდები.

არასაბანკო საკრედიტო–საფინანსო ინსტიტუტების განსაკუთრებული ტიპის საკრედიტო დაწესებულებებია საფინანსო კომპანიები, რომლებიც ფუნქციონირებენ სამომხმარებლო კრედიტის სფეროში. ისინი საცალო და საბითუმო ვაჭრობაში საქონლის გაყიდვებს აკრედიტებენ. **ამ კომპანიების ფართო ქსელი მოქმედებს აშშ – ში, საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიასა და იაპონიაში.** აშშ – ში განსაკუთრებით გავრცელებულია ხანგრძლივი მოხმარების საქონლის განვადებით გაყიდვების დაკრედიტება. საფინანსო კომპანიები ორი სახისაა: **საქონლის ნისიად გაყიდვის დაფინანსების** და **პირადი დაფინანსების** სახით. ორივე შემთხვევაში კომპანიები სესხებს გასცემენ ერთიდან სამ წლამდე ვადით. ფინანსური კომპანიები დასაბამს იღებენ აშშ-დან, რადგან პირველად სწორედ აქ

დაიწყო საქონლის განვადებით გაყიდვა და იგი შემდგომ გავრცელდა დასავლეთის ქვეყნებში.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ძირითადი ამოცანაა, ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობით სიღარიბის დაძლევა. რაც შეეხება საკრედიტო კავშირებს, ისინი იგივე კოოპერატივებია, რომლებიც არსებობენ მოსახლეობის პროფესიული გაერთიანების პრინციპების საფუძველზე. მათი კაპიტალი იქმნება საპაიო შენატანების შედეგად, განსაკუთრებული სახის აქციების შეძენის ფორმით. მას იყენებენ მოკლევადიანი დაკრედიტების მიზნით. მაგალითად, ავტომობილის შესაძენად, სახლის რემონტისათვის და სხვა. საკრედიტო კავშირები მაღალი ტემპით ვითარდება აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, იაპონიაში, იტალიაში და მსოფლიოს მრავალ განვითარებად ქვეყნებში.

ამრიგად, სპეციალური საბანკო და არასაბანკო საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობის გაცნობა-გაანალიზებამ დაგვანახა, რომ ისინი თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებში საკრედიტო ბაზრის აქტიური სტრუქტურული ელემენტები არიან და მნიშვნელოვნად განაპირობებენ საკრედიტო ბაზრების ინსტიტუციონალური სტრუქტურის ჩამოყალიბებას და მათ გამართულ ფუნქციონირებას. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაში, განსაკუთრებით, ფინანსური კრიზისების პერიოდში.

თავი II. საკრედიტო პორტფელის ფორმირება და საკრედიტო ბაზრის განვითარება: საერთაშორისო გამოცდილება

2.1. ბანკების საკრედიტო პორთფელი და მისი შეფასების კრიტერიუმები

თანამედროვე საკრედიტო სისტემა წარმოადგენს სასესხო კაპიტალის ბაზრის ძირითად ელემენტს, რომელიც მოიცავს საკრედიტო ურთიერთობებს და ამ ურთიერთობებზე აგებული ინსტიტუტების ერთობლიობას, რომელიც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს ფულადი დანაზოგებისა და შემოსავლების აკუმულაციას და მათი კრედიტის სახით განთავსებას, ფირმებში, კორპორაციებში, სახელმწიფოსა და მოსახლეობაში.

მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისამდე საქართველოს არ გააჩნდა საკუთარი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. საქართველოს ეროვნული ბანკის ფუნქციონირებას საფუძვლად დაედო 1995 წლის 23 ივლისს მიღებული კანონი **„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“**, რომელმაც სხვა საკანონმდებლო აქტებთან ერთად უზრუნველყო ქვეყნის ეროვნული ბანკის შეუფერხებელი ფუნქციონირება. **საქართველოს ეროვნული ბანკი ქვეყნის ცენტრალური ბანკია, ანუბანკთა ბანკი, მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი.** საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარის, ფასების სტაბილურობის მიღწევა, საფინანსო-საკრედიტო სისტემის ლიკვიდობის, გადახდისუნარიანობისა და საბაზრო ურთიერთობებზე დაფუძნებული მყარი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

ქვეყნის ფულად-საკრედიტო სისტემის ხერხემალს კომერციული ბანკები წარმოადგენენ, რომლებიც ახორციელებენ სამრეწველო, სავაჭრო, სამშენებლო, სატრანსპორტო და სხვა საწარმოებისა და ფირმების, ასევე საოჯახო მეურნეობების დაკრედიტებას. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში კომერციული ბანკები წარმოადგენენ საბაზრო სისტემის მთავარ რგოლს. მათი კლიენტებთან ურთიერთობა კომერციული ხასიათისაა და ამდენად **„კომერციული ბანკი საკრედიტო დაწესებულებაა, რომელიც მოგების მიღების მიზნით ეწევა საბანკო**

საქმიანობას“ (საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ „საქართველოს საბანკო კანონმდებლობა“ თბ. 1996. გვ 48).

კომერციული ბანკების მიერ სახსრების აკუმულაციისა და განთავსების ოპერაციების ეკონომიკური საფუძველია ფულადი საშუალებების მოძრაობა, როგორც ობიექტური პროცესი, რომელიც გავლენას ახდენს სასესხო ღირებულებების ფორმირებასა და გამოყენებაზე. ასეთი ოპერაციების დროს კომერციული ბანკი გამოდის, როგორც საწარმო, რომელიც მოზიდული სახსრების მომგებიან განთავსებას ახორციელებს.

განვითარებული ქვეყნების კომერციული ბანკები ასრულებენ კლიენტების მომსახურების მრავალრიცხოვან ოპერაციებს, რომელთა შორის საყურადღებოა: **დეპოზიტური ანგარიშების წარმოება, სასხების უნაღდო გადარიცხვები, სხვადასხვა სახის სესხების გაცემა, ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა, ფასეულობათა სეიფებში შენახვა და სხვა.**

კომერციული ბანკების შემოსავლების მიღების ანალიზის კუთხით მნიშვნელოვანია მათი საკრედიტო პორტფელის ხარისხის შეფასება, რომელიც არსებით წარმოდგენას გვაძლევს მათ საქმიანობასა და შესაძლებლობებზე.

კომერციული ბანკის საკრედიტო პორტფელის ცნება მჭიდროდაა დაკავშირებული მის ხარისხთან. კომერციული ბანკების მიერ გაცემული კრედიტები თავისი ხარისხის მიხედვით იყოფიან ხუთ კატეგორიად:

- I კატეგორია (უმაღლესი) აქ განიხილება სტანდარტული სესხები, რომლებიც არ არიან მატარებელნი საკრედიტო რისკის;
- II კატეგორია (არასტანდარტული სესხები), აქ განიხილება ზომიერი საკრედიტო რისკის მატარებელი სესხები;
- III კატეგორია (საეჭვო სესხები), აქ განიხილება მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის მატარებელი სესხები;
- IV კატეგორია (პრობლემური სესხები) აქ განიხილება მაღალი საკრედიტო რისკის მატარებელი სესხები;
- V კატეგორია (უიმედო სესხები), აქ განიხილება დაბრუნების ალბათობის არ მქონე სესხები, როდესაც მსესხებელი უარს ამბობს საკრედიტო ვალდებულების შესრულებაზე.

სესხების ხარისხი განისაზღვრება სწორედ მათი გაუფასურებით ანუ რისკით, როდესაც მსესხებელს არ შესწევს უნარი ძირითადი ვალის და მისი პროცენტის დაბრუნების. სწორედ სესხები, რომლებიც მიეკუთვნებიან II-V კატეგორიებს ითვლებიან გაუფასურებულად.

მთლიანობაში ხარისხის კატეგორია განეკუთვნება რთულ კატეგორიათა რიცხვს. საკრედიტო პორტფელში აუცილებელია განხილული იქნეს ურთიერთკავშირში სასესხო და მასთან გათანაბრებული დავალიანებები, ასევე აუცილებლად გავითვალისწინოთ ურთიერთკავშირი საკრედიტო პორტფელის ელემენტებს შორის და დავახასიათოთ ახალი ეკონომიკური კატეგორიის პოზიციიდან. ამიტომ, საკრედიტო პორტფელის ხარისხზე საუბრისას, არ შეიძლება გავჩერდეთ მხოლოდ საკრედიტო რისკის შეფასებაზე. აქ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ საკრედიტო პორტფელის სხვა მახასიათებლებიც. საკრედიტო პორტფელის ხარისხის შეფასების კრიტერიუმებზე წარმოდგენას გვაძლევს მე-2 სქემა.

სქემა 2 - კომერციული ბანკის საკრედიტო პორტფელის ხარისხის შეფასების კრიტერიუმები.



თანამედროვე ეკონომიკური კრიზისების დროს საკრედიტო პორტფელის „პრობლემურობა“ გვევლინება პირველ ადგილზე, რადგან საკრედიტო პორტფელის დროული დიაგნოსტიკა გვაძლევს საშუალებას შევამციროთ პორტფელში ვადაგადაცილებული ამოღების, უიმედო კრედიტთა რაოდენობა და დაბლა დავწიოთ ბანკის შესაძლო დანაკრგები.

ბანკის საკრედიტო აქტივობა კი ახასიათებს ბანკის საკრედიტო პოლიტიკის, მოზიდული და განთავსებული სახსრების დაბალანსებულობის ხარისხს, ხოლო საკრედიტო საქმიანობის ეფექტიანობა გვიჩვენებს ბანკის მიერ გატარებული

საკრედიტო პოლიტიკის შემოსავლიანობას და მომგებიანობას, რაც საბოლოო ჯამში წარმოადგენს კომერციული ბანკის საქმიანობის მიზანს.

კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკის ფორმირებაზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი, რომლებიც შეიძლება დავაჯგუფოდ **მაკროფაქტორებად** და **მიკროფაქტორებად.**

საკრედიტო პოლიტიკაზე მომქმედი **მაკროფაქტორები** - ესაა ის ფაქტორები, რომლებზეც კომერციულ ბანკს გავლენის მოხდენა არ შეუძლია:

- **მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობა და მისი განვითარების ტენდენციები;**
- **ქვეყანაში არსებული მაკროეკონომიკური სიტუაცია;**
- **ქვეყნის ფულადი ბაზრის მდგომარეობა და განვითარების ტენდენციები;**
- **კონკურენტი კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკა.**

საკრედიტო პოლიტიკაზე მომქმედ მიკროფაქტორებს განეკუთვნება:

- **ბანკის საფილიალე ქსელის სიდიდე;**
- **ბანკის პერსონალის კვალიფიკაცია;**
- **პერსონალის უზრუნველყოფა შესაბამისი ტექნოლოგიური და ინფორმაციული საშუალებებით;**
- **ბანკის საპროცენტო პოლიტიკა;**
- **ბანკის რესურსული უზრუნველყოფა.**

კომერციული ბანკის საკრედიტო პორთფელის ხარისხის შეფასებისთვის აუცილებელია:

- **პორტფელის ანალიზი ეკონომიკის სექტორებისა და ვალუტის ჭრილში, ვადიანობისა და გირაოს მიხედვით;**
- **საკრედიტო პორტფელის რისკის დონის შეფასება, ანუ რამდენად ადექვატურია საკრედიტო პორტფელთან მიმართებაში სესხების შესაძლო განაკარგების რეზერვი;**
- **საკრედიტო პორტფელის დივერსიფიკაცია, ვადიანობის ანალიზი და შეფასება;**
- **ჩამოწერილი სესხების მოცულობა და მათი ცვლილება შესაბამისი პერიოდის განმავლობაში.**

საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან ბანკების აქტივობის ხარისხის ანალიზს, მათ დინამიკაში შეფასებას ემსახურება, ასევე მის მიერ 2006 წელს დამტკიცებული **„კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის წესი“.**

„გამჭვირვალობის წესის“ მიხედვით, კომერციული ბანკების მიერ პერიოდულად სავალდებულო წესით გამოსაქვეყნებელ ინფორმაციაში შედის 18 ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელთაგან ხუთი აქტივების ანალიზის საშუალებას იძლევა. ეს მაჩვენებლები წარმოაჩენენ აქტივების სტრუქტურას,მათში ნეგატიურად კლასიფიცირებული სესხების ხარისხსა და მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპს.

კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის ხარისხის განსაზღვრისას აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმები, რადგან თითოეული მათგანი წარმოადგენს კომერციული ბანკის საკრედიტო საქმიანობის სხვადასხვა ასპექტს.

კომერციული ბანკების საქმიანობის ეფექტურობის მაჩვენებელია საბანკო რიტინგების შეფასების სისტემა, საქართველოში Forbes Georgia-is, საქართველოს ეროვნული ბანკისა და Ernst & Young-ის თანამშრომლობით Forbes-ის პერიოდულად ახორციელებს საქართველოს საბანკო სექტორის რეიტინგების შეფასება-გამოქვეყნებას.

ბანკების შეფასება 4 ძირითადი ინდიკატორის მიხედვით ხდება:

- **სრული აქტივები;**
- **გაცემული სესხები;**
- **ვალდებულებები და ანაბრები;**
- **კაპიტალი.**

შეფასებები ეროვნული ბანკისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საჯარო სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით კეთდება.

Forbes Georgia-ს მიხედვით 2013 წელს საქართველოს კომერციული ბანკების ჯამური აქტივები 20%-ით გაიზარდა და 17 მილიარდ ლარს გადაჭარბა. ამ ზრდის დიდი ნაწილი წმინდა სესხებზე მოდიოდა, რაც სამომხმარებლო და იპოთეკური სესხების და მომენტალური განვადებების მატებამ განაპირობა.

სრული აქტივების ყველაზე დიდი ზრდა (577 მლნ. ლარამდე) საქართველოს ბანკზე მოდიოდა. პროკრედიტ ბანკი ერთადერთი ბანკი აღმოჩნდა, რომელმაც 2013 წელს უარყოფითი ზრდა აჩვენა აქტივების მიხედვით 2012 წელთან შედარებით და მესამეს ნაცვლად მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა.

პირველი ხუთეული სრული აქტივების მიხედვით ასე გამოიყურება:

1. „საქართველოს ბანკი“;
2. „თიბისი“ ბანკი;
3. „ლიბერთი“ ბანკი;
4. ბანკი „რესპუბლიკა“, სოსიეტე ჟენერალი;
5. „პროკრედიტ“ ბანკი.

ყველაზე სწრაფად მზარდი ბანკი 2013 წელს **„პროგრეს“** ბანკი იყო, რომელმაც სრული აქტივების 166%-იანი ზრდა აჩვენა.

გაცემული სესხების მიხედვით „საქართველოს ბანკი“ ლიდეროობს მთლიანი სასესხო პორტფელით 3,2 მილიარდ ლარზე მეტი, რაც 2012 წლის შემდეგ 11%-იანი ზრდის შედეგია.

გაცემული სესხების მიხედვით პირველი ხუთეული ასე გამოიყურება:

1. „საქართველოს ბანკი“;
2. „თიბისი“ ბანკი;
3. „პროკრედიტ“ ბანკი;
4. ბანკი „რესპუბლიკა“ სოსიეტე ჟენერალი;
5. „ლიბერთი“ ბანკი.

მოზიდული დეპოზიტების მიხედვით რეიტინგში ასევე საქართველოს ბანკი ლიდეროობს 3 მილიარდ ლარზე მეტი აქტივით. 2012 წელს ეს რიცხვი2,5 მილიარდ ლარზე ცოტა მეტი იყო და ერთ წელიწადში 16%-ით გაიზარდა.

ქართუ ბანკის სადეპოზიტო ბაზა ერთ- ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი იყო და 182%-ს მიაღწია.

მოზიდული დეპოზიტების მიხედვით პირველ ხუთეულში ისევ „საქართველოს ბანკი“ ლიდეროობს:

1. „საქართველოს ბანკი“;
2. „თიბისი“ ბანკი;

3. **„ლიბერთი“ ბანკი;**

4. **„პროკრედიტ“ ბანკი;**

6. ბანკი რესპუბლიკა სოსიეტე ჟენერალი

კაპიტალის ზრდის ყველაზე სწრაფი ტემპი **„ბაზისბანკმა“** დააფიქსირა (126%), და ამავე კრიტერიუმებით შეფასებულთა სიაში 7-ე ადგილზე მოხვდა, რამაც 2012 წელთან შედარებით 2 პუნქტით დააწინაურა. **„საქართველოს ბანკი“** ამ ინდიკატორის მიხედვითაც ლიდერია, თუმცა პირველ ხუთეულში კაპიტალის ზრდის ტემპის მიხედვით **„ქართუ ბანკი“** ყველაზე სწრაფად გაიზარდა და 2013 წელს 80-%-ით მეტი კაპიტალი დააგროვა (200 მილიონ ლარზე მეტი).

„ქართუ ბანკი“ კაპიტალის სიდიდის მიხედვით პირველ ხუთეულშიც მოხვდა:

1. **„საქართველოს ბანკი“;**

2. **„თიბისი“ ბანკი;**

3. **„ქართუ“ ბანკი;**

4. **„ლიბერთი“ ბანკი;**

5. **ბანკი „რესპუბლიკა“ სოსიეტე ჟენერალი.**

საბანკო რეიტინგების წარდგენისას ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, თიბისი ბანკს ლონდონის საფონდო ბირჟაზე გასვლა მიულოცეს.

Reuters-ის ინფორმაციით, **TBC ბანკის** გლობალური სადეპოზიტო ხელწერილები ლონდონის საფონდო ბირჟაზე 13 ამერიკულ დოლარად გაიყიდება. TBC-ს საბაზრო კაპიტალიზაცია 640 მილიონი ამერიკული დოლარი იქნება. ბაზარზე ბანკი 18,3 მილიონზე მეტი აქციით შედის.

ბანკის საკრედიტო პორტფელის ქვეშ იგულისხმება **„პრობლემურობის“, რისკიანობის, საკრედიტო აქტივობის, ეფექტიანობის, ბრუნვადობის და საკრედიტო დაბანდებათა უზრუნველყოფის** კომპლექსური ერთობლიობა. აღნიშნულის გათვალისწინებით ყველა ბანკი აწესებს მკაცრ კონტროლს საკრედიტო პორტფელის ხარისხზე. სამწუხაროდ დღემდე საბანკო საქმის თეორიასა და პრაქტიკაში არ არსებობს ერთიანი მიდგომა საერთშორისო პრაქტიკაში საკრედიტო პორტფელის შეფასებისათვის გამოიყენება რეიტინგი, რომელიც დაფუძნებულია აგრეგირებულ მაჩვენებლებზე და მათ მახასიათებლებზე. (იხ. სქემა 3). იგი გვაძლევს საშუალებას განვახორციელოთ ბანკების რანჟირება მათი საკრედიტო პორტფელის მიხედვით.

კომერციული ბანკის საკრედიტო პორტფელის ხარისხის შიდა ანალიზი შესაძლებელია ეფუძნებოდეს ექსპერტულ შეფასებას. უცხოელი მკვლევარები ექსპერიმენტული აზრის ქვეშ მოიაზრებენ კვალიფიციურ მოსაზრებას, რომელიც ეფუძნება ექსპერტის ცოდნას და გამოცდილებას.

სქემა 3. საერთაშორისო პრაქტიკაში გამოყენებული საკრედიტო პორტფელის ხარისხის რეიტინგის განსაზღვრის მეთოდები.



კომერციული ბანკის საკრედიტო პორტფელის ხარისხის შეფასებისას ეფუძნება (ფინანსურ კოეფიციენტებს) შემდეგ მაჩვენებლებს:

1. **კრედიტების ხვედრით წილი, ბანკის აქტივების საერთო მოცულობაში, წარმოდგენას გვაძლევს ბანკის საკრედიტო აქტივების მოცულობაზე. საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად წარმოდგენილი მაჩვენებელი თუ აღემატება 65%-ს, ბანკს ეძლევა რეკომენდაცია გადახედოს საკუთარ საკრედიტო პოლიტიკის, რომელიც რისკის მაღალი დონის მატარებელია;**

2. ბანკის საკრედიტო პორტფელის მთლიან მოცულობაში, მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი სესხების ხვედრითი წილი, ასევე ეკონომიკის ცალკეული სექტორების მიხედვით სესხების მოცულობები ცალკეული სახის კრედიტების მიხედვით;

3. ვადაგადაცილებულ დავალიანებათა რაოდენობა და მისი წილი კრედიტების მთლიან მოცულობაში;

4. ვადაგადაცილებულ დავალიანებათა მოცულობის ზღვრული დონე აქტივებში, რომლებსაც მოაქვთ შემოსავალი და ბანკს შეუძლია იგი დაფაროს საკუთარი წმინდა მოგების და რეზერვების ხარჯზე;

5. მაღალი რისკის მატარებელი საკრედიტო დავალიანებათა დონის მაჩვენებელი. ასეთ დავალიანებას მიეკუთვნება 4 და 5 ჯგუფის სესხები, ფასიანი ქაღალდები, ფაქტორინგი, ლიზინგი და სხვა;

6. საეჭვო და უიმედო დავალიანებები;

7. სხვადასხვა დარგების მსესხებლებზე გაცემული კრედიტის ხვედრითი წილის თანაფარდობა, საკრედიტო პორტფელის მთლიან მოცულობასთან;

8. სასესხო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლების თანაფარდობა საკუთარ სახსრებთან;

9. სესხებიდან მიღებული ზარალის დასაფარად გამოყოფილი სარეზერვო ფონდის თანაფარდობა საკრედიტო პორტფელის მოცულობასთან;

10. თანაფარდობა „მომუშავე“ და „არამომუშავე“ აქტივებს შორის;

11. ნეტო და ბრუტო აქტივებს შორის თანაფარდობა, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს ბანკის აქტივების რაციონალურ სტრუქტურაზე და მნიშვნელოვნად დამოკიდებულია საკრედიტო პორტფელის ხარისხზე.

12. სხვა კოეფიციენტები.

წარმოდგენილი მაჩვენებლები გვაძლევს საშუალებას გავაანალიზოთ ბანკის საკრედიტო პოლიტიკა, განვსაზღვროთ საკრედიტო პორტფელის რაციონალური სტრუქტურა, აქტიური ოპერაციების რისკის დონე და მათი ზემოქმედება ბანკის ლიკვიდობაზე, შემოსავლებსა და რენტაბელობაზე. საერთაშორისო პრაქტიკაში საკრედიტო პორტფელის ხარისხის რეიტინგის შეფასების ძირითად მეთოდებს განეკუთვნება ნუმერაციის, ბალების და საინდექსო სისტემები. (Э Д Долан 1998: 248)

ნუმერაციის სისტემის არსი მდგომარეობს იმაში, რომ რისკის ცალკეული ჯგუფებისთვის განისაზღვრება მაჩვენებელთა ჩამონათვალი, რომლის საფუძველზეც ხდება მათზე საკრედიტო პორტფელის კონკრეტული ელემენტის მიკუთვნება. ხარისხის შეფასების ნუმერაციის სისტემის მაჩვენებლები წარმოდგენილია მე-5 ცხრილში.

ცხრილი 5

კომერციული ბანკის საკრედიტო პორთფელის შეფასების ნუმერაციული სისტემის მაჩვენებლები

რეიტინგი	კლასიფიკაცია	ნიშნები
1	2	3
0	არაკლასიფიცირებული სესხები	კრედიტის შეფასება არ არის დასრულებული ან საჭიროებს სესხის ხარისხის გადაფასებას.
1	მაღალი ხარისხის კრედიტები (პრაიმი)	კრედიტუნარიანობის დონის მიხედვით არის პირველი კლასის მსესხებელი. დროულად და სრულად ფარავდა სესხს წარსულში, ბანკისთვის მიმზიდველია სესხის დახასიათება ანუ მიზანი, ვადები და სესხის დაფარვის რიგითობა.
2	მაღალი ხარისხის კრედიტები	კრიდიტუნარიანობის კარგი დონე, მაგალითად 2 კლასის, სესხის დაფარვისთვის სესხების მიზიდვის კარგი საშუალება. კარგი წინასაკრედიტო ისტორია, სოლიდური გირაო. ბანკისთვის მიმზიდველია სესხის დახასიათება.
3	დამაკმაყოფილებელი	კლიენტის მისაღები ფინანსური მდგომარეობა(არანაკლებ მე -3 კლასისა) სესხის დაფარვის კარგი მდგომარეობა წარსულში. სათანადო გირაო. სესხის დახასიათება: განახლებადი კრედიტი.

4	ზღვრული	კლიენტის არამდგრადი კრედიტუნარიანობა უწინ, არასაკმარისი გირაო
5	კრედიტის ხარისხი ზღვრულზე უარესია	სესხის დაბრუნება საეჭვოა. საჭიროებს დამატებით ხელშეკრულებას ვალის დაფარვაზე.
6	დანაკარგი	ძირითადი სესხი და პროცენტები დაფარული არ არის.

Рид э. Коттер Р. Гилл Э. Смит Р. Коммерческие банки 2011: 107

ნუმერაციული სისტემის შესწავლისას, უნდა ავღნიშნოთ, რომ იგი ძირითადად აგებულია ექსპერტულ აზრზე, რომელიც ძალიან ძნელია გამოვხატოთ რაოდენობრივად, რამდენადაც სუბიექტური იქნება აღნიშნული სისტემა, მით მეტი შეცდომა იქნება დაშვებული საკრედიტო პორტფელის ხარისხის შეფასებისას. უფრო რთული მეთოდიკის ფარგლებში რეიტინგის აგებისთვის გამოიყენება შეფასების ბალური სისტემა, რომელიც იძლევა საშუალებას, შევაფასოთ ცალკე აღებული სესხი ბალებში და მივანიჭოთ თითოეულს შეფასების მაჩვენებელი.

ცხრილი 6

სესხის ხარისხის შეფასების ბალური სისტემა

შეფასების კატეგორია	სესხის ხარისხის კრიტერიუმი	ბალები
1	2	3
სესხის დანიშნულება და თანხა	1. დანიშნულება გონივრულია და თანხა მთლიანად გამართლებულია.	20
	2. დანიშნულება საეჭვოა, თანხა მისაღებია.	15
	3. დანიშნულება დაუსაბუთებელია, თანხა პრობლემურია.	8
მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა	1. ძალიან ძლიერია მიმდინარე და წარსული ფინანსური მდგომარეობა. ძლიერი და სტაბილური თანხების მოდინებით (1 კლასი)	40
	2. კარგი ფინანსური მდგომარეობა სტაბილური მოდინებით (2 კლასი)	30
	3. მსესხებელმა ახლო წარსულში ბევრი დაკარგა, თანხების მოდინება სუსტია. (კრედიტუუნაროა)	4
გირაო	1. არ საჭიროებს გირაოს	30
	2. მნიშვნელოვანი ლიკვიდობის გირაო	25
	3. გირაო საკმარისია, მისაღები ლიკვიდობისათვის	15
	4. გირაო საკმარისია, მაგრამ განსაზღვრული ლიკვიდობის	12
	5. გირაო არასაკმარისია	8
	6. მისალები გირაო არ გააჩნია	2
სესხის დაფარვის ვადები და სქემა	1. მოკლევადიანი თვითლიკვიდური კრედიტი, კარგი მეორადი დაფარვის წყაროთი	30
	2. საშუალოვადიანი კრედიტი, ვადის დაფარვა ხორიცელდება ტრანშებით სესხის მთელი პერიოდის მანძილზე, თანხების კარგი მოდინებით	25
	3. საშუალოვადიანი კრედიტი, ერთჯერადი დაფარვით ვადის ბოლოს, თანხების საშუალო მოდინებით.	20
	4. გრძელვადიანი კრედიტი, დაფარვა ხორიცელდება ტრანშებად, თანხების მოდინების არასაიმედოობით	12

	5. გრძელვადიანი კრედიტი, დაფარვის მეორადი წყაროები არ გააჩნია	5
საკრედიტო ინფორმაცია მსესხებელზე	1. მსესხებლის ბრწყინვალე წარსული	25
	2. კარგი საკრედიტო გამოხმაურება საიმედო წყაროებიდან	20
	3. შეზღუდული გამოხმაურება, მაგრამ არ არის ნეგატიული ინფორმაცია	15
	4. არ არის გამოხმაურება	9
	5. არასასურველი გამოხმაურება	0
ურთიერთობა მსესხებელთან	1. არსებობს მუდმივი სასარგებლო ურთიერთობა	10
	2. არ აქვს ურთიერთობა	4
	3. ბანკი განიცდის დანაკარგებს მსესხებელთან ურთიერთობისას	2
კრედიტის ფასი	1. ჩვეულებრივთან მაღალი მოცემული ხარისხის კრედიტისთვის	8
	2. შეესაბამება კრედიტის ხარისხს	5
	3. ჩვეულებრივზე დაბალია მოცემული ხარისხის კრედიტისათვის	0

Принципы управления кредитным риском. 2005: 39-40.

საკრედიტო პორტფელში შემავალი სესხის ხარისხი ფასდება თავდაპირველად თითეული ამ მაჩვენებლის მიხედვით, შემდგომ კი კეთდება ჯამური ბალური შეფასება. კრედიტების ხარისხის რეიტინგი დგინდება დაგროვილი ქულების ჯამის საფუძველზე:

1. **საუკეთესო – 163-140;**
2. **მაღალი – 139-118;**
3. **დამაკმაყოფილებელი – 117-85;**
4. **ზღვრული – 84-65;**
5. **ზღვრულზე უარესი – 64 და ქვემოთ.**

ბალური შეფასების სისტემის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ იგი ატარებს ინდივიდუალურ ხასიათს და შემუშავდება ბანკის, კლიენტისა და საკანონმდებლო ბაზის თავისებურებიდან გამომდინარე. მის უარყოფით მხარეს

წარმოადგენს ცუდი ადაპტაცია ცალკეული კატეგორიის სესხების და მსესხებლის მიმართ. მსესხებლებისგან ინფორმაციის საიმედოობის სირთულე და ა.შ.

ზემოთ აღნიშნულ სისტემებთან ერთად მსოფლიო საბანკო რეიტინგების სისტემის პრაქტიკაში გამოიყენება რეიტინგების ინდექსური მეთოდი, რომლის გამოყენების დროს სწარმოებს ინდექსის გამოთვლა მსესხებლის ფინანსური მდგმოარეობის თითეული მაჩვენებლის მიხედვით. გაანგარიშება სწარმოებს საბაზრო მაჩვენებლებზე დაყრდრობით ან გასაშუალებული მაჩვენებლების გამოყენებით, დინამიკაში რამოდენიმე წლის განმავლობაში ცალკეული მაჩვენებელების ინდექსების გამოთვლის შემდეგ გადადიან კომბინირებული ინდექსების გამოთვლაზე.

კომერციული ბანკები საკრედიტო პორტფელის ხარისხის განსაზღვრისთვის იყენებენ საკრედიტო რეიტინგებს, რომლებიც დგინდება წამყვანი სარეიტინგო კომპანიების მიერ, მაგალითად "Standard&Poor's", "Fitch IBCA", "Moody's Investors Servise". თითოეულ ამ სააგანტოთაგანი ახორიცელებს მუდმივ მონიტორინგს ყველა მნიშვნელოვანი საბაზროო ფაქტორებისა. ასევე ეკონომიკური და პოლიტიკური მონაცემების შეგროებას და მათ ანალიზის საფუძველზე ანიჭებენ რეიტინგს. **(ოფიციალური საიტი სააგენტო „Standard&Poor's". www.stadardpoors.com)**

საკრედიტო რეიტინგი ხშირად გამოიყენება ბანკებისა და სხვა საფინანსო შუამავლების მიერ დაკრედიტების დროს გადაწყვეტილების მისაღებად. იგი ხდება განსაკუთრებით აქტუალური იმის გათვალისწინებით, რომ მრავალი კომპანია უპირატესობას ანიჭებას საკუთარი ფინანსურ მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის დამალვას საქმიანი მოლაპარაკებების დროს. ამ შემთხვევაში ემიტენტის საკრედიტო რეიტინგი მისი კრედიტუნარიანობის საიმედო ორიენტირს წარმოადგენს.

საკრედიტო რეიტინგები შესაძლებელია მიენიჭოს ემიტენტს (სუვერენულ მთავრობას, კორპორაციებს, საფინანსო ინსტიტუტებს, სადაზღვევო კომპანიებს) ან ცალკეულ სავალო ვალდებულებებს.

ფინანსური გლობალიზაციისა და საბანკო საქმის ინტერნაციონალიზაციის შეუქცევადმა პროცესებმა დღის წესრიგში დააყენა საბანკო ზედამხედველობის ერთიანი პრინციპების საერთაშორისო დონეზე უნიფიცირების საკითხი. ამ მიზნით შეიქმნა **„საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი",** 1974 წელს.

ბაზელის კომიტეტის ძალისხმევა მიმართულია საბანკო ზედამხედველობის ხარისხის ამაღლებისაკენ, უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლას ცენტრალურ ბანკებს შორის. საზედამხედველო საკითხებთან დაკავშირებით ბაზელის კომიტეტის მიერ მიღებულ იქნა ცნობილი დოკუმენტები: **"ეფექტიანი ზედამზედველობის ძირითადი პრინციპები"** (1997), „ბაზელ-I" (1988) ითვალისწინებს თითეული ბანკისთვის საკრედიტო რისკის შეფასების შიდა რეითინგების მოდელის გამოყენებას, რეიტინგების სისტემა კი უნდა აკმაყოფილებდეს რეგულატორების მოთხოვნებს.

საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი რეგულარულად ახორციელებს საზედამხედველო მოთხოვნების გადასინჯვას კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის, საკრედიტო რისკების, რეზერვების შექმნას სიდიდის და მოცულობის მიმართ. „ბაზელ-II"-ის (2004) შესაბამისი ფინანსური მაჩვენებლები განსაზღვრულია ბაზელის კომიტეტის დირექტივებში საბანკო ზედამხედველობის შესახებ, რომელიც საკრედიტო რისკის შეფასების სამი მიდგომიდან ერთ-ერთის შერჩევის შესაძლებლობას იძლევა .

–**სტანდარტიზირებული მიდგომა:** საკრედიტო რისკის გაზომვა სარეიტინგო აგენტების საგარეო შეფასების საფუძველზე, რისკების განაწილება აქტივების კატეგორიების შესაბამისად ბაზელ II-ში, ყველაზე მარტივი მეთოდებით კაპიტალის გაანგარიშებას.

–**საბაზო მიდგომა შიდა რეიტინგების მიხედვით** – IRB Foundation: საბაზო მიდგომისას ბანკებს შეუძლიათ დამოუკიებლად გამოავლინონ დეფოლტის ალბათობა, რისკის დანარჩენი კომპონენტების შეფასების გამოყენებით.

–**წინწაწეული მიდგომა შიდა რეიტინგების საფუძველზე** – IRB Advanced: ბანკებს მინიჭებული აქვთ უფლება დამოუკიდებლად შეაფასონ რისკის ყველა კომპონენტი: დეფოლტის ალბათობა, დანაკარგების ხვედრივი წილი კონტრაგენტის დეფოლტისას.

–სტანდარტიზირებული მიდგომის ფარგლებში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას წამყვანი სარეიტინგო კომპანიების შეფასების შკალები, „კერძოდ „Standard &Poor's"-ის. ბაზელის კომიტეტ ეყრდნობა რა მათ, ითვალისწინებს მინიმალურ რიცხვს – 7 კლასს რისკისა მსსხებლებთან მიმართებაში მომქმედი კრედიტების დროს

და ერთ კლასს კრედიტებისთვის, რომელთა დეფოლტის ალბათობა უკვე დადგა (იხ. ცხრილი 7).

ცხრილი 7

„Standard & Poor's" რეიტინგების შესაბამისობა

ბაზელის კომიტეტის რისკების კლასებთან

რეიტინგული კლასები „ST&P"	ბაზელის კომიეტეტის რისკების კლასები	ინტერპრეტაცია
AAA	1	საუკეთესო ხარისხი, დეფოლტის უმცირესი რისკი
AA	2	მაღალი ხარისხი, მაგრამ დეფოლტის რისკის შედარებით მაღალია
A	3	კარგი ხარისხი, მაგრამ არსებობენ ელემენტები, რომლებსაც ეკონომიკაში ცვლილებების შედეგად შეუძლიათ უარყოფი ზეგავლენა მოახდინონ
BBB	4	საშუალო ხარისხი, მაგრამ არასაკმარისი დაცვა ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებებისას.
BB	5	სპეკულაციური ინვესტიცია, კრედიტის პრევენციის ზომიერი დაფარვა.
B	6	ძლიერ სპეკულაციური, გრძელვადიანი სესხის მომსახურების დაბალი საიმედოობა
CCC	7	დაბალი ხარისხი, ინვესტიციების მინიმალური დაცულობა, ანუ გადასახადების ვადაგადაცილების პირდაპირი საფრთხე
CC		
C		
D	8	დეფოლტი, გადასახადების ვადაგადაცილება

წყარო: www.standardpoors.com

ბანკის საკუთარ კაპიტალში საკედიტო რისკის შეწონილი წილის ბაზელის კომიტეტის მოთხოვნებზე წარმოდგენს გვაძლევს ქვემოთ მოტანილი ცხრილი

ბაზელის კომიტეტის მოთხოვნები ბანკის საკუთარ კაპიტალში საკრედიტო რისკის შეწონილ წილზე.

ცხრილი 8

ბაზელის კომიტეტის მოთხოვნები სასესხორისკების მიმართ

სარეიტინგო კლასი <<St& P>> მიხედვით	შეწონილი რისკები ბაზელ II, მიხედვით (%)	ბანკის საკუთარი კაპიტალის წილი სასესხო დავალიანებაში (%)
AAA დან AA --დე	20	1,6
A+ დან A--დე	50	4,0
BBB+ დან BB- დე	100	8.0
B+ დან D- დე_	120	12.0
Retail - Kredite	75	6.0

წყარო. www.standardpoors.com

როგორც ცნობილია ბაზელ-I ნორმების მიხედვით ბანკები ვალდებულნი იყვნენ უზურველეყოთ საკრედიტო ბიზნესი საკუთარი კაპიტალის 8%–ში. ბაზელ-II ნორმების ძალაში შესვლის შემდეგ ბანკები – აღარ არიან ვალდებულნი დაიცვან ეს ერთიანი ნორმა და სარეიტინგო კლასიფიკაციის მდგომარეობიდან გამომდინარე იყენებენ განაკვეთებს 1,6%–დან 12%–მდე.

„ბაზელ-III“-ის(2010) დებულება ეფუძნება კაპიტალის ადექვატურობის ახალ ჩარჩოს და მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის განსაზღვრის სტანდარტიზებულ მეთოდს იყენებს. „ბაზელ-III”-ის მოთხოვნების გათვალისწინებით კომერციული ბანკები ვალდებული ხდებიან შესაბამისობაში მოვიდნენ კაპიტალის ადექვატურობის ახალ მოთხოვნებთან.

2014 წელს სრულყოფილად ამოქმედდა ბაზელ II/III-ზე დაფუძნებული კაპიტალის ადექვატურობის ჩარჩოს 1-ლი და 2-ე პილარის კომპონენტები. განახლებული რეგულაცია 2013 წელს შევიდა ძალაში და საწყის ეტაპზე გათვალისწინებული იყო მხოლოდ ანგარიშგების ვალდებულება, ხოლო 2014 წლის მეორე ნახევრიდან მისი მოთხოვნების დაცვა სავალდებულო გახდა საქართველოში

მოქმედი ყველა კომერციული ბანკისთვის. მის ფარგლებში კომერციულ ბანკებს მოეთხოვებათ მინიმალური კაპიტალი საკრედიტო, საბაზრო და საოპერაციო რისკებისთვის. ბაზელ-I-ით გათვალისწინებული მოთხოვნები უახლოეს სამ წელიწადში ეტაპობრივად შემცირდება და სრულად ჩანაცვლდება ბაზელ II/III-ს ჩარჩოთი.

2014 წელს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა ბანკებისთვის ინდივიდუალური კაპიტალის მოთხოვნების განსაზღვრის ინსტრუქცია, რომელიც 2015 წელს გამოყენებული იქნება ანგარიშგებისა და შედეგების წინასწარ გაზომვისთვის. აღნიშნული ინსტრუქციიდან გამომდინარე, ჯამური კაპიტალის მოთხოვნა განისაზღვრება 1-ლი პილარის მინიმალური და 1-ლი და მე- 2 პილატის ბუფერების სახით.

2014 წელს ძალაში შევიდა რისკების შეფასების საერთო პროგრამის (GRAPE) მოქმედების წესი რომლის მიზანია კომერციული ბანკების რისკებზე ორიენტირებული ზედამხედველობის პროცესის ფორმალიზაცია.

საზედამხედველო ჩარჩოს განვითარებასთან ერთად საქართველოს ეროვნული ბანკისთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი მისიის მიერ განხორციელებული „ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამა(FSAP)“.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების შესაბამისად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განახორციელა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები. დაამტკიცა **„კომერციული ბანკების ლიცენზირების წესი“, „კომერციული ბანკების გარე აუდიტორული შემოწმების ჩატარების წესი“,** დამტკიცდა **„ინტერესთა კომფლიქტის მართვის დებულება“** რომელიც უზრუნველყოფს ბანკებში კონტროლის სისიტემის დანერგვას ინტერესთა კონფლიქტის მაქსიმალურად თავიდან არიდებისათვის.

საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ეროვნულმა ბანკმა დაიწყო მუშაობა საკრედიტო ინსტრუმენტების გაუფასურების მეთოდოლოგიის შემუშავებისთვის. აღნიშნული რეგულაციის მიზანია ბასს 39-ის ფარგლებში დააკონკრეტოს საკრედიტო ინსტრუმენტების გაუფასურების გაანგარიშების და გამჟღავნების მეთოდები, რაც ხელს შეუწყობს კომერციული ბანკების მიერ სესხებისა

და სხვა საკრედიტო ინსტრუმენტების გაუფასურების დროულ და ადექვატურ ასახვას ფინანსურ ანგარიშგებაში.

2.2. საკრედიტო ბაზრის ფორმირებისა და განვითარების ტენდენციები: საერთაშორისო გამოცდილება

თანამედროვე საკრედიტო ბაზრის არსში წვდომისთვის აუცილებელია სასესხო კაპიტალის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის გაცნობიერება. კრედიტი სასესხო კაპიტალის მოძრაობის ფორმაა, სწორედ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფულადი კაპიტალის გიგანტურმა ზრდამ მიგვიყვანა საკრედიტო ბაზრის ჩამოყალიბება-განვითარებასთან.

საკრედიტო ბაზრის განვითარება ქვეყანაში ხელს უწყობს წარმოების ზრდას, უმუშევრობის შემცირებას და ინფლაციის ტემპის შენელებას, კაპიტალის მოძრაობას, მოსახლეობის ფულადი დანაზოგების ინვესტიციებში განთავსება და ძირითადი კაპიტალის განახლებას.

საკრედიტო კაპიტალის მსოფლიო ბაზარზე **კრედიტორებად** და **მსესხებლებად** ძირითადად გვევლინებიან უმსხვილესი **ტრანსნაციონალური** და **ნაციონალური ფირმები, ბანკები და სახელმწიფოები.** მსოფლიო საკრედიტო სისტემის სრულყოფა დიდადაა დამოკიდებული საბანკო სექტორის ფუნქციონირების მრავალფეროვნებაზე.

დღეისათვის განვთიარებულ ფინანსურ ბაზრებად მსოფლიოში გვევლინება ისეთი ქვეყნების ბაზრები, როგორიცაა: **აშშ, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, კანადა.** მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური ბაზრზე წარმოდგენილია მრავალი სეგმენტი, მაგრამ როგორც უწინ, მის უმნიშვნელოვანეს სტრუქტურულ ერთეულს კვლავ საკრედიტო ბაზარი წარმოადგენს, რომლის საშუალებითაც ხორიცელდება ფულადი კაპიტალის მოძრაობა.

Bank for International Settlements (BIS) და Securities Industry and Financial Markets Association(SIFMA) წყაროების თანახმად, აშშ-ს საკრედიტო ბაზრის მოცულობა

მსოფლიო საკრედიტო ბაზრის 44 პროცენტია. ამავე წყაროების თანახმად 2009 წლის შედეგების მიხედვით, მსოფლიო საკრედიტო ბაზარის მოცულობა 82,2 ტრილიონ აშშ დოლარს შეადგენდა, საიდანაც აშშ-ს წილად 31.2 ტრილიონი აშშ დოლარი მოდიოდა. 2013 წლის მონაცემებით მსოფლიო საკრედიტო ბაზარი ზრდას განაგრძობს და იგი დაახლოებით 100 ტრილიონ აშშ დოლარს შეადგენს, რაც 2012 წლის მონაცემებთან შედარებით 2%-ითაა გაზრდილი. წარმოდგენილი მონაცემებიდან 70% მოდის სხვადასხვა ქვეყნის შიდა საკრედიტო -სავალო ბაზარზე, ხოლო 30% კი საერთაშორისო კრედიტებზე. 2013 წლის მონაცემებით, აშშ-ბი კვლავ ინარჩუნებს მსოფლიო ლიდერობას, თუმცა მისი წილი შემცირდა 33%-დე. მეორე პოზიცია უკავია იაპონიას, რომლის საკრედიტო დაბანდება მოიცავს მსოფლიო საკრედიტო ბაზრის 14%. (Securities Industry and Financial Markets Association(SIFMA). გასათვალისწინებელია საკრედიტო ბაზრის მაჩვენებლების ზრდა მშპ-თან მიმართებით. თუ 2008 წლის მონაცემებით იგი მშპ-ს 119 პროცენტს შეადგენდა, 2011 წელს ის 140 პროცენტს აჭარბებს. მაშინ, როდესაც იგი 1998 წელს 80%-ის ტოლი იყო. მეცნიერთა მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ასეთი ზრდა საკრედიტო-სავალო დაბანდებათა კუთხით განპირობებული იყო ქვეყნების მიერ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიით და კაპიტალის ბაზრის შემცირებით, რომელიც მოჰყვა ეკონომიკურ დაქვეითებასა და 2007 წელს დაწყებულ რეცესიას.

დიდ ინტერესს იწვევს აშშ-ის სავალო ობლიგაციათა ბაზრის სტრუქტურა, რომელიც მოცემულია Securities Industry and Financial Markets Association(SIFMA) ასოციაციის მიერ (იხ. ცხრილი 9).

ცხრილი 9

აშშ-ის სავალო ობლიგაციათა ბაზრის სტრუქტურა 2013 წლის I კვარტლის მდგომარეობით (მლრდ. აშშ. დოლარი)

კატეგორია	თანხა	პროცენტი
სახელმწიფო ობლიგაციები	11,854.4	29.72
კორპორაციათა სავალო ობლიგაციები	9,766.4	24.49

იპოთეკური სესხი	8,718.8	21.86
ადგილობრივი თვითმმართველობებისა და მუნიციპალური ორგანოები	3,671.2	9.21
ფულადი ბაზრის კრედიტები (1 წლამდე ვადით)	2,536.1	6.36
სხვადასხვა ორგანიზაციების ვალების ოდენობა	2,058.3	5.16
გირავნობის გარანტიით გაცემული სესხი	1,277.5	3.20
სულ ჯამი	39,882.8	100

წყარო: WWW. SIFMA. COM Securities Industry and Financial Markets Association

საკრედიტო ბაზრის ფუნქციონირების პრობლემები მჭიდროდ უკავშირდება მსოფლიოში მიმდინარე ფინანსურ კრიზისებს, კერძოდ 2007 წლის ზაფხულში აშშ-ში დაწყებულ ფინანსურ კრიზისს, რომელმაც მთელი მსოფლიო მოიცვა. იგი რამდენიმე ფაქტორით იყო გამოწვეული, კერძოდ:

- იპოთეკურ სესხებზე კონტროლის შესუსტებით, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ სესხებს აძლევდნენ დაბალი შემოსავლების მქონე ორგანიზაციებს და არასაიმედო საკრედიტო ისტორიის მქონე გადახდის უუნარო კლიენტებს, რის შედეგადაც ბანკებს დაუგროვდათ დიდი ოდენობის უიმედო ვალები და ბანკებმა დაიწყეს თანდათანობით გაკოტრება;

- მეორე ფაქტორად მიჩნეულია ის ფაქტი, რომ პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაცია და მისი საგარეო პოლიტიკა საკმაოდ დიდ და არამწარმოებლურ დანახარჯებს ეწეოდა ავღანეთსა და ერაყში სამხედრო ოპერაციების დაფინანსებისათვის;

- მესამე, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ფინანსური კორპორაციები ერთმანეთის ფასიან ქაღალდებს ფლობენ, შესაბამისად, ერთ

რომელიმე ბაზარზე დაწყებული ფინანსური კრიზისი ჯაჭვური რეაქციით გადაეცემა სხვა ქვეყნის ეკონომიკებს.

აშშ–ში დაწყებული ფინანსური კრიზისი სწრაფად გავრცელდა იმ ქვეყნებში, რომლებიც მეტნაკლებად არიან მსოფლიო ეკონომიკურ ურთიერთობებში ჩართულნი. საკრედიტო ბაზარზე მნიშვნელოვანი პრობლემები გაჩნდა მას შემდეგ, როდესაც 2007 წლის ზაფხულში მსოფლიოს წამყვანმა ფიანსურმა ინდექსებმა (Dow Jones, NASDAQ, DAX, S&P500, NIKKEI და სხვა) იწყეს ნახტომისებური ვარდნა. აშშ-ის და მსოფლიო საფინანსო ბაზრების ყველაზე მთავარი ინდიკატორი, **დოუ ჯონსის** ინდექსი, 2007 წლის ივლისში არსებული 14200 პუნქტიდან, 2008 წლის ნოემბერში 7500 პუნქტამდე დაეცა. ამას თან უძღოდა 2007 წლამდე აშშ–ში არსებული მშენებლობის მაღალი ტემპები, აშენებულ ფართებზე არაადეკვატურად მაღალი ფასების, მშენებლობაში არსებული დიდი მოცულობის ინვესტიციები და იპოთეკური დაკრედიტების არასათანადო მეთოდების გამოყენება, რის გამოც, აშშ–ის უძრავი ქონების ბაზარი გაჯერდა და ფასებმა მკვეთრი ვარდნა დაიწყო, რასაც მოჰყვა მნიშვნელოვანი დანაკარგები ინვესტორთა მხრიდან. ვითარება გაართულა იმ გარემოებამაც, რომ საბანკო დაწესებულებები ხშირ შემთხვევაში თანამონაწილეობის გარეშე დაბალი პროცენტით გასცემდნენ კრედიტებს უძრავი ქონების შესაძენად, რასაც მოჰყვა მასიური არგადახდები. სამშენებლო სექტორში დაწყებულმა კრიზისმა ავტომატურად ასახვა ჰპოვა ბევრ სხვა დარგზე და გამოიწვია საერთო რეცესია: უმუშევართა საერთო რაოდენობის ზრდა, სამშენებლო მასალებზე მოთხოვნის შემცირება, საბანკი კრიზისი და სხვა.

იპოთეკურ ბაზარზე დაწყებულ კრიზისს თან დაერთო ნავთობის ფასების უპრეცედენტო ზრდაც, რომელმაც 2008 წლის ივლისის დასაწყისში ბარელზე 140 აშშ დოლარს გადააჭარბა.

აშშ-ში დაწყებულ ფინანსურ კრიზისს თან მოჰყვა ევროზონის კრიზისი. კრიზისი ევროზონაში განპირობებულ იქნა სხვადასხვა ფაქტორთა კომბინაციით, კერძოდ:

1) **მსოფლიო ფინანსური კრიზისით;**
2) **2002–2008 წლებში საკრედიტო პირობების ლიბერალიზაციით, რომელმაც წაახალისა მაღალი რისკის შემცველი სესხების გაცემა;**

3) 2008 წლიდან ნელი ეკონომიკური ზრდის ტემპებით;
4) სახელმწიფოს საბიუჯეტო შემოსავლებისა და დანახარჯების სფეროში გატარებული ფისკალური პოლიტიკით;
5) სახელმწიფოების მიერ საბანკო ინდუსტრიისთვის მნიშვნელოვანი დახმარების გაწევით.

2007 წელს დაწყებული გლობალური კრიზისი ყველაზე მძლავრი იყო, რომელიც ბოლო 80 წლის მანძილზე (1928-1933წწ. დიდი დეპრესიის მერე) მომხდარა. ხოლო თავისი ღირებულებით და ჩართულობით ეს კრიზისი ყველაზე ძვირადღირებული და ღრმაა იყო, რაც კი კაცობრიობის ისტორიაში მომხდარა.

გლობალური კრიზისის გამომწვევი მიზეზები და ფაქტორები პრინციპში დიდად არ განსხვავდება წინა კრიზისებისგან, რომ არა ამ კრიზისის მასშტაბი და პრობლემები. კრიზისის გამომწვევი ფაქტორები კი შემდეგია:

1. გლობალური თამაში აღვირახსნილ ლიბერალიზმში, რამაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოქმედ საფინანსო სისტემის წამყვან ბანკებს (კომერციულ და მათთან გათანაბრებულ საინვესტიციო ბანკები) მიანიჭა შესაძლებლობა არასაბანკო სექტორებში შესულიყვნენ (ანუ არასაბანკო საქმით დაკავდნენ სავაჭრო ქსელი, სამშენებლო ბიზნესი, სადაზღვევო საქმიანობა, საბროკერო საქმიანობა და სხვა) და ფაქტობრივად გაენადგურებინათ იქ მოღვაწე შესაბამისი პროფილის კომპანიები, რამაც ამ დარგების სრული ჩავარდნა გამოიწვია;

2. ბანკების მხრიდან წარმოებულმა ფართო (და გაუაზრებელმა) საკრედიტო პოლიტიკამ ფაქტობრივად ვალებში ჩაგდო ყველა ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, რამაც, მეორეს მხრივ, კრიზისის კვალობაზე მათ ხელი შეუწყო გადახდისუუნარობის ზრდას და დაამძიმა საერთო მძიმე ეკონომიკურ სიტუაცია;

3. შესაბამისი ქვეყნების ცენტრალური საბანკო და საფინანსო ზედამხედველობის სამსახურების უუნარობა და უმოქმედება აღეკვეთა ბანკების არასაბანკო სექტორში მოღვაწეობა;

4. საბანკო და საფინანსო დარგის მსხვილი მესაკუთრეების მოგებაზე ორიენტირებული მიზნების მისაღწევად მრავალი არაჯანსაღ სტრუქტურებზე და ფიზიკურ პირებზე სესხის გაცემა და დაფინანსება;

5. მსხვილი საერთაშორისო აუდიტორული კომპანიების მიერ წარმოშობილი პრობლემების "არდანახვამ" შესაბამისი "გასამრჯელოს" ფასად. ამის შედეგად აუდიტორული დასკვნებისა და რეიტინგების "ყიდვა- გაყიდვამ" ფართო ხასიათი მიიღო და შექმნა არაჯანსაღი ეკონომიკური ვითარება. დაზარალდა მრავალი ინვესტორი და დიდი ოდენობის საინვესტიციო თანხა დაიკარგა;

6. წინა საკრიზისო პერიოდში წარმოებულმა ლიბერალურმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ უაზროდ გააძვირა უძრავი ქონების ბაზარი და სამშენებლო – საფინანსო პირამიდების მომრავლება გამოიწვია. რამაც უკვე დამდგარ კრიზისის პირობებში ამ აქტივებში დაბანდებული ფულის (მეტ წილად მეანაბრეების) ღირებულების კატასტროფული ვარდნა განაპირობა. ეს კი (ბანკების გარესაბალანსო ანგარიშებზე რიცხული აქტივების) ყველაზე მძიმე საფინანსო-ეკონომიკური პრობლემაა, რაც თავს უახლოეს პერიოდში იჩენს. მიზეზები შეიძლება გაცილებით მეტი ჩამოითვალოს, თუმცა ვთვლით, რომ გლობალური ეკონომიკური კრიზისის წარმოშობის საერთო სურათს ჩამოთვლილი 6 (ექვსი) მიზეზი მეტ ნაკლებად პასუხობს.

გლობალურმა კრიზისმა მრავალი პრობლემა შეუქმნა მსოფლიოს წამყვან ეკონომიკებს და საკრედიტო ბაზრებს. კერძოდ, აშშ-ის ერთობლივი ეროვნული პროდუქტი შემცირდა 3,8%-ით, ანუ 514 მლრდ. აშშ დოლარით, რომელიც ყველასე დიდი შემცირება იყო მეორე მსოფლიო ომის შემდგომ. ამასთან, ქვეყანაში კერძო ივესტიციების მოცულობა 570 მლრდ. აშშ. დოლარით შემცირდა. კრიზისის ხანგრძლივობიდან გამომდინარე არამარტივ -W სახეობის ციკლს (შეკვეცა-დაცემა-მცირე აღმავლობა-დაცემა-აღმავლობა) რაც არ გამორიცხავს არდაძლეული კრიზისის გამწვავებას. ეკონომიკური აქტივობის ასამაღლებლად აშშ-ის სარეზერვო სისტემამ(ცენტრალური ბანკი) საპროცენტო განაკვეთი ნულამდე დასწია(5,5 დან 0,25 %-დე). სრული სიმძლავრით ამოქმედდა აშშ-ის მთავარი რეზერვი დოლარის მასიური ემისია, ამის მიუხედავად ინფლაციის დონე დაბალია და უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა დოლარის გამყარების ტენდენცია, რადგან დაეცა მოსახლეობის

სამომხმარებლო ინდექსი და ფინანსური რესურსები მიმართულ იქნა პრობლემატურ კომპანიებსა და დარგებში.

ბიზნეს-სექტორის დაცემის კვალობაზე მკვეთრად იმატა დეპოზიტების მოცულობამ. მაგალითად, 2009 წელს დეპოზიტების მაჩვენებელმა 5,9%-ტი შეადგინა, როდესაც 2008 წელს ეს მაჩვენებელი 2,7% იყო. ეკონომიკური კრიზისის გავლენა მარტო ამით არ შემოიფარგლება, კერძოდ, კრიზისის დასაძლევად და ბიზნეს სეტორის გადასარჩენად აშშ-ის მთავრობა ოპერატიულად ჩაერია ეკონომიკურ ცხოვრებაში და 2008-2010 წ.წ. 9,2 ტრილიონი აშშ. დოლარი გამოიყო ეკონომიკური სიტუაციის გამოსასწორებლად. ამ თანხიდან 3 ტრილიონი აშშ. დოლარი 2010 წლისთვის დახარჯული იქნა, აშშ-ის მთავრობა დღემდე აგრძელებს სტაბილურობის პოლიტიკას. ამ თანხის 80% განკუთვნილ იქნა 8 (რვა) მასშტაბურ პროექტზე. ამ პროგრამების ძირითადი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ თანხის უკან ამოღება და დაბრუნება შეუძლებელი იქნებოდა. ამასთანავე ამ პროგრამების რისკი არის არა თანხის დაუბრუნებლობა, არამედ დაფინანსების ზღვრული ოდენობის შეკვეცა ან შემცირება (დარჩენილი 6 ტრილიონი აშშ დოლარის არმიღება/ვერ ათვისება).

ყველაზე საჭირბოროტო პრობლემაა ბანკების საკითხი. მათი კაპიტალიზაციის ასამაღლებლად (ანუ უვარგისი აქტივების და დაუბრუნებელი სესხების სანაცვლოდ) მათ მიეცათ სამთავრობო რესურსი, რაც აშშ მთავრობის მხრიდან ბანკების პრივილილეგირებული აქციების შეძენის გზით განხორციელდა. ამ ფულის დაბრუნების სქემა კი ბანკების მიერ პრივილიგირებული აქციების უკან გამოსყიდვაა. თუ პროგრამა შეჩერდა ან შეიკვეცა (ეს მოხდება ინფლაციის საფრთხის თუ სხვა მიზეზთა გამო) საბანკო სექტორი საკმაოდ მძიმე დღეში აღმოჩნდება. ერთი შეხედვით ბანკებს ჭარბი ლიკვიდურობა აქვთ, რადგან სიტუაცია მარტივია – მათ მიიღეს ფული და ამ ფულს არ გასცემენ სესხების სახით. მაგრამ, მათი აქტივების უმეტესობა დროთა განმავლობაში კიდევ უფრო ფუჭდება – ეცემა გირაოში ჩადებული ქონების რეალური ღირებულება და იზრდება მასშტაბური ჩამოწერის რისკი. ეს კი ბანკებს უფულოდ და ბანკროტობის პირას აყენებს. უფრო თვალსაჩინოდ რომ წარმოვიდგინოთ თუ რა ნაბიჯები გადადგა აშშ-ს მთავრობამ ეკონომიკური კრიზისიდან ქვეყნის გამოსაყვანად. (იხ. ცხრილი 10)

ცხრილი 10

TARP (Troubled Assets Relief Program) პრობლემური აქტივების დახმარების პროგრამა

(მლრდ. აშშ. დოლარი)

პროგრამის დასახელება	მოცულობა	დაბანდება
AIG – ის (სადაზღვეო კომპანია) დახმარება	70	69,8
აქტივების გარანტიის პროგრამა	12,5	5
საავტომობილო ნაწილების მიმწოდებლების პროგრამა	5	3,5
საავტომობილო ინდუსტრიის მხარდამჭერი პროგრამა	80,1	80
ბანკების კაპიტალიზაციის პროგრამა	218,0	204,7
TALF (Term asset – backed securities loan facility) ფასიანი ქაღალდებით უზრუნველყოფილი სესხის პროგრამა	70	70
იპოთეკარი მსესხებლების პროგრამა	50	27,3
PPP ანუ ე.წ. "სანაგვე ფონდების" პროგრამა	100	23,3
მიზნობრივი ინვესტიციები-CITI and Boa{სითი ბანკი და ბენკ ოფ ამერიკა)	40	40
დაბრუნებულია	73	73
ნარჩენი, ანუ დაუბრუნებელი თანხა	127,4	-
სულ	700,0	400,6

წყარო:http://www.investgroup.ge/padmin/ge/research_main_page/files/Global_Economic_Crisis_part_2.pdf;

კრიზისის დაძლევისთვის ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ შემუშავებულ იქნა ანტიკრიზისული გეგმა (იხ. ცხრილი 11).

ცხრილი 11

აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის ანტიკრიზისული გეგმა

(მლრდ. აშშ. დოლარი)

პროგრამის დასახელება	მოცულობა	დაბანდება
საინვესტიციო ბანკი - ბეარნ- შტეარნის დახმარება	29	26,3
კომერციული ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვა	1800	14,3
დოლარის სვოპ კონტრაქტები	29,1	
(GSE) სპონსორობით შექმნილი კომპანიების გამოსყიდვა	200	149,7
(GSE) ბალანსზე რიცხული ვალდებულებების გამოსყიდვა	1250	775,6
TALF (Term asset – backed securities loan facility) ფასიანი ქაღალდებით უზრუნველყოფილი სესხის პროგრამის ფარგლებში თანხის გაცემა	1000	43,8
TAF-დაბალ რეტინგული იპოთეკური ქაღალდების გარანტიით თანხის გაცემა	500	109,5
აშშ-ის სახაზინო ვალდებულებათა გამოსყიდვა	300	295,3
სულ	5079	1443,6

წყარო:http://www.investgroup.ge/padmin/ge/research_main_page/files/Global_Economic_Crisis_part_2.pdf;

- ამ სიაში არ არის სხვა შექმნილი პროგრამები, რაზეც მოთხოვნა არ დაფიქსირდა- ჯამური თანხით 1,167 ტრილიონი აშშ. დოლარი.

ცხრილი 12

აშშ-ის მთავრობის მიერ განხორციელებული ფედერალური სტაბილურობის პროგრამები(მლრდ. აშშ. დოლარი)

პროგრამების დასახელება	მოცულობა	დაბანდება
2008 წლის სტიმულირების პროგრამა	168	168
უმუშევრობაზე დანამატის ზრდა	8	8
სტუდენტებზე სესხების გარანტიები	195	195
"ბარაკ ობამა-ს გეგმა"	787,2	358,2
მაღალტექნოლოგიური მანქანების შექმნის პროგრამა	25	8
ახალი ავტომანქანების შეძენის სტიმულირება	3	3
სულ	1186,2	577,8

წყარო:http://www.investgroup.ge/padmin/ge/research_main_page/files/Global_Economic_Crisis_part_2.pd

შემდგომ აშშ-ის მთავრობის მიერ მას დაემატა შემდეგი ღონისძიებები (იხ. ცხრილი 13).

ცხრილი 13

0FDIC– ის (დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კომპანია) მიერ პრობლემური ბანკების შეძენა (მლრდ აშშ დოლარი)

წელი	დაბანდება
2008 წელი	17,8
2009 წელი	27,8
სულ	45,4

წყარო:http://www.investgroup.ge/padmin/ge/research_main_page/files/Global_Economic_Crisis_part_2.pdf;

სხვა პროგრამებზე გამოყოფილ დაფინანსებას, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა აშშ-ის საფინანსო ბაზრის მხარდაჭერა, დაერქვა სხვა ღონისძიებები, რომლის დაფინანსების მოცულობები წარმოდგენილია მე-14 ცხრილში.

ცხრილი 14

აშშ-ის მთავრობის მიერ სხვა ღონისძიებების დაფინანსება (მლრდ. აშშ. დოლარი)

სხვა ღონისძიებების დასახელება	მოცულობა	დაბანდება
NCUA ფონდის მხარდაჭერა	57	57
TLGP – ფინანსური ინსტიტუტების და უპროცენტო დეპოზიტების დაზღვევა სრულ თანხაზე და გარანტიების გაცემა ახალ ვალდებულებებზე	1500	308,4
სულ	1557	365,4

წყარო:http://www.investgroup.ge/padmin/ge/research_main_page/files/Global_Economic_Crisis_part_2.pdf;

- ამ სიაში არ აისახა სხვა შექმნილი პროგრამები, რომელზეც მოთხოვნა არ დაფიქსირდა ჯამური თანხით - 130 მლრდ. აშშ. დოლარი.

მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენილი აშშ-ის იპოთეკური ბაზრის გადასარჩენად აშშ-ის მთავრობის მიერ განხორციელდა მოსახლეობის საცხოვრებელ სექტორში მხარდაჭერის ღონისძიებები, რომლებმაც ასახვა პოვეს შემდეგ ღონისძიებებში (იხ. ცხრილი 15).

ცხრილი 15

აშშ-ის მოსახლეობის საცხოვრებელი სექტორის მხარდაჭერის ღონისძიებები (მლრდ. აშშ. დოლარი)

ღონისძიებეის დასახელება	მოცულობა	დაბანდება
Fannie Mae and Freddie Mac (იპოთეკური სესხების ფედერალური სააგენტოები)	400	110,6
FHA-ფედერალური საცხოვრებელი სააგენტოს მხარდაჭერა	320	20,0
სულ	720	130,6

წყარო:http://www.investgroup.ge/padmin/ge/research_main_page/files/Global_Economic_Crisis_part3.pdf;

აშშ-ის მთავრობამ ფინანსური კრიზისის ყველაზე მწვავე 2007-2010 წლებში გასატარებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოყო 9242,2 მილრდ. აშშ. დოლარი, აქედან 2008-2009 წლებში დახარჯულ იქნა 2963,4 მლრდ. აშშ. დოლარი. (www.investgroup.ge)

ამის შედეგად 2008 წლის მესამე მეოთხედიდან მოყოლებული ყველა მსხვილი კომერციული ბანკი (როგორც აშშ-ში, ასევე სხვა ქვეყნებში) ამაყობს იმით, რომ ჭარბი ლიკვიდურობა გააჩნია კრიზისის პერიოდში – ანუ, მიუხედავად მასშტაბური ზარალისა და დიდი დანაკარგებისა აქვთ რესურსი გაისტუმრონ დეპოზიტარები, იმ შემთხვევაში თუ ასეთი მოთხოვნა გაჩნდა. თუმცა, ჩვენი ანალიზით ეს არის შედეგი უზარმაზარი ფულადი ემისიისა, რომელიც გაატარა ცხოვრებაში აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემამ და ევროპის ცენტრალურმა ბანკმა. მარტივად რომ ვთქვათ – აშშ-მა დაბეჭდა დოლარები და ევროპის ბანკმა ევრო და გაუშვეს მიმოქცევაში.

აშშ ეკონომიკას დამატებით სხვა პრობლემებიც ახასიათებს, კერძოდ:

ჭარბი ლიკვიდობა არათანაბრად არის განაწილებული და მისი უდიდესი ნაწილი (ფულის) თავმოყრილია მხოლოდ რამოდენიმე უმსხვილეს კომერციულ ბანკში (ლომის წილი სახელმწიფო დახმარების ასევე ამ ბანკებზე მოდის). ამასთანავე, აშშ ეკონომიკის ხერხემალი იყო და არის საშუალო და მცირე ბიზნესი, რომელსაც არა აქვს შეხება უმსხვილეს ბანკებთან.

თუ შევადარებთ ბანკების საკრედიტო პორტფელის შემოსავლიანობას გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე არსებული ინვესტიციების ალტერნატიულ წყაროებთან - ის გაცილებით დაბალია. შესაბამისად, ინვესტორებს არ აწყობთ ბანკების საკრედიტო პორტფელის ზრდა, რადგან არსებულ ვითარებაში სხვა წყაროებს უფრო მეტი მოგება და დაბალი რისკი მოაქვთ. თან ალტერნატიული ინვესტიციები გამოირჩევა მეტი ლიკვიდობით, რაც კრიზისში უფრო ღირებული ხდება. რა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში ეს სიტუაცია შეიცვლება და ალტერნატიული ინვესტიციების მომგებიანობა დაეცემა, რაც ხელს შეუწყობს ბანკების საკრედიტო პორტფელის ზრდას;

ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა კი თვით ბანკების ყურადღებაა საკუთარი ბალანსის მიმართ. კრიზისმა ბანკების მენეჯმენტი საკმაოდ დააშინა (აქციონერებზე რომ არაფერი ვთქვათ) და ამჟამად მათი მთავარი საზრუნავია საკუთარი ბიზნესის

სიჯანსაღე – ანუ, მიმდინარეობს სესხების ამოღება და პარალელურად კაპიტალის მაქსიმალური ზრდა, რაც გაფუჭებული სესხის შემთხვევაში დააბალანსებს ჩამოწერის მაჩვენებელს. ამის ნიშანია, რომ აშშ ბანკების საშუალო რეზერვი 2008 და 2009 წწ განმავლობაში თითქმის არ იცვლება და აშშ–თვის რეკორდულად მაღალია რეზერვირების 2% შესაძლო დანაკარგებზე. ასევე რეკორდულია ბანკების კაპიტალის ზრდის ტემპი, თუმცა ძირითადში ეს არ ხდება ფულადი სახით, არამედ მათ ბალანსზე არსებული ინვესტიციების გადაფასების გზით. ეს მეთოდი საკმაოდ არამყარია, თუ ფინანსურ ბაზრებზე არსებულ ცვალებადობას და ფასების დაცემას გავითვალისწინებთ. ასე რომ ეს მეთოდი არც თუ საიმედოა და უფრო საკამათოა, რასაც მთავარ (ჯერ ფარულ) პრობლემასთან მივყავართ – ბანკებს უბრალოდ სხვა გამოსავალი არა აქვთ, ანუ სიტუაციის გაუარესების შემთხვევაში მდგომარეობა უბრალოდ უმართავი გახდება. არსებული ტენდენციის გათვალისწინებით აშშ საბანკო სისტემის ლევერიჯი (მოზიდული სახსრების უფრო მაღალ პროცენტში გასესხება და ამით საბოლოო ჯამში საკუთარი კაპიტალის (და აქციონერთა მოგების) ზრდა) დაეცა ათ წლიან მინიმუმამდე. სიტუაციის შესაცვლელად საჭიროა დაკრედიტების გაზრდა, მაგრამ ამჟამად მიმდინარეობს “ცუდი” სესხებიის ჩამოწერის პროცესი, რაც მძიმე ტვირთია საკუთარ კაპიტალზე. თუ დავუმატებთ ამას კაპიტალის შევსების არამყარ ვითარებას, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აშშ ბანკები გააგრძელებენ კონსერვატიულ საკრედიტო პოლიტიკას და არ მოახდენენ ეკონომიკის ფართო დაფინანსებას. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს – მხოლოდ 2008 – 2009 წწ ჩამოწერილ იქნა 350 მლრდ აშშ დოლარის უვარგისი სესხი და ჯერ ჯეროზით ბანკების კაპიტალიზაციის შევსების საკითხი არ დასრულებულა.

კრიზისის შემდგომ პერიოში აშშ-ის საკრედიტო ბაზრის განვითარებაზე წამოდგენას გვაძლევს 16-ე ცხრილი.

ცხრილი 16

აშშ-ის იპოთეკური კრედითის ბაზრის მოცულობა 2007 -2012 წლებში (მლარდი აშშ. დოლარი

დასახელება	2007	2009	2011	2012
სამომხმარებლო იპოთეკური კრედიტები	20447,9	1951,0	1440,9	1819,5
კომერციული იპოთეკური კრედიტები	326,7	62,5	45,9	36,5
სულ ჯამი	2774,6	2013,5	1486,8	1856,4

წყარო:www. mortgogestats.com

2012 წელს აშშ-ის იპოთეურ-საკრედიტო ბაზარზე გაცემული კრედიტების მოცულობამ შეადგინა 1856,4 მილიარდი აშშ. დოლარი ნაცვლად 2007 წელს გაცემული 2774,,6 მილიარდი აშშ. დოლარისა. სწორედ 2007 წლიდან გამოჩნდა იპოთეკური კრიზისის გამწვავების ნიშნები აშშ-ში. დაწყებული 2003 წლიდან გაცემული ოპოთეკური კრედიტების მოცულობა თანდათან იზრდებოდა, ამასთან ერთად, მცირდებოდა მათი ხარისხი. კრედიტების გარკვეული ნაწილი გაიცა მსესხებლის მხრიდან სათანადო უზრუნველყოფის გარეშე, კრიზისის ზღურბლზე ფართო გავრცელება ჰპოვა ეგრეთწოდებულმა იპოთეკური კრედიტების პულებმა. ასეთი პულების რისკის შეფასებისთვის გამოიყენებოდა სტსტისტიკური მეთოდები, რომელიც ეფუძნებოდა თითეული კრედიტის რისკის შეფასებას პულში და მათ ურთიერთშორის დამოკიდებულებას (კორელაციას.)

იპოთეკური დაკრედიტების ბაზრის მოცულობის ცვლილებებზე წარმოდგენას გვაძლევს 17-ე ცხრილი.

ცხრილი 17

აშშ-ში იპოთეკური დაკრედოტების მოცულობების ცვლილება 2007-2012 წლებში

დსახელება	2012/2007	2012/2009	2012/2011
სამომხმარებლო იპოთეკური კრედიტები	-25,6%	-6,7%	26,3%
კომერციული იპოთეკური კრედიტები	-88,8%	-41,6%	-20,6%
სულ ჯამი	-33,1%	-7,8%	24,9%

წყარო: www. mortgogestats.com

2007 წლიდან გაცემული იპოთეკური კრედიტების მოცულობა განიხრელად მცირდებოდა და უკვე 2012 წელს 2009 წელთან შედარებით გაცემულ იქნა 6, 7% -ით ნაკლები სამომხმარებლო კრედიტები, ხოლო კომერციული იპოთეკური კრედიტების მოცულობა შემცირდა 41,6%-ით. აშშ-ში იპოთეკური დაკრედიტების მოცულობები კარგად ჩანს ქვემოთ მოტანილ დიაგრამაზე.

დიაგრამა 1

იპოთეკური ბაზრის დაკრადიტების მოცულობები აშშ-ში 2007-2012 წლებში.



წყარო: www. mortgogestats. Com

აშშ-ში მსხვილ ორგანიზაციებს შორის, რომლებიც გასცემენ იპოთეკურ კრედიტებს, შესაძლებელია გამოვყოთ: Wells Fargo & Co, JP Morgan Chase &Co, U. S. Bank Home Mortgage, Bank of Amerika და Quicken Loans Inc. სამამულო იპოთეკური კრედიტების 51,2% -ზე მეტი 2012 წელს გაცემული იქნა ამ ბანკებისა და საკრედიტო დაწესებულებების მიერ. ბანკი ფარგო უკვე ხუთი წელია გვევლინება აშშ-ში იპოთეკური დაკრედიტების ყველაზე მსხვილ პარტნიორად, რომელზეც მოდის 2012 წლისთვის იპოთეკური დაკრედიტების მთლიანი მოცულობის 28,5%, ხოლო აუტსაიდერებს შორის კი წარმოდგენილია Bank of Amerika, რომელმაც გასცა 2012 წელს 79,9%-ით ნაკლები იპოთეკური კრედიტი, ვიდრე 2009 წელს. ტოპ ბანკ ების ხუთეული წარმოდგენილია ქვემოთ მოტანილ ცხრილში.

ცხრილი 18

იპოთეკური კრედიტების ტოპ ბანკების ხუთეული
2007-2012 წლებში აშშ-ში (მლრდი. აშშ. დოლარი)

დასახელება	2007	2009	2012
Wells Fargo & Co.	271,9	427,2	528,1
JP Morgan Chase & Co	210,2	187,1	185,7
U.S. Bank Home Mortgage	_	34,2	88,4

წყარო: www. mortgogestats. Com

აშშ-ში იპოთეკური დაკრედიტების წამყვანი ტოპ ხუთეული ასე გამოიყურება ქვემოთ მოტანილ დიაგრამაზე.

დიაგრამა 2

აშშ-ის იპოტეკური დაკრედიტების ტოპ ხუთეული 2007-2012 წლებში.



იპოთეკური კრედიტების ბაზრისგან განსხვავებით სამომხმარებლო კრედიტების ბაზრებზე არ დაფისირებულა სამომხმარებლო კრედიტების ასეთი მკვეთრი ვარდნა 2008-2009 წლები ფინანსური კრიზისის დროს. 2012 წლისთვის გაცემული კრედიტების მთლიანმა მოცულობამ გადააჭარბა 2007 წლის მაჩვენებელს 8,5%-ით და შეადგინა 2768,1 მლრდ. აშშ. დოლარი (იხ. ცხრილი 19).

ცხრილი 19

აშშ-ის. სამომხმარებლო კრედიტების ბაზრის მოცულობა

2003-2012 წლებში (მლრდ. აშშ. დოლარი)

დასახელება	2003	2007	2009	2012
სამომხმარებლო კრედიტების ბაზრის მოცულობა	2101,4	2551,9	2411,4	2768,1

წყარო: www. Federalreserve. gov.

აშშ-ში სამომხმარებლო კრედიტების ბაზრის მოცულობები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე.

დიაგრამა 3

აშშ-ის სამომხმარებლო კრედიტების ბაზრის მოცულობები 2003-20012 წლებში



წყარო: www. Federalreserve, gov

საკრედიტო ბაზრის გაანალიზების დროს საინტერესოა ვადაგადაცილებული სესხების და იპოთეკური დავალიანების მოცულობების დადგენა. 2012 წლისთვის იპთეკური პროდუქტების მიხედვით აშშ-ის დავალიანების მოცულობამ 13210,5 მლრდ. აშშ. დოლარი შეადგინა, მაშინ, როდესაც 2007 წლისთვის კრედიტების ამ სახეში დავალიანებამ მიაღწია სარეკორდო მაჩვენებელს და შეადგინა 14577,5 მლრდ. აშშ. დოლარს, ხოლო 2003 წლისთვის დავალანების მოცულობა ტოლი იყო 9364,9მლრდ. აშშ. დოლარის. 2007 წლის შემდგომ მთლიანი დავალიანების მოცულობა შემცირდა 9,4%-ით. ეს უკანასკნელი მიღწეული იქნა ბანკების მხრიდან საკრედიტო ნორმების გამკაცრებით და კრედიტის დაფარვის ვადების შემცირებით (იხ. ცხრილი 20).

ცხრილი 20

აშშ-ის მთლიანი დავალიანება იპოთეკური კრედიტებით მიმართულებების მიხედვით2003-2012 წლებში (მლრდ. აშშ. დოლარი)

დასახელება	2003	2007	2009	2012
კომერციული კრედიტები	3387,2	5067.1	4778,7	4384,1

ფედერალური კრედიტები	527,1	726,5	816,0	4977,3
სატრასტო კრედიტები	4457,0	7414,3	7621,7	2949,1
სამომხმარებლო კრედიტები	993,5	1369,5	1176,1	900,1
სულ ჯამი	9364,9	14577,5	14391,9	13210,6

წყარო: www. Federalreserve, gov

აშშ-ის კრედიტების მთლიან მოცულობაში ვადაგადაცილებული კრედიტების ხვედრით წილზე წარმოდგენას გვაძლევს ქვემოთ მოტანილი ცხრილი.

ცხრილი 21

ვადაგადაცილებული კრედიტების ხვედრითი წილი კრედიტების მთლიან მოცულობაში 2007-2012 წლებში (%-ით)

დასახელება	2007	2009	2011	2012
ვადაგადაცილებული იპოთეკური კრედიტები	5,1	9,0	8,2	7,5
საბანკო ბარათებზე ვადა გადაცილებული კრედიტები	3,9	6,7	5,0	4,6
ვადაგადაცილებული კრედიტები ავტომობილებზე	2,9	3,3	2,7	2,5

წყარო: www. Federalreserve, gov Mortgoge Bankers Association (MBA)

აშშ-ის საკრედიტო ბაზრის შესწავლისთვის საინტერესოა აშშ-ის საბანკო სექრორის მიერ მოზიდული დეპოზიტების განალიზება. 2012 წლისათვის აშშ-ის ბანკების სადეპოზიტო ანგარიშებზე განთავსებული იყო 8,97 ტრილიონი აშშ. დოლარი, ხოლო 2007 წლისთვის კი სადეპოზიტო ანგარიშებზე ბანკებში განთავსებული იყო 6,44 ტრილიონი აშშ. დოლარი.ანუ აღნიშნულ პერიოდში შემნახველი ანაბრების რაოდენობა გაიზარდა 39,3%-ით. ბანკები, რომელთაც 2007-2009 წლებში მოუხდათ შეხება რთულ პრობლემებთან, სასწრაფოდ საჭიროებდნენ ფულს საკუთარი ვალების დასაფარავად. სახსრების მოსაზიდად მომხმარებლებისთვის შეეთავაზებინათ მათთვის შედარებით სასრგებლო პირობები დეპოზიტებზე, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ 2007 წლის დასაწყისიდან 2008 წლის ბოლომდე აშშ. დოლარი ევროს მიმართ გაუფასურდა 20%-ით.

დეპოზიტების მოზიდვის კუთხით უმსხვილესი ბანკები გახდნენ 2012 წელს: Bank of Amerika, Wells Fargo & Co, JP Morgan Chase & Co, Citigroup და Capital One Finansial Corp. 2012 წელს დეპოზიტების დაახლოებით 39,2 % მოდიოდა ამ ბანკების წილად (იხ. ცხრილი 22).

ცხრილი 22

აშშ-ის ხუთი ტოპ ბანკი მიერ მოზიდული დეპოზიტები 2011-2012 წლებში (მლრდ. აშშ. დოლარი)

დასახელება	2011	2012	2012/2011
Bank if America	1066,7	1129,3	5,9%
Wells Fargo & Co	793,6	891,4	12,3%
JP Morgan Cfase & Co	769	865	12,5%
Citigroup	320,2	396	23,7%
Capital One Finansial Corp	129,3	232,7	80%
სულ ჯამი	3078,8	3514,4	14,1%

წყარო :www. Snl. Com

ამერიკის ბანკების ტოპ ხუთეული დიაგრამაზე ასე გამოიყურება.

დიაგრამა 4. აშშ-ის ხუთი ტოპ ბანკი დეპოზიტების მოზიდვის მიხედვით 2011-2012 წლებში (მლრდ. აშშ. დოლარი)



წყარო: www. Snl. Com.

მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან საკრედიტო დაწესებულებებში დაწყებულმა ინსტიტუციონალურმა ცვლილებებმა გაამწვავა კონკურენცია ბაზრის სხვადასხვა სეგმენტებზე საფინანსო დაწესებულებებს შორის. კრედიტორებისა და მსესხებლების მიერ კაპიტალის მოზიდვასა და სასარგებლო განთავსებაზე უარის თქმამ გამოიწვია შუამავლების მომსახურების უგუკლებელყოფა (დეზინტერმედიაცია) და ორიენტაცია აღებულ იქნა **„ინვესტორი - ფასიანი ქაღალდების ემიტენტის“** პირდაპირ კავშირებზე. ტრადიციული საბანკო დეპოზიტების წილის შემცირებამ გამოიწვია მიმოქცევაში შედარებით შემოსავლიანი და ლიკვიდური ფასიანი ქაღალდების გადინება, ყოველივე ამან კი განაპირობა ინფორმაციის როლის მნიშვნელობის, საბაზრო საქმიანობის ტრანსპარენტულობისა და საკრედიტო ოპერაციების განხორციელების ტექნოლოგიურ პროცესზე მოთხოვნების ზრდა. (Роговский Е. А. США-Канада: 2011: 56.) მსხვილი კორპორაციებისა და ფირმების საგარეო ვალებმა და უკვე ბოლო წლებშიც მრავალი საშუალო და მცირე ფირმების მხრიდან ვალების ზრდამაც, მიიღო საკუთარი ფასიანი ქაღალდების ემისიის ზრდის სახე და არა საბანკო კრედიტების მოზიდვას დაემყარა.

ევროპის ქვეყნებში შედარებით დაბალია სამომხმარებლო კრედიტის გავრცელება. ეკონომისტთა გარკვეული კატეგორია აღნიშნულ პროცესს უკავშირებს ინსტიტუტების ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონეს, რომლებიც უზრუნველყოფენ სამომხმარებლო კრედიტების გაცემას **(M. C. Chiuri. T. Jappelli. 2011: 20)** (იხ. ცხრილი 23).

ცხრილი 23

შინამეურნეობათა კრედიტები ევროზონის ქვეყნებში

(მლრდ. ევრო)

დასახელება	2000	%	2005	%	2013	%	ზრდა 2000 წელთან შედარებით
1	2	3	4	5	6	7	8
1. სულ	2941,4	100	3520,6	100	5229,7	100	11,8
2. სამომხმარებლო კრედიტი	475,7	16	484,5	14	578,0	11,00	1,2
მოკლევადიანი კრედიტი <1 წლამდე	97,5	21	112,0	23	110,4	19,0	1,1
საშუალოვადიანი კრედიტი. 1-5 წლამდე	165,2	35	181,0	37	179,2	31,0	1,08
გრძელვადიანი კრედიტი >5 წელზე ზემოთ	212,9	45	191,5	40	288,8	50	1,4
3. იპოთეკური კრედიტი	1877,3	64	2360,5	67	3841,7	73,4	
მოკლევადიანი კრედიტი <1 წლამდე	22,2	1	14,4	0,6	1,19,3	0,5	0,9
საშუალოვადიანი კრედიტები 1–5 წლამდე	62,4	3	63,3	3	92,1	2,4	1,5
გრძელვადიანი კრედიტი >5წელზე ზევით	1792,7	95	2282,8	97	3730,3	97,1	2,1

1. სხვა სახის კრედიტები	588,4	20	675,6	19	810,0	15,5	1,4
მოკლევადიანი კრედიტები <1 წელზე ნაკლები	147,4	25	145,0	21	156,3	19,3	1,1
საშუალოვადიანი კრედიტები 1–5 წლამდე	101,0	17	95,5	14	123,44	15,2	1,2
გრძელვადიანი კრედიტები >5 წელზე ზევით	340	58	435	64	530,3	65,5	1,5

წყარო: ავტორის გაანგარიშებები შემდეგ მონაცემებზე დაყრდნობით. Monthly Bulletin European Centra.l Bank/-ECB.-2002-2011.Tab. S15. www.ecb. Int.

ევროკავშირის მრავალ ქვეყანაში კერძო სექტორის დაკრედიტებტის მოცულობამ ფინანსური ინსტიტუტების მიერ მიაღწია შესაბამის ამერიკულ მაჩვენებლებს. მაგრამ მთლიანობაში ბაზრის მოცულობები ჩამორჩება აშშ–ის მაჩვენებლებს, შედარებით ნაკლებადაა განვითარებული თვისობრივად და თითოეული სეგმენტის მიხედვით (სამომხმარებლო სესხები, ავტოკრედიტები, საკრედიტო ბარათები). გაითვალისწინა რა ამ სახის კრედიტების მნიშვნელობას, 2008 წელს ევროპარლამენტმა ხუთწლიანი განხილვების შემდგომ მიიღო კანონი **„სამომხმარებლო დაკრედიტების შესახებ“.** ახალი წესები ითვალისწინებს ყველა ევროკავშირის წევრი ქვეყნისთვის საპროცენტო განაკვეთების გათვლის ერთიან მექანიზმს აღნიშნული კანონი კრედიტორებს ავალებს გახსნან კრედიტის მთლიანი ღირებულება და ინფორმირება გაუკეთონ მსესხებლებს საკუთარი პროდუქტის ნაკლოვანებებსა და უპირატესობებზე, ასევე კანონი ითვალისწინებს კრედიტის მიღების შესაძლებლობას ევროკავშირში შემავალ ნებისმიერ ქვეყანაში.

ევროპაში აღნიშნულმა პროცესებმა თავი იჩინა ევროზონის შემქნის შემდეგ, რომელმაც შემდგომ მიგვიყვანა საბანკო ბალანსების, შემოსავლების და ხარჯების

სტრუქტურის ცვლილებებთან. ამასთან ერთად, ევროზონის საბანკო აქტივების საერთო მოცულობა ძველებურად 3–ჯერ აღემატება ანალოგიურს აშშ–ში.

მსესხებელთა ორიენტაციამ სავალო ფასიან ქაღალდებზე მნიშვნელოვნად შეამცირა ბანკების საპროცენტო შემოსავლები, რამაც მიგვიყვანა საბანკო მომსახურების ახალი ფორმების შექმნასთან. ახალი საფინანსო ინოვაციების დანერგვამ კი მიგვიყვანა ერთიანი საბანკო მომსახურების პროცესის ცალკეულ დამოუკიდებელ ჯგუფებად დაყოფასთან, როგორიცაა: **წარმოება, რეალიზაცია და თანამდევი მომსახურება.** ხშირად წარმოებას და რეალიზაციას ახორციელებენ სხვადასვა ორგანიზაციები, რომლის შედეგადაც თანამედროვე საკრედიტო ბაზარზე გლობალიზაციის პირობებში მკვეთრად გაიზარდა ინფრასტრუქურული ინსტიტუტების მნიშვნელობა.

21-ე საუკუნის დასაწყისში სეკიურიტიზაციის საშუალებით რეფინანსირებულ იქნა ეროპაში იპოთეკური კრედიტების მხოლოდ 1%-ი, მაშინ, როდესაც აშშ–ში ამ ციფრმა შეადგინა 50%. დღეისათვის სავაჭრო–ორგანიზაციულ ინსტიტუტების საშუალებით აშშ–ში ხდება 75% იპოთეკური სესხების გადაწყობა, რომელთა შორის მაღალრისკიან კრედიტებზე მოდის დაახლოებით 10%. აშშ–ში სეკიურიტიზებული აქტივების უმსხვილეს კლასს შეადგენენ იპოთეკის 42%, სამომხმარებლო კრედიტების 27%, დებიტორული დავალიანებების (მ.შ. გადასახდელები ბარათებზე)–11%. ევროპული ბაზარი არსებითად ჩამორჩება ამ მაჩვენებლებით აშშ-ს, უწინარეს ყოვლისა, იგი გამოწვეულია საკრედიტო ბაზრის სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ელემენტების ორგანიზაციის თავისებურებებით, რომელით უკავშირდება სეკიურიტიზაციას.

იმავდროულად განვითარბული ქვეყნების ეროვნულ საკრედიტო ბაზრებზე იზრდება ზეწოლა მსხვილი მოთამაშეებისა, როგორიცაა: **აზიის ქვეყნების ცენტრალური ბანკები, ნავთობის მქონე საინვესტიციო ფონდები, ხეჯ-ფონდები და მხსვილი კერძო საინვესტიციო კომპანიები.** 2000 წლისათვის მათი აქტივების მოცულობა 3,2 ტრილიონი აშშ დოლარიდან გაიზარდა 2008 წლისთვის 8,7 ტრილიონ აშშ დოლარამდე, რაც შეადგენს მსოფლიო ფინანსური აქტივების 5%. ექსპერტების მონაცემებით მომდევნო 15–20 წელიწადში ეს მაჩვენებელი შესაძლებელია გასამმაგდეს.

მსოფლიოს წარმოდგენილ ქვეყნებთან ერთად მეტად საინტერესოა საკრედიტო ბაზრების განვითარების მდგომარეობის კვლევა აფრიკის კონტინენტზეც, რომელიც ბოლო პერიოდში მთელი რიგი თავისებურებებით სწორედ მე-20 საუკუნის 80-იან წლებში აფრიკის ქვეყნებში ეკონომიკური სიტუაციის გაუარესებამ მიიყვანა ფინანსური რეფომების დაწყებასთან, რომელსაც აქტიურად უჭერდნენ მხარს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები. საპროცენტო განაკვეთების ლიბერალიზაციამ, საკრედიტო კონტროლის მოხსნამ, არაპირდაპირი მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების შემოღებამ სათავე დაუდო აფრიკის ქვეყნებში დაჩქარებული რეფორმირების ახალ ეტაპს,

ამრიგად, შესაძლებელია გავაკეთოთ დასკვნა, რომ განვითარებულ საკრედიტო ბაზრებზე გამოვლენილ ძირითად საკრედიტო ურთიერთობათა ფუნქციონირების ტენდენციებს განეკუთვნება შემდეგი:

- **კორპორაციული სავალო ინსტრუმენტების სეგმენტის ზრდა საკრედიტო ბაზრებზე;**
- **მსხვილი ინვესტორების (საპაიო და საპენსიო ფონდების, სახელმწიფო საინვესტიციო ფონგების) როლის გადიდება;**
- **აქტივების სეკიურიტიზაციის და კრედიტების გაყიდვების ზრდა, ანუ კრედიტების მეორადი ბაზრის ფორმირება;**
- **მოსახლეობისთვის გამოყოფილი სამომხმარებლო კრედიტების წილის მნიშვნელოვანი ამაღლება;**
- **საკრედიტო ბაზრის მონაწილეთა ლტოლვა საქმიანობის უნივერსალიზაციისაკენ, საკრედიტო, საინვესტიციო და საგადასახადო მომსახურებების სრული უზრუვნელყოფის მიზნით.**

დღეისათვის მსოფლიოში სახეზე გვაქვს ყველა საფინანსო ბაზრების ინტეგრაცია მათზე საკრედიტო ურთიერთობათა წამყვანი პოზიციის შენარჩუნებით, ამავე დროს, საფინანსო-საკრედიტო ინოვაციების გავლენით ტრანსფორმირება განიცადა თვით საკრედიტო ბაზრის სტრუქტურამ.

თავი III. საკრედიტო ბაზრის მართვის საკითხები საქართველოს კომერციულ ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში (სტატისტიკური ანალიზი და სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები)

3.1. საქართველოში საკრედიტო ბაზრის მიმოხილვა

საქართველოს საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების განვითარებაში სახეზე გვაქვს ბანკების რაოდენიბის შემცირება, ხოლო მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა კი პირიქით იზრდება. მაგალითად, კომერციული ბანკების რაოდენობა 2000 წელს 30 ერთეულიდან 2014 წლისთვის შემცირდა 21 ერთეულამდე. ამასთან გაიზარდა მოსახლეობის საბანკო მომსახურების სერვისის მოცულობა, რაზეც ნათლად მიუთითებს კომერციული ბანკების ფილიალების და სერვის ცენტრების ზრდა.

2014 წლის ბოლოსათვის ქვეყანაში ფუნქციონირებდა 188 საბანკო ფილიალი და 796 ერთეული-სერვის ცენტრი, 17 არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება, 70 მიკროსაფინანსო დაწესებულება, ერთი საბანკო ბირჟა, 16 სადაზღვევო კომპანია და 5 საპენსიო სქემა.

ცხრილი 24

საქართველოს ფინანსური სექტორის ინსტიტუტები

2000-2014 წლებში

დასახელება	2000	2005	2010	2012	2014
კომერციული ბანკები, სულ	30	19	19	19	21
მათ შორის:უცხოური კაპიტალის მონაწილეობა*	20	12	16	17	19
ფილიალები	210	159	119	142	188
სერვის ცენტრები	0	187	522	691	796
არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები	0	40	18	18	17
მიკროსაფინანსო ორგანიზაციები	0	2	49	62	70

წყარო: საქართელოს ეროვნული ბანკის 2014 წლიური ანგარიში. თბ. 2015წ. www.nbg gov.ge.

* არარეზიდენტი ბანკების ფილიალების ჩათვლით

ბანკების შემცირებასთან ერთად შეიცვალა მათი ფინანსური სტრუქტურაც. 2014 წლის ბოლოს თუ შევადარებთ 2000 წლის შესაბამის პერიოდს, კომერციული ბანკების შემოსავლები გაიზარდა 21.7-ჯერ. შემოსავლები თითქმის 60 პროცენტს სტაბულურად საპროცენტო შემოსავლები შეადგენდნენ, ხოლო არაპროცენტულ შემოსავლებში საკომისო\შემოსავლები და ბანკების მიერ გაწეული შემოსავლების ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად შემცირდა, თუ 2000 წლს იგი შეადგენდა არაპროცენტულ შემოსავლების 60 პროცენტს, 2014 წლის ბოლოს იგი უკვე მხოლოდ მისი ნახევარი იყო. საბანკო სფეროს გაფართოებასთან ერთად ბანკებმა შეამცირეს მომსახურებაზე გაწეული ხარჯები, რაც მნიშვნელოვანი პირობაა სესხების მენეჯმენტში .

ბანკების შემცირებასთან ერთად შეიცვალა მათი პორტფელიც. კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე 2015 წლის პირველი იანვრისთვის გაცემული სესხების მოცულობამ მეწარმეობაზე შეადგინა 6 353 890 ათასი ლარი. კომერციული ბანკების მიერ ამავე პერიოდში გაცემული სესხების სტრუქტურაში ეკონომიკის დარგების მიხედვით პირველ ადგილზეა წარმოდგენილი ვაჭრობა 30, 8%-ით, მეორე ადგილზეა მრეწველობა 21, 5%-ით, შემდეგ მოდის ფინანსური შუამავლობა 8,4%-ით, შემდეგ მოდის ოპერაციები უძრავი ქონებით 7,0%-ი მეხუთე ადგილზეა მშენებლობა 6,4%-ით, მეექვსე ადგილი უკავია სასტუმროებს და რესტორნებს 6,0%, შემდეგ მოდის სხვა დარგები 5,5%-ით.

კომერციული ბანკების მიერ 2015 წლის 1 იანვრისთვის შინამეურნეობებზე გაცემულ სესხების მოცულობამ შეადგინა 6 124 615 ათასი ლარი. შინამეურნეობებზე გაცემულ სესხებში ყველაზე დიდი ხვედრითი წილით წარმოდგენილია უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები 50,7%, შემდეგ მოდის სამომხმარებლო სესხები 33,9%.

კომერციული ბაკბის მიერ 2003 -2015 წლებში გაცემული სესხები გაიზარდა 21-ჯერ. მაშინ როცა მშპ გაიზარდა 3.4 ჯერ. ამდენად, ბანკების მიერ ეკონომიკის დაფინანსებს ზრდის ტენდენცია თითქმის 7-ჯერ აღემატებოდა ქვეყნის მშპ- ს ზრდას.

კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობაში გრძელვადიან სესხები 5.1 ჯერ აღემატება მოკლევადიანი სესხების მოცულობას.

ვადაგადაცილებულ სესხების წილი წლების განმავლობაში სულ უფრო მცირდებიდა, მხოლოდ კრიზისულ ვითარებაში, ეკონომიკის დაცემასთან ერთად ეს მაჩვენებელი მცირედით უარესდებოდა, მაგრამ მთლიანობაში მას საფრთხე არ შეუქმნია ბანკების გამათული საქმიანობისათვის. კერძოდ, თუ 2003 წელს ეს მაჩვენებელი საშუალიოდ 4-5 პროცენტს შეადგენდა, 2014 წელს იგი 2 პროცენტამდე შემცირდა.

უმოქმედო (**„უმოქმედო სესხები“ - აქტივების კლასიფიკაციის მოქმედი რეგულაციის მიხედვით სამი ბოლო კატეგორია: არასტანდარტული, საეჭვო და უმოქმედო**) სესხების რაოდენობამ 2012 წელს 9,3 პროცენტი, ხოლო 2014 წელს 7,6 პროცენტი შეადგინა. სასესხო პორტფელის კატეგორიებზე წარმოადგენას გვაძლევს ცხრილი 4.

როგორც ცხრილის ანალიზიდან ჩანს, სტანდარტული სესხების წილმა შეადგინა 87,5%. უმოქმედო სესხებში **არასტანდარტუდი სესხები** წარმოდგენილი იყო 4,1 პროცენტით, **საეჭვო** - 2,7 პროცენტით, **უიმედო** - 1,6 პროცენტით. **(საქართველოს ეროვნული ბანკი 2014: 72)** 2015 წლის 7 თვის მონაცემებით **ვადაგადაცილებული სესხების** მოცულობა გაიზარდა 38,9%. ივლისის თვეში, ვადაგადაცილებული სესხები 23,1 მლნ. ლარით გაიზარდა და მათმა წილმა კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელში 2,3% შეადგინა. ვადაგადაცილებული სეხების 39,4% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული. ვადაგადაცილებულ სესხებში მოკლევადიან სესხებზე მოდის 52,1%, ხოლო გრძელვადიან სესხებზე კი 47,9%. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ 2015 წლის 7 თვის განმავლობაში კრედიტების საშუალო ვადიანობამ 16,3 თვე შეადგინა.

2015 წლის ივლისში, კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის 80,3% გრძელვადიან სესხებზე მოდიოდა, რომლის 68,9% უცხოური ვალუტით იყო გაცემული, მოკლევადიან სესხებში უცხოური ვალუტით გაცემული სესხების წილმა 43,2% შეადგენა.

მთლიანობაში საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა ცალკეული სეგმენტების მიხედვით ასეთ სურათს იძლევა (იხ. ცხრილი 25).

ცხრილი 25

მთლიანი საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა სეგმენტების მიხედვით 2012 -2014 წლებში

სეგმენტის დასახელება	2012 წელი		2014 წელი		ზრდა 2012 წელთან პროცენტი
	მლნ. ლარი	%	მლნ. ლარი	%	
1	2	3	4	5	6
კორპორაციული	3606	41	4616	37	28
მცირე საშუალო	1738	20	2300	18	32,3
საცალო	3368	39	5541	44	64,5
სულ	8712	100	12457	100	43

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი. www.nbg.gov.ge.

საქართველოს საბანკო სისტემის საკრედიტო პორტფელი რისკ-სექტორების კუთხით დივერსიფიცირებულად უნდა ჩაითვალოს. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ პროციკლური სექტორების წილი პორტფელში დაღმავალი ტენდენციით ხასიათდება, რაც საბოლოო ჯამში აუმჯობესებს პორტფელის მდგრადობას სისტემური რისკის მიმართ (იხ. ცხრილი 26).

ცხრილი 26

ცხრილი 3 საკრედიტო პორტფელი რისკ-სექტორების მიხედვით 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სექტორების დასახელება (ბანკთაშორისი სესხების გარდა)	წილი მთლიან პორტფელში %	სესხის ნიშნით მლნ. ლარი	რეზერვი მლნ. ლარი	სესხის რეზერვი/ პორტფელთან %
სახელმწიფო ორაგანიზაციები	0,6	75	2	2,0

საფინანსო ინსტიტუტები	4,4	601	18	3,0
მშენებლობა	9,9	1287	137	10,6
სამომხმარებლო სქონლის წარმოება და ვაჭრობა	16,5	271	119	5,5
სასტუმროები და რესტორნები	4,5	588	26	4,4
მრეწველობა	3,3	431	48	11,2
ენერგეტიკა	5,8	748	43	5,7
ჯანდაცვა და ფარმაცია	3,4	448	24	3,2
კავშირგაბმულობა	6,7	863	78	9,0
სოფლის მეურნეობა	4,6	596	25	4,2
სხვა	1,6	202	8	3,8
საცალო პროდუქტები	38,6	49999	259	5,2
სამომხმაებლო სესხები	24,4	3422	201	5,4
იპოთეკური სესხები	12,2	1577	58	3,7
სულ	100	12966	787	6,1

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.2014 წლის წლიური ანგარიში. ცხრილი #3. 2 გვ.

2014 წლის მანძილზე საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელის ზრდის მთავარი მამოძრავებელი იყო სამომხმარებლო, იპოთეკური სესხები და მომენტალური განვადებები. ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის შენელების ფონზე

სესხების ხარისხის გაუმჯობესება ძირითადად განპირობებული იყო საბანკო სფეროში რისკების მართვისა და საბანკო მენეჯმენტის გაუმჯობესებით.

ცხრილი 27

საქართველოში სასესხო პორტფელის კატეგორიები და ფორმირებული რეზერვები 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

კატეგორია	თანხა (მილნ. ლარი)	წილი %	რეზერვი %
1	2	3	4
სტანდარტული სესხები	11339	87,5	2
ნეგატიური სესხები	1627	12,5	33
საყურადღებო სესხები	639	4,9	11
უმოქმედო სესხები	988	7,6	48
არასტანდარტული	535	4,1	30
საეჭვო	252	2,7	51
უიმედო	201	1,6	93
სულ	12966	100	6

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი. www.nbg.gov.ge. საქართველოს ეროვნული ბანკის 2014 წლის წლიური ანგარიში ცხრილი 3.5, გვ.72

2014 წლის ბოლოსთვის საბანკო სისტემის საკრდიტო პორტფელის ხარისხი დამაკმაყოფილებლად გამოიყურება. უმოქმედო სესხების წილი მთლიან საკრედიტო პორტფელში პრაქტიკულად არ შეცვლილა, თუმცა შემცირდა ნეგატიური სესხების წილი. ხოლო 2015 წლის მეორე კვარტალში იგი გაიზარდა.

სეგმენტების მიხედვით პორთფელის ხარისხი მნიშვნელოვნად განსხვავდება (იხ. ცხრილი 28).

ცხრილი 28

საკრედიტო პორთფელის ხარისხი სეგმენტების მიხედვით

სეგმენტები	ნეგატიური სესხები	უმოქმედო სესხები	საშუალო რეზერვი
კორპორატიული	21,1%	13,9%	8,0%
მცირე და საშუალო	8,1%	4,2%	4,6%
საცალო	7,2%	3,8%	4,9%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის 2014 წლის ანგარიში. www.nbg.gov.ge

საკრედიტო სესხების სეგმენტის ზრდის მთავარი მამოძრავებელი იყო იპოთეკური, სამომხმარებლო და მომენტალური განვადებები.

ცხრილი 29

საცალო საბანკო პროდუქტების ცვლილების განაწილება 2013-2014 წლებში (მილიონი ლარი) .

პროდუქტების დასახელება	დეკემბერი-2013	წილი %	დეკემბერი-2014	წილი %	ცვლილება პროცენტი	ცვლილება თანხა
საცალო პროდუქტები	3871	100	4862	100	26	991
ავტო-სესხები	57	1	48	1	-15	-9
სამომხმარებლო სესხები	1706	44	2106	43	23	400
მომენტალური განვადება	226	6	368	8	63	142
ოვერდრაფტები	67	2	70	1	5	3
საკრედიტო ბარათები	568	13	562	12	12	59
სესხები ბინის რემონტისათვის	172	4	219	5	28	47
იპოთეკური სესხები	1141	29	1489	31	30	348

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის 2014 წლის ანგარიში. www. nbg gov. ge

2015 წლის დასაწყისში კომერციული ბანკების მიერ გაცემულ სესხებში ვადიანი სესხების წილად მოდიოდა 97,2%, მათ შორის, გრძელვადიანი სესხების წილად მოდის 77,2%, ხოლო მოკლევადიანი სესხების წილად კი 21, 8%. 2015 წლის დასაწყისში ვადაგადაცილებული სესხების წილად მოდიოდა 1,9%, რაც კომერციული ბანკების საქმიანობის გარკვეულად გაუმჯობესებული შედეგია.

2015 წლის პირველი კვარტლის მანძილზე ინფლაცია ზომიერად გაიზარდა და მისმა მაჩვენებელმა აპრილში 2,5% შეადგინა (**ინფლაციის მიმოხილვა 2015 წლის მაისი. საქართველოს ეროვნული ბანკის ბიულეტენი. თბილისი 2015 წელი.**). მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დაბალი ინფლაცია განპირობებული იყო მსოფლიო ბაზარზე ნავთობისა და სურსათის გაიაფებით, ამასთან ერთად, ნომინალური გაცვლითი კურსის გავლენა შეზღუდული იქნა სუსტი ერთობლივი მოთხოვნით. 2015 წლის პირველ კვარტლში, ქვეყანაში შემცირდა საკრედიტო პორტფელის ზრდის ტემპი და მარტში გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით 18% შეადგინა. საკრედიტო პორთფელის ზრდაში კვლავინგებურად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საცალო სესხების ზრდამ. 2015 წლის მარტში 2014 წლის დეკემბერთან შედარებით ფიზიკური პირების საკრედიტო დავალიანება 370 მლნ. ლარით გაიზარდა , რაც მნიშვნელოვან წილად გაცვლითი კურსის ცვლილებას ასახავს. სამომხმარებლო სესხებით ძირითადად იმპორტის დაფინანსება ხდება. კურსის გაუფასურების პირობებში იმპორტულ პროდუქციაზე მოთხოვნის შესუსტებამ სამომხმარებლო სესხების ზრდის ტემპის შემცირება განაპირობა.

2015 წლის პირველ კვარტალში ბანკებმა საპროცენტო და არასაპროცენტო პირობები გაამკაცრეს, რაც გამოწვეული იყო საგარეო შოკების ფონზე ბანკების მიერ ეკონომიკური მოლოდინის გაუარესებით. ბიზნეს სესხების ზრდა სექტორულ ჭრილში განპირობებული იყო მსენებლობის, ვაჭრობის, სოფლის მეურნეობისს ენერგეტიკის სექტორების დაკრედიტებით, ხოლო ტრანსპორტისა და გადამამუშავებელი სექტორის დაკრედიტება უმნიშვნელო იყო. 2015 წლის პირველ კვარტალში 2014 წლის მე-4 კვარტალთან შედარებით უმოქმედო სესხების წილი 0,2 პროსენტული პუნქტით გაიზარდა და 7,8% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ მარტის მონაცემებით დეკემბერთან შედარებით, უმოქმედო სესხების წილი ეროვნული ვალუტით 0,3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 5,9% შეადგინა.

2015 წლის პირველ კვარტალში ლარი აშშ დოლარის მიმართ 2014 წლის დეკემბერთან შედარებით 16,3%-ით გაუფასურდა და გაცვლითმა კურსმა საშუალოდ 2,19 შეადგინა.

2015 წლის ივლისისთვის საბანკო სექტორის საკრედიტო პორთფელის ზრდა გამოწვეულია ეროვნულ ვალუტაში სესხების ზრდით, ივლისის ბოლოსთვის საკრედიტო პორტფელოს 80,3% გრძელვადიან სესხებზე მოდის, რომლის 68,9% უცხოურ ვალუტაშია გაცემული.

საბანკო სექტორში საკრედიტო პორტფელის სტაბილური) ხარისხის პარალელურად სისტემაში სამივე სეგმენტის კუთხით შეინიშნება მსესხებელთა ფინანსური ტვირთის ზრდა. აღნიშნული განპირობებულია, როგორც კომერციული ბანკების მიერ დაფინანსების მიღების სანაცვლოდ მოთხოვნების შედარებით შერბილებით, ასევე წლის ბოლოსკენ ლარის გაცვლითი კურსის ცვლილებით (აშშ. დოლარში ვლდებულებების მქონე მსესხებლებისთვის).

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სესხების სტრუქტურის დინამიკა შემდეგი ტრენდით ხასიათდება. (როგორც დიაგრამის ანალიზიდან ჩანს) მისო–ებს კომერციული ბანკების მსგავსად კრიზისული პერიოდში გაეზარდათ სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი, თუმცა კომერციული ბანკებისგან განსხვავებით მათი საკრედტო პორტფელი კრიზისულ პერიოდში აყვავებასა და ზრდას განიცდის. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია გავაკეთოთ საინტერესო დასკვნა: **ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის პერიოდში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ბიზნესი უფრო მყარი და მოქნილია და შეიძლება ითქვას, რომ კრიზისმა ეს დარგი გამოაცოცხლა და ზრდის შთამბეჭდავი სურათი ვიხილეთ.**

მიკროსაფინანსო სექტორის აქტივები 2014 წელს 36%-ით გაიზარდა და 1,1 მილიარდი ლარი შეადგინა.მატება თანაბარპროპორციულად განხორციელდა ვალდებულებებისა და კაპიტალის ხარჯზე, რამაც შესაბამისად 836 მილ. ლარი და 271 მილნ. ლარი შეადგინა. 2014 წლისთვის წმინდა სესხების ოდენობა 814,4 მლნ. ლარით განისაზღვრა, რაც მთლიანი აქტივების 76%-ს შეადგენს. 2014 წლის მონაცემებით მიკროსაფინანსო სექტორის საკრედიტო პორტფელმა 852,2 მილნ. ლარი შეადგინა იგი ძირითადად წარმოდგენილია სამი სექტორით: **1. ვაჭრობა და მომსახურება 170,2 მლნ. ლარი(პორტფელის 20%), 2. სოფლის მეურნეობა და**

მეტყევეობა- 187,6 მლნ. ლარი (პორტფელის 22%), 3. სამომხმარებლო სესხები- 427,9 მლნ. ლარი(პორთფელის 50%).

აღნიშნული მასალების გაანალიზების საფუძველზე შესაძლებელია გავაკეთოთ დასკვნა, რომ 2014 წლის ბოლოსთვის საბანკო სისტემის საკრედიტო პორტფელის ხარისხი დამაკმაყოფილებლად გამოიყურება. უმოქმედო სესხების წილი მთლიან საკრედიტო პორტფელში პრაქტიკულად არ შეცვლილა, თუმცა შემცირდა ნეგატიური სესხების წილი. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში სამომხმარებლო სესხების ხვედრითი წილის მატების ფონზე, ფიქსირდება ფიქსირდება სოფლის მეურნეობის სექტორზე სესხების წილის კლება, სამაგიეროდ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ სოფლის მეურნეობის დაფინანსების ტენდენცია ნარჩუნდება.

კვლევის თანახმად საკრედიტო პირობები იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის საბანკო სექტორში კამკაცრდა. გამკაცრება შეეხო როგორც საკრედიტო, ისე არასაკრედიტო პირობებს, რაც უდაოდ არასასურველი მოვლენაა და აქცენტი სამომავლოდ გაკეთებული უნდა იქნეს საკრედიტო პირობების ლიბერალიზაციისკენ.

3.2 კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის ცვლილებები

ქვეყნის განვითარებისთვის, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს საკრედიტო ბაზრის ინსტიტუტების მიერ გაცემული სესხების ეფექტურ გამოყენებასა და მართვას.

ამ მიზნით ჩვენს მიერ ქვეყნის ოთხი მაპროფილებელი კომერციული ბანკის მონაცემების შესწავლისა და საკრედიტო პორტფელის გაანალიზების შედეგად, სახეზე გვაქვს გაცემული სესხების გამოყენებისა და მართვის შემდეგი სურათი. ს.ს. **„საქართველოს ბანკის“** მიერ 2006-2014 წლებში გაცემული კრედიტების მოცულობა გაიზარდა 6,5 ჯერ, (იხ **დიაგრამა 5)** ბანკი მიერ გაცემული კრედიტების დინამიკის ანალიზიდან ირკვევა, რომ 2014 წლისთვის ბანკის მთლიან აქტივებში კრედიტების

წილად მოდის 58,8%. ბანკისთვის ყველაზე რთულ პერიოდს წარმოადგენს 2009 წელი, რომელიც ემთხვევა მსოფლიო ფინანსურ კრიზისს და ქვეყანაში 2008 წლის ომის შედეგების ლიკვიდაციას.

დიაგრამა 5

ს.ს. "საქართველოს ბანკის" მიერ გაცემული კრედიტების მოცულობის დინამიკა 2006-2014 წლებში (მლნ ლარებში)



წყარო ს.ს. „საქართველოს ბანკის" 2006-2014 წლების წლიური ანგარიში.

www.nbg.gov.ge

კერძოდ, 2008 წელთან შედარებით გაცემული კრედიტების მოცულობა შემცირდა 317,8 მილ. ლარით, ხოლო 2010 წლისთვის 2009 წელთან შედარებით გაცემული კრედიტების მოცულობის ზრდამ 840,3 მილ ლარი შეადგინა.

ანალოგიური ტენდენცია ფიქსირდება ს.ს. **„თიბისი ბანკში"**, კერძოდ, ამავე პერიოდში გაცემული კრედიტების მოცულობის დინამიკის ანალიზიდან ირკვევა, (იხ. **დიაგრამა 6**) რომ 2009 წელს 2008 წელთან შედარებით გაცემული კრედიტების მოცულობა შემცირდა 286,1 მილნ. ლარით, ხოლო 2010 წელს 2009 წელთან შედარებით.

დიაგრამა 6

ს.ს. "თიბისი ბანკის" მიერ გაცემული კრედიტების მოცულობის დინამიკა 2006-2014 წლებში (მლნ ლარებში)



წყარო ს.ს. „თიბისი ბანკის" 2006-2014 წლების წლიური ანგარიში. www.nbg.gov.ge

კი გაიზრდა 379,0 მლნ. ლარით. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ 2009 წელს **„თიბისი ბანკის"** მთლიან აქტივებში კრედიტების წილად მოდიოდა 81,9%, ხოლო 2014 წლისათვის ამ მაჩვენებელმა 68,3% შეადგინა.

ს.ს. **„პროკრედიტ ბანკის"** მიერ 2006-2014 წლებში გაცემული კრედიტების რაოდენობაზე დაკვირვებით, შემდეგი სურათი გამოიკვეთა, მიუხედავად 2008 წელს ქვეყანაში მიმდინარე საომარი კონფლიქტისა და 2009 წლის ეკონომიკური კრიზისისა, ბანკის მიერ გაცემული კრედიტების მოცულობები ზრდის ტენდენციით ხასიათდება, (იხ. **ცხრილი 30**) მაგალითად, 2008 წელს 2007 წელთან შედარებით გაცემული კრედიტების მოცულობა გაიზარდა 24,3%-ით, 2009 წელს 2008 წელთან შედარებით 6,2%-ით, ხოლო 2010 წელს 2009 წელთან მიმართებით კი 19,5%-ით. ამდენად, **„პროკრედიტ ბანკის" მისამართით შესაძლებელია ვაღიაროთ რომ იგი ქვეყანაში შექმნილ კრიზისულ სიტუაციაშის აგრძელებდა საკუთარი ფუნქციის შესრულებას.**

ცხრილი 30

ს.ს. "პროკრედიტ ბანკის" მიერ გაცემული კრედიტების მოცულობის დინამიკა

2006-2014 წლებში (ათას ლარებში)

წლები / მაჩვენებლები	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2014
1. ბანკის მთლიანი აქტივები	421340	547239	680202	722213	863559	971846	1052770	1042795
2. გაცემული კრედიტების სულ	281740	370315	521897	533949	594923	682379	730406	763754
3. საბანკო აქტივები კრედიტების წილი (%)	66,8	67,6	76,7	73,9	68,9	70,2	69,4	73,2

წყარო ს.ს. „პროკრედიტ ბანკის" 2006-2014 წლების წლიური ანგარიში.

www.nbg.gov.ge

ს.ს. ბანკი „რესპუბლიკას" მისამართით ქვემოთ წარმოდგენილი მე-7 დიაგრამა ასეთ სურათს იძლევა. შესწავლილ პერიოდში ბანკის მიერ გაცემული კრედიტების მოცულობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება, გამონაკლისს წარმოადგენს 2009-2010 წლები როდესაც ბანკის მიერ გაცემული კრედიტების მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა. კერძოდ, 2009 წელს 2008 წელთან მიმართებაში გაცემული კრედიტების მოცულობა შემცირდა 4,6%-ით, ხოლო 2010 წელს 2009 წელთან მიმართებით გაცემული კრედიტების მოცულობა შემცირებულია 2,4%-თ ანუ ქვეყანაში მიმდინარე მძიმე კრიზისულმა სიტუაციამ უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ბანკი „რესპუბლიკას" საქმიანობაზე 2009-2010 წლებში. აქვე უნდა შევნიშნოდ, რომ 2009 წელს ბანკი „რესპუბლიკას" მთლიან აქტივებში გაცემული კრედიტების ხვედრითმა

წილმა შეადგინა 73,9%-ი, ხოლო 2010 წელს კი 68,9%-ი. ბანკის აქტივებში კრედიტები ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით წარმოდგენილი იყო 2008 წელს და მან შეადგინა 76,7%-ი.

დიაგრამა 7

ს.ს. ბანკი "რესპუბლიკას" მიერ გაცემული კრედიტების მოცულობის დინამიკა 2006-2014 წლებში მლნ ლარებში)



წყარო ს.ს. „რესპუბლიკას" 2006-2013 წლების წლიური ანგარიში. www.nbg.gov.ge

შესწავლილ პერიოდში ჩვენს მიერ შერჩეული კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის გაანალიზება საშუალებას მოგვცემს უფრო თვალნათლივ დავინახოთ ამ პერიოდში ბანკების საკრედიტო პირობებში მომხდარი ცვლილებები. ს.ს. **"საქართველოს ბანკის"** საკრედიტო პორტფელში ბანკის მიერ გაცემულ კრედიტებში 2014 წელს ყველაზე დიდი ხვედრითი წონით წარმოდგენილია **კორპორაციული სესხები** - 51,9%, შემდეგ მოდის **სამომხმარებლო სესხები** - 18,3%, **მიკრო და მცირე სესხები** - 15,7%, იპოთეკური სესხები-12,4% და **სხვა სესხები** - 1,7%. საკრედიტო პორტფელის ანალოგიური სტრუქტურაა 2012 წელსაც, რაც შეეხება 2007-2008 წლების პერიოდს, აქ საკრედიტო პორტფელის სტრუქტურაში პირველ ადგილზე კვლავ წარმოდგენილი იყო კორპორაციული სესხები, მეორე ადგილზეა სამომხმარებლო სესხები, ხოლო მესამე ადგილზე იყო წარმოდგენილი იპოთეკური სესხები. შემდეგ კი მოდის მიკრო და მცირე სესხები. რაც შეეხება 2009 წლის პერიოდს

საკრედიტო პორტფელში შემცირებულია, როგორც მთლიანად გაცემული კრედიტების მოცულობა, ასევე ცალკეული სახის კრედიტების მოცულობები. ს.ს. **"საქართველოს ბანკის"** საკრედიტო პორტფელის სტრუქტურაში 2009-2010 წლების პერიოდში პირველ ადგილზეა კორპორაციული სესხები, ხოლო უკვე მეორე ადგილზე წარმდგენილია

დიაგრამა 8 ს.ს. "საქართველოს ბანკის" საკრედიტო პორტფელი გაცემული სესხები სახეების მიხედვით 2007-2013 წლებში (ათას ლარებში)



წყარო ს.ს. „საქართველოს ბანკის" 2007-2013 წლების წლიური ანგარიში. www.nbg.gov.ge

იპოთეკური სესხები - 21,2 და 16,2%-ით. რაც იმის მანიშნებელია რომ კრიზისულ პერიოდში შედარებით უპირატესობა ენიჭება გრძელვადიანი იპოთეკური კრედიტების გაცემას. ს.ს. „საქართველოს ბანკის" საკრედიტო პორტფელის სტრუქტურის გაანალიზება ეკონომიკური საქმიანობის საახეების მიხედვით 2014 წელს ასეთ სურათს იძლევა (იხ. **ცხრილი 31**), პირველ ადგილზეა წარმოდგენილი ფიზიკური პირების დაკრედიტება - 41,3,2%-ით, შემდეგ მოდის ვაჭრობა და მომსახურება - 17,0%-ით, მესამე ადგილს იკავებს სამთო მრეწველობა - 16,2%-ით, მეოთხე ადგილზეა წარმოდგენილი მშენებლობა - 11,8%-ით.

ცხრილი 31

ს.ს. "საქართველოს ბანკის" საკრედიტო პორთფელის

სესხები ეკონომიკის სფეროების მიხედვით 2007-2014 წლებში (ათას ლარებში)

წლები / მაჩვენებლები	2007	2008	2009	2010	2011	2012	2014
1. ფიზიკური პირები	699456	1079945	862365	1006046	1132741	1233614	1831479
2. ვაჭრობა და მომსახურება	648086	667587	578623	858878	972290	1053579	757059
3. მშენებლობა და დეველოპმენტი	157797	158702	150676	274623	228412	218103	523033
4. სამთო მრეწველობა	55053	32630	81532	77792	122771	347505	719003
5. ტრანსპორტი და კომუნიკაცია	8084	34526	62622	137583	83289	93028	151705
6. ენერგეტიკა	11512	20134	13730	18086	65360	28296	124772
7. სოფლის მეურნეობა	64567	66145	11667	62404	8769	94286	-
სხვა	60055	91798	66602	91798	54568	75293	326514
კლიენტებზე გაცემული სესხები სულ	1704610	2145623	1827817	2527233	2668139	3143704	4433575

წყარო ს.ს. „საქართველოს ბანკის" 2007-2014 წლების წლიური ანგარიში.

www.nbg.gov.ge

მეხუთე ადგილზეა წარმოდგენილი ტრანსპორტი და კომუნიკაცია-3,4%-ით და სხვა დანარჩენი სექტორები.

ს.ს. "საქართველოს ბანკის" საკრედიტო პორთფელის სტრუქტურისთვის ეკონომიკის დარგების მიხედვით, ყველაზე პრობლემურია 2009 წელი, რადგან საქართველოში მიმდინარე ფინანსური კრიზისის ფონზე შემცირებულია როგორც ბანკის კრედიტების მთლიანი მოცულობა, ისე მისი ოდენობები ეკონომიკის ცალკეული სფეროების მიხედვით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამთო მრეწველობის დაკრედიტებას, რომელიც მთელი საკვლევი პერიოდის მანძილზე ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

ს.ს. „საქართველოს ბანკის“ საკრედიტო პორტფელის სტრუქტურაში მომსახურების ტიპების მიხედვით 2014 წლისათვის (იხ. **ცხრილი 32**) პირველ ადგილზეა წარმოდგენილი კერძო კომპანიები - 57,6%-ით, შემდეგ მოდის ფიზიკური პირები-41,3%-ით და ბოლოს სახელმწიფო ორგანიზაციები - 1,1%-ით. თუ გადავხედავთ 2008-2010 წლების პერიოდს, თვალში საცემია, რომ საკრედიტო პორტფელში მომსახურების სახეების მიხედვით ყველაზე დიდი ხვედრითი წილით წარმოდგენილია კრედიტების მოცულობები გაცემული ფიზიკურ პირებზე, ხოლო, შემდეგ მოდის კრედიტები კერძო კომპანიებზე. რაც იმის დადასტურებაა, რომ ომის პერიოდში და ფინანსური კრიზისის ფონზე კრედიტები უპირატესად კერძო პირებზე გაიცემოდა.

ცხრილი 32

ს.ს. “საქართველოს ბანკის” საკრედიტო პორტფელი

სესხები მომსახურების ტიპების მიხედვით 2007-2014 წლებში (ათას ლარებში)

წლები / მაჩვენებლები	2007	2008	2009	2010	2011	2012	2014
1. ფიზიკური პირები	699456	1079945	954494	1488577	1132740	1233614	1831479
2. კერძო კომპანიები	967023	1029008	862365	1006046	1492124	1796116	2552152
3. სახელმწიფო ორგანიზაციები	38131	36670	30958	32610	43275	113974	49944
4. სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	1704610	2145623	1827817	2527233	2668139	3143704	4433575

წყარო ს.ს. „საქართველოს ბანკის“ 2007-2014 წლების წლიური ანგარიში.

www.nbg.gov.ge

სს “საქართველოს ბანკის“ სესხების გაუფასურებაზე წარმოდგენას გვაძლებს ქვემოთ მოტანილი **33-ე ცხრილი**

ცხრილი 33

სს"საქართველოს ბანკის" სესხების გაუფასურების რეზერვი 2012-2014 წლებში

დასახელება	2012	2013	2014
სესხების გაუფასურების რეზერვი(ათასი ლარი)	110037	120785	103780
წლის განმავლობაში უიმედოდ ჩათვლილი და ჩამოწერილი თანხები(ათასი ლარი)	67563	49951	71974

წყარო: სს "საქართველოს ბანკის" 2012, 2013, 2014 წლების წლიური ანგარიშები. www. nbg gov ge.

სს. **„საქართველოს ბანკის"** სესხების გაუფასურების რეზერვი - 2014 წელს 2012-2013 წლებთან შედარებით შემცირების ტენდენციით ხასიათდება, მაგრამ იზრდება უიმედო და ჩამოწერილი სესხების თანხების რაოდენობა, რომელმაც 2014 წელს 71974 ათასი ლარი შეადგინა.

ჩატარებული კვლევის პროცესში ასევე საინტერესოა ს.ს. **„თიბისი ბანკის"** საკრედიტო პორთფელის სტრუქტურის განხილვა კლიენტებზე გაცემული სესხების სახეების მიხედვით **(იხ. ცხრილი 34**). როგორც ცხრილში წარმოდგენილი მასალით ირკვევა, 2013 წლისთვის „თიბისი ბანკის" საკრედიტო პორთფელის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით წარმოდგენილი იყო **კორპორაციული კრედიტები** - 39,1%-ით, შემდეგ მოდის **სამომხმარებლო სესხები** - 20,4%-ით, მესამე ადგილზე წარმოდგენილია **მიკრო და მცირე სესხები** - 20,0%-ით. ხოლო შემდეგ მოდის **იპოთეკური სესხები** - 16,9%-ით. თუ გადავხედავთ 2008-2010 წლების პერიოდს, როგორც **ს.ს. „საქართველოს ბანკის"** შემთხვევაში, ისე **ს.ს."თიბისი ბანკში"**

სახეზე გვაქვს იპოთეკური სესხების ხვედრითი წონის ზრდა და უკვე საკრედიტო პორტფელის სტრუქტურაში მესამე ადგილზე წარმოდგენილია იპოთეკური კრედიტები.

ცხრილი 34

ს.ს. "თიბისი ბანკის" საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა კლიენტებზე გაცემული სესხების სახეების მიხედვით 2007-2014 წლებში (ათას ლარებში)

წლები / მაჩვენებლები	2007	2008	2009	2010	2011	2012	2014
1. კორპორაციული სესხები	809330	776161	602579	811559	1003849	1142087	1231729
2. სამომხმარებლო სესხები	126338	258597	208520	284300	409065	482704	781043
3. მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემული სესხები	75288	175936	153818	152946	321027	440148	807618
4. იპოთეკური სესხები	138615	199096	170547	260064	375008	385416	716868
5. სხვა სესხები	23873	51726	33913	39530	58456	86343	169002
სულ კლიენტზე გაცემული სესხები	1168104	1455516	1169377	1548409	2167405	2536698	3706260

წყარო **სს. „თიბისი ბანკის"** 2007-2014 წლების წლიური ანგარიში. www.nbg.gov.ge

რაც იმის მაჩვენებელია, რომ 2008 წლის ომის პერიოდში და 2009 წლის ფინანსური კრიზისის დროს მიკრო და მცირე კრედიტების გაცემასთან შედარებით უპირატესობა ენიჭებოდა იპოთეკური კრედიტების გაცემას.

ძალზედ საინტერესოა ასევე, ს.ს."თიბისი ბანკის" საკრედიტო პორტფელის სტრუქტურის განხილვა ეკონომიკის სექტორების მხედვით.(იხ. **ცხრილი 35**),

როგორც ცხრილის ანალიზიდან ჩანს, 2014 წლისთვის ს.ს. **"თიბისი ბანკში"** ყველაზე დიდი ხვედრითი წონით წარმოდგენილი იყო **ფიზიკურ პირებზე** გაცემული სესხები-40,4%-ით, **ვაჭრობასა და მომსახურებაზე** მოდიოდა-24,8%-ი, მრეწველობის დარგი წარმოდგენილი იყო - 5,7%-ით, **ტრაანსპორტი და კავშირგაბმულობა** - 4,3%-ით, **სოფლის მეურნეობა** - 7,2%-ით, **ენერგეტიკა** - 8,6%-ით. ს.ს. **"თიბისი ბანკის"** 2009 წლის კრიზისის პერიოდში საკრედიტო პორთფელის ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ საკრედიტო პორთფელის სტრუქტურა, როგორც მთლიანი მოცულობის, ასევე, ცალკეული ეკონომიკის სფეროს დაკრედიტების მიხედვით, მკვეთრად გაუარესებულია.

ცხრილი 35

ს.ს. "თიბისი ბანკის" საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა ეკონომიკის სექტორეების დაკრედიტების მიხედვით 2007-2014 წლებში (ათას ლარებში)

წლები / მაჩვენებლები	2007	2008	2009	2010	2011	2012	2014
1. ფიზიკური პირები	300349	505610	432311	307018	784073	868119	1497911
2. ვაჭრობა და მომსახურება	463628	439556	317923	461833	692263	856188	920208
3. მშენებლობა	141521	196638	141844	399900	83168	108914	261048
4. მრეწველობა	127787	126558	103727	147387	236069	313599	213321
5. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	43566	42139	33300	46094	139002	152813	159029
6. ენერგეტიკა	18162	23088	28707	106484	95615	79929	319412
7. სოფლის მეურნეობა	25082	28980	27719	20523	64685	119935	265562
სხვა	48009	102947	49933	19641	34420	37201	69769
კლიენტებზე გაცემული სესხები სულ	1168104	14555516	1169377	1548409	2167405	2536698	3706260

წყარო ს.ს. „თიბისი ბანკის" 2007-2014 წლების წლიური ანგარიში. www.nbg.gov.ge

სს“ თიბისი ბანკის“ სესხების გაუფასურების რეზერვზე წარმოდგენას გვაძლევს ქვემოთ მოტანილი **36-ე ცხრილი.**

ცხრილი 36

სს. „თიბისი ბანკის“ სესხების გაუფსურების რეზერვი 2012-2014 წლებში

დასახელება	2012	2013	2014
სესხების გაუფასურების რეზერვი(ათასი ლარი)	166498	156869	149764
წლის განმავლობაში უიმედოდ ჩათვლილი და ჩამოწერილი თანხები(ათასი ლარი)	35363	57385	79247

წყარო: სს“თიბისი ბანკის“ 2012,2013,2014 წლების წლიური ანგარიშები. www. nbg govge

სს. „თიბისი ბანკის“ სესხების გაუფასურების რეზერვი 2014 წელს 2012 და 2013 წლებთან შედარებით შემცირების ტენდენციით ხასიათდება, მაგრამ გაზრდილია უიმედო და ჩამოწერილი სესხების თანხების რაოდენობა 2014 წლისთვის და მან 79247 ათასი ლარი შეადგინა, იგი 2-ჯერ აღემატება 2012 წლის მონაცემებს.

ს.ს.“პროკრედიტ ბანკის“ საკრედიტო პორტფელის შესწავლის შედეგად, თვალნათლივ გამოიკვეთა შემდეგი სურათი. კერძოდ, 2014 წლისთვის საკრედიტო პორტფელის სტრუქტურაში კლიენტებზე გაცემულ სესხებში სახეების მიხედვით, პირველ ადგილზე წარმოდგენილ იქნა **(იხ.ცხრილი 37) ბიზნეს სესხები** - 84,2%-ით, მეორე ადგილს იკავებს **აგროსესხები** - 10,4%-ით, შემდეგ მოდის **ბინის კეთილმოწყობაზე** გაცემული სესხები - 3,7%-ით. რაც შეეხება **სამომხმარებლო სესხებს,** მათმა ხვედრითმა წილმა შეადგინა - 1,4%. 2007-2014 წლების პერიოდის

განალიზებიდან ჩანს, რომ „პროკრედიტ ბანკი“ საქართველოში ერთადერთი ბანკია რომლის საკრედიტო პორტფელი მიუხედავად 2008 წლის საომარი მდგომარეობისა და 2009 წელს ქვეყანაში მიმდინარე ფინანსური კრიზისისა, ზრდის ტენდენციით ხასიათდება კრედიტების თითქმის ყველა სახის მიხედვით.

ცხრილი 37

ს.ს. “პროკრედიტ ბანკის” საკრედიტო პორტფელი კლიენტებზე გაცემული სესხების სახეების მიხედვით

2007-2014 წლებში (ათას ლარებში)

წლები / მაჩვენებლები	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
1. ბიზნეს სესხები	311910	460319	469007	521980	602294	645027	642785
2. აგრო სესხები	13440	15285	18008	24999	40108	50725	80054
3. ბინის კეთილმოწყობის სესხები	26500	27778	27045	25850	21488	21118	28374
4. სამომხმარებლო სესხები	7125	6822	7476	10595	11684	9463	10691
სხვა	11340	11693	12414	11505	6805	4075	1850
სულ სესხები	370315	521897	533949	594929	682379	730408	763754

წყარო **ს.ს. „პროკრედიტ ბანკის“** 2007-2014 წლების წლიური ანგარიში.

www.nbg.gov.ge

სს. „პროკრედიტ ბანკის“ სესხების გაუფასურებაზე წარმოდგენას გვაძლევს **38-ე ცხრილი.**

ცხრილი 38

სს. „პროკრედიტ ბანკის“ სესხების გაუფასურების რეზერვი

2012-2014 წლებში (ათას ლარი)

დასახელება	2012	2013	2014
სესხების გაუფასურების რეზერვი(ათასი ლარი)	27141	40475	47701
წლის განმავლობაში უიმედოდ ჩათვლილი და ჩამოწერილი თანხები(ათასი ლარი)	18741	20598	23484

წყარო: **სს. „პროკრედიტ ბანკის“** წლიური ანგარიშები 2012, 2013, და 2014 წლების. www. nbg gov. ge

სს. „პროკრედიტ ბანკის“ სესხების გაუფასურების რეზერვის მოცულობა 2012-2014 წლების პერიოდში ზრდის ტენდენციით ხასიათდება და მან 2014 წლისთვის 47701 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო ჩამოწერილი სესხების თანხების მოცულობამ კი 23484 ათას ლარს მიაღწია.

ჩვენს მიერ შერჩეული კომერციული საბანკო სექტორიდან ასევე მეტად საინტერესოა ს.ს. ბანკი **“რესპუბლიკა“.** რომლის საკრედიტო პორტფელის სტრუქტურაში ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებში ყველაზე დიდი ხვედრითი წილით წარმოდგენილია იპოთეკური სესხები **(იხ. ცხრილი 39**), რომელმაც 2013 წლისთვის შეადგინა- 44,4%-ი, შემდეგ მოდის სამომხმარებლო სესხები- 22,5%-ი, და სხვა სესხების წილად მოდის საკრედიტო პორთფელის სტრუქტურაში- 30,8%-ი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ 2009 წლის ფინანსურმა კრიზისმაც არსებითი უარყოფითი

ზეგავლენა მოახდინა ბანკ **„რესპუბლიკის“** მიერ მოსახლეობისთვის გაცემული კრედიტების მოცულობებზე.

ცხრილი 39

ს.ს. ბანკი “რესპუბლიკის” საკრედიტო პორტფელის

სესხები სახეების მიხედვით გაცემული ფიზიკურ პირებზე

2007-2014 წლებში (ათას ლარებში)

წლები / მაჩვენებლები	2007	2008	2009	2010	2011	2012	2014
1. იპოთეკური სესხები კლიენტებზე გაცემული	52013	77575	107284	102626	132026	156048	207024
2. სამომხმარებლო სესხები	50783	124054	74066	29442	3481	16628	100976
3. სამანქანო სესხები	3072	11724	99	4277	3481	8685	8722
სხვა	14659	37000	14364	31973	101609	159183	124540
სულ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	121157	250353	215987	178620	241453	340544	441262

წყარო ს.ს. **ბანკი „რესპუბლიკს“** 2007-2014 წლების წლიური ანგარიში. www.nbg.gov.ge

ს.ს. ბანკ „რესპუბლიკის“ საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2013 წლისთვის შემდეგი სახით იყო წარმოგენილი (იხ. **ცხრილი 40).** კერძოდ, ყველაზე დიდი ხვედრითი წილი მოდიოდა ფიზიკურ პირებზე - 61,7%, შედეგ წარმოდგენილია **ვაჭრობა და მომსახურება** - 13,8%, **ენერგეტიკა** - 4,3%, **ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა** - 2,7%, ხოლო ეკონომიკის სხვა სექტორების ხვედითი წილი წარმოდგენილი იყო - 13,2%-ით.

ქვეყანაში მიმდინარე 2009 წლის ფინანსურმა კრიზისმაც არსებითი ზეგავლენა მოახდინა ბანკ **“რესპუბლიკის“** საქმიანობაზე, კერძოდ, აქაც, ისე როგორც სხვა

ბანკებში, შემცირებულია საკრედიტო პორტფელის მოცულობა როგორც მთლიანად, ისე ეკონომიკის ცალკეულ სფეროებში, რომელმაც გარკვეულად შეაფერხა ამ პერიოდში საბანკო სექტორის განვითარება ქვეყანაში.

ცხრილი 40

ს.ს. ბანკი "რესპუბლიკას" საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2007-2013 წლებში (ათას ლარებში)

წლები / მაჩვენებლები	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
1. ფიზიკური პირები	121157	250353	215987	178620	241453	340544	443262
2. ვაჭრობა და მომსახურება	92768	148122	147208	95504	95704	118077	99705
3. მრეწველობა	19414	36725	32244	24926	24953	9614	4866
4. მშენებლობა	27135	35956	27502	13424	9253	7116	7389
5. განათლება	1473	12251	14333	13499	14951	13195	84
6. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	2039	2633	9373	7198	699	20394	19388
7. სამთო მრეწველობა და მეტალურგია	2946	10098	6146	8245	7661	1066	1747
8. ენერგეტიკა	3581	4955	3892	3187	2417	6388	30617
9. სოფლის მეურნეობა	2023	4486	3378	3993	3185	1434	5078
10. სახელმწიფო დაწესებულებები	7515	2052	1081	-	22330	-	-
სხვა	30905	60611	42377	40360	43080	47117	94967
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	310956	568242	538339	428359	465686	564945	717976

წყარო **სს. ბანკი „რესპუბლიკას"** 2007-2013 წლების წლიური ანგარიში. www.nbg.gov.ge

სს. ბანკი „რესპუბლიკას" სესხების გაუფასურების რეზერვზე წარმოდგენას გვაძლევს ქვემოთ მოტანილი **41-ე ცხრილი.**

ცხრილი 41

სს. ბანკ“რესპუბლიკის“ სესხების გაუფასურების რეზერვი 2012-2013 წლებში

დასახელება	2012	2013
სესხების გაუფასურების რეზერვი(ათასი ლარი)	47468	44776
წლის განმავლობაში უიმედოდ ჩათვლილ და ჩამოწერილი თანხები(ათასი ლარი)	11245	7865

წყარო: სს. ბანკი “რესპუბლიკა“. 2012,2013 წლის წლიური ანგარიში. www. nbg gov ge

ჩვენს მიერ საქართველოს კომერციული საბანკო სექტორის ოთხი ტიპიური, მაპროფილებელი ბანკის საკრედიტო პორთფელის განხილვა-გაანალიზების საფუძველზე შესაძლებელია გავაკეთოდ დასკვნა, რომ **ქვეყანაში 2008 წლის ომმა და 2008-2009 წლების გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა წარმოდგენილი ბანკების, როგორც საკრედიტო პორტფელოს აბსოლუტურ საკრედიტო მოცულობის მაჩვენებლებზე შეცირების კუთხით, ისე საკრედიტო პორტფელის სტრუქრურაზე და პირობებზე, რომელსაც კრიზისის შემდგომ რამოდენიმე წელი დასჭირდა მდგომარეობის გამოსწორებისა და დასტაბილურებისთვის.**

საქართველოს ოთხი მაპროფილირებელი კომერციული ბანკის საკრედიტო პორტფელის გაანალიზების შედეგად შესაძლებელია გავაკეთოდ დასკვნა, **რომ გაცემული სესხების მოცულობები იზრდება, ამასთან ერთად საკრედიტო პორტფელის სტრუქტურაში ყველაზე დიდი ხვედრითი წილით წარმოდგენილია იპოთეკური და სამომხმარებლო კრედიტები. რაც შეეხება ეკონომიკის სექტორების მიხედვით გაცემული კრედიტების სტრუქტურას აქ ლიდეროზს, ფიზიკურ პირებზე გაცემული კრედიტები და შემდგომ მოდის ვაჭრობასა და მომსახურებაზე გაცემული კრედიტების ხვედრითი წილი. კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის**

სტრუქტურაში მართალია მცირდება უიმედო და ჩამოწერილი სესხების მოცულობა, მაგრამ იგი კვლავ გარკვეული ხვედრითი წილითაა წარმოდგენილი.

3.3 საკრედიტი ბაზრის მართვის ცვლილებების შესახებ მენეჯერების აღქმა

3.3.1 კვლევის მეთოდოლოგია

იმისათვის, რომ გაგვერკვია, თუ რამდენად შეიცვალა კრედიტების მართვა უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში, ჩვენ 2015 წლის ივლის-აგვისტოში. ჩავატარეთ თვისებრივი კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორანიზაციების მენეჯერების მიერ შეფასებების განზოგადებას კრედიტების მართის საკითხებში.

ამ მიზნით შედგა კითხვარი (**დანართი 1**) და გამოიკითხა 10-10 საბანკო დაწესებულებისა და 9 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მენჯერები, რომელთაც ჰქონდათ არანაკლებ 5-წლიანი პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება.

აქცენტი გაკეთდა იმაზე, თუ როგორ შეიცვალა საკვლევ პერიოდში-ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სტანდარტი, რომლის ფაქტორები ყველაზე მეტად მოქმედებს საკრედიტო სტანდარტების ცვლელებებზე. კვლევების ჩატარების მეთოდიკის დამუშავებისას აქცენტი გაკეთდა იმაზე, რომ მიგვეღო ორგანიზაციებიდან სესხების პირობების ცვლილებები და გამოკვეთილიყო ის ფაქტორები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენეს ახდენენ ამ პირობების ცვლილებეზე. კითხვარის მე-6 მუხლში აქცენტი გაკეტებულია სესხების მოთხოვნაზე მოქმედი ფაქტორების ცვლილებაზე, ხოლო მე-7 და მე-8 მუხლები ეხება შინამეურნეობებზე გაცემული კრედიტების სტანდარტების ცვლილებებს და ჩამოთვლილი ფაქტორების გავლენის ხვედრით წილს ამ ცვლილებებზე. მე-9 მუხლი უშუალოდ ეხება უძრავი ქონების შესაძენად საკრედიტო პირობების ცვლილებებს, ხოლო მომდევნო მუხლში კი აქცენტი გაკეთებულია ფაქტორებზე, რომლებიც მოქმედებენ სხვადასხვა სახის კრედიტების გაცემაზე. 11-ე მუხლში უშუალო აქცენტი

კეთდება სამომხმარებლო კრედიტების გაცემის პირობების ცვლილებაზე მოქმედ ფაქტორებზე, კითხვარის 12-ე მუხლი წარმოდგენას გვიქმნის სესხებზე მოთხოვნის ცვლილებებზე ბოლო 5 წლის განმავლობაში. მე-13 მუხლი კი წარმოდგენას გვაძლევს ფაქტორებზე რომლებიც მოქმედებენ საკვლევ პერიოდში სესხების მოთხოვნაზე, რაც შეეხება მე-14 მუხლს, მასზე პასუხის გაცემის შედეგად წარმოდგენა გვექმნება, თუ როგორ წარმოუდგენია რესპოდენტს საკუთარი ბანკისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გასაცემ კრედიტებზე უახლოესი 5 წლის პერსპექტივაში პირობების ცვლილებები.

ზემოთ აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, კვლევა სამი ასპექტით წარიმართა: **1. როგორ შეიცვალა სესხების გაცემის სტანდარტები და სტრუქტურა საფინანსო და მიკროსაფინანსო ინსტიტუტებში და როგორი იყი მისი ზემოქმედების სტანდარტები; 2. რამდენად შეიცვალა საკრედიტი ბაზრის პირობები და გარემო, და რა ზემოქმედება მოახდინა მან სესხების გაცემაზე; 3. როგორ წარმოუდგენიათ მათ საქართველოს საკრედიტო ბაზრის ინსტიტუტების განვითარება და პერსპექტივები იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად შეიცვლება კრედიტებისადმი ხელმისაწდომობა მომავალში.**

ამდენად, კვლევის მიზანი იყო როგორც არსებული სიტუაციის შესწავლა, ასევე, მენეჯერების მოლოდინის გამოვლენა საკრედიტო ბაზრის ცვლილებების შესახებ.

თითოეულ მიზნობრივ ჯგუფთან ჩატარდა პირისპირ როგორც სტრუქტურიზებული, ასევე, არასტარუქტურიზებული ინტერვიუ, რაც შესაძლებლობას იძლეოდა შეგვესწავლა სიღრმისეულად რესპონდენტთა მოსაზრებები და დამოკიდებულებები.

სამიზნე ჯგუფების შერჩევა განხირციელდა პირადი კონტაქტების, ოფიციალური მიმართვებისა და „თოვლის გუნდის“ პრიბციპით, რომლის თანახმადაც ყოველი ინტერვიუერი იძლეოდა სხვა ინტერვიუერის კანდიდატურას. მათი შერჩევა ხდებოდა გამოცდილების მიხედვით.

ქვემოთ გაკეთებული დასკვნები დაფუძნებულია როგორც ინტერვიუერთა ემპირიულ შეხედულებებზე, ასევე, საკრედიტო ბაზრისა და ბანკების რეალური მდგომარეობის სტატისტიკურ ანალიზზე.

3.3.2 სესხებზე სტრუქტურის ცვლილება საფინანსო და მიკროსაფინანსო ინსტიტუტებში

მიღებული ანკეტების დამუშავების შედეგად შესწავლილ ბანკებში სესხების სტრუქტურის მეტად მნიშვნელოვანი სურათი მივიღეთ. კერძოდ, გამოკითხული კომერციული ბანკების 60% მიიჩნევდა, რომ სამეწარმეო სესხების პირობები მცირე და საშუალო მეწარმეთათვის მნიშვნელოვნად გამკაცრდა ბოლო 5 წლის განმავლობაში, ხოლო გამოკითხული ბანკების 30% მიიჩნევდა, რომ ამ სახის სესხები ამავე პერიოდში რამდენადმე გამკაცრდა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის ძირითადად კრედიტების პირობები არსებითად გამკაცრდა.

ცხრილი 42

ცვლილებები შესწავლილი ბანკების სამეწარმეო სესხების სტანდარტში

	სესხები მცირე და საშუალო მეწარმეებზე %	სესხები მსხვილ მეწარმეებზე %	მოკლევადიანი სესხები%	გრძელვადიანი სესხები%
გამკაცრდა მნიშვნელოვნად	60		20	20
გამკაცრდა რამდენადმე	30	80	10	30
ძირითადად უცვლელი დარჩა	10	10	40	0
რამდენადმე შემსუბუქდა	0	0	30	50
მნიშვნელოვნად შემსუბუქდა	0	10	0	0

რაც შეეხება მსხვილ მეწარმეებზე გაცემულ სესხებს, აქ გამოკითხული ბანკების 80% მიიჩნევს, რომ სესხების გაცემა გამკაცრდა რამდენადმე, ხოლო სუბიექტების

10%-ს მიაჩნია, რომ პირობები უცვლელი დარჩა, ხოლო 10% სუბიექტების აზრით კი ამ პერიოდში აღნიშნული პროცესი მნიშვნელოვნად შემსუბუქდა.

მოკლევადიან სესხებზე გამოკითხულ ბანკთა მონაცემები შემდეგნაირად იყოფა, კერძოდ: **გამოკითხული ბანკების 2% მიიჩნევს, რომ ამ კატეგორიის სესხების გაცემაზე პირობები მნიშვნელოვნად გამკაცრდა, ბანკების 10% მიიჩნევს, რომ გამკაცრდა რამდენადმე, ბანკების 40% თვლის, რომ პირობები უცვლელი დარჩა, ხოლო ბანკების 30%-ს კი მიაჩნია, რომ პირობები რამდენადმე შემსუბუქდა. ამავე პერიოდში გრძელვადიან სესხებზე პირობების მნიშვნელოვან გამკაცრებას აღიარებს ბანკების 20%, ბანკების 30% მიიჩნევს, რომ პირობები გამკაცრდა რამდენადმე, ხოლო ბანკების 5% აღიარებს, რომ პირობები რამდენადმე შემსუბუქდა. რაც შეეხება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს (იხ. ცხრილი 43) მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში სამეწარმეო სესხების გაცემისა და დამტკიცების პროცედურების პირობებს.**

ცხრილი 43

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო სტანდარტის ცვლილება

	სესხები მცირე და საშუალო მეწარმეებზე	სესხები მსხვილ მეწარმეებზე	მოკლევადიანი სესხები	გრძელ-ვადიანი სესხები
გამკაცრდა მნიშვნელოვნად				
გამკაცრდა რამდენადმე				
ძირითადად უცვლელი დარჩა	11	11	44,5	22
რამდენადმე შემსუბუქდა	44,5	56	44,5	67
მნიშვნელოვნად შემსუბუქდა	44,5	33	11	11

როგორც ცხრილიდან ჩანს, გამოკითხული მისოების 44,5%-ს მიაჩნია, რომ პირობები რამდენადმე შემსუბუქდა, ხოლო მისოების 44,5%-ის მონაცემებით, ამ სახის სესხების პირობები ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად შემსუბუქდა. რაც შეეხება სესხებს მსხვილ მეწარმეებზე, მისი პირობები მისოების 56%-ის აღიარებით რამდენადმე შემსუბუქდა. 33%-ს კი მიაჩნია, რომ პირობები კიდევ უფრო მნიშვნელოვნად შემსუბუქდა. მოკლევადიანი სესხების პირობები, როგორც

გამოკითხული მისოების 44,5% აღიარებს, ძირითადად უცვლელი დარჩა, ხოლო კვლევაში მონაწილე მისოების 44,5% მიიჩნევს, რომ პირობები რამდენადმე შემსუბუქდა. გრძელვადიანი კრედიტების პირობები მისოების 67%-ის აღიარებით რამდენადმე შემსუბუქდა, ხოლო 22% კი მიიჩნევს, რომ პირობები ბოლო 5 წლის გამავლობაში არ შეცვლილა.

შესწავლილი კომერციული ბანკების მიერ ბიზნესის წარმომადგენლებზე სესხების გაცემისა და დამტკიცების პროცედურების შესწავლის შედეგად ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სამართლიანად შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ პირობები ძირითადში გამკაცრდა რამდენადმე. რაც შეეხება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, მათი მონაცემების გაანალიზებიდან ნათელი ხდება, რომ ბიზნესის წარმომადგენლებზე მათ მიერ გაცემული და დამტკიცებული სესხების პირობები ბოლო ხუთ წლის განმავლობაში ძირითადში რამდენადმე შემსუბუქდა.

კვლევის პროცესში გამოკითხული კომერციული ბანკების 60% მიიჩნევს, რომ ფაქტორების ცვლილებები, რომლებიც მოქმედებენ კრედიტების გაცემის პირობებზე, გამკაცრდა რამდენადმე, ხოლო ბანკების 30%-ს კი მიაჩნია, რომ კრედიტების გაცემის პირობებზე მომქმედი ფაქტორების ცვლილებები გამკაცრდა მნიშვნელოვნად (იხ. დიაგრამა 9).

დიაგრამა 9.

ბანკების საკრედიტო სტანდარტზე მოქმედი ცვლილებების ზემოქმედება



მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემულ კრედიტებზე მოქმედი ფაქტორები მისოების 67%-ის აღიარებით შემსუბუქდა რამდენადმე, ხოლო მისოების 33%-ი კი მიიჩნევს, რომ შემსუბუქდა მნიშვნელოვნად. ანალოგიურად ამ საკითხის გაანალიზებისას ჩვენთვის ნათელი ხდება, რომ კომერციული ბანკებისთვის

საკრედიტო სტანდარტზე მომქმედი ფაქტორები ძირითადში გამკაცრდა, რამდენადმე, ხოლო მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის ბოლო 5 წლის განმავლობაში საკრედიტო სტანდარტზე მომქმედი ფაქტორები რამდენადმე შემსუბუქდა. (იხ. დიაგრამა 10)

დიაგრამა 10.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო სტანდარტის ფაქტორებზე ცვლილებების ზემოქმედება



სამეწარმეო სესხებზე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში კომერციული ბანკების სესხებზე მოთხოვნილმა ფაქტორებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ბანკების საკრედიტო სტანდარტზე. გამოკითხული კომერციული ბანკების საქმიანობის ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ მცირე და საშუალო მეწარმეებზე გაცემულ სესხებზე მოთხოვნის პირობების გამკაცრებას აღიარებს გამოკითხული ბანკების 70%, ხოლო აღნიშნული სახის სესხებზე მოთხოვნის პირობების უცვლელად დატოვებას კი ბანკების 20%, მსხვილ მეწარმეებზე გაცემული სესხებზე მოთხოვნილი ფაქტორების ცვლილებების რამდენადმე გამკაცრებას აღიარებს ბანკების 60%, ხოლო 40% კი მიიჩნევს ცვლილებების ძირითადში უცვლელად დარჩენას. რაც შეეხება მოკლევადიან სესხებზე მოთხოვნის პირობების უცვლელობას, მიიჩნევს გამოკითხული ბანკების 70%, ხოლო გრძელვადიან სესხებზე მოთხოვნილი ფაქტორების ცვლილებების რამდენიმედ შემსუბუქებას აღიარებს გამოკითხული ბანკების 50%.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კრედიტებზე მოთხოვნის ფაქტორების ცვლილების ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში

მცირე და საშუალო მეწარმეებზე გაცემული სესხებისათვის ძირითადად უცვლელად მიიჩნევს მისოების 67%, ხოლო მისოების 33%-ს მიაჩნია, რომ ცვლილებები რამდენადმე შემსუბუქდა. მსხვილ მეწარმეებზე გაცემულ სესხებზე ცვლილებების გაანალიზებისას სახეზე გვაქვს შემდეგი სურათი, კერძოდ: **მისოების 56% მიაჩნევს, რომ პირობები მნიშვნელოვნად შემსუბუქდა, ხოლო მისოების 44%-ის თანახმად, პირობები ძირითადში უცვლელი დარჩა. მოკლევადიან სესხებზე გამოკითხვაში მონაწილე მისოების 78% მიაჩნია, რომ პირობები რამდენადმე შემსუბუქდა, ხოლო მისოების 11% აღიარებს, რომ პირობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, ასევე 11% მიიჩნევს, რომ ამავე პერიოდში პირობები ძირითადში უცვლელი დარჩა. მეწარმეებზე გაცემულ გრძელვადიან სესხებზე პირობების რამდენადმე შემსუბუქებას აღიარებს მისოების 56%, ხოლო 33% მიიჩნევს, რომ პირობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მისოების 11%-ს მიაჩნია, რომ პირობები ძირითადში უცვლელი დარჩა.**

მთლიანობაში მეწარმეებზე გაცემული სესხების მოთხოვნაზე მომქმედი ფაქტორების ცვლილებებში უკანასკნელ 5 წელიწადში საბანკო სექტორში სახეზე გვაქვს ძირითადში უცვლელად დატოვება, ხოლო ამავე პერიოდში მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში კი ჭარბობს მეოთხე პოზიცია, რომლის თანახმადაც, პირობები რამდენადმე შემსუბუქდა.

ბოლო 5 წლის განმავლობაში საბანკო სექტორის მიერ შინამეურნეობებზე გაცემული სესხების სტრუქტურაში სხვადასხვა კატეგორიის სესხების გაცემისა და დამტკიცების პროცედურები, როგორც ცხრილიდან ჩანს (იხ. **ცხრილი 44**), უძრავი ქონების შესაძენად განკუთვნილი სესხების გაცემის პროცედურებზე, გამოკითხული ბანკების 40% მიიჩნევს, რომ პირობები რამდენადმე შემსუბუქდა.

ცხრილი 44

ბანკების მიერ შინამეურნეობებზე გაცემული სესხების სტანდარტის ცვლილება

	სესხები უძრავი ქონების შეძენაზე	სამომხმარებლო სესხები	ინდივიდუალურ მეწარმეებზე
გამკაცრდა მნიშვნელოვნად	20	20	10
გამკაცრდა რამდენადმე	30	20	40
ძირითადად უცვლელი დარჩა	10	20	20
რამდენადმე შემსუბუქდა	40	20	10
მნიშვნელოვნად შემსუბუქდა		20	20

ხოლო, გამოკითხული ბანკების 30% მიიჩნევს, რომ პირობები რამდენადმე გამკაცრდა, ამასთან, ბანკების 20%-ს მიაჩნა, რომ უძრავი ქონების შესაძენად სესხებზე პირობები მნიშვნელოვნად გამკაცრდა. სამომხმარებლო სესხების გაცემისა და დამტკიცების პროცედურებზე მოქმედი პირობებზე გამოკითხვაში მონაწილე ბანკების ხვედრითი წილი ყველა პოზიციაზე თანაბარია და ამ პერიოდში შეადგენს 20-20%-ს, ხოლო ინდივიდუალურ მეწარმებზე გაცემულ სესხებთან დაკავშირებით გამოკითხული ბანკების 40% მიიჩნევს, რომ პირობები რამდენადმე გამკაცრდა. შესაბამისად, ბანკების 20% მიიჩნევს, რომ პირობები ძირითადად უცვლელი დარჩა. 20% მიაჩნია, რომ პირობები მნიშვნელოვნად შემსუბუქდა.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ შინამეურნეობებზე გაცემული სესხების ამავე კატეგორიაში უძრავი ქონების შესაძენად გაცემული სესხების პირობებს მიკროსფინანსო ორგანიზაციების 67% მიიჩნევს რამდენადმე შემსუბუქებულად, ხოლო მიკროსაფინანსო ორგანიზაციების 22% მიაჩნევს მნიშვნელოვნად შემსუბუქებულად. სამომხმარებლო სესხებზე მისოების 67% მიიჩნევს პირობებს რამდენადმე შემსუბუქებულად, ხოლო 33% აღიარებს ძირითადში პირობების უცვლელობას.

ცხრილი 45

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ შინამეურნეობებზე გაცემული სესხების სტანდარტის ცვლილება

	სესხები უძრავი ქონების შეძენაზე %	სამომხმარებლო სესხები %	ინდივიდუალურ მეწარმეებზე %
გამკაცრდა მნიშვნელოვნად	0	0	0
გამკაცრდა რამდენადმე	0	0	0
ძირითადად უცვლელი დარჩა	11	67	33
რამდენადმე შემსუბუქდა	67	33	67
მნიშვნელოვნად შემსუბუქდა	22		

სამომხმარებლო და შინამეურნეობებზე გაცემული სესხების სტანდარტების ანალიზმა საბანკო და მიკრო საფინანსო სექტორში დაგვანახა, რომ გამოკითხული საბანკო რესპოდენტების უმრავლესობა საუბრობს კრედიტების სტანდარტების პირობების რამდენადმე გამკაცრებაზე, ხოლო მიკროსაფინანსო ორგანიზაციების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მათ მიერ გაცემული კრედიტების პირობების შესწავლილ პერიოდში რამდენადმე შემსუბუებაზე.

10 კომერციული ბანკის სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გაცემული სესხების პირობების მართვაზე მოქმედი ფაქტორებიდან შესწავლილ იქნა: საშუალო საპროცენტო განაკვეთის, მაღალრისკიანი სესხების საპროცენტო განაკვეთის, არა საპროცენტო განაკვეთის, სესხების მოლულობის, სესხებზე გარანტიების მოთხოვნის, სესხების ხელშეკრულებების, სესხების ხანგრძლივობის ცლილებების პირობები. საშუალო საპროცენტო განაკვეთის რამდენადმე გამკაცრებას აღიარებს გამოკითხული ბანკების 60%, ბანკების 30% აღიარებს, რომ პირობები გამკაცრდა მნიშვნელოვნად, ხოლო ბანკების 10% მიიჩნევს, რომ პირობები რამდენადმე შემსუბუქდა. ცხრილის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მაღალრისკიან სესხებზე გამოკითხული ბანკების 70% მიიჩნევს, რომ სესხებზე პირობები მნიშვნელოვნად გამკაცრდა, ბანკების 20% მიიჩნევენ, რომ პირობები უცვლელი დარჩა, ხოლო 10% მიიჩნევს, რომ პირობები რამდენადმე

გამკაცრდა. რაც შეეხება უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არასაპროცენტო განაკვეთის გამკაცრებას, აღიარებს გამოკითხული ბანკების 40%, პირობების უცვლელად დარჩენას აღიარებს ბანკების 20%, ხოლო გამოკითხული ბანკების 22% მიიჩნევენ, პირობების რამდენადმე შემსუბუქებას. დაკვირვებიდან ნათელი გახდა, რომ გამოკითხული ბანკების 60% მიიჩნევს, რომ სესხის მოცულობის ცვლილებების პირობები რამდენადმე გამკაცრდა, ხოლო ბანკების 40%-ს მიაჩნიათ, რომ სესხის მოცულობის პირობები მნიშვნელოვნად გამკაცრდა, კვლევაში ჩართული ბანკების 30% მიიჩნევ, რომ პირობები სესხის მოცულობებზე ძირითადად უცვლელი დარჩა. მეტად საინტერესოა ბოლო 5 წელიწადში სესხების მოთხოვნების გარანტიების პირობების მდგომარეობის ცვლილება, ამ კითხით სახეზე გვაქვს შემდეგი სურათი. მოტანილი მონაცემების ანალიზიდან ჩანს, რომ მოთხოვნები გარანტიებზე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში რამდენადმე გამკაცრდა და მასზე დადებითი პასუხი აქვს გამოკითხვაში მონაწილე ბანკების 80%-ს, ბანკების 10% მიიჩნევს, რომ პირობები უცვლელი დარჩა, ხოლო ბანკების 10%-ს ასევე მიაჩნია, რომ პირობები მნიშვნელოვნად შემსუბუქდა.

რაც შეეხება სესხებზე ხელშეკრულებების პირობებს, გამოკითხული ბანკების 60% მიიჩნევს, რომ ხელშეკრულებების პირობები მნიშვნელოვნად გამკაცრდა, ხოლო ბანკების 30% კი აღიარებს ხელსეკრულებების პირობების ნაწილობრივ გამკაცრებას. ბანკების მხოლოდ 10% მიიჩნევს, რომ პირობები რამდენადმე შემსუბუქდა.

სესხების ხანგრძლივობის პირობებზე დაკვირვებისას ასეთი სურათი გვაქვს: **სესხების ხანგრძლივობის პირობების მნიშვნელოვნად გამკაცრებას აღიარებს გამოკითხვაში მონაწილე ბანკების 40%, ბანკების 30% მიიჩნევს, რომ პირობები უცვლელი დარჩა, ხოლო ბანკების 20%-ის აზრით, პირობები გამკაცრდა.**

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე ჩატარებული კვლევის შედეგებიდან ნათელი ხდება, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მიკროსაფინასო ორგანიზაციების სეხების პირობების ცვლილებების მართვაზე მოქმედი ფაქტორებიდან საშუალო საპროცენტო განაკვეთის პირობებს რამდენადმე შემსუბუქებულად მიიჩნევს მისოების 67%, ხოლო მისოების 33 % მიიჩნევს, რომ პირობები ძირითადში უცვლელია. მაღალრისკიან სესხებზე პირობების ცვლელებები რამდენადმე შემსუბუქებულად მიაჩნია მისოების 67%-ს, ხოლო 22% აღიარებს, რომ

განვლილ პერიოდში პირობები ძირითადად არ შეცვლილა. მხოლოდ მისოების 11% მიიჩნევს, რომ პირობები რამდენადმე გამკაცრდა. არასაპროცენტო განაკვეთის ცვლილებები რამდენადმე შემსუბუქებულად მიაჩნიათ მისოების 54,5%-ს, ხოლო პირობების უცვლელობას აღიარებს მისოების 44,5%. გაცემული სესხების მოცულობების ცვლილებებს რამდენადმე შემსუბუქებულად მიიჩნევს მისოების 78%, ხოლო 11%-ს მიაშნია პირობები მნიშვნელოვნად შემსუბუქებულად. ასევე, მისოების 11%-ს მიაჩნია პირობები ძირითადად უცვლელი. სესხებზე გარანტიების პირობების რამდენდმე შემსუბუქებას ემხრობა მისოების 45%, მისოების 22-22%-ს მიაჩნიათ, რომ პირობები მნიშვნელოვნად შემსუბუქდა ან ძირითადად უცვლელი დარჩა. სესხებზე ხელშეკრულებების პირობების რამდემადმე შემცირებას ემხრობა მისოების 56%, ხოლო 22-22% მიაჩნიათ, რომ პირობები მნიშვნელოვნა შემსუბუქდა ან ძირითადში უცვლელი დარჩა. სესხების ხანგრძლივობის მიხედვით მისოების 45% მიიჩნევს პირობებს რამდენადმე შემსუბუქებულად, ხოლო 33% მიუთითებს პირობების მნიშვნელოვან შემსუბუქებაზე.

სესხების პირობებზე მოქმედი ფაქტორების ცვლილების გაანალიზების საფუძველზე შესაძლებელია ვაღიაროთ, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საბანკო სექტორში სახეზე გვაქვს პირობების მნიშვნელოვნად და რამდენადმე გამკაცრება ანუ საბანკო სექტორში წინ წამოწეულია პირველი და მეორე პოზიცია, ხოლო მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფონზე მთლიანობაში სახეზე გვაქვს პირობების რამდენდმე შემსუბუქება და ძირითადში უცვლელად დატოვება.

ქვეყნის საბანკო სექტორის მიერ უძრავი ქონების შესაძენად გაცემულ სესხებზე მოქმედი ფაქტორებიდან ჩვენს მიერ შერჩეულ იქნა: **ბანკების აქტივების მდგომარეობა, სხვა ბანკებთან კონკურენციის პირობები, არასაბანკო ინსტიტუტებთან კონკურენციის პირობები, ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების მოლოდინი, უძრავი ქონების ბაზრის მდგომარეობა.** აღნიშნულ ფაქტორების გავლენა უძრავი ქონების შესაძენად სესხების გაცემისას შემდეგ სურათს იძლევა. **კომერციული ბანკების 70% მიიჩნევს, რომ ბანკის აქტივების მდგომარეობის პირობები რამდენადმე შემსუბუქდა, ხოლო 30% კი აღიარებს, რომ ეს ფაქტორი ძირითადად უცვლელი დარჩა.** სხვა ბანკებთან კონკურენციის ფაქტორს ბანკების 60% მიიჩნევს რამდენადმე გამკაცრებულად, ხოლო ბანკების 20%-ს მიაჩნია პირობები

ძირითადად უცვლელი. არასაბანკო ინსისტუტებთან კონკურენციის ფაქტორის გავლენას გამოკითხული ბანკების 40% მიიჩნევს მნიშვნელოვნად გამკაცრებულად, ხოლო 30%-ს სიტუაცია მიაჩნია ძირითადში უცვლელად. ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილების მოლოდინი ბანკების 60%-ის მიერ აღიარებულია, რამდენადმე გამკაცებულდ, ხოლო 20%-ის მიერ კი მნიშვნელოვნად გამკაცრებულად. უძრავი ქონების ბაზრი მდგომარეობა კი ბანკების 70%-ის მიერ სღიარებულია, როგორც რამდენადმე გამკაცრებული, ხოლო ბანკების 20%-ის მიერ კი როგორც მნიშვნელოვნად გამკაცრებული.

აღნიშნული ფაქტორების მიკროსაფინასო ორგანიზაციების კუთხით განხილვა შემდეგ სურათს გვაძლევს. მიკროსაფინანსო ორგანიზაციათა აქტივების მდგომარეობა მისოების 78%-ის მიერ აღქმული იქნა, როგორც ძირითადში უცვლელი, ხოლო მისოების 22%-ის მიერ კი რამდენადმე შემსუბუქებულად. კონკურენციას საბანკო სექტორთან მისოების 67% მიიჩნევს ძირითადად უცვლელად, ხოლო 22%-ს მიაჩნია, რომ პირობები რამდენადმე შემსუბუქდა. კონკურენციას არა საბანკო ინსტიტუტებთან მისოების 67% მიიჩნევს რამდენადმე შემსუბუქებულად, ხოლო 22%-ს მიაჩნია პირობები ძირითადად უცვლელი. ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების მოლოდინს მისოების 89% მიიჩნევს რამდენადმე შემსუბუქებულად და მხოლოდ 11%-ს მიაჩნია იგი ძირითადში უცვლელი. უძრავი ქონების ბაზრის მდგომარეობას მისოების 67% მიიჩნევ რამდენადმე შემსუბუქებულად.

ამდენად, უძრავი ქონების შესაძენად სესხების პირობების გაანალიზების შედეგად კვლევიდან ნათლად იკვეთება, რომ პირობები ძირითადში რამდენადმე გამკაცრდა, ხოლო მისოების თვალთახედვით პირობები ძირითადში უცვლელი დარჩა ან რამდენადმე შემსუბუქდა.

კომერციული ბანკების საკრედიტო პირობების მართვის კუთხით საინტერესოა კვლევის შედეგად კომერციული ბანკების მიერ უძრავი ქონების შესაძენად გაცემული კრედიტების პირობების ცვლილებების გაანალიზება. კრედიტების საშუალო საპროცენტო განაკვეთის ზრდაზე, ანუ რამდენადმე გამკაცრებაზე მიუთითებს ბანკების 40%, ხოლო ბანკების 30% აღიარებს საშუალო საპროცენტო განაკვეთის ზრდას, ანუ პირობების მნიშვნელოვან გამკაცრებას. მაღალ რისკიან სესხებზე პროცენტის ზრდას განვლილ პერიოდში რეალურად მიიჩნევს გამოკითხული

ბანკების 70%, ანუ მაღალრისკიან სესხებზე პირობები მნიშვნელოვნად გამკაცრდა. ხოლო ბანკების 20% მიაჩნიათ, რომ მაღალრისკიან სესხებზე პირობები რამდენადმე გამკაცრდა. არასაპროცენტო განაკვეთის პირობები გამოკითხული ბანკების 40%-ის აზრით, რამდენადმე გამკაცრდა, ხოლო ბანკების ასევე 40% მიიჩნევს, რომ პირობები ძირითადად უცვლელი დარჩა.

სესხების მოცულობის პირობების მნიშვნელოვან გამკაცრებას აღიარებს ბანკების 40%, ხოლო რამდენადმე გამკაცრებას კი ასევე 40%. სესხებზე საგარანტიო მოთხოვნების პირობებს მნიშვნელოვნად გამკაცრებულად მიიჩნევს ბანკების 50%, ხოლო ბანკების 40%-ს მიააჩნიათ, რომ პირობები რამდენადმე გამკაცრდა. რაც შეეხება სასესხო ხელშეკრულებების პირობებს ბანკების 40%-ს მიაჩნიათ, რომ პირობები რამდენადმე გამკაცრდა, ხოლო 30% კი აღიარებს პირობების მნიშვნელოვან გამკაცრებას. ასევე სესხების ხანგრძლივობის პირობებს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში რამდენადმე გამკაცრებულად მიიჩნევს ბანკების 40%, ხოლო 30% კი აღიარებს პირობების მნიშვნელოვან გამკაცრებას.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში უძრავი ქონების შესაძენად გაცემული სესხების პირობების ანალიზისას სახეზე გვაქვს შემდეგი ხასიათის ცვლილებები სესხებზე საშუალო საპროცენტო განაკვეთის პირობებს ძირითადად უცვლელად მიიჩნევს გამოკითხული მისოების 78%, ხოლო პირობების რამდენადმე შემსუბუქებას ეთანხმება მისოების 11%. მისოების 11%-ს, ასევე, პირობები მიაჩნიათ რამდენადმე შემსუბუქებულად. მაღალ რისკიან სესხებზე პირობებს ძირითადად უცვლელად მიიჩნევს მისოების 33,5%, ხოლო მისოების 33,5%-ს პირობები მიაჩნიათ, მნიშვნელოვნად შემსუბუქებულად. მხოლოდ მისოების 22% მიიჩნევს პირობებს რამდენადმე გამკაცრებულად. სესხების არასაპროცენტო განაკვეთი მისოების 67%-ის აზრით, რამდენადმე შემსუბუქებულია, ხოლო 22%-ს მიაჩნია, რომ პირობები ძირითადად უცვლელი დარჩა. სესხების მოცულობის მდგომარეობა მისოების 78%-ის აღიარებით, რამდენადმე შემსუბუქებულია, ხოლო 22%-ის მონაცემებით კი მნიშვნელოვნად შემსუბუქდა. გარანტიებზე მოთხოვნების პირობებს მისოების 78% მიიჩნევს რამდენადმე შემსუბუქებულად, ხოლო 22% აღიარებს პირობების მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას. სასესხო ხელშეკრულებების პირობებს მისოების 45% მიიჩნევს რამდენადმე შემსუბუქემულად, ხოლო 33%-ს მიაჩნია, რომ პირობები

ძირითადად უცვლელი დარჩა. გაცემული სესხების ხანგრძლივობის პირობებს მნიშვნელოვნად შემსუბუქებულად მიიჩნევს 67%, ხოლო 33% აღიარებს პირობების ძირითადში უცვლელობას.

ჩატარებული კვლევის გაანალიზებისას ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქვეყნის საბანკო სექტორში ბოლო 5 წლის განმავლობაში ბანკების საკრედიტო სტანდრტზე მოქმედი შემდეგი ფაქტორების გაანალიზება როგორიცაა: **ბანკის აქტივების მდგომარეობა, კონკურენციის პირობები, ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების მოლოდინი, კლიენტების გადახდის უნარიანობა.** მოტანილი მასალების ანალიზიდან ჩანს, რომ ბანკის აქტივების მდგომარეობის პირობები ბანკების 70%-ს მიაჩნია, რომ რამდენადმე გამკაცრდა, ხოლო 10% მიიჩნევს, რომ პირობები მნიშვნელოვნად გამკაცრებულია. კონკურენციის პირობების ანალიზიდან გამოკითხული ბანკები საბანკო სექტორში კონკურენციის პირობებს მიიჩნევენ მნიშვნელოვნად გამკაცრებულად. ამას აღიარებს კვლევაში მონაწილე ბანკების 50%, ხოლო ბანკების 40% მიიჩნევს პირობებს რამდენადმე გამკაცრებულად. რაც შეეხება არასაბანკო სექტორთან კონკურენციის პირობებს, ბანკების 50% აღიარებს, რომ პირობები რამდენადმე გამკაცრებულია. ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებს რამდენადმე გამკაცრებულად მიიჩნევს ბანკების 60%, ხოლო 20% აღიარებს, რომ შესწავლილ პერიოდში პირობების უცვლელობას. კლიენტების გადახდისუნარიანობის პირობები ბანკების 40%-ის აზრით რამდენადმე გამკაცრებულია, ხოლო 20%-ი მიჩნევს, რომ პირობები ძირითადად უცვლელია.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო სტანდარტზე აქტივების მდგომარეობის პირობებს მისოების 56% მიიჩნევს უცვლელად, რაც შეეხება კონკურენციას საბანკო ინსტიტუტებთან, მისოების 45%-ს მიაჩნია, რომ მისი პირობები რამდენადმე შემსუბუქებულია, ხოლო 33% მიიჩნევს პირობებს მნიშვნელოვნად შემსუბუქებულად. რაც შეეხება არასაბანკო ინსტიტუტებს შორის კონკურენციის პირობებს, მისოების 67% აღიარებს პირობების რამდენადმე შემსუბუქებას. ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებები მოსოების 89% მონაცემებით, რამდენადმე შემსუბუქებულია, ასევე, რამდენადმე შემსუბუქებულია კლიენტების გადახდისუნარიანობის პირობები მისოების 78% აზრით.

სამომხმარებლო კრედიტის გაცემაზე მომქმედო ფაქტორების პირობების ცვლილებებზე საბანკო სექტორში, როგორც ანალიზიდან ირკვევა, გამოკითხული ბანკების 50% აღიარებს საშუალო საპროცენტო განაკვეთის რამდენადმე გამკაცრებს, ხოლო ბანკების 20% კი მიიჩნევს, რომ პირობები მნიშვნელოვნდ არის გამკაცრებული. მაღალრისკიან სამომხმარებლო სესხებზე პირობებს გამკაცრებულად მიიჩნევს ბანკების 60%, ხოლო 20% მიაჩნია, რომ პირობები რამდენდმე გამკაცრდა. არასაპროცენტო განაკვეთი სამოხმარებლო სესხებზე ბანკების 50% აღიარებით რამდენადმეა გამკაცრებული, ხოლო ბანკების 30% ხედვით პირობები ძირითადად უცვლელია. სესხების სიდიდის მიხედვით ბანკების 40% მიაჩნიათ, რომ პირობები რამდენადმეა გამკაცრებული, ხოლო 40% მიიჩნევს, რომ პირობები ძირითადში უცვლელი დარჩა. სამომხმარებლო სესხებზე მოთხოვნული გარანტიების პირობებს ძირითადში უცვლელად მიიჩნევს ბანკების 60%. სამომხმარებლო სესხებზე ხელშეკრულებებს რამდენასმე გამკაცრებულად აღიარებს ბანკების 40%, ხოლო 30% კი მიიჩნევს ხელშეკრულებების პირობებს ძირითადად უცვლელად. ამ სახის სესხებზე ხანგრძლივობის პირობებს რამდენადმე გამკაცრებას აღიარებს ბანკების 70%.

მიკროსაფინასო ორგანიზაციების მიერ გაცემულ სამომხმარებლო სესხებზე საკრდიტო პირობებზე მომქმედი საშუალო საპროცენტო განაკვეთის პირობების ძირითადად უცვლელად მიიჩნევს მისოების 56%, ხოლო მისოების 33% მიაჩნია, რომ პირობები რამდენადმე შემსუბუქდა. მაღალრისკიან სამომხმარებლო სესხებზე პროცენტის პირობებს რამდენადმე შემსუბუქებულად მიიჩნევს მისოების 46%, ხოლო 33% აღიარებს პირობების მნიშვნელოვნად შემსუბუქებას. არასაპროცენტო განაკვეთს ბოლო 5 წლის განმავლობაში ძირითადად უცვლელად მიიჩნევს მისოების 78%. სესხების ზომის პირობები რამდენადმე შემსუბუქებულად მიაჩნიათ მისოების 67%-ს, სამომხმარებლო სესხების გაცემაზე გარანტიების პირობებს რამდენადმე შემსუბუქებულად მიიჩნევს მისოების 67%. სამომხმარებლო სესხების ხანგრძლივობის პირობების რამდენადმე შემსუბუქებულობას აღიარებს მისოებოს 78%.

საკრედიტო ბაზრის ინსტიტუტების საკრედიტო პირობების მართვაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სესხებზე მოთხოვნის პირომენის დადგენა. ჩვენს

მიერ კვლევის პროცესში დადგენილ იქნა ბოლო 5 წლის განმავლობაში სესხებზე მოთხოვნის პირობების ცვლილება. ანალიზიდან ჩანს, რომ უძრავი ქონების შესაძენად სეხებზე მოთხოვნის პირობები მნიშვნელოვნად გამკაცრდა, რომელსაც აღიარებს ბანკების 30%, ხოლო ბანკების 20% კი მიიჩნევს რომ ამ სახის სესხებზე მოთხოვნის პირობები რამდენადმე გამკაცრდა. სამომხმარებლო სესხებზე მოთხოვნის პირობების რამდენადმე გამკაცრებას აღიარებს ბანკების 60%, ხოლო ბანკების 20% მიაჩნია, რომ პირობები მნიშვნელოვნადაა გამკაცრებული. ინდმეწარმეებზე გაცემულ სესხებზე მოთხოვნის პირობებს ასევე მნიშვნელოვნად გამკაცრებულად მიიჩნევს ბანკების 50%, ხოლო 20%-ს მიაჩნია, რომ პირობები რამდენადმეა გამკაცრებული.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში სესხებზე მოთხოვნის პირობების ცვლილებებზე ანალიზიდან ჩანს, რომ უძრავი ქონების შესაძენად სესხებზე მოთხოვნა ძირითადად უცვლელი დარჩა, რომელსაც აღიარებს მისოების 67%. სამომხმარებლო კრედიტზე მოთხოვნის პირობებს მისოების 44,5% მიიჩნევს ძირითადად უცვლელად, ხოლო მისოების 44,5%-ს კი მიაჩნეია, რომ პირობები რამდენადმე შემსუბუქდა. ინდმეწარმეების სესხებზე მოთხოვნა კი ამავე პერიოში მისოების 78%-ის მიერ მნიშვნელოვნად შემსუბუქებულად იქნა აღიარებული.

ამრიგად, საკრედიტო ინსტიტუტების საკრედიტო პირობებზე კვლევებისა და და დაკვირვებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია გავაკეთოთ დასკვნა, რომ **ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ქვეყანაში საბანკო სექტორში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საკრედიტო პროდუქტის სტრუქტურა, გაიზარდა გაცემული კრედიტების მოცულობები ეკონომიკის სხვადასხვა დარგში. გაცემული კრედიტების პირობების და მასზე მომქმედი ფაქტორების გაანალიზების საფუძველზე საბანკო სექტორში სახეზე გვაქვს პირობების რამდანადმე გამკაცრება, ეს ძირითადად გამოწვეულია მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებით, რეფინანსირების განაკვეთის გაზრდითა და მთლიანობაში ლარის გაუფასურებით გამოწვეული ბიზნეს რისკების ზრდით. ქვეყნის მიკროსაფინანსო სექტორში შექმნილი პირობებისა და მაზე მოქმედი ფაქტორების გაანალიზების შედეგად ნათელი გახდა, რომ საბანკო სექტორისგან გასხვავებით ამ სფეროში კრედიტების გაცემის, მასზე მოქმედი ფაქტორების პირობები უკანასკნელ პერიოდში რამდენადმე შემსუბუქდა და არის**

რეალური პირობები იმისა, რომ პერსპექტივაში ისინი მნიშვნელოვნად შემსუბუქდეს, რადგან მიკროსაფინანსო ორგანიზაციები საქართველოს საკრედიტო ბაზარზე სიცოცხლისუნარიანნი და განვითარების დიდი პერსპექტივის მქონე ორგანიზაციებად მოგვევლინენ.

ამრიგად, სოციოლოგიური კვლევის მასალების გაცნობისა და გაანალიზების შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საბანკო სექტორში საკრედიტო პირობები რამდენადმე გამკაცრებულია, ხოლო მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში კი მცირე და საშუალო ბიზნესზე გაცემული კრედიტების პირობები რამდენადმე შემსუბუქებულია, რაც პერსპექტივაში კიდევ უფრო ფართო შესაძლებლობებს ხსნის ამ ორგანიზაციებისთვის.

3.3.3 საქართველოს საკრედიტო ბაზარის ინსტიტუტების განვითარება და პერსპექტივები

საქართველოს საკრედიტო ბაზარი შედგება ფინანსური ინსტიტუტებისგან, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ფულადი საშუალებების აკუმულაციისა და განაწილების პროცესში. ქვეყნის თანამედროვე საკრედიტო სისტემაში ჩვენს მიერ განხილულია საბანკო სექტორი და არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტები (მიკროსაფინანსო ორგანიზაციები). საფინანსო ინსტიტუტების შემდგომი განვითარება და სრულყოფა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია საბანკო სექტორის მანეჯმენტის განვითარებასა და სრულყოფაზე. საბანკო მენეჯმენტი იმ ურთიერთობათა მართვაა, რომლებიც დაკავშირებულია ბანკის საქმიანობის სტრატეგიულ დაგეგმვასთან, რეგულირებას და კონტროლთან.

ჩვენს მიერ სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის ფარგლებში განისაზღვრა საბანკო სექტორის და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების განვითარების პერსპექტივები. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში განვლილ პერიოდში (**იხ. ცხრილი 46**).

1. გამკაცრდა მნიშვნელოვნად;

2. გამკაცრდა რამდენადმე;

3. ძირითადში უცვლელი დარჩა;

4. შემსუბუქდა რამდენადმე;

5. შემსუბუქდა მნიშვნელოვნდ.

ცხრილი 46

ბოლო 5 წლის განმავლობაში ბანკის სესხებზე მოთხოვნის ცვლილებები

ფაქტორები	1	2	3	4	5
ა) საფინანსო					
უძრავი ქონების ბაზრის პერსპექტივა	10	70	20		
მომხმარებელთა გადახდის უნარიანობა	30	50	10	10	
სხვა					
ბ) ალტერნატიული დაფინანსება					
შინამეურნეობების დანაზოგები	10	60	30		
სესხები სხვა ბანკებიდან	10	50	10	30	
სხვა					

ცხრილის ანალიზიდან ჩანს, რომ საბანკო კრედიტებზე მოთხოვნის ცვლილებებზე საფინანსო ფაქტორებიდან უძრავი ქონების ბაზრის პერსპექტივას გამოკითხული ბანკების 70% მიიჩნევს რამდენიმედ გამკაცრებულად, ხოლო 20%-ს ბანკებისას მიაჩნია, რომ უძრავი ქონების ბაზრის პერსპექტივა ძირითადად უცვლელია. ალტერნატიული დაფინანსების წყაროებიდან მომხმარებელთა გადახდისუნარიანობას გამოკითხული ბანკების 50% მიიჩნევს რამდენადმე გამკაცრებულად, ასევ ალტერნატიული წყაროებიდან, გამოკითხული ბანკების 60% აღიარებს შინამეურნეობთა დანაზოგების გამოყენების პირობების რამდენადმე გამკაცრებას, ხოლო სხვა ბანკებიდან სესხების მიღებაზე პირობების რამდენადმე გამკაცრებას აღიარებს გამოკითხული ბანკების 50%.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სესხებზე მოთხოვნაზე საფინანსო ფაქტორებიდან უძრავი ქონების ბაზრის პერსპექტივას მისოების 89% მიიჩნევს ძირითადში უცვლელად, (იხ. **ცხრილი 47**).

ცხრილი 47

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მისოების სესხებზე მოთხოვნის ცვლილება

1. გამკაცრდა მნიშვნელოვნად;

2. გამკაცრდა რამდენადმე;

3 ძირითადში უცვლელი დარჩა;

4. შემსუბუქდა რამდენადმე;

5. შემსუბუქდა მნიშვნელოვნად.

ფაქტორები	1	2	3	4	5
ა) საფინანსო					
უძრავი ქონების ბაზრის პერსპექტივა			89	11	
მომხმარებელთა გადახდის უნარიანობა			22	78	
სხვა					
ბ) ალტერნატიული დაფინანსება					
შინამეურნეობების დანაზოგები			33	67	
სესხები სხვა ბანკებიდან			22	33	45
სხვა					

ხოლო მომხმარებელთა გადახდის უნარიანობის პირობები მისოების 78%-ს მიაჩნიათ რამდენადმე შემსუბუქებულად. რაც შეეხება ალტერნატიული დაფინასების წყაროებს, აქ შინამეურნეობების დანაზოგების პირობებს მისოების 67% მიიჩნევს

რამდენადმე შემსუბუქებულად, ხოლო სხვა ბანკებიდან სესხების პირობებს მისოების 45% მიიჩნევს მნიშვნელოვნად შემსუბუქებულად, 33% კი რამდენადმე შემსუბუქებულად.

პერსპექტივაში მომავალი 5 წლის განმავლობაში კომერციული ბანკები საკრედიტო სტანდარტის ცვლილებებს მოელიან შემდეგი მიმართულებით: სესხებზე უძრავი ქონების შესაძენად, პირობების რამდენადმე შემსუბუქებას გეგმავს ბანკების 30%, ასევე ბანკების 30%-ს მიაჩნია რომ უახლოესი 5 წლის მანძილზე მოსალოდნელია კრედიტების პირობების მნიშვნელოვანი შემსუბუქება, რაც შეეხება პირობების მნიშვნელოვნად გამკაცრებას მას მხარს უჭერს ბანკების 20%, ასევე, ბანკების 20% მიაჩნია სამომავლოდ კრედიტების პოროობების რამდენადმე გამკაცრება. სამომხმარებლო სესხებზე პერსპექტივაში პირობების გამკაცრებას აღიარებს ბანკების 30%, ხოლო ბანკების 30% მიიჩნებს, რომ სამომხმარებლო სესხებზე პირობები უცვლელი დარჩება, ამასთან, უნდა შევნიშნოთ, რომ ბანკების 20% მიიჩნევს სამომავლოდ პირობების მნიშვნელოვნად შემსუბუქებას. ინდმეწარმეებზე გაცემული სესხების პირობების ძირითადში უცვლელად დატოვებას აღიარებს კომერციული ბანკების 40%, ხოლო 30% მიიჩნევს რომ პერსპექტივაში პირობები ინდმეწარმეების სესხებზე რამდენადმე შემსუბუქდება.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების განვითარების პერსპექტივებზე წარმოდგენას გვაძლევს 46-ე ცხრილი. ცხრილის ანალიზიდან ჩანს, რომ უძრავი ქონების შესაძენად სესხებზე პერსპექტივაში მისოების 89% მიიჩნევს, რომ პირობები რამდენადმე შემსუბუქდება, ხოლო მისოების 11% აღიარებს პერსპექტივაში პირობების მნიშვნელოვნად შემცირებას. სამომხმარებლო სესხებზე პერსპექტივაში მისოების 89% გეგმავს პირობების მნიშვნელოვნად შემსუბუქებას, ხოლო 11% მიიჩნევს, რომ პირობები რამდენადმე შემსუბუქდება. ინდმეწარმეებზე გასაცემ სესხებზე პერსპექტივაში მისოების 56%-ს მიაჩნია, რომ პირობები რამდენადმე შემსუბუქდება, ხოლო მისოების 44% მიიჩნევს სამომავლოდ სესხების პირობების მნიშვნელოვნად შემსუბუქებას.

საკრედიტო ბაზრის ინსტიტუტების განვითარების პერსპექტივების გაანალიზების საფუძველზე შესაძლებელია გავაკეთოთ დასკვნა, რომ კომერციულ საბანკო სექტორში პერსპექტივაში გამოკითხული ბანკების აზრით მოსალოდნელია

პირობების რამდენადმე გამკაცრება, ან უკეთეს შემთხვევაში, პირობების ძირითადად უცვლელად დარჩენა. მიკროსაფინასო სექტორში გასაცემ სესხებზე პერსპექტივაში უახლოესი 5 წლის განმავლობაში ძირითადად მოსალოდნელია სესხების პირობების მნიშვნელოვნად შემსუბუქება.

ბაზრის პორიბები მკაცრდება რამოდენიმე მიზეზით: **კერძოდ, მოთხოვნა უფრო სწრაფად იზრდება კრედიტებზე, ვიდრე საბანკო და არასაბანკო ინსტიტუტები ახდენენ ფულის აკუმულაციას და მოზიდვას. მეორე გარემოებაა რისკების ზრდა. კრიზისებმა და შექმნილმა ვითარებამ კიდევ უფრი მეტად დაამძიმა ბიზნეს გარემო, ბანკები ამის საპასუხოდ ზრდიან მოთხოვნებს სესხებზე.**

ყოველივე ამის გასანეტრალებლად აუცილებელია:

1. ბიზნესის ინსტიტუტების მიერ ბიზნესის დაგემვისა და სტაბილურობის გაზრდა, მათი რისკების შემცირება და ბიზნესის წვდომის გამარტივება, რაც ხელისუფლებამ უნდა წარმართოს რეფორმების სახით.

2. **ბიზნესის წარამოდგენელთა ცნობიერების ამაღლება ტრეინინგების დახმარებით ბიზნესის დაგეგმასა და მართვაში.**

3. პარტნიორული ურთიერთობების ხელშეწყობა და განვთარება, რაც სტაბილურს გახდის ბიზნესში ღირებულების ზრდის ჯაჭვს. ეს და რიგი სხვა გარემოებები მნიშვნელოვნად შეამცირებენ მეწარმეთა არასტაბილურ და რისკიან გარემოს და ხელს შეუწყობენ ბანკებსა და არასაბანკო ინსტიტუტებთან მდგრადი ურთიერთობების დამყარებას.

მცირე და საშუალო ბიზნესისთვის მიკროსაფინანსო ორაგიზაციების მიერ გაცემული სესხების ზრდა პროგრესული მოვლენაა და სესხების გაცემის პირობების გამარტივებაც ხელს უწყობს ამ ბიზნესის განვითარებას. მაგრამ, იგი მხოლოდ მცირე ბიზნესის გადარჩენის საშუალებაა, რომელიც სესხების სიდიდის გამო არ იძლევა მათი გაფართოებული კვლავწარმოების საშუალებას. ყოველივე აქედან გამომდინარე, საბანკო კრედიტების გამკაცრება მართალია ნეგატიურად მოქმედებს ეკონომიკის ზრდაზე და ამ ნეგატიური ზემოქმედების განეიტრალება და კომპენსირება ვერ მოხდება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ. შესაბამისად, მომავალში ეკონომკის ზრდაში საბანკო კრედიტების როლი კვლავ ზომიერი დარჩება (დაახლებით მშპ-ს ნახევარი).

საბანკო კრედიტის პირობების გამკაცრება უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე, ამდენად მისი განეიტრალება უნდა მოხდეს საბანკო დაკრედიტების პირობების ლიბერალიზაციით, რომელიც მოიცავს მეწარმეთათვის კრედიტების საშეღავათო პერიოდის გადიდებას, საპროცენტო განაკვეთის დაწევას,, საკრედიტო მომსახურების პირობების გაუმჯობესებას.

დასკვნები და რეკომენდაციები

საკრედიტო ბაზრის ფინასური ინსტიტუტების ფუნქციონირების თეორიული და პრაქტიკული ანალიზის და ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე შესაძლებელი გახდა შემდეგი სახის დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება:

1. **მსოფლიოში საკრედიტო ბაზრის ფუნქციონირების თანამედროვე თეორიული მიდგომების გაანალიზებამ თვალნათლივ დაგვანახა, რომ იგი თანდათან იხვეწება და სრულყოფილი ხდება. ხოლო, საკრედიტო ურთიერთობათა შესახებ კონცეფციები ფართოვდება და უფრო მრავალფეროვან შინაარსს იძენს, ვიდრე ისტორიულ წარსულში, რაც განპირობებულია კრედიტის და საფინანსო ბაზრების როლის გაფართოებითა და იმ რისკებით, გამოყენების გამრავალფეროვნებით, რომელიც მას თან ახლავს.**

თანამედროვე მსოფლიო გამოცდილების საფუძველზე შემუშავებული სტრატეგიის პირობებში საქართველომ შესაძლებელია გადაჭრას მის წინაშე მდგომი ისეთი ამოცანები, როგორიცაა:

- **კომერციული საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელის ოპტიმიზაცია და კრედიტებზე მეწარმეთათვის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.;**
- **საკრედიტო ბაზრისადმი ძირითადი მიდგომების განხილვა;**
- **საკრედიტო ბაზრის შემადგენელი ინსტიტუტების გაანალიზება ფუნქციონალური და ინსტიტუციონალური თვალთახედვით;**
- **საკრედიტო ინსტიტუტების მართვის ეფექტური ინსტიტუციონალური მექანიზმის ფორმირება საქართველოს საკრედიტო ბაზარზე;**
- **საკრედიტო ბაზრის ფინანსური ინსტიტუტების მართვის სრულყოფა;**
- **თანამედროვე მსოფლიო საკრედიტო ურთიერთობათა განზოგადების საფუძველზე საქართველოს საკრედიტო ბაზრის მდგრადი განვითარება;**

ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრის შედეგად ქვეყნის საკრედიტო ბაზარზე სახეზე გვექნება საბანკო და არა საბანკო სექტორის საკრედოტო პორთფელის ოპტიმალური სტრუქტურა;

ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა ეკონომიკური ზრდის ხარჯზე;

მყარი და საიმედო საკრედიტო ბაზარი;

მეწარმე სუბიექტების ინტერესებზე მორგებული საკრედიტო სისტემა.

2. აღნიშნული ამოცანების გადაჭრის დროს წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის გზები დეტალურად ასახულია ნაშრომის შესაბამის თავებსა და ქვეთავებში.

   დღეისთვის თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში აქტუალურია საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელის და საკრედიტო ბაზრების გამართული ფუნქციონირების გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. ამ საკითხის გადაჭრა მეტად მნიშვნელოვანია, როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნების მათ შორის საქართველოს ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისთვის. რადგან ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევისთვის და აღმავალი ეკონომიკური ზრდის მიღწევისათვის მნიშვნელოვანია ეკონომიკურ ზრდაზე მომქმედი საკრედიტო ბაზრის გამოვლენა, შესწავლა და ზემოქმედების მექანიზმის გაანალიზება.

3. თანამედროვე საკრედიტო ბაზრის ანალიზმა დაგვანახა, რომ, დაკრედიტების ყველაზე პერსპექტიულ სეგმენტებს განეკუთვნება:

- ეკონომიკის არასაფინანსო სექტორის საკრედიტო ბაზარი;
- ტექნიკური საშუალებების და ტექნოლოგიური მოწყობილობების ლიზინგი;
- საფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო ბაზრები;
- სამომხმარებლო კრედიტების ბაზრები;
- სავალო ფასიანი ქაღალდების ბაზრები. (მ.შ. სახელმწიფო, მუნიციპალური და კორპორაციული ობლიგაციები, თამასუქები, სეკიურიტიზირებული და სტრუქტურირებული ვალდებულებები).

  შესაბამისად, საკრედიტო ბაზარი თავისი განვითარების მანძილზე თანდათან იხვეწება და სრულყოფილი ხდება.

4. კომერციული ბანკების საქმიანობის ანალიზის დროს მნიშვნელოვანია მათი საკრედიტო პორტფელის ხარისხის შეფასება, კომერციული ბანკის საკრედიტო პორტფელის ცნება მჭიდროდაა დაკავშირებული მის ხარისხთან. კომერციული ბანკების მიერ გაცემული კრედიტები თავისი ხარისხით ხუთი კატეგორიისა. სესხების ხარისხი განისაზღვრება სწორედ მათი გაუფასურებით ანუ რისკით, სესხები, რომლებიც მიეკუთვნებიან II-V კატეგორიებს, ითვლებიან გაუფასურებულად.

თანამედროვე ეკონომიკური კრიზისების დროს საკრედიტო პორტფელის „პრობლემურობა“ წარმოდგენილია პირველ ადგილზე და მისი დროული დიაგნოსტიკა გვაძლევს საშუალებას შევამციროთ პორტფელში ვადაგადაცილებული და უიმედო კრედიტთა რაოდენობა და შევამციროთ ბანკის შესაძლო დანაკარგები.

5. **კომერციული ბანკების საქმიანობის ეფექტურობის მაჩვენებელია საბანკო რიტინგების შეფასების სისტემა, საქართველოში Forbes Georgia-is, საქართველოს ეროვნული ბანკისა და Ernst & Young-ის თანამშრომლობით Forbes-ის პერიოდულად ახორციელებს საქართველოს საბანკო სექტორის რეიტინგების შეფასება-გამოქვეყნებას.**

ბანკების შეფასება საქმიანობის სეფასებას საფუძვლად უდევს 4 ძირითადი ინდიკატორი.

- **სრული აქტივები;**
- **გაცემული სესხები;**
- **ვალდებულებები და ანაბრები;**
- **კაპიტალი.**

6. **ფინანსური გლობალიზაციისა და საბანკო საქმის ინტერნაციონალიზაციის შეუქცევადმა პროცესებმა დღის წესრიგში დააყენა საბანკო ზედამხედველობის ერთიანი პრინციპების საერთაშორისო დონეზე უნიფიცირების საკითხი. საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი რეგულირებულად ახორციელებს საზედამხედველო მოთხოვნების გადასინჯვას კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის, საკრედიტო რისკების, რეზერვების შექმნას სიდიდის და მოცულობის მიმართ.**

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების შესაბამისად საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განახორციელა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები! **დაამტკიცა „კომერციული ბანკების ლიცენზირების წესი“, „კომერციული ბანკების გარე აუდიტორული შემოწმების ჩატარების წესი“, დამტკიცა „ინტერესთა კომფლიქტის მართვის დებულება“ რომელმაც უზრუნველყო ბანკებში კონტროლის სისიტემის დანერგვა ინტერესთა კონფლიქტის მაქსიმალურად თავიდან არიდებისთვის.**

საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ეროვნულმა ბანკი ამუშავებს საკრედიტო ინსტრუმენტების გაუფასურების მეთოდოლოგიას, აღნიშნული რეგულაციის მიზანია ბასს 39-ის ფარგლებში დააკონკრეტოს საკრედიტო ინსტრუმენტების გაუფასურების გაანგარიშების და გამჟღავნების მეთოდები, რაც ხელს შეუწყობს კომერციული ბანკების მიერ სესხებისა და სხვა საკრედიტო ინსტრუმენტების გაუფასურების დროულ და ადექვატურ ასახვას ფინანსურ ანგარიშგებაში.

7. დღეისათვის განვითარებულ ფინანსურ ბაზრებად მსოფლიოში გვევლინება ისეთი ქვეყნების ბაზრები, როგორიცაა: აშშ-ი, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, კანადა. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური ბაზრზე წარმოდგენილია მრავალი სეგმენტი, მის უმნიშვნელოვანეს სტრუქტურულ ერთეულს კვლავ საკრედიტო ბაზარი წარმოადგენს, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ფულადი კაპიტალის მოძრაობა.

   განვითარებულ საკრედიტო ბაზრებზე გამოვლენილ ძირითად საკრედიტო ურთიერთობათა ტენდენციებს განეკუთვნება შემდეგი:

   1. კორპორაციული სავალო ინსტრუმენტების სეგმენტის ზრდა საკრედიტო ბაზრებზე;
   2. მსხვილი ინვესტორების (საპაიო და საპენსიო ფონდების, სახელმწიფო საინვესტიციო ფონგების) როლის გადიდება;
   3. აქტივების სეკიურიტიზაციის და კრედიტების გაყიდვების ზრდა ანუ კრედიტების მეორადი ბაზრის ფორმირება;
   4. მოსახლეობისთვის გამოყოფილი სამომხმარებლო კრედიტების წილის მნიშვნელოვანი ამაღლება;
   5. საკრედიტო ბაზრის მონაწილეთა ლტოლვა საქმიანობის უნივერსალიზაციისაკენ, საკრედიტო, საინვესტიციო და საგადასახადო მომსახურებების სრული უზრუნველყოფის მიზნით.

8. საქართველოში საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების განვითარება ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციით ხასიათდება. შემცირდა ბანკების რაიდენობა და გაიზარდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა.

ბანკების შემცირებასთან ერთად შეიცვალა მათი ფინანსური სტრუქტურაც 2014 წლის ბოლოსთვის, 2000 წელთან შედარებით, კომერციული ბანკების შემოსავლები გაიზარდა 21,7 ჯერ. ამასთან ერთად შეიცვალა მათი საკრედიტო პორთფელის სტრუქტურაც. 2015 წლის 1 იანვრისათვის ქვეყნის ეკონომიკაზე გაცემული სესხების მოცულობამ 6,3 მილიარდი ლარი შეადგინა. ხოლო, გაცემულ სესხებში პირველ ადგილზე წარმოდგენილია ვაჭრობა, მეორეზე მრეწველობა, მესამეზე საფინანსო შუამავლობა.

9. ქვეყნის საბანკო სექტორში საკრედიტო პორტფელის ხარისხის სტაბილურობის მიუხედავად, სამივე სეგმენტის კუთხით შეინიშნება მსესხებელთა ფინანსური ტვირთის ზრდა, რომელიც განპირობებულია კომერციული ბანკების მიერ დაფინანსების მიღების სანაცვლოდ მოთხოვნების შედარებით შემცირებით და 2014 წლის ბოლოსათვის ლარის გაცვლითი კურსის ცვლილებით.
10. ნაშრომში საქართველოს ოთხი მაპროფილირებელი კომერციული ბანკის საკრედიტო პორთფელის გაანალიზების შედეგად ნათელი გახდა, რომ გაცემული სესხების მოცულობები იზრდება, ხოლო საკრედიტო პორტფელის სტრუქტურაში ყველაზე დიდი ხვედრითი წილით წარმოდგენილია იპოთეკური და სამომხმარებლო კრედიტები, ეკონომიკის სექტორების მიხედვით გაცემული კრედიტების სტრუქტურაში ლიდერობს ფიზიკურ და, ვაჭრობასა და მომსახურებაზე გაცემული კრედიტები. ამავე პერიოდში კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის სტრუქტურაში მართალია მცირდება უიმედო და ჩამოწერილი სესხების მოცულობა, მაგრამ სამწუხაროდ კვლავ გარკვეული ხვედრითი წილითაა წარმოდგენილი.
11. ქვეყანაში ბოლო 5 წლის განმავლობაში საბანკო და არასაბანკო სექტორში მიმდინარე საკრედიტო პორტფელის ცვლილებებზე მომქმედი ფაქტორების გამოვლენის მიზნით ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა სოციოლოგიური კვლევა, რომელშიც ჩართული იყო 10 კომერციული ბანკი და 9 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. თითოეულ მიზნობრივ ჯგუფთან ჩატარდა პირისპირ როგორც სტრუქტურირებული, ასევე არასტარუქტურიზებული ინტერვიუ, რაც რესპონდენტთა მოსაზრებებისა და დამოკიდებულებების სიღრმისეული შესწავლის შესაძლებლობას იძლეოდა. კვლვის მიზანი იყო როგორც არსებული სიტუაციის შესწავლა, ასევე მენეჯერების მოლოდინის გამოვლენა საკრედიტო ბაზრის ცვლილებების შესახებ.

12. შესწავლილი კომერციული ბანკების მიერ ბიზნესის წარმომადგენლებზე სესხების გაცემისა და დამტკიცების პროცედურები ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სამართლიანად შეგვიძლია ვაღიაროთ, ძირითადში გამკაცრდა რამდენადმე. რაც შეეხება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, მათი მონაცემების გაანალიზებიდან ნათელი ხდება, რომ ბიზნესის წარმომადგენლებზე მათ მიერ გაცემული და დამტკიცებული სესხების პირობები ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ძირითადში რამდენადმე შემსუბუქდა.
13. საკრედიტო ინსტიტუტების საკრედიტო პირობებზე ჩატარებული კვლევების პირობებიდან გამომდინარე შესაძლებელია ვაღიაროთ, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ქვეყანაში საბანკო სექტორში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საკრედიტო პროდუქტის სტრუქტურა, გაიზარდა გაცემული კრედიტების მოცულობები ეკონომიკის სხვადასხვა დარგში. გაცემული კრედიტების პირობების და მასზე მომქმედი ფაქტორების გაანალიზების საფუძველზე საბანკო სექტორში სახეზე გვაქვს პირობების რამდენადმე გამკაცრება, რაც ძირითადად გამოწვეულია მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებით, რეფინანსირების განაკვეთის გადიდებით და ლარის გაუფასურებით.
14. მიკროსაფინანსო სექტორში შექმნილი პირობების და მაზე მომქმედი ფაქტორების გაანალიზების შედეგად ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ საბანკო სექტორისგან გასხვავებით ამ სფეროში კრედიტების გაცემისას მასზე მომქმედი ფაქტორების პირობები უკანასკნელ პერიოდში რამდენადმე შემსუბუქდა და არის რეალური პირობები იმისა, რომ პერსპექტივაში იგი მნიშვნელოვნად შემსუბუქდეს, რადგან მიკროსაფინანსო ორგანიზაციები საქართველოს საკრედიტო ბაზარზე სიცოცხლისუნარიან და განვითარების დიდი პერსპექტივის მქონე ორგანიზაციებად მოგვევლინენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მაია ალადაშვილი, საკრედიტო ოპერაციების და საკრედიტო პორტფელის ანალიზის მნიშვნელობა საბანკო რისკების მართვის პროცესში. ჟ, „სოციალური ეკონომიკა“ #1 2014

2. მაია ალადაშვილი, საკრედიტო პორტფელის მართვის მნიშვნელობა საბანკო სისტემის ნორმალური ფუნქციონირების საქმეში. ჟ, „ეკონომიკა“, 2012 წ. 11-12 67-69 გვ·

3. ი. ასათიანი, ილია ჭავჭავაძე და თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკი. თბ. 1994წ.

4.რ. ასათიანი, საქართველოს საბანკო სისტემა გლობალური კრიზისის პირობებში. ჟ, „ეკონომისტი“ #4. 2009 წ.

5. ლ. ბახტაძე, ფინანსური ბაზარი, დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 2006.

6. გიორგი ბაქრაძე,-2007-2008 წლების გლობალური ფინანსური კრიზისი 2014: 5-25

7.ზვიად ვანელი საქართველოს საბანკო სისტემა გლობალური კრიზისის პირობებში. ჟ, „ეკონომისტი“ #4. 2009 წ 10-14გვ. ჟ, „ეკონომიკა“, 2012 წ. 1

8. ირაკლი გეგეშიძე, გლობალური კრიზისი და ეკონომიკური რეფორმების შედეგები საბანკო სფეროში. 2012: 6-10

9. ნინო გრიგალაშვილი, - საკრედიტო პოლიტიკის რეგულირების ინსტრუმენტები.2012: 17-22

10. ზვიად ზვიადაძე,- მაკროეკონომიკური ფაქტორების გავლენა საკრედიტო რისკზე: 2013

11. რ. კაკულია, გ. ხელაია ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია თბ.2000წ

12. რ. კაკულია, ფინანსების ზოგადი თეორია, თბ. 2001წ.

13. ე. კაკულია, საქართველოს თანამედროვე საბანკო სისტემის ფორმირება 2014: 244-256

14. ი. კოვზანაძე, :საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“. თსუ. გამომცემლობა. თბ. 2001წ.

15. კოვზანაძე ი, კონტრიძე გ, „თანამედროვე საბანკო საქმე, თეორია და პრაქტიკა“, თბილისი, 2014;

16. დ.იაკობიძე ი, კონტრიძე გ, „თანამედროვე საბანკო საქმე, თეორია და პრაქტიკა“, თბილისი, 2014;პზე“. თსუ. გამომცემლობა. თბ. 2001წ.

17. თ. ლაზარაშვილი, მ. მელაშვილი,-ფულად-საკრედიტო სისტემის თავისებურებები და სრულყოფის გზები საქართველოში. 2014: 244-256

18. ვ. ახობაძე ი, კონტრიძე გ, „თანამედროვე საბანკო საქმე. თბ. 2009 წ. გვ. 380

19. ოთარ ნადარაია, ოთარ გორგოძე, დავითი უტიაშვილი, ნინო შარუმაშვილი- ეკონომიკური ზრდა და სტრუქტურული ტრანსფორმაცია. ჟ. „ეკონომიკა და საბანკო საქმე“, #2. 2013 წ.

20. ოთარ გორგოძე, დავითი უტიაშვილი, ნინო შარუმაშვილი- ეკონომიკური ზრდა და სტრუქტურული ტრანსფორმაცია. ჟ. „ეკონომიკა;

21. იაკობ მესხია, გლობალური ეკონომიკური კრიზისი და საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პრობლემები. 2009: 10-28

22. ქრისტინე ომაძე, დავით ასლანიშვილი - „ეკონომიკური კრიზისის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე“ - თსუ, ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია 2013 წლის 28-29 ივნისი, გვ 502 - 508, თბილისი, საქართველო;

23. ქრისტინე ომაძე, დავით ასლანიშვილი - „ეკონომიკური კრიზისის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე“ - კავკასიის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, გვ 35 – 45, თბილისი, 2013 წელი;

24. ქრისტინე ომაძე - ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისების გავლენა საქართველოს ფინანსურ ბაზარზე - თსუ, ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო - ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, 4-ე ნომერი, გვ 86 - 98, თბილისი, აგვისტო - სექტემბერი, 2013 წელი;

25. ქრისტინე ომაძე - ეკონომიკური კრიზისი და საქართველოს საკრედიტო ბაზრის ტრანსფორმაცია - თსუ, ეკონომიკის ინსტიტუტის, საერთაშორისო სამეცნიერო - ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, 3-ე ნომერი, გვ 102-107, თბილისი, მაისი-ივნისი 2014 წელი;

26. ქრისტინე ომაძე - ბიზნესის შეფასების თანამედროვე მოდელი და ქართული სინამდვილე - თსუ, ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენცია 2014 წლის 27-28 ივნისი, გვ 537 - 540, თბილისი;

27. ქრისტინე ომაძე - „საკრედიტო ბაზრის არსი და თავისებურებები„ თსუ ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული (გვ., 390-393), 2014 წელი, თბილისი, საქართველო;

28. ქრისტინე ომაძე - „იპოთეკური ბანკების როლი საკრედიტო ბაზრის განვითარების საქმეში“ - თსუ, ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენცია 2015 წლის 10-11 ივლისი, გვ 519 - 521, თბილისი

29. უშანგი სამადაშვილი, - ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა და ადამიანური კაპიტალი 2014:13-22

30. ვლადიმერ პაპავა, მკვეთრი ზრდის ეფექტი და პოსტკრიზისული ეკონომიკური ზრდა; 2014

31. გიორგი ხანთაძე, საკრედიტო პორტფელის მართვის თავისებურებანი. ჟ, „სოციალური ეკონომიკა“ # 1 2014 წ.

32. მ. ძაგანია, ეკონომიკური ტრანსფორმაციის ასპექტები..2012

33. ნოდარ ხადური, ეკონომიკური ზრდა-რეალობა და პერსპექტივები: 2010

34. თემურ ხომერიკი, - საკრედიტო ბაზრის განვითარება არამდგრად გარემოში. ჟ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“ #17, 2010წ. 8-12გვ.

35. საქართველოს კანონი სახელმწიფო ვალის შესახებ;

36.საქართველოს ორგანული კანონი ეროვნული ბანკის შესახებ

37.საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ

38.საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ

39. საქართველოს კონსტიტუცია

40.საქართველოს ეროვნული ბანკის 1997 წლის ანგარიში, თბილისი, საქართველო

41.საქართველოს ეროვნული ბანკის 1998 წლის ანგარიში, თბილისი, საქართველო

42.საქართველოს ეროვნული ბანკის 1999 წლის ანგარიში, თბილისი, საქართველო

43.საქართველოს ეროვნული ბანკის 2000 წლის ანგარიში, თბილისი, საქართველო

44.საქართველოს ეროვნული ბანკის 2001 წლის ანგარიში, თბილისი, საქართველო

45.საქართველოს ეროვნული ბანკის 2002 წლის ანგარიში, თბილისი, საქართველო

46.საქართველოს ეროვნული ბანკის 2003 წლის ანგარიში, თბილისი, საქართველო

47.საქართველოს ეროვნული ბანკის 2004 წლის ანგარიში, თბილისი, საქართველო

48.საქართველოს ეროვნული ბანკის 2005 წლის ანგარიში, თბილისი, საქართველო

49.საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის ანგარიში, თბილისი, საქართველო

50.საქართველოს ეროვნული ბანკის 2007 წლის ანგარიში, თბილისი, საქართველო

51.საქართველოს ეროვნული ბანკის 2008 წლის ანგარიში, თბილისი, საქართველო

52.საქართველოს ეროვნული ბანკის 2009 წლის ანგარიში, თბილისი, საქართველო

53.საქართველოს ეროვნული ბანკის 2010 წლის ანგარიში, თბილისი, საქართველო

54.საქართველოს ეროვნული ბანკის 2011 წლის ანგარიში, თბილისი, საქართველო

55.საქართველოს ეროვნული ბანკის 2012 წლის ანგარიში, თბილისი, საქართველო

56.საქართველოს ეროვნული ბანკის 2013 წლის ანგარიში, თბილისი, საქართველო

57.საქართველოს ეროვნული ბანკის 2014 წლის ანგარიში, თბილისი, საქართველო

58.ს.ს.“საქართველოს“ ბანკის 2006 წლის ანგარიში, თბილისი საქართველო

59.ს.ს.“საქართველოს“ ბანკის 2007 წლის ანგარიში, თბილისი საქართველო

60.ს.ს.“საქართველოს“ ბანკის 2008 წლის ანგარიში, თბილისი საქართველო

61.ს.ს.“საქართველოს“ ბანკის 2009 წლის ანგარიში, თბილისი საქართველო

62.ს.ს.“საქართველოს“ ბანკის 2010 წლის ანგარიში, თბილისი საქართველო

63.ს.ს.“საქართველოს“ ბანკის 2011 წლის ანგარიში, თბილისი საქართველო

64.ს.ს.“საქართველოს“ ბანკის 2012 წლის ანგარიში, თბილისი საქართველო

66.ს.ს.“საქართველოს“ ბანკის 2013 წლის ანგარიში, თბილისი საქართველო

67.ს.ს.“საქართველოს“ ბანკის 2014 წლის ანგარიში, თბილისი საქართველო

68.ს.ს. „თიბისი“ ბანკი, 2007 წლის ანგარიში, თბილისი, საქართველო

69.ს.ს. „თიბისი“ ბანკი, 2008 წლის ანგარიში, თბილისი, საქართველო

70.ს.ს. „თიბისი“ ბანკი, 2009 წლის ანგარიში, თბილისი, საქართველო

71.ს.ს. „თიბისი“ ბანკი, 2010 წლის ანგარიში, თბილისი, საქართველო

72.ს.ს. „თიბისი“ ბანკი, 2011 წლის ანგარიში, თბილისი, საქართველო

73.ს.ს. „თიბისი“ ბანკი, 2012 წლის ანგარიში, თბილისი, საქართველო

74.ს.ს. „თიბისი“ ბანკი, 2013 წლის ანგარიში, თბილისი, საქართველო

75.ს.ს. „თიბისი“ ბანკი, 2014 წლის ანგარიში, თბილისი, საქართველო

76.ს.ს. „პროკრედიტ ბანკი“, 2006 წლის ანგარიში, თბილისი, საქართველო

77.ს.ს. „პროკრედიტ ბანკი“, 2007 წლის ანგარიში, თბილისი, საქართველო

78.ს.ს. „პროკრედიტ ბანკი“, 2008 წლის ანგარიში, თბილისი, საქართველო

79.ს.ს. „პროკრედიტ ბანკი“, 2009 წლის ანგარიში, თბილისი, საქართველო

80.ს.ს. „პროკრედიტ ბანკი“, 2010 წლის ანგარიში, თბილისი, საქართველო

81.ს.ს. „პროკრედიტ ბანკი“, 2011 წლის ანგარიში, თბილისი, საქართველო
82.ს.ს. „პროკრედიტ ბანკი“, 2012 წლის ანგარიში, თბილისი, საქართველო
83.ს.ს. „პროკრედიტ ბანკი“, 2013 წლის ანგარიში, თბილისი, საქართველო
84.ს.ს. „პროკრედიტ ბანკი“, 2014 წლის ანგარიში, თბილისი, საქართველო
85.ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა“ 2006 წლის ამგარიში, თბილისი, საქართველო
86.ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა“ 2007 წლის ამგარიში, თბილისი, საქართველო
87.ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა“ 2008 წლის ამგარიში, თბილისი, საქართველო
88.ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა“ 2009 წლის ამგარიში, თბილისი, საქართველო
89.ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა“ 2010 წლის ამგარიში, თბილისი, საქართველო
90.ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა“ 2011 წლის ამგარიში, თბილისი, საქართველო
91.ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა“ 2012 წლის ამგარიში, თბილისი, საქართველო
92.ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა“ 2013 წლის ამგარიში, თბილისი, საქართველო
93.ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა“ 2014 წლის ამგარიში, თბილისი, საქართველო
94. Akerlof G. A. The Morket for “Lemons”: Qualitatie Uncertaint and the Marke Mechanism, 1970: 488-500.
95..Allen F. Financial Market, Intermediaries and Smoothing /F. Allen, D. Gale//Journal of Political Economy. 1997. vol. 105. p. 523-546;
96.Boyd J.H. Financial Intermediary-conlitions/S.H. Boyd E. C. Prescott // Sournal of Economic Theory. 1986. vol. 38. p. 211-232
97. Bulletin European Centra.l Bank/-ECB.-2002-2011.Tab. S15
98.Campbell T. S. Information Production, Market Signoling and Theory of Financial Intermediation/ T. S. Campbell, W.A. Kracaw// Journal of Finance.-1980.- vol. 35,-p.863-882
99. Coase R. H. The Wature of Firm. /R. H. Coase// Economica. -1937. #4.p.386-405.
100.Calomiris C. W. The Role of Demandable Debt in structuring Optimal Bank Arrangement (C. W. Calomiris, C. M. Kahn//American Economic Review. -1991. vol. 81. #4 p. 497-513
101. D.W. Diamond /Economic Quarterly. Federal Reserve Bank of Richmond, 1996: 65
102. ERZEN SOGUT, THE DETERMINAANTS OF FINANSIAL DEVELOPMENT AND PRIVATE SECTOR CREDITS: 2008.**)**
103.Giovanni Dell Aniccia, Deniz Ig, Lus Laeven, and Hui Tong, Policies for Macrofinancial Stability: Deling with Credit Booms and Basts. Interrnatioal Monetary Fund, August 2012.

104.Gurley J. G. Financial Aspects of Economic Development / J. Gurlex, E. S. Shaw // American Economic Review. – 1955. –vol.45. #4. P.515-538; Gurley J. G. Finoncial Intermediaries and the Saving – Investment Process /* J. G. Gurley. E. S. Show // Journal of Finance. – 1956. –vol.11- p. 257-.276.

105 Ho Ngai Wa. Bank Credit and Economic Growth in Macao. Monetary Authority of Macao, 2005.

106 Katja Gattin-Turkalj, Igor Ljubaj, Ana Martinis, Marko Mrkalj. Estimatinng Credit Demand in Croatia. Draft vesion.. Zagreb, April 2007.

107. Kovzanadze Irakli. – Ekonomik and Banking System Development Trends and Prospects for Countries in Transition 2008: 257

108 Leland H. E. Information Asymmediation, Financial structure, and Financial Intermediation/H.E. Leland, D. H. Pylell Financial Intermediaries. – Brokfield: Elgar, 1995.

109.Mironchik N. L., Demidenko, M. V. CREDIT TO THE ECONOMY: NEW ANSWERS TO STANDARD QUESTIONS. National Bank of Republic of Belarus, Bank Research Papers # 2, July 2012.

110. Tamas Balas, Comparson of the indicators describing the loan portfolio quality of the banking sector. November 2009

111. Tobin J. Commercial Banks as Creator of "Money"/J. Tobin // Banking and Monetary Studies, for the comptroller of the Currency. U. S. Treasury. 1963-p. 408-419.

112.Diamol D.W. Financial Intermediation asa Delegated Monitoring: A Simple Example /D.W. Diamond /Economic Quarterly. Federal Reserve Bank of Richmond, 1996.-vol. 82. Issue 3. P.65.

113.Flannery M. J. Debt Maturity and the Deadwwignt cost of heveragy: Optimal Financing Banking Firms/ M. J. Flannery //American Economic Review 1994. vol. 84. #2. p. 320-331

114. Rajan R. G. The Past and Future of Commercial Banking Viewol through an Incomplete contract hens /R.G. Kajan/Sournal of money credit and banking – 1998. vol. 30.#3 (part 2)

115. Rodgers A. Musamali, , Esman M. Nyamongo, Eliud D. Moyi, The Relationship between Financial Development andEconomic Growth in Africa. 2010: 189

116. Suna Korkmaz, Impact of Bank Credits on Economic and Inflation. 2015: 57-69

117. M. C. Chiuri. T. Jappelli. Universito di salerno. 2011: 20

118. Orji Antbouny, Bank Savivings and Bank Credits in Nigeria: Deartment and Impact on Economic Growth. International of Economics and Financial Vol. 2, #3, 2012, pp. 357-372.

119.Waieed likhuzaim. Degree of Financial Development and Economics Growth un Qatar: Cointegration and Causality Analysis. International of Economics and Financial Vol. 6, #6, 2014, pp. 357-372

120.Авдеенко Т. В. Рынок ссудных капиталов в системе экономических отношений / Г. В. Авдеенко. М.: ИСПИ РАН. 2004.

121. Банковское дело: О. И. Лаврушина 2011: 176

122. Э Д Долан Деньги банковское дело и денежно кредитная политика.1998: 248

123. Ерменееви Н. А. Становление и развития мирового рынка ссудного капиталов. И. Н. Еремеевы.//Вестник БГЭУ. 2004. №2.

124.Деньги, кредит, Банки., под ред. В. Ф. Жукова. М.: ЮНИТИ. 2008.

125,Кеинс Д. Общая терия занятности, процента и денег / Д. Кеинс, - М.: Гелиос АРВ, 1999.

126. И. Ковзанадзеб „ Уроки мирового кризиса: необходима новая модель регулирования экономикию“ ‘ Вопросы экономики“ Москва № 4, 2010 г.

127.Кураков В. Л. Некоторые аспекты развитияфинансово-кредитной системы США. М. : Респувлика, 2010 с. 85.

128. Кособчук С. И., Кредитные системы стран Латинской Америки. 1983: 41)

129.Лаврушин О. И. Организация и планирование кредита. /О. Н. Лыврушин. М. : Финансы и статистика. 1991

130. Наит Ор. Понятие риска неопределенности. 1994: 21

131. Рид э. Коттер Р. Гилл Э. Смит Р. Коммерческие банкию перю с англ.; под ред. В. М. Усоскина-М. : Космополис, 2011. С. 107.

132. Д. Риккардо Классика экономической мысли. -М.: ЭКМО-ПРЕСС, 2000.

133.Сей Ж, //Трактат по политической экономики. Бастия Ф. Экономические софизмы//экономические терминий. – М.: Дело, 2000.

134. Л. С. Тарасевич, П. И. Гредянинков. А. И. Леусский. 2003. 301

135. Финансы, под. Редакций проф. Л. А. Дробозиной, 1999: 1 184)

136. Шумпетер И. Теория экономического развития. /И. Шумпетер , М,: Прогресс. 1982.

137. www.fund.ge

138. www.gefund.ge

139.www.stadardpoors. Com.

140. www.standardpoors.com

141.www.investgroup.ge

142.http://www.investgroup.ge/padmin/ge/research_main_page/files/Global_Economic_Crisis_part_2.pdf;

143.http://www.investgroup.ge/padmin/ge/research_main_page/files/Global_Economic_Crisis_part3.pdf;

144.www. mortgogestats. Com

145.www. Federalreserve. gov.

146.www. Snl. Com

148. WWW. SIFMA. COM Securities Industry and Financial Markets Association

149. www.nbg.gov.ge;

დანართი 1

კითხვარი

ქართული საფინანსო ინსტიტუტების (კომერციული ბანკების) მიერ სესხების გაცემის აღქმის მიმოხილვა

1. ბანკის სახელწოდება ——————————————————
2. ბანკის მისამართი, ტელეფონი ——————————————————
3. თქვენი თანამდებობა (აღნიშნეთ ან ნებისმიერი გრაფიკული ნიშნით ან შემოხაზეთ)

• მთავარი მენეჯერი	
• მთავარი მენეჯერის მოადგილე	
• განყოფილების ხელმძღვანელი	
• გაყიდვების მენეჯერი/კრედიტ ოფიცერი	
• სხვა (გთხოვთ დააკონკრეტოთ)	

სამეწარმეო სესხები

4. ბოლო 5 წლის განმავლობაში როგორ შეიცვალა თქვენი ბანკის საკრედიტო სტანდარტი (სესხების გაცემა და მათი დამტკიცების პროცედურები)

	სულ	სესხები მცირე და საშუალო მეწარმეებზე	სესხები მსხვილ მეწარმეებზე	მოკლევადიანი სესხები	ხანგრძლივვადიანი სესხები
გამკაცრდა მნიშვნელოვნად					
გამკაცრდა რამდენადმე					
ძირითადად უცვლელი დარჩა					
რამდენადმე შემსუბუქდა					
მნიშვნელოვნად შემსუბუქდა					

5. ბოლო 5 წლის განმავლობაში რომელმა ფაქტორებმა იმოქმედა თქვენი ბანკის საკრედიტო სტანდარტზე [1]

1 = გამკაცრდა

2 = რამდენადმე გამკაცრდა

3 = უცვლელი დარჩა

4 = შემსუბუქდა რამდენადმე

5 = მნიშვნელოვნად შემსუბუქდა

6 = გაურკვეველია

6. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში რამდენად შეიცვალა სესხების პირობები

1 = გამკაცრდა
2 = რამდენადმე გამკაცრდა
3 = უცვლელი დარჩა
4 = შემსუბუქდა რამდენადმე
5 = მნიშვნელოვნად შემსუბუქდა
6 = გაურკვეველია

	<u>სულ</u>						<u>სესხები მცირე და საშუალო საწარმოებზე</u>						<u>სესხები მსხვილ ბიზნესზე</u>					
	1	2	3	4	5	6	1	2	3	4	5	6	1	2	3	4	5	6
ა.პროცენტი																		
საშუალო საპროცენტო განაკვეთი (მაღალი=გამკაცრდა; დაბალი- შემსუბუქდა)																		
მაღალრისკიან სესხებზე პროცენტი																		

[1] საკრედიტო სტანდარტი - სესხის გაცემისას კლიენტის შეფასების სისტემა: იგულისხმება საკრედიტო ისტორია, შემოსავლების დონე და სხვა.

ბ/. სხვა																		
არასაპროცენტო განაკვეთი																		
სესხების ზომა																		
მოთხოვნები გარანტიებზე																		
სესხების ხელშეკრულებები																		
სესხის ხანგრძლიობა																		
გ/. სხვა (ახსენით)																		

7. ბოლო 5 წლის განმავლობაში როგორ შეიცვალა სესხებზე მოთხოვნა და რომელმა ფაქტორებმა იმოქმედა თქვენი ბანკის საკრედიტო სტანდარტზე

	სულ	სესხები მცირე და სასუალო მეწარმეებზე	სესხები მსხვილ მეწარმეებზე	მოკლევადიანი სესხები	ხანგრძლივვადიანი სესხები
გამკაცრდა მნიშვნელოვნად					
გამკაცრდა რამდენადმე					
ძირითადად უცვლელი დარჩა					
რამდენადმე შემსუბუქდა					
მნიშვნელოვნად შემსუბუქდა					

სესხები შინამურნეობებზე

8. ბოლო 5 წლის განმავობაში როგორ შეიცვალა თქვენი ბანკის საკრედიტო სტანდარტი (სესხების გაცემა და მათი დამტკიცების პროცედურები)

	სულ	სესხები უძრავი ქონების შეძენაზე	სამომხმარებლო სესხები	ინდივიდუალურ მეწარმეებზე
გამკაცრდა მნიშვნელოვნად				
გამკაცრდა რამდენადმე				
ძირითადად უცვლელი დარჩა				
რამდენადმე შემსუბუქდა				
მნიშვნელოვნად შემსუბუქდა				

9. ბოლო 5 წლის განმავლობაში რომელმა ფაქტორებმა იმოქმედა თქვენი ბანკის საკრედიტო სტანდარტზე უძრავი ქონების შესაძენად სესხების გაცემისას?

1 = გამკაცრდა

2 = რამდენადმე გამკაცრდა

3 = უცვლელი დარჩა

4 = შემსუბუქდა რამდენადმე

5 = მნიშვნელოვნად შემსუბუქდა

6 = გაურკვეველია

	1	2	3	4	5	6
ა) ბანკის აქტივების მდგომარეობა						
ბ/. კონკურენცია						
კონკურენცია სხვა ბანკებთან						
კონკურენცია არასაბანკო ინსტიტუტებთან						

გ/ რისკების აღქმა						
ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილების მოლოდინი						
უძრავი ქონების ბაზრის მდგომარეობა						
დ/ სხვა (ახსენით)						

10. ბოლო 5 წლის განმავლობაში რამდენად შეიცვალა საკრედიტო პირობები თქვენი ბანკის უძრავი ქონების შესაძენად სესხების გაცემისას?

1 = გამკაცრდა

2 = რამდენადმე გამკაცრდა

3 = უცვლელი დარჩა

4 = შემსუბუქდა რამდენადმე

5 = მნიშვნელოვნად შემსუბუქდა

6 = გაურკვეველია

	1	2	3	4	5	6
ა.პროცენტი						
საშუალო საპროცენტო განაკვეთი (მაღალი=გამკაცრდა; დაბალი- შემსუბუქდა)						
მარალ რისკიან სესხებზე პროცენტი						
ბ/. სხვა						
არასაპროცენტი განაკვეთი						
სესხების ზომა						
მოთხოვნები გარანტიებზე						
სესხების ხელშეკრულებები						
სესხის ხანგრძლიობა						
გ/. სხვა (ახსენით)						

11. ბოლო 5 წლის განმავლობაში რომელმა ფაქტორებმა იმოქმედა თქვენი ბანკის საკრედიტო სტანდარტზე სამომხმარებლო კრედიტებისა და სხვა სესხების გაცემისას?

1 = გამკაცრდა

2 = რამდენადმე გამკაცრდა

3 = უცვლელი დარჩა

4 = შემსუბუქდა რამდენადმე

5 = მნიშვნელოვნად შემსუბუქდა

6= გაურკვეველია

	1	2	3	4	5	6
ა) ბანკის აქტივების მდგომარეობა						
ბ/. კონკურენცია						
კონკურენცია სხვა ბანკებთან						
კონკურენცია არასაბანკო ინსტიტუტებთან						
გ/ რისკების აღქმა						
ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილების მოლოდინი						
კლიენტების გადახდისუნარიანობა						
დ/ სხვა (ახსენით)						

12. ბოლო 5 წლის განმავლობაში რამდენად შეიაცვალა საკრედიტო პირობები თქვენი ბანკის სამომხმარებლო კრედიტების გაცემისას?

1 = გამკაცრდა

2 = რამდენადმე გამკაცრდა

3 = უცვლელი დარჩა

4 = შემსუბუქდა რამდენადმე

5 = მნიშვნელოვნად შემსუბუქდა

6=გაურკვეველია

	1	2	3	4	5	6
ა.პროცენტი						
საშუალო საპროცენტო განაკვეთი (მაღალი=გამკაცრდა; დაბალი- შემსუბუქდა)						
მაღალრისკიან სესხებზე პროცენტი						
ბ/. სხვა						
არასაპროცენტი განაკვეთი						
სესხების ზომა						
მოთხოვნები გარანტიებზე						
სესხების ხელშკრულებები						
სესხის ხანგრძლიობა						
გ/. სხვა (ახსენით)						

13. ბოლო 5 წლის განმავლობაში როგორ შეიცვალა სესხებზე მოთხოვნა

	სესხები უძრავი ქონების შესაძენად	სამომხმარებლო სესხები	სესხები ინდივიდუალურ მეწარმეებზე
გამკაცრდა მნიშვნელოვნად			
გამკაცრდა რამდენადმე			
ძირითადად უცვლელი დარჩა			
რამდენადმე შემსუბუქდა			
მნიშვნელოვნად შემსუბუქდა			

14. ბოლო 5 წლის განმავლობაში რა ფაქტორებმა იმოქმედა სესხების მოთხოვნაზე

1 = გამკაცრდა

2 = რამდენადმე გამკაცრდა

3 = უცვლელი დარჩა

4 = შემსუბუქდა რამედნადფმე

5 = მნიშვნელოვნად შემსუბუქდა

6=გაურკვეველია

-	1	2	3	4
ა. საფინანსო				
უძრავი ქონების ბაზრის პერსპექტივა				
მომხმარებელთა გადახდისუნარიანობა				
სხვა				
ბ/ ალტერნატიყული დაფინანსება				
შინამეურნეობების დანაზოგები				

სესხები სხვა ბანკებიდან				
სხვა				

15. როგორ წარმოგიდგენიათ მომავალი 5 წლის შემდეგ თქვენი ბანკის საკრედიტო სტანდარტი თუ რამდენად შეიცვლება

	სესხები უძრავი ქონების შესაძენად	სამომხმარებლო სესხები	სესხები ინდივიდუალურ მეწარმეებზე
გამკაცრდება მნიშვნელოვნად			
გამკაცრდება რამდენადმე			
ძირითადად უცვლელი დარჩება			
რამდენადმე შემსუბუქდება			
მნიშვნელოვნად შემსუბუქდება			

გმადლობთ კითხვარის შევსებისთვის!